

„ცოდნა“, სწავლა-განათლება დაუშრეტელი ნყაროა, როგორც
კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს
მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც ნყალს გამოადენს, სიმდიდრის
ნყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება“

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის

ა მ ა მ ა მ

NEWSLETTERS

OF

ACADEMY OF EDUCATION SCIENCES OF GEORGIA

ВЕСТИК

АКАДЕМИИ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ

№15

თბილისი - ТБИЛИСИ – TBILISI

2016

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:

ნათელა ვასაძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, ქამალ აბდულაევი – აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ავთანდილ ასათიანი - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, იური ბიბილეიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სერგეი ბოგდანოვი - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახ. უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), დავით გოცირიძე - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რაფაელ გუსმან-ტირადო - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), დენ დევიდსონი - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების (American Councils for International Education) პრეზიდენტი (აშშ), ბორის იმნაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, კლავდია ლასორსა - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს - პროფესორი (იტალია), როინ მეტრეველი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, არტო მუსტაიოკი - ფინეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სესილია ოდე - ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ჰოლანდია), გიორგი ხუხუნი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სარედაქციო კოლეგია:

დავით გოცირიძე - მთავარი რედაქტორი, მარინე აროშიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე, ნათელა მოსიაშვილი - მთავარი რედაქტორის მოადგილე, გურამ ხანდამიშვილი - მთავარი რედაქტორის მოადგილე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, როზა გაბეჩავა, ვიქტორ გოგაშვილი, თამაზ კარანაძე, დავით მალაზონია, კონსტანტინე რამიშვილი, ლამარა ქადაგიძე, ინდირა ძაგანია, თემურ ჯაგოდნიშვილი.

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal „Moambe of the Georgian Academy of Education Sciences“ is issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences.

Editorial Board:

Natela Vasadze – Head of the Editorial Board, honorary president of the Georgian Academy of Education, Abdulaev Kemal-a true member of the Academy of Science of Azerbaijan, Asatiani Avtandil – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, Bibileishvili Yuri – Professor at Batumi Shota Rustaveli State University, Bogdanov Sergey – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), Gotsiridze Davit – President of the Georgian Academy of Education Sciences, Gusman-Tirado Rafael, Professor at Granada University (Spain), Davidson Dan – President of the American Councils for International Education (USA), Imnadze Boris – Professor at Technical University of Georgia, Lasorsa Claudia – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), Metreveli Roin – Vice-president of the Science Academy of Georgia, Mustayok Arto – Vice-president of Science Academy of Finland, Ode Sesilia – Professor at Amsterdam University (Netherlands), Khukhuni Giorgi – member-correspondent of the Science Academy of Russia.

Editors:

Gotsiridze Davit – editor in chief, Aroshidze Marine – deputy editor, Mosiashvili Natela – deputy editor, Khandamishvili Guram – deputy editor, Basiladze Imer, Bibileishvili Luba, Gabechava Roza, Gogashvili Victor, Karanadze Tamaz, Malazonia Davit, Ramishvili Konstantine, Kadagidze Lamara, Dzagania Indira, Jagodnishvili Temuri.

Рецензируемый и реферируемый периодический журнал «Вестник Академии образовательных наук Грузии» издается по решению Академии образовательных наук Грузии.

Редакционный совет:

Васадзе Натела - председатель редакционного совета, почетный президент Академии образовательных наук Грузии, Абдулаев Кемаль - действительный член Академии наук Азербайджана, Асатиани Автандил - сопрезидент Академии образовательных наук Грузии, Бибилишвили Юрий - профессор Батумского государственного университета Шота Руставели, Богданов Сергей - ректор Санкт-Петербургского университета им.Герцена (Россия), Гоциридзе Давид - президент Академии образовательных наук Грузии, Гусман-Тирадо Рафаэль - профессор Гранадского университета (Испания), Дэвидсон Дэн - президент Американского совета по международному образованию (США), Имнадзе Борис - профессор Грузинского технического университета, Ласорса Клаудиа - почетный профессор Римского университета Ла Сапиенца (Италия), Метревели Роин - вице-президент Национальной академии наук Грузии, Мустайоки Арто - вице-президент Академии наук Финляндии, Оде Сесилия - профессор Амстердамского университета (Нидерланды), Хухуни Георгий - член-корреспондент Российской академии наук.

Редакционная коллегия:

Гоциридзе Давид - главный редактор, Арошидзе Марине – заместитель главного редактора, Мосиашвили Натела - заместитель главного редактора, Хандамишвили Гурам - заместитель главного редактора, Басиладзе Имер, Бибилишвили Люба, Габечава Роза, Гогашвили Виктор, Карападзе Тамаз, Малазония Давид, Рамишвили Константин, Кадагидзе Ламара, Дзагания Индира, Джагоднишвили Темури.

ინფორმაცია

2016 წლის 30 იანვარს ჩატარდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც განიხილა ორი საკითხი:

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის“ წესდების ახალი რედაქციის განხილვა-დამტკიცება;

2.აკადემიაში ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ.

კრებას უძლვებოდა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი დავით გოცირიძე. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ავთანდილ ასათიანმა კრებას მოახსენა, რომ აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდა აკადემიის წესდებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანა.

პროფესორმა ავთანდილ ასათიანმა კრებას გააცნო წესდების ახალი რედაქცია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ფარნაოზ ლომაშვილმა, ზურაბ ცუცქირიძემ, გია ქაჯაიამ, ჯემალ ჯინჯიხაძემ, როზა გაბეჩავამ. მათ ძირითადად დადებითად შეაფასეს აკადემიის წესდებაში შეტანილი ცვლილებები და აღნიშნეს, რომ წესდების ახალი რედაქცია საშუალებას იძლევა აკადემიის მუშაობა უფრო ქმედითი გახდეს. კრების გადაწყვეტილებით საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს - გამგეობას ეწოდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, დამტკიცდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წესდება ახალი რედაქციით.

აკადემიის პრეზიდენტმა პროფესორმა დავით გოცირიძემ კრების წინაშე დასვა ორგანიზაციული ცვლილებების საკითხი, რაც გამოიწვია აკადემიის წესდების ახალი რედაქციის მიღებამ, რომლის თანახმად გათვალისწინებულია თანაპრეზიდენტის, ოთხი ვიცე-პრეზიდენტის და პრეზიდიუმის არჩევა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტად არჩეული იქნა პროფესორი ავთანდილ ასათიანი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად, პროფესორები: ინეზა იამანიძე, გია ქაჯაია, დავით მალაზონია და თამაზ ტატიშვილი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აირჩია აკადემიის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

- ვასაძე ნათელა - საპატიო პრეზიდენტი
- გოცირიძე დავითი - პრეზიდენტი
- ასათიანი ავთანდილი - თანაპრეზიდენტი
- ბიბილეიშვილი ლუბა - აკადემიკოს-მდივანი
- იამანიძე ინეზა - ვიცე-პრეზიდენტი, სასკოლო პრობლემების (სკოლამდელი აღზრდა, ზოგადი და პროფესიული განათლება) მიმართულების ხელმძღვანელი
- მალაზონია დავითი - ვიცე-პრეზიდენტი, განათლების მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი
- ტატიშვილი თამაზი-ვიცე-პრეზიდენტი, შიდა და საეთაშორისო კავშირების მიმართულების ხელმძღვანელი
- ქაჯაია გია - ვიცე-პრეზიდენტი, უმაღლესი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი
- ბასილაძე იმერი - ქუთაისის ჯგუფის ხელმძღვანელი
- გოგირაშვილი ნანა - პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი
- გუგუნავა ნანა - აჭარის ჯგუფის ხელმძღვანელი
- ვარძელაშვილი უანეტა - თბილისის ჯგუფის ხელმძღვანელი
- იმნაძე ბორისი - საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელი
- კარანაძე თამაზი - პედაგოგიკური მეცნიერების ჯგუფის ხელმძღვანელი
- ქორიძე კახა - არტ-პედაგოგიკისა და სპორტის ჯგუფის ხელმძღვანელი
- ძაგანია ინდირა - უურნალ „მოამბის“ რუსული რედაქციის ხელმძღვანელი

- ჯაგოდნიშვილი თემური - აკადემიის საიტის და ვებ-გვერდის ხელმძღვანელი
 - ჯინჯიხაძე ჯემალი - აფხაზეთის ჯგუფის ხელმძღვანელი
 - ხანდამიშვილი გურამი - უურნალ „მოამბის“ ქართული რედაქციის ხელმძღვანელი
- საერთო კრებამ გადაწყვიტა, რომ კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო აკადემიის წესდების ახალი რედაქტურის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალურ საიტზე.

კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება გარემოს დაცვის საქმეში“

2016 წ. 7-10 ოქტომბერს ქ. უჟგოროდში (დასავლეთი უკრაინა) შედგა საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება გარემოს დაცვის საქმეში“. კონფერენცია ჩატარდა ამავე სახელწოდების საერთაშორისო პროექტის ჩარჩოებში, რომლის ინიციატორებია გერმანიის გარემოს დაცვის კავშირი (NABU) და ქ. უჟგოროდის ნაციონალური უნივერსიტეტის ეკოლოგიურ-რელიგიური კვლევების ინსტიტუტი. პროექტს აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. კონფერენციის ორგანიზატორებს შორის ერთ-ერთი იყო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია.

უკრაინელ მეცნიერთა გარდა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მოლადველი, გერმანელი, პოლონელი, ჩეხი მეცნიერები და რელიგიური მოლვანეები, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, NABU-ს ექსპერტები და უურნალისტები.

კონფერენციის მუშაობაში ჩართული იყო ამ საერთაშორისო პროექტის მონაწილე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგის ინსტიტუტის თანამშრომელი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი პროფ. გია ქაჯაია. ბატონ გიას გამოსვლა ეხებოდა ეკოლოგიის რელიგიურ საფუძვლებს და მის ასახვას თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში.

მომხსენებელმა გააშუქა ეკოლოგიური სწავლების თავისებურებები საქართველოს და საზღვარგარეთის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; შეეხო აგრეთვე თბილისში ჩატარებულ მთავრობათაშორის კონფერენციას გარემოსდაცვითი განათლების დარგში და მასთან დაკავშირებულ „თბილისის დეკლარაციას“, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

კონფერენცია ძალზე შინაარსიანი იყო; გარდა სხდომებისა, იგი მოიცავდა გასვლებს რეგიონის ღირსშესანიშნაობების – დაცული ტერიტორიების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების – გაცნობის მიზნით. დასკვნით ეტაპზე შედგა დოკუმენტი – „უჟგოროდის დეკლარაცია“, რომელიც გაეგზავნა საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, ევროპის რიგი ქვეყნების გარემოს დაცვის, ეკოლოგიის და განათლების სამინისტროებს. კონფერენციის მონაწილეთა სახელით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა მომავალ წლებში პროექტის გაგრძელების თაობაზე.

ИНФОРМАЦИЯ

7-10 октября 2016 г. в городе Ужгороде (Западная Украина) состоялась Международная конференция, посвященная роли религии и общества в решении современных природоохранных проблем. Конференция проводилась в рамках международного проекта, инициаторами которого являются Союз охраны природы Германии (Nabu) и Институт эколого-религиозных исследований Ужгородского университета. Проект финансируется Министерством иностранных дел Германии. Одним из организаторов конференции была Академия образовательных наук Грузии.

В работе конференции принимал участие академик Грузинской академии образовательных наук профессор Гия Каджая. В своем выступлении он проанализировал религиозные основы экологии и их отражение в современной образовательной системе.

На заключительном этапе конференции был составлен важный документ – «Ужгородская декларация», которая была разослана в Международные природоохранные организации, Министерства защиты среды, экологии и просвещения ряда стран Европы.

INFORMATION

The international conference „The Church and the social movement for the nature preservation in Eastern Europe – common protection of Creation“ took place in October 7-10, 2016 in Uzhgorod (Ukraine). The organizers of the conference: Institute of Ecological and Religious Studies (Uzhgorod), the German Environmental Union – Nabu (Berlin, Germany) in partnership with Public Academy of Education Sciences of Georgia and environmental departments of the Churches in Eastern Europe.

The main purpose of the conference: to promote the dialogue and mutual understanding in terms of responsibility for Creation – Nature through establishing cooperation between networks of units of the social movement for nature preservation and the Church in Eastern Europe.

The member of an Academy of Education Sciences of Georgia Prof. Gia Kajaia took part in the conference. His speech concerned the religious principles of the present ecology and their reflection in the education system.

სასკოლო პედაგოგიკა

დავით გალაზონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო ჭიაპრიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მოსწავლეთა სამოძღვანო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის მიმართებები სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურულ კომპარატივულობით

ინტერკულტურული განათლების მდგომარეობა - ზოგადი მიმოხილვა

მულტიკულტურულ ქვეყნებში სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და კულტურული გარემოს ტრანსფორმაციამ განაპირობა სხვადასხვა კულტურული იდენტობის მქონე ჯგუფთა ურთიერთობისას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრისთვის ადეკვატური საგანმანათლებლო გადაწყვეტილებების ძიება.

ბოლო ათწლეულების მანძილზე განათლების სფეროში მიმდინარე კვლევების აქტუალურ პრობლემად იქცა მულტიკულტურულ საზოგადოებაში მშვიდობიანად ცხოვრების, ეფექტური კომუნიკაციისა და განვითარებისათვის ადამიანების მომზადება. აქედან გამომდინარე, სულ უფრო საგრძნობი ხდება ინტერკულტურული განათლების საჭიროებაც.

მულტიკულტურული საზოგადოების გამოწვევები აისახა ინტერკულტურული განათლების თეორიასა და პრაქტიკაში, რომელიც მიზნად ისახავს მოამზადოს მომავალი მოქალაქე თანამედროვე პირობებში ცხოვრებისა და საქმიანობისთვის.

ადამიანის თავისუფალი განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე კონცეფცია, საზოგადოებრივი თანხმობის პრიორიტეტები წინა პლანზე ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფის მოთხოვნას აყენებს. არსებული ვითარება კი, აუცილებლად მოითხოვს ინტერკულტურული განათლების საკითხებზე აქცენტირებას. მომავალ თაობებს სჭირდებათ გარკვეული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამომუშავება იმისათვის, რომ განადნენ გლობალური სამყაროს წარმატებული წევრები.

ინტერკულტურულ განათლებას, რომლის ძირითადი მიზანია, შეიქმნას განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლებლობები სხვადასხვა კულტურული იდენტობის ჯგუფებისათვის, აქტიურად იკვლევენ თანამედროვე მეცნიერები (James A. Banks 2006, 2011, 2014, Geneva Gay 2010, Bennett M., 2013, Grant, C. A., და Sleeter, C. E., 2003., Sleeter, C. E. 2008, Cushner K. და McClelland A., 2014, Willis D. Hawley, 2006, Jacqueline Jordan Irvine, 2003, Cooper P., 2002, Sonia Nieto, 2008, 2013, Cherry A. McGee Banks, 2009, Walter G. Stephan და W. Paul Vogt, 2004 და სხვები).

კვლევების მიხედვით, ინტერკულტურული განათლება ეფუძნება ორ იდეალს: თანაბარ შესაძლებლობებსა და კულტურულ პლურალიზმს. პირველი მათგანი გულისხმობს, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს სწავლისა და წარმატების საკუთარი გზის პოვნის თანაბარი შესაძლებლობა სქესის, რასის, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, უნარშეზღუდულობისა და სხვათა მიუხედავად (Grant & Sleeter, 2008); ხოლო ინტერკულტურული განათლება გულისხმობს სკოლის გარკეულ ტრანსფორმაციას. კერძოდ, სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების მორგებას მრავალფეროვანი გარემოს საჭიროებებზე; მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლების უწყვეტი განათლების სისტემის უზურუნველყოფას ინტერკულტურული განათლების მიმართულებით; საზოგადოების მრავალფეროვანი ჯგუფების ჩართულობას ინტერკულტურული განათლების მიზნების

განსაზღვრა-განხორციელებაში. ინტერკულტურული განათლების მიდგომის ღერძი სამართლიანობა, პლურალიზმის და მდგრადობაა. მიდგომა უფრო ქმედებაზე ორიენტირებული და მიზნად ისახავს ისეთ მოქალაქეებად მოამზადოს მოსწავლეები, რომლებიც შეძლებენ სოციალური სამართლიანობის იდეის აქტუალიზაციას, რაც დემოკრატიის ქვაკუთხედია (Grant & Sleeter, 2008).

პაოლო ფრეირეს (Freire, 1996) მოსაზრებით, კრიტიკული აზროვნება ეხმარება ადამიანებს დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ საზოგადოების ცვლილებაზე ზემოქმედება, რომ მათი უმოქმედობა დასწავლილი უმნეობაა, რეალობის სტატუს ქვოდ მიღების შედეგი და რწმენა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დომინანტი კლასი განსაზღვრავს ძალაუფლებასა და რესურსებს შორის ურთიერთობების ხასიათს.

ინტერკულტურული განათლების მიზანია დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში. მრავალფეროვნებას შემოქმედებითად და ეფექტურად რომ უპასუხოს, განათლების მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს ინტერკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა (Banks, 2013). მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი კულტურული მგრძნობელობა და შეიძინოს ისეთი ცოდნა და უნარები, რომელიც სხვადასხვა კულტურული იდენტობის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.

სასკოლო/საკლასო გარემოში ინტერკულტურული განათლების ასპექტებს (სასწავლო ქმედებები და პროექტები), მოსწავლეების შემეცნებითი და მორალური განვითარების დონეებს შორის არსებულ დადებით კორელაციურ კავშირებს იკვლევენ კ. გრანტი, ქ. სლიტერი და მ. ჟილეტი (Grant, Sleeter & Gillette, 2005, 2008, 2011). ისინი აღნიშნულ ცვლადებს (ინტერკულტურული განათლება, მოსწავლეთა შემეცნებითი და მორალური განვითარება) შორის მიმართებას ასე გამოხატავენ - როდესაც მოსწავლეები შეიმეცნებენ სამყაროს მრავალფეროვანი ჯგუფის გადმოსახედიდან, ისინი უკეთ ერთვებიან პიროვნულ, სოციალურ და მოქალაქეობრივ აქტივობებში და, საბოლოო ჯამში, მონაწილეობენ საზოგადოების მდგრად განვითარებაში.

ბენკსი და კლეგი ინტერკულტურულ განათლებას უკავშირებენ მოსწავლეებში იმ სახის კომპეტენციების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ პირადი, სოციალური და მოქალაქეობრივი ქმედებების განხორციელებას (Banks & Clegg 1990).

გაის აზრით, მნიშვნელოვანია სასკოლო განათლების ისეთი პრაქტიკა, როდესაც მასწავლებლები სწავლა/სწავლების მიდგომებს (სტილს, მეთოდებს) არგებენ მოსწავლეთა პერსონალური უნარებისა და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების საჭიროებებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უმჯობესდება მოსწავლეთა პერსონალური და სკოლის მიღწევები (Gay 2000) და სწავლება სულ უფრო და უფრო კროსკულტურული ფენომენი ხდება (Gay, 2003).

ყოველივე ზემოთქმული - ცვლილებები სასკოლო საზოგადოების ყველა დონეზე, როგორც თანამედროვე განათლებისადმი კომპლექსური მიდგომა, განაპირობებს მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას.

ინტერკულტურული განათლების აქტუალობა საქართველოსთვის

საბჭოთა მემკვიდრეობამ სერიოზულ პრობლემად აქცია საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება და სამოქალაქო ინტეგრაცია. ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას აბრკოლებს ერთმანეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ტრადიციებისადმი სტერეოტიპები. ყოველივე ეს განაპირობებს საქართველოს მრავალფეროვან მოსახლეობაში სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთგაუცხოებას, ჩაკეტილობას.

აღსანიშნავია პრობლემის აქტუალობის კიდევ ერთი, ქართული რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, ღია, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობს. ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების ადგილისა და როლის განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამოქალაქო ინტეგრაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორს საქართველოს

კულტურული მახასიათებლების ცოდნის, პატივისცემისა და კომუნიკაციის დეფიციტი წარმოადგენს.

2014 წლის მოსახლეობის საყოველოამ აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 86.8%-ს ქართველები შეადგენენ; შემდეგ მოდიან აზერბაიჯანელები (6.3%); სომხები (4.5%); რუსები (0.7%); ოსები (0.4%) და სხვ. მოსახლეობის 83.4%-ს მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ. მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10.7%; სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2.9%; კათოლიკები -0.5%.

ამავე დროს, იცვლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რუკა. გლობალიზაციის შედეგად, ჩვენთვის ე.ნ. “ტრადიციულ უმცირესობებთან” ერთად (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვ.), რომლებთან ურთიერთობის გარკვეული ემპირიული გამოცდილება არსებობდა, გარდა ახალი ეთნო-კულტურული უმცირესობები, ასევე გაიზარდა საქართველოს მოქალაქეთა გარემობილობის გეოგრაფიული სივრცე. ახალმა რეალობამ კიდევ უფრო მატრად დააყენა ინტერკულტურული განათლებისა და კომპეტენციების საკითხი.

საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაციული ნაშრომები ე.ნ. “საბჭოთა ინტერნაციონალიზმის” შესახებ. თავისთავად, ეს ფენომენი (“საბჭოთა ინტერნაციონალიზმი”) ინტერკულტურალიზმის დამახინჯებულ გაგებად იქცა, რომლის პოლიტიკურ მიზანდასახულობას იდენტობების ნიველირებით, ასიმილაციის პროცესის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებელ საქართველოში, კულტურული იდენტობებისა და კულტურათშორისი ურთიერთოებების კვლევა 2000-იანი წლებიდან იწყება, თუმცა, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ გამხდარა ფუნდამენტური და თანმიმდევრული კვლევის საგანი.

საკითხით, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთოებების ცენტრი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო „ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობა საქართველოში“) ინტერესდებიან. არსებობს რამდენიმე საინტერესო კვლევა (ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., 2008, 2010, წერეთელი მ., 2015, სარჯველაძე ნ., ჯავახიშვილი დ., 2007 და სხვ.), სადაც გაშუქებულია ინტერკულტურული განათლების (ცალკეული ასპექტები.

ჩატარებულ კვლევებში, როგორც წესი, აქცენტირება ხდება პრობლემის ცალკეულ სეგმენტზე (მაგ., ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცალკეული საფეხურის შესწავლა). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კვლევები გრძელდება, ჯერ არ მომხდარა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე ინტერკულტურული განათლების თანმიმდევრული შესწავლა.

კვლევის მიზანი და ობიექტი¹

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა ინტერკულტურული განათლებისა და საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების აღქმის არსებული დონის გავლენა განსხვავებული იდენტობის მქონე მოსწავლეთა ჯგუფების სამოქალაქო აქტიურობასა და ინტეგრაციის პროცესზე.

კვლევის ობიექტად შეირჩა საქართველოს იმ ქალაქების (რეგიონების) საჯარო და კერძო სკოლები, სადაც წარმოდგენილია მონოკულტურული და მულტიკულტურული გარემო. კვლევაში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების მე-10 და მე-12 კლასის მოსწავლეები, მათი პედაგოგები და ოჯახის წევრები.

საწყის ეტაპზე შესწავლილი იქნა სამიზნე სკოლების მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეების (მათი პედაგოგებისა და ოჯახის წევრების) ინტერკულტურული კომპეტენციები. მომდევნო ეტაპზე იმავე ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით შევისწავლეთ მოსწავლეთა შეხედულებები შემდეგი საკითხების შესახებ:

¹ კვლევა ჩატარდა 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის თებერვლის ჩათვლით.

1. სამოქალაქო აქტიურობა:

- ა) საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა
- ბ) სკოლის/კლასის მართვაში მონაწილეობა
- გ) სასკოლო/საკლასო ინიციატივებში მონაწილეობა

2. სამოქალაქო ინტეგრაცია:

- ა) პროექტებში მონაწილეობა
- ბ) სასწავლო პროცესში ჩართულობა
- გ) არასასკოლო საქმიანობაში მონაწილეობა

შეირჩა საქართველოს შემდეგი რეგიონების სკოლები:

1. თბილისი, სადაც მაღალია მრავალფეროვანი მოსახლეობის სიჭიდროვე და ინტერაქცია.

საქართველოს დედაქალაქს ეთნიკურად, კულტურულად და რელიგიურად მრავალგვარი მოსახლეობის თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ურთიერთობების ეს მრავალმხრივობა ვლინდება ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც (სკოლები, პროფესიული სასწავლებელები, უნივერსიტეტები - სადაც რეგიონებიდან ჩამოსული, მათ შორის, არაქართული წარმომავლობის სტუდენტებიც სწავლობენ) და ყოველდღიურ სამეურნეო თუ ყოფით ცხოვრებაში. მრავალფეროვნების თვალსაზრისით თბილისის სპეციფიკურობა უდაოდ საინტერესოა ინტერკულტურალიზმის კუთხით.

2. ქვემო ქართლი, სადაც ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობა ცხოვრობს (ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები) მრავალფეროვანია ამ რეგიონის რელიგიური რუკაც: ქრისტიანი მართლმადიდებლები (ქართველები და ბერძნები), ქრისტიანულ-გრიგორიანული მრნამსის მიმდევრები (სომხები), მუსლიმები (აზერბაიჯანლები). ამავე რეგიონში არის დასახლებები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ერთგვაროვანი ჯგუფები და ასევე დასახლებები, სადაც ეთნიკურად და რელიგიურად შერეული მოსახლეობა ცხოვრობს. მოსახლეობის ერთგვაროვნება-მრავალფეროვნების შესატყვისია ადგილობრივი სკოლების მოსწავლეთა ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობაც. გარდა ამისა, ამ რეგიონში ფუნქციონირებს ქართულენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი, ასევე შერეული სექტორების სკოლები. ბუნებრივია, რეგიონის ასეთი მრავალფეროვნება ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთობებისთვის სპეციფიკურ გარემოს ქმნის.

კვლევის ეტაპზე ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოკითხული იქნა 193 რესპონტი. აქედან: მოსწავლე - 81 (მათ შორის: 39 – X კლასელი, 42 – XII კლასელი), მასწავლებელი - 56; მოსწავლის ოჯახის წევრი - 56.

ჩვენი კვლევის სტრატეგია მოიცავდა:

- მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის დადგენას;
- მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის მიმართებების განსაზღვრას სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურულ კომპეტენციებთან.

ეს სტრატეგია ითვალისწინებდა არსებული ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას და გამოცდილების გაზიარებას. ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ უცხოური, მათ შორის, აპრობირებული და შედეგიანი კვლევის მეთოდების პირდპირმა გადმოღებამ და გამოყენებამ შესაძლოა არ მოგვცეს ობიექტური სურათის მიღების შესაძლებლობა. ქართული რეალობა, ისევე როგორც, ყველა სხვა ქვეყნისა, უნიკალურია. ამ უნიკალურობას განაპირობებს, როგორც თანამედროვე ეთნოკულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. გარემო, ასევე პრობლემების გენერირების ისტორიული წინაპირობები. ამიტომ, ვეყრდნობოდით რა საერთაშორისო გამოცდილებას, შევქმნით უშუალოდ საქართველოს მრავალფეროვან საზოგადოებაში მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის კვლევის სპეციფიკური ინსტრუმენტები.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს: (ა) მიზნობრივ ჯგუფებში მოსწავლეთა (ზოგადად, სასკოლო საზოგადოების) სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, რესპონდენტებთან ჩაღრმავებული ინ-

ტერვიუ; (ბ) კორელაციური ანალიზი დაგვეხმარა განგვესაზღვრა მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის მიმართებები სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურულ კომპეტენციებთან.

მიზნის შესაბამისად შემუშავდა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებისთვის კითხვარი, რომელიც ემსახურებოდა მათი სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის დადგენას.

შემუშავების პროცესში კითხვარმა გაიარა ექსპერტიზა, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების პროფესორთა მიერ, ისე სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრების მხრიდან. მათი რეკომენდაციების გათვალისწინების გათვალისწინებით მოხდა რიგი პრობლემური საკითხების გამოკვეთა, ცალკეული ფორმულირების დახვეწა-გამარტივება.

ცალ-ცალკე შედგა კითხვარი თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის. მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებისათვის გამიზნული კითხვარი განკუთვნილი იყო არა მათი, არა-მედ, მოსწავლეების სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის დადგენისთვის.

კვლევის ძირითადი დასკვნები და ტენდენციები

მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის (პერსპექტივის) განსაზღვრისთვის სამიზნე ჯგუფებთან (X და XII კლასის მოსწავლეები, პედაგოგები და ოჯახის წევრები) ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით შევისწავლეთ მათი შეხედულება-დამოკიდებულებები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა ინტერკულტურულ კომპეტენციებთან დაკავშირებული რამდენიმე ტენდენცია.

ტენდენცია N1. სასწავლო-კვლევითი პროექტები და საგაკვეთილო პროცესი

მოსწავლეთა უმრავლესობა დადებითად აფასებს სასწავლო-კვლევით პროექტებში მონაწილეობით მიღებულ გამოცდილებას. ისინი სასწავლო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის ძირითად ღირსებად მიიჩნევენ: ახალი ცოდნის მიღებას (ცოდნის გაღრმავება, გაფართოება), კვლევითი უნარების გაუმჯობესებას, სამეცნიერო წრის გაფართოებას. მასწავლებლები თვლიან, რომ მსგავსი პროექტები დადებით გავლენას ახდენენ მოსწავლეთა კულტურაზე, ერგევიან შემოქმედებით მუშაობას და დამოუკიდებლობას, სწავლობენ არგუმენტირებულ მსჯელობას, სხვის მოსმენასა და პატივისცემას, უყალიბდებათ გუნდური მუშაობის ჩვევები. მოსწავლეთა ოჯახის წევრების უმრავლესობის შეფასებითაც, ჯგუფურ სასწავლო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა კულტურაზე, მათ ღირებულებათა სისტემაზე.

მოსწავლეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. აქტიურობის მიზეზად დასახელდა ცოდნის მიღებისა და გამოვლენის სურვილი, გარკვეული საგნების მიმართ ინტერესი და პედაგოგის მუშაობის სტილი - რესპოდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა მასწავლებლის უნარს, ჩატაროს აქტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილი. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის იგივე მოტივები დაასახელეს მასწავლებლებმაც, ხოლო შემაფერხებელ გარემობად - სწავლების რეპროდუქციული სტილი და ენობრივი ბარიერი. მოსწავლეთა ოჯახის წევრებიც თვლიან, რომ მათი შვილები ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში. სამწუხაროდ, მათ არ/ვერ დაასახელეს მოსწავლეთა საკლასო აქტიურობის/პასურობის მიზეზები.

რესპოდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საგაკვეთილო პროცესი სასიკეთოდ მოქმედებს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე (არაქართული სექტორის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშემშლელ გარემოებად დაასახელეს ენობრივი ბარიერით გამოწვეული სირთულეები).

მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების კვლევის შედეგები:

მოსწავლეთა დიდი ნაწილი (70.6%) კულტურის შესასწავლად იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, რაც უდაოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მოსწავლეთა აზრით, მასწავლე-

ბელები სასკოლო პრაქტიკაში არ/ან ძალიან ნაკლებად იყენებენ ინტერკულტურული განათლების ნაირგვარ მეთოდებს (მოსწავლეთა მხოლოდ 34.3%-მა მიუთითა შესაბამის კითხვაზე დადებითი პასუხი). რაც შეეხება ოჯახის როლს კულტურული მრავალფეროვნების სწავლების საკითხში, კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა მოსწავლეთა 41.2%-მა. მოსწავლეთა 68.8% თვლის, რომ შეუძლია კულტურებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების ამოცნობა.

დასკვნა: ორივე კვლევის შედეგი გარკვეულ კორელაციაშია ერთმანეთთან. მოსწავლეებს ესმით ჯგუფურ სასწავლო პროექტებსა და საგაკვეთილო აქტივობებში მონაწილეობის დადებითი გავლენა თანატოლთა შორის ურთიერთოებების ფორმირებასა და პერსონალური ცოდნის/უნარების/დამოკიდებულებების გამომუშავებაზე. მოსწავლეთა ამგვარ მოლოდინებს ყოველთვის ვერ ამართლებს ა) მასწავლებლის/სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების (საგაკვეთილო პროცესის) სტილი (მეტწილად, რეპროდუქციული, მონოლოგური) და ბ) სასწავლო-კვლევითი პროექტების არასისტემატურობა. ყოველივე, ხელს არ უწყობს განსხვავებული კულტურული ჯგუფების დაახლოებას, მოსწავლეებში ინტერკულტურული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ფორმირებასა და განვითარებას.

ტენდენცია N2. სასკოლო ინიციატივები და კლასის/სკოლის მართვაში მონაწილეობა

გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა მნიშვნელოვანად თვლის საკუთარ და თანატოლთა ინიციატივებს საკლასო/სასკოლო ცხოვრებისთვის. აღსაზრდელთა ინიციატივების მნიშვნელობაზე საუბრისას პედაგოგები გამოყოფენ პასუხისმგებლობის, გუნდური მუშაობის, ურთიერთპატივისცემის და ჯანსაღი კონკურენციის უნარების ჩამოყალიბებას. მოსწავლეთა ოჯახის წევრებიც ეთანხმებიან აზრს, რომ საკლასო/სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ინიციატივა მნიშვნელოვანია, რადგან ეს პროცესი ხელს უწყობს მათი შვილების აქტიურ მოქალაქეებად ფორმირებას. ამავე დროს, რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, მოსწავლეთა სასკოლო ინიციატივები ოჯახში საკმარისად არ არის წახალისებული. გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე მიუთითებს, რომ ოჯახის წევრები არასაქმარისად მონაწილეობენ სასკოლო/საკლასო აქტივობებში.

მოსწავლები მნიშვნელოვანად თვლიან თავიანთ ხმას/მოსაზრებას იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც კლასის/სკოლის მართვას ეხება. აღნიშნული დებულებისადმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა პოზიციები თანხვედრაშია, რასაც ვერ ვიტყვით გამოკითხულ მშობელთა შეფასებებზე - მათ უმრავლესობას არ აქვს იმის განცდა, რომ სასკოლო/საკლასო გადაწყვეტილებების მიღებისას ხდება მათი შვილების მოსაზრებების/შეხედულებების გათვალისწინება.

რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ განსხვავებული აზრის პატივისცემისა და გათვალისწინების მნიშვნელობას სკოლის/კლასის მართვის პროცესში. თუმცა, მათი ნაწილი თვლის, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება განსხვავებული პოზიციის გათვალისწინება. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობამ ვერ შეძლო განსხვავებული პოზიციის გათვალისწინების ან მიღების კონკრეტული მაგალითის დასახელება.

მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების კვლევის შედეგები:

გამოვლინდა მოსწავლეთა დადებითი პასუხები ინტერკულტურული დამოკიდებულებების ისეთ მნიშვნელოვან დებულებებზე, როგორიცაა: სხვადასხვა ენასა და კულტურას შორის კავშირების არსებობა; სხვა კულტურის წარმომადგენლების განსხვავებული ქცევითი ნორმების და რიტუალების აღიარება; ნებისმიერი კულტურის ადამიანის პატივისცემის მნიშვნელობა; სხვებისთვის საკუთარი კულტურის გაზიარების მზადყოფნა და სხვა კულტურის წარმომადგენლის დახმარება. კერძოდ, დებულებას - „სხვადასხვა კულტურას განსხვავებული წესები, ფასეულობები და ქცევა ახასიათებს“ - მოსწავლეთა 80.5% ეთანხმება, ხოლო დებულებას - „ყველა კულტურა თანაბრად პატივსაცემია“ მოსწავლეთა - 77.7%. ასევე თანხმობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (71.6%) აქვს დებულებას: „სხვადასხვა კულტურის შესახებ ცოდნა ააღვილებს ადამიანების ურთიერთობას“.

ასევე აღსანიშნავია მოსწავლეთა დადებითი პოზიციები ინტერკულტურული განათლებისა და დამოკიდებულებების სხვა დებულებების მიმართ: „სხვადასხვა კულტურას განსხვავებული წესები, ფასეულობები და ქცევა ახასიათებს“, „ყველა კულტურა თანაბრად პატივსაცემია“. ამ უკანასკნელი დებულებების მიმართ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მოსწავლის ოჯახის წევრთა პასუხები განსხვავებულია. სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, მოსწავლეთა შესაბამისი ცოდნისა და დამოკიდებულების საერთო საშუალო მაჩვენებლის შედარებითი სიმცირე შეიძლება აიხსნას განსხვავებულ კულტურებთან მათი ურთიერთობის გამოცდილების დეფიციტით.

დასკვნა: კვლევების შედეგების შეპირისპირებით დასტურდება, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული ცოდნა (კულტურებს განსხვავებული მახასიათებლები აქვს) და დამოკიდებულება (ყველა კულტურა პატივისცემას იმსახურებს) სრულად შეესაბამება მათ მზაობას სასკოლო/საკლასო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსხვავებული თვალსაზრისების დაფასებისა და გათვალისწინების შესახებ. განსხვავებული პოზიციის მიმღებლობას, ზოგადად, განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ განხორციელებული საკლასო/სასკოლო ინიციატივები. მსგავსი ინიციატივების მნიშვნელობა გუნდურობის, პასუხისმგებლობის, თანაზიარობის, ურთიერთდახმარების და ა.შ. დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით, სავსებით და სრულად არის გაზიარებული გამოკითხული მოსწავლეების მხრიდან.

ტენდენცია №3. ინტერკულტურული განათლების წყაროები

განსხვავებული კულტურის ადამიანების შესახებ ინფორმაციისა და მათთან ურთიერთობის გამოცდილების წყაროებს შორის მოსწავლეები ასახელებენ: სკოლას, მედიას, სამეზობლოს, სამეცნიეროს, პირად გამოცდილებას. პასუხებიდან ირკვევა, რომ ეთნიკურად ქართველ რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც სწავლობს კულტურულად მრავალფეროვან სასკოლო გარემოში, დასახელებულ წყაროთაგან მეტ მნიშვნელობას სკოლას ანიჭებს (პირველ რიგში, ინტერკულტურული ურთიერთობის გამოცდილების მიღების თვალსაზრისით). მონოეთნიკური სკოლების მოსწავლეთა პასუხებში სკოლის, როგორც ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების მთავარი ინსტიტუციის როლი ნაკლებად არის გამოკვეთილი.

მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების კვლევის შედეგები:

მოსწავლეები არც თუ მაღალ შეფასებას აძლევენ ინტერკულტურული განათლების მიმართულებით სკოლის როლს. მაგალითად, მოსწავლეთა მხოლოდ 34.3% თვლის, რომ მასწავლებლები მათ სხვადასხვა კულტურას მრავალფეროვანი მეთოდებით ასწავლიან. 46.3% კი, მიუთითებს რომ გაკვეთილზე მასწავლებლები სხვადასხვა კულტურას აცნობენ. მოსწავლეთა 65.2% თვლის, რომ ინტერკულტურული განათლება მხოლოდ საკლასო გარემოში არ ხორციელდება. ისინი არც ოჯახს მიიჩნევენ ინტერკულტურული განათლების უალტერნატივო კერად (47.9%). ცხადია, მოსწავლეთა ასეთი დამოკიდებულება სწორია. მათ იციან, რომ ინტერკულტურული განათლების წყაროები მრავალფეროვანია და ის არ უკავშირდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ გარემოს. ამ შემთხვევაში კი საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთა უფრო მეტი ნაწილი ამჟღავნებს სკოლის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას, ვიდრე ოჯახური გარემოსადმი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოსწავლეთა შედარებით მცირე რაოდენობა აფასებს მნიშვნელოვნად ოჯახის როლს მათი ინტერკულტურული განათლების პროცესში. მაგ.: მოსწავლეთა მხოლოდ 39.6% აზრით, მათ ოჯახის წევრები აცნობენ სხვადასხვა კულტურას, ხოლო 41.2% აზრით, ოჯახის წევრები მრავალფეროვან საშუალებებს იყენებენ მათი ინტერკულტურული ცნობიერების ასამაღლებლად.

დასკვნა: კვლევების მონაცემების შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები სკოლას შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, ამასთან, ისინი ახდენენ ინტერკულტურული განათლების წყაროების ლოგიკურ დივერსიფიცირებას.

მოსწავლეთაგან სკოლის როლის არცთუ მაღალი შეფასება უკავშირდება იმას, რომ ინტერკულტურული განათლების ძირითადი აგენტები – მასწავლებლები არ იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდებსა და მრავალფეროვან რესურსებს (იხ. ტენდენცია N1). ინტერკულტურული განათლების არასახარბიერო ხარისხი განაპირობებს მოსწავლეთა ინტეგრაციის ასევე არასა-სურველ დონეს, რაც თავის მხრივ, აისახება თვითმმართველობებსა და საკლასო/სასკოლო ინიციატივებში მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელში ან ფორმალურ მონაწილეობაში.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით სკოლის შესაძლებლობების/რესურსების ეფექტური გამოყენება არ ხდება; სკოლამ, როგორც ინტერკულტურული განათლების წამყვან-მა აგენტმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების პასუხისმგებლობა, რასაც მრავალფეროვან საზოგადოებაში შედეგად მოჰყვება: (1) კულტურულად მრავალფეროვან მოსწავლეთა წარმატებული ინტეგრაციის ხელშეწყობა და (2) მათი აქტიური და გააზრებული მონაწილეობა დემოკრატიისათვის მნიშვნელოვან ისეთ სასკოლო ინსტიტუციაში, როგორიც არის მოსწავლეთა თვითმმართველობა და მათ მიერ სასკოლო/საკლასო ინიციატივების განხორციელება.

ტენდენცია N4. საზოგადოებრივი აქტივობები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის კულტურა

მოსწავლეთა იმ ნაწილს, რომლებიც მონაწილეობდნენ/მონაწილეობენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მეტნილად გაცნობიერებული აქვს მსგავს აქტივობებში ჩართულობის მნიშვნელობა მათი პიროვნული განვითარებისთვის (ეჩვევიან შრომას, სისუფთავეს, თანაგრძნობას, უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა). თუმცა, მათ არ აქვთ გაცნობიერებული, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, პირველ რიგში, თვით საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება. ძირითადად, იგივე მიდგომები ფიქსირდება პედაგოგებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრების მხრიდან. მათ პასუხებში აქცენტი კეთდება: სასარგებლო ჩვევების გამომუშავებაზე, პასუხისმგებლობის გრძნობაზე, ჰუმანურობაზე, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაზე, ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენაზე, აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე და ა.შ.

მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩართვის მთავარი ინიციატორი უნდა იყოს მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს თვითმმართველობის დანიშნულება/ფუნქცია შემდეგნაირად ესმით: სასწავლო პროცესსა და სასკოლო პროექტებში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, საკლასო/სასკოლო აქტივობების დაგეგმვა, თანატოლთა უფლებების დაცვა, პასუხისმგებლობის გრძნობა კლასისა და სკოლის ცხოვრებაზე, პიროვნული განვითარება და ა.შ. არც ერთი მათგანი სკოლის თვითმმართველობის როლს გაკვრითაც კი არ ახსენებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში.

დამაფიქრებელი ტენდენცია გამოიკვეთა არაქართული სკოლებისა და სექტორების მოსწავლეების პასუხებში. ისინი მოსწავლეთა თვითმმართველობისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და მიუთითებენ, რომ ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართული სკოლის მართვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა თვითმმართველობის მუშაობაში. ასევე უმრავლესობას მიაჩნია, რომ ოჯახები არ წაახალისებენ მათ მონაწილეობას სკოლის/კლასის მართვაში.

რესპონდენტები თვლიან, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლის/კლასის კულტურის გაუმჯობესება. იგივე პოზიცია აქვთ მასწავლებლებსა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებს. ეს პოზიცია განსაკუთრებით დასაფიქრებელია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სკოლის კულტურას აყალიბებს მოსწავლეთა გააზრებული მონაწილეობა: (1) საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, (2) მოსწავლეთა თვითმმართველობაში და (3) საკლასო/სასკოლო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების კვლევის შედეგები:

გამოიკვეთა მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულება დებულების - „ჩვენ შეგვიძლია სკოლის კულტურის გაუმჯობესება“, მიმართ. ამ მხრივ, მოსწავლეების, მათი ოჯახის წევრების და მასწავლებლების (შესაბამისად, 57.5%, 41.1% და 38.1%) მოლოდინები ერთმანეთთან ახლოსაა.

დასკვნა: საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა, რაც რესპოდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, ზრდის მოსწავლეთა როლსა და მონაწილეობის ხარისხს სკოლის კულტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სკოლის კულტურის გაუმჯობესების მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობასაც, რაც სკოლის თვითმმართველობაში მონაწილეობასაც გულისხმობს. მოსწავლეებს ნაწილობრივ გაცნობიერებული აქვთ ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა, თუმცა, მათი როლი სკოლის მართვაში პასიურია.

იმისათვის, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა სკოლის კულტურის გაუმჯობესებაში, რეალიზებული იყოს, საჭიროა მათი ფორმალისტური დამოკიდებულებები საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და საკლასო/სასკოლო ინიციატივების მიმართ შეიცვალოს ამ პროცესებში გააზრებული და აქტიური მონაწილეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. UNESCO Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions (2005).
2. Intercultural Competence for All Preparation for living in a heterogeneous world, (2012), Francesca Brotto და სხვ. Council of Europe.
3. Key Competences for Lifelong Learning, European Reference Framework, © European Communities, 2007
4. Banks, J.A. (2013) An Introduction to Multicultural Education, 5th Ed. Pearson;
5. Bennett, J. M. (2008) Transformative training: Designing programs for culture learning. In Contemporary leadership and intercultural competence: Understanding and utilizing cultural diversity to build successful organizations, ed. M. A. Moodian, 95-110. Thousand Oaks, CA: Sage.
6. Cushner, K., McClelland A., & Safford, P. (2006). Human Diversity in Education, an Integrative Approach.
7. Freire, P., (1996) Pedagogy of the Oppressed. New York: Continuum.
8. Gay, G. (1994). A Synthesis of Scholarship in Multicultural Education. North Central Regional Educational Laboratory, NCREL
9. Grant, C. A. & Sleeter, C.E. (2008) Turning on Learning: Five Approaches for Multicultural Teaching Plans for Race, Class, Gender and Disability 5th Ed., Wiley.

**DAVIT MALAZONIA
NINO CHIABERASHVILI**

REFERENCES OF STUDENTS' CIVIL ACTIVITY AND INTEGRATION QUALITY TO INTERCULTURAL COMPETENCIES OF SCHOOL SOCIETY Summary

Main conclusions and trends of the research:

1. Civil activity;

The part of the students having participated in a beneficial social activities mostly realize the significance of involvement of such activities for their personal development (they get accustomed to labor, cleanliness, compassion, develop sense of responsibility).

According to most students, their peers are actively involved in socially beneficial activities. At the same time, they concretize a whole set of obstacles: not being informed, lack of interest and motivation, non-stimulating environment (school, family), nihilist attitude from the public.

Respondents say students' involvement in socially beneficial activity increases by means of personal attitude, healthy lifestyle, example of peers, being informed, civil awareness, school initiatives and support from the public.

B) Participation in the school /class management

Students say that the school's self-governing bodies are obliged to: ensure students' participation in learning process and school projects, plan school/class activities, protect peers' rights, etc. The different tendency was observed in the answers of students of non-Georgian language schools and sectors – they show skeptic attitude towards students' self-governance and say they are less involved in the schools' decision-making process. Despite the self-governance's diverse goals, interviews show that most students have not taken part in the self-governing activities.

Students say their votes are important while making a decision regarding the class/school management.

According to respondents, students are able to improve the culture of their school/class. Moreover, their behavior and motives mostly influence the school culture.

Respondents unanimously recognize the significance of respecting different opinions and respect them while the school/class management.

C) Participation in class/school initiatives

As most students maintain, activities have almost never been implemented in the class/school by their initiative. All the inquired teachers also say this. Parents' position is a bit different. Some of them say that certain activities were conducted in a class/school by their family member student's initiative.

Most of those polled students say students' initiatives are of great significance for class/school life. Teachers say that development of responsibility, teamwork, respect and healthy competition skills are especially significant when referring to students' initiatives.

Most students say that their initiatives are a bit encouraged in schools. Students' family members make the same evaluation. As for teachers' answers, they are unanimously positive regarding the issue of encouraging students' initiatives.

2. Civil integrations

According to students, the sources of information about different people and experience of relationship with them are: school, media, neighborhood, friends. According to students of a culturally diverse school, they give more importance to the school out of the mentioned sources. Teachers' and students' family members' have almost declared the same.

A) Participation in projects

Most students say they have participated in team/group learning-researching projects. Short researches are named as such projects, as well as presentations and participation in conferences. It was hard for students to describe their own roles in the implemented projects. Most students positively evaluate their experience as a result of participation in the projects. According to him the advantages are: getting new knowledge (deepening knowledge), improving researching skills, having more friends.

B) Involvement in learning process

Some students actively participate in the lesson. The reason for activity was the desire of getting and revealing knowledge, interest in certain subjects and teachers working style – several respondents emphasize the teacher's skill to hold an active, student-centered lesson.

Most of the polled students say lesson has a positive influence on establishment healthy relations between students (non-Georgian sector students underlined difficulties of linguistic barrier in this case).

According to the survey results, students' academic achievements are less encouraged in schools. Praising successful, initiative students, awarding them with diplomas or presents (seldom), nominations (for ex: best student), etc.

c) Participation in non-school activities

According to interviews, most students do not attend any extra-class studies. They are not members of social associations/clubs/groups. At the same time, respondents think it is important students to take part in social associations/clubs/groups as in this way they are able to meet new people, widen their interests, get accustom to independence, be aimed at some targets, use spare time fruitfully, develop a sense of responsibility, construct relationships more easily, etc. Students say that neither school nor family less encourage them to participate in non-school activities.

ДАВИД МАЛАЗОНИЯ
НИНО ЧИАБЕРАШВИЛИ

ОТНОШЕНИЕ ГРАЖДАНСКОЙ АКТИВНОСТИ И СТЕПЕНИ ИНТЕГРАЦИИ УЧАЩИХСЯ К ИНТЕРКУЛЬТУРНЫМ КОМПЕТЕНЦИЯМ ШКОЛЬНОГО ОБЩЕСТВА

Резюме

Целью исследования являлось определение влияния существующего уровня интеркультурного образования и восприятия культурного многообразия общества на гражданскую активность и процесс интеграции групп учащихся с различной идентичностью.

Основные выводы и тенденции исследования:

1. Гражданская активность

В качестве факторов, препятствующих вовлечению ровесников в общественно полезную деятельность, учащиеся называют: неинформированность, дефицит интереса и мотивации, нестимулирующую среду (школа/семья), нигилистическое отношение со стороны общества.

Миссией самоуправления школы учащиеся считают: обеспечение участия учащихся в учебном процессе и в школьных проектах, планирование классной/школьной активности, защита прав ровесников и др.

Другая тенденция выявилаась в ответах учащихся негрузинских школ и секторов – они проявляют скептическое отношение к самоуправлению учащихся и указывают, что они в меньшей мере вовлечены в процессы управления школой и принятия решений.

Учащиеся считают важным свой голос/мнение при принятии тех решений, которые касаются управления классом/школой. Они верят в то, что могут улучшить культуру класса/школы. Более того, самое серьезное влияние на культуру школы оказывает именно поведение и мотивы учащихся.

2. Гражданская интеграция:

В числе источников информации о людях с отличающейся культурой и об опыте отношений с ними учащиеся называют: школу, средства массовой информации, круг соседей, друзей. Учащиеся многообразной в культурном плане школы среди названных источников наибольшее значение придают школе.

Большинство из них отмечает свое участие в командных/групповых учебно-исследовательских проектах. В качестве таких проектов называются проведение небольших тематических исследований, подготовку презентаций и участие в конференциях.

В качестве причины активности в школьном процессе учащиеся называют желание получить знания, интерес к определенным предметам и стиль работы педагога. Согласно результатам опроса в школах более-менее поощряются достижения учащихся в учебе.

Как выясняется из интервью, большинство учащихся не посещают внеклассные кружки. Они не являются членами общественных объединений/клубов/групп. В то же время, респонденты связывают участие учащихся в общественных объединениях с расширением сферы их интересов, с уверенностью в себе, независимостью и повышением ответственности.

პარტუ ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ტექსტები, როგორც ძირითადი რესურსი მოსწავლათა აკადემიური უნარების განვითარებისა და სასწავლო ამოცანის გადასაწყვეტად (საერთაშორისო კვლევების მონაცემების შუქზე)

ბავშვები კითხულობენ, მაგრამ წაკითხულის გაგება უჭირთ.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, თანამედროვე ადამიანი ტექსტების სამყაროში ცხოვრობს. ჩვენ ირგვლივ ყველაფერი ტექსტია: ათასგვარი სარეკლამო-საინფორმაციო აბრები, ცენტრალური შეტყობინებები, პლაკატები...

ერთი სიტყვით, უსაზღვრო და უნაპიროა ტექსტების სამყარო... მაგრამ საქმე ისაა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობას, და არა მარტო მათ, უჭირს კითხვა, ტექსტის აღქმა, ანალიზი, შედგენა, ინფორმაციის დალაგება, არსებითი, კონცეპტუალური აზრის გამოყვეთა და ა.შ. საერთაშორისო კვლევები და ექსპერტები შენიშნავენ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა არ იციან კითხვა – ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, უფრო მეტიც, ადამიანები კითხულობენ, მაგრამ წაკითხულის გაგება უჭირთ.

ტექსტის მრავალგვარი განმარტება არსებობს.

ზოგადად, ტექსტი ავტორის ჩანაფიქრის გადმოსაცემად შექმნილი საშუალებაა. ტექსტის მეშვეობით ავტორი ავითარებს კონკრეტულ თემას და დებს მასში გარკვეულ იდეას. ტექსტში ავტორისეული ჩანაფიქრი შეიძლება პირდაპირაც გადმოიცეს და მინიშნებითაც, ქვეტექსტურად.

კითხვის, საერთოდ, მოსწავლეთა წიგნიერების დაბალ დონეს ადასტურებს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, მაგალითად, მასშტაბური და ყოვლისმომცველი იყო საერთაშორისო კვლევა 2006 წელს, რომელიც ძირითადად დაწყებით საფეხურს მოიცავდა და ოთხი კომუნიკაციური უნარიდან(კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა) შემოწმდა ორი – კითხვა და წერა.

საერთაშორისო კვლევაში – ორმოცხე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა. კვლევაში გამოყენებული მიზნობრივი ტექსტების საშუალებით შემოწმდა, რამდენად იგებს 10-11 წლის ბავშვი სხვადასხვა ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია, ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება, დასკვნის გამოტანა, სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების წაკითხვა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. კვლევაში მონაწილეობდა 140-ზე მეტი სკოლის IV კლასის 4350 მოსწავლე, თითქმის ამდენივე მშობელი, 225 პედაგოგი და 150-მდე დირექტორი.

კვლევამ საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა(აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩუმი, ქვემო სვანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-თიანეთი).

კვლევის შედეგები უაღრესად დამაფიქრებელი აღმოჩნდა: 45 ქვეყნიდან უმაღლესი საფეხური დაძლია 1 %-მა, მაღალი -15 %-მა, (ლიდერობს რუსეთი, პონგ-კონგი, სინგაპური), ხოლო საშუალო 50%; 18 % აღმოჩნდა საერთაშორისო კვლევის დაბალი საფეხურის ქვემოთ, მათ შორის საქართველო (ბოლო ადგილზეა ჩეხეთი).

ტექსტების ფორმატი დაბალი საფეხურისთვის ასეთი იყო: მოცემული ორი ტექსტიდან ერთი მხატვრული იყო, ხოლო მეორე საინფორმაციო(მაგალითად, ბუნების, ისტორიის შესახებ). ტექსტს თან ერთვოდა მარტივი კითხვები_არჩევითი პასუხებით, რომლითაც მოწმდებოდა, თუ როგორ გაიგო აპლიკანტმა ტექსტი. საფეხურების მიხედვით კითხვები რთულდებოდა, კერძოდ, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება, ტექსტის სტრატეგიებში გარკვევა, სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტების შექმნა, მისი ენობრივი ანალი-

ზი და სხვ. საერთაშორისო კვლევის შედეგებისაგან დიდად არ განსხვავდება ადგილობრივი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა კითხვის დონის შესასწავლად.

კვლევითი სტრატეგია შედგებოდა რაოდენობრივი(ანკეტირება, ინტერვიუ, უნარ-ჩვევების ტესტები) და თვისებრივი (თვითდაკვირვება, დღიური, ჯვუფური ინტერვიუ..) კომპონენტებისაგან.

შეფასებისათვის შეირჩა სტანდარტის მიმართულება - კითხვა, ხოლო კითხვის უნარ-ჩვევების შესაფასებლად შეირჩა 2 ტიპის ტექსტი: საინფორმაციო და მხატვრული. მომზადდა ტექსტის ორი ვარიანტი(მოცულობით, ლექსიკის სირთულით, თემატიკის თვალსაზრისით, ორი ერთგვაროვანი მხატვრული და საინფორმაციო ტექსტები. მხატვრული: რევაზ ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებელი“ და გურამ დოჩანაშვილის „მთის გადაღმა“; ორი საინფორმციო ტექსტი მდინარეების შესახებ).

კვლევის შედეგები დაიყო ოთხ ჯგუფად:

1. საშუალოზე დაბალი საფეხური 25 %;
2. საშუალო საფეხური 22 %;
3. საშუალოზე მაღალი საფეხური 28 %;
4. მაღალი საფეხური 25 %.

I და IV საფეხურების შედეგები

I ინდიკატორის მიხედვით, ასეთია:

I მიღწევის საშუალოზე დაბალი დონის მოსწავლეებმა იციან პუნქტუაციის ელემენტარულ ნიშანთა ხმარების კანონზომიერებანი და უკეთ ამოცნობენ ტექსტში მათ ფუნქციას 29 %, შედარებით ადვილად ართმევენ თავს სიტყვის მნიშვნელობის გაგებას კონტექსტში (17 %). ამ დონეზე უფრო პრობლემურია არარეალური, წარმოსახვითი სურათების ამოცნობა ტექსტიდან (15 %). ამ დონეზე დაუძლეველი აღმოჩნდა კონკრეტულ ტექსტში გამოყენებული აღნერის გასაგებად მნიშვნელოვანი სინტაქსური კონსტრუქციის ამოცნობა (2: 51-52).

ამრიგად, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების ზედაპირული ანალიზითაც ჩანს, რომ შედეგი არასახარბიელოა: დაბალია მოსწავლეთა კითხვის უნარი, მათ უჭირთ წაკითხული ტექსტის გაგება, ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ კუთხით საგრძნობლად ჩამოვრჩებით განვითარებად ქვეყნებსაც კი, დამაფიქრებელია და მთელი რიგი ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის ღონისძიებების გატარებას საჭიროებს, კერძოდ, როგორც რეკომენდაციებშია, ურიგო არ იქნებოდა შემუშავდეს კითხვის სპეციალური პროგრამა, კითხვის ინსტრუქციები და სხვ.

უნდა ითქვას, რომ კითხვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ტექსტის ანალიზისა და მოდელირების საკითხებმა სათანადო ასახვა პპოვა ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამასა და გრიფირებულ სახელმძღვანელოებში, ხოლო დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის(2017-2023) პრიორიტეტული გამჭილი კომპეტენციებიდან უპირველესია წიგნიერება(3). (ტრადიციული გაგებით, სიტყვა „წიგნიერება“ გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს).

ეროვნული სასწავლო გეგმისა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ, არა მარტო დაწყებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურზე განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა ტიპისა და სახის ტექსტებს, ხოლო დავალებათა კორპუსში წარმოდგენილი ტესტები, კითხვები, განმარტებები, რეკომენდაციები ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ნებისმიერი ტექსტის აღქმასა და გაგებაში, გამოუმუშავებს ტექსტის შედეგ-

ნისა და ინტერპრეტაციის უნარს, მოამზადებს ცხოვრებისეული და პროფესიული ურთიერთობის-თვის.

ეროვნული სასწავლო გეგმით, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ხერხემალს შეადგენს ტექსტი და კითხვა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაანალიზებას შინაარსობრივი, იდეური და ფუნქციური თვალსაზრისით. კითხვა- ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც მოსწავლე იძენს სკოლაში სწავლისას, ის არის საფუძველი ტექსტის აღქმის, ინფორმაციის მიღებისა და გაზრების. ვფიქრობთ, ეროვნული სასწავლო გეგმა კარგად ასახავს იმ რელობას, რომელიც ამ კუთხით გვაქვს, არა მარტო სკოლაში, არამედ, ზოგადად, საზოგადოებაში. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სხვადასხვა ტიპისა და სახის ტექსტებზე ინტეგრირებული (ათეული წლები მხოლოდ მხატვრულ ტექსტს ჰქონდა დომინირებული ფუნქცია), ტექსტი კი ის ძირითადი რესურსია, რომლის საფუძველზეც ხდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასწავლო ამოცანების გადაწყვეტა, ზოგადად, აკადემიური უნარების განვითარება(4).

საწავლო პროცესს რაციონალურსა და უფრო ეფექტურს გახდის, შესასწავლი ტექსტების დიფერენცირება და დაჯგუფება ორ ტიპად (მხატვრულ-შემოქმედებითი და ოფიციალურ-საქმიანი) და სამ ძირითად კატეგორიად(სახელი: შემოქმედებითი, შემეცნებითი და პრაგმატული. (შესაბამისი განაწილება და ჩამონათვალი იხ. ქვემოთ სქემის სახით).

ტექსტის ტიპები:

შხატვრული	ოფიციალურ-საქმიანი
თხრობითი, ლირიკული, აღწერითი, ჩანახატი, მიმოხილვითი, მონოლოგური, დიალოგური.	საინფორმაციო, ყოფითადწერითი. პროცედურულ-აღწერითი, სადისკუსიო, ახსნა-განმარტებითი, სამეცნიერო- პოპულარული.

ტექსტის სახეები:

შემოქმედებითი	შემეცნებითი	რაგმატული
ლექსი; მოთხრობა იგავი; პიესა; ლეგენდა; ჩანახატი; ესკიზი; პორტრეტი; ზღაპარი; მითი; ბალადა; გადმოცემა; გამოცანა; ანდაზა; ენის გასატეხი.	ანალიზი; მსჯელობა; მოხსენება; დისკუსია; დასკვნა; რეზიუმე; ანოტაცია; მიმოხილვა; საგაზითო სტატია; ისტორიული ინფორმაცია; ენციკლოპედიური სტატია; განხილვა; დოკ. ფილმი; ტელეგადაცემა; ამოცანა.	ყოფითი აღწერა; ანგარიში; ავტობიოგრაფია; ახსნა-განმარტება; განცხადება ; ოქმი; სარეკლამო ტექსტი; პირადი წერილი; მოხსენებითი ბარათი.

პუბლიკაციის შეზღუდული მოცულობის გამო, არ ხერხდება ტექსტის ტიპების სწავლების სტრატეგიების ანალიზი, მაგრამ მასწავლებელმა იმთავითვე უნდა გაითვალისწინოს ის გარკვეული იერარქია, რომელიც ტექსტების სამ ძირითად ტიპს შორის არსებობს, კერძოდ, ის, რომ თითოეული მათგანი მოიცავს მომდევნოს ნიშნებს, მაგრამ მომდევნო არ მოიცავს (არ უნდა მოიცავდეს) წინამავალის ნიშნებს. რაც მთავარია, თითოეულ მათგანს ისეთი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია, რაც საბოლოოდ განაპირობებს მათი საწარმოთქმო ამოცანებისადმი დამოკიდებულებას; კერძოდ, მხატვრული ტექსტში დომინანტია ემოციურ-ესთეტიკური ნიშანი (“მოხიბვლა”) პუბლიკისტურ ტექსტში წინა პლანზე მოდის პუბლიკაზე (აუდიტორიაზე) გონებრივი ზეგავლენის ნება (დარწმუნება), ხოლო ინფორმაციული ტექსტი ამ ორივე თვალსაზრისით ნეიტრალურია, მაქსიმალურად არის დაცლილი მთქმელის ნებისა და აქტივობისაგან, მისი ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს (5-48).

ტექსტთა სხვადასხვა ტიპი და სახე ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, დაწყებით საფეხურზევე, შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გადმოცემა;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად კითხვა;
- ილუსტრაციის დაკავშირება წაკითხულ ტექსტთან და საკუთარი ემოციის და აზრის გამოხატვა;
- მოსმენილი ტექსტის შინაარსის გადმოცემა და დასათაურება;
- შესაბამისი სირთულის ტექსტების ამოცნობა და გარჩევა (აღწერა, თხრობა, დიალოგი, მონოლოგი...);
- სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

მოკლედ იმაზე, თუ რა ძირითად სტანდარტსა და მახასიათებლებს მოიცავს ტექსტების სწავლება დაწყებით საფეხურზე.

ეროვნულ სასწავლო გეგმისა და დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამაში გარკვევითაა ჩამოყალიბებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიმართულებები (ზეპირმეტყველება, კითხვა და წერა), რომელთაგან პრიორიტეტულია კითხვის უნარის განვითარება, როგორც წიგნიერების საფუძველი, რაც სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტის სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა. (6-17).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს-სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს. ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეებს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას.

მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს.

იმისათვის, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან, საჭიროა საწყის ეტაპზე მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფრის უნარის გამომუშავება (გაშიფრა, იგივე დეკოდირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება).

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანნილადაა დამოკიდებული მოსწავლის აქტიურობაზე, რაც გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ, პარალელურად უნდა ვიზუალო მოსწავლის ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე.

უნდა გვახსოვდეს, - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი.

ეროვნული სასწავლო გეგმით, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი I-I კლასებისთვის (მიმართულება: კითხვა) ასეთია:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- განაფული კითხვა;

- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება და გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციის და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.
 - მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.
 - წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება;
 - სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა;
 - სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.
 - კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
- ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი (მიმართულება: კითხვა) V-V1 კლასების-თვის:
- მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით;
 - წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა;
 - სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა;
 - კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევების კრებული, ნაწილი პირველი, 2007
2. მეგრელაძე ც., ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის, გაგების სტრატეგიები, ბათ., 2009
3. NRP.GE, ეროვნული სასწავლო გეგმა
4. ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში), თბ., 2007
5. არაბული ავთანდილ, ქართული მეტყველების კულტურა, „უნივერსალი,“ თბ., 2009.

JAMBU AVALIANI
Akaki Tsereteli State University
Associate Professor

TEXTS, AS MAIN RESOURCE FOR DEVELOPING THE STUDENTS' ACADEMIC SKILLS AND FOR SOLVING ACADEMIC TASK

(in the light of international researches)

Summary

One of the important of the nine prioritized through competences is-literacy, that, in the modern sense means, ability of reading, writing, information processing, ability of expressing ideas and opinions on the basis of the knowledge, that human acquires during the whole life.

Text, that is one of the main bases of literacy represents the main resource, that is a basis of solving academic tasks of native language and literature, generally, development of academic skills.

Teaching Georgian language and literature on elementary level based on reach text corpus - different kind artistic and non artistic, also multimedia texts, their teaching with modern technologies will help students to analyze any text and their modeling.

According to the standard of Georgian language and literature, student must be able to:

- a) perceive content of the read text appropriately.
- b) express his/her own dependence toward the read text.
- c) get relevant information; highlight conceptual thought.
- d) master initial habits of working on a book.
- e) recognize the main point of text by listening and convey their content.
- f) recognize main linguistic - grammar marks.
- g) compose and design targeted texts of different character and use main grammar elements appropriately.

ДЖАМБУ АВАЛИАНИ
Ассоциированный профессор,
Государственный университет Акакия Церетели

ТЕКСТЫ, КАК ОСНОВНОЙ РЕСУРС ДЛЯ РАЗВИТИЯ АКАДЕМИЧЕСКИХ НАВЫКОВ СТУДЕНТОВ И ДЛЯ РЕШЕНИЯ ЗАДАЧ ОБУЧЕНИЯ

Резюме

Одной из девяти приоритетных сквозных компетенций Национального учебного плана является грамотность, которая по современным понятиям подразумевает навыки чтения, письма, обработки информации, развитие навыков выражения идей и мыслей на основании тех знаний, которые человек приобретает на протяжении всей своей жизни.

Текст, который является одним из основ грамотности, представляет собой основной ресурс, на основании которого решаются учебные вопросы при изучении родного языка и литературы, развитие общих академических навыков.

Обучение грузинскому языку и литературе на начальной ступени образования основано на обогащенном текстовом корпусе – художественных и нехудожественных текстах различного рода, а также мультимедийных текстах, обучение которым по современным технологиям поможет учащимся в анализировании и моделировании любого текста.

По стандартам грузинского языка и литературы на начальной ступени учащийся должен уметь:

- а) соответственно воспринимать содержание прочитанного текста;
- б) выражать свое мнение о прочитанном тексте;
- в) находить нужную информацию; выделять концептуальную мысль;
- д) овладеть начальными навыками работы с текстом;
- г) методом слушания распознавать назначение текста и передавать его содержание;
- д) распознавать основные грамматические особенности текста;
- е) создавать и оформлять целевые тексты различного типа и правильно использовать основные грамматические элементы.

პედაგოგიკის თეორია და ისტორია

ლია გეოთაშვალი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ოჯახის როლი ბუნების სიყვარულის, დაცვა-მოვლის ჩვევების ჩამოყალიბებასა და აღზრდაში

ახალგაზრდობის ეკოლოგიური აღზრდა-განათლება მთელი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. იმართება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები. მეცნიერები შემთხოვებას ვერ ფარავენ პლანეტის ბიოსფეროსათვის საპედისნერო ცვლილებების გამო, რომლებიც თვალნათლივ გამოიკვეთა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და სულ უფრო ღრმავდება ადამიანთა წინდაუხედავი საქმიანობის შედეგად.

მრეწველობის მძლავრი აღმავლობა, ავტომობილების, საპარკო და საზღვაო ტრანსპორტის განუხრელი ზრდა უანგბადის მოხმარების მნიშვნელოვან გაზრდას ნიშნავს. გარდა ამისა, ჯანმრთელობისათვის საზიანო ნივთიერებებით ბინძურდება ატმოსფერო. ეს კი ხდება მცენარეული საფარის ზღვარდაუდებელი განადგურების ფონზე.

ეკოლოგიურ კრიზისამდე მისვლის მიზეზი ისაა, რომ ადამიანთა ცხოვრებაში ბუნების როლსა და მნიშვნელობაზე ძალიან ცოტა რამ ვიცით.

ბუნებისა და ბუნების მოვლენების მიმართ ადამიანის გონივრული დამოკიდებულების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი სკოლას ეკუთვნის. სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს ბუნებისადმი სიყვარული და მისცეს ისეთი ცოდნა, რომელიც აუცილებელია ბუნებასთან ურთიერთობის დამყარებისათვის. სკოლამ მოსწავლეებს ისიც უნდა აუხსნას, თუ რამ გამოიწვია ბუნების საგანთა და მოვლენათა შორის არსებული წონასწორობის დარღვევა, რა საშიშროებას წარმოადგენს იგი კაცობრიობისათვის და იმ ცოდნის საფუძველზე სწორი დასკვნები გააკეთონ ბუნებასთან ურთიერთობის დამყარებისათვის. ეს არაა ადვილი საქმე და იგი წარმატებით მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როცა სკოლასთან ერთად ოჯახშიც იქნება ყურადღება გამახვილებული ეკოლოგიურ აღზრდა-განათლებაზე.

ბუნების მოვლა-დაცვის პირველადი ჩვევების გამომუშავება, როგორც ზნეობრივი აღზრდის შემადგენელი ნაწილი, საოჯახო აღზრდის მრავალმხრივ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. აქ ეყრება საფუძველი აღსაზრდელთა ყველა მაღალზნეობრივ თუ უზნეო გამოვლინებას, რასაც ოჯახის წევრთა აღმზრდელობითი ზემოქმედება განაპირობებს. სამშობლოს წარსულისა და დღევანდელობის, მისი მომავლის სიყვარული, მისი მთების, ველების, მდინარეების, ფლორისა და ფაუნის, საკუთარი ხალხის სიყვარული მემკვიდრეობით არ დაჰყვება ადამიანს, იგი გარკვეული გეგმაზომიერი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად უნდა გაღვივდეს აღსაზრდელში, რაც დიდ ზრუნვასა და მშობელთა მხრიდან გარკვეულ პედაგოგიურ მომზადებასაც გულისხმობს. ცალკეული სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მშობელთა ერთ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართონ აღმზრდელობითი მუშაობა საერთოდ, და კერძოდ კი ეკოლოგიური აღზრდა; როდის უნდა დაინტენი იგი და რა საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება, რადგან მათ არ იციან, თუ რა როლს ასრულებს მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაში ბუნებასთან სწორი, გონივრული ურთიერთობა, რა მნიშვნელობა აქვს მშობელთა პირად მაგალითს ბუნებასთან ურთიერთობისას და რა გავლენას ახდენს იგი აღსაზრდელზე; რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მათ შვილებს ჩამოუყალიბდეთ ბუნებისადმი სიყვარულის, სათუთი დამოკიდებულებისა და მისი მოვლა-დაცვის ელემენტარული ჩვევები და მაგრამ უფრო სავალალოა, რომ ზოგჯერ ისინი თვითონ აძლევენ ბავშვებს ბუნებისადმი უხეში დამოკიდებულების მაგალითებს: ამტვრევენ მწვანე ნარგავებს პირადი საჭიროებისათვის, ჭრიან ქარსაფარ ზოლებს; არ ერიდებიან თვით ბავშვთა დასასვენებელ ადგილებში, ბა-

ღებსა და სკვერებში ხეების მოჭრას; უხეშად ეპყრობიან ცხოველებსა და ფრინველებს; გულ-გრილ, უყაირათო დამოკიდებულებას იჩენენ შრომითი დღვლათის მიმართ, რის საფუძველზეც ბავშვებში ყალიბდება უხეში, მომხმარებლური დამოკიდებულება ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიმართ.

ცნობილია, რომ ახლო წარსულში სავალდებულო წესით ყველა სკოლასთან არსებობდა მშობელთა პედაგოგიური უნივერსიტეტები, სადაც მშობლები მოწვეულ ლექტორთა დახმარებით ეცნობოდნენ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათი აღზრდის პრინციპებსა და მეთოდებს; კომპლექსურ ცოდნას ღებულობდნენ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგის სხვა საკითხებზე, რაც მათ საშუალებას აძლევდა კონკრეტული, ცოდნა მიეღოთ და გარკვეულიყვნენ საოჯახო პედაგოგიკის პრობლემებში.

ეკოლოგიური აღზრდა-განათლების პრობლემები სათანადო დონეზე რომ გადაიჭრას ოჯახში, ამისათვის აუცილებელია მშობლებს პქნდეთ ელემენტარული ცოდნა პედაგოგიკაში. მშობელთა პედაგოგიური განათლება პირველ რიგში პედაგოგიური ლიტერატურით სარგებლობის საფუძველზე მიღწევა. „პედაგოგიური ლიტერატურა უძლიერეს საშუალებას წარმოადგენს. იგი გვაცნობს ბევრი ჭკვიანი და გამოცდილი პედაგოგის ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს.... მარტო პედაგოგიურ ლიტერატურას შეუძლია აღძრას საზოგადოებაში ყურადღება აღზრდის საქმისად-მი და ამ საქმეში აღმზრდელებს მიანიჭოს ის ადგილი, რომელიც მათ უნდა ეჭიროთ დაკისრებული მოვალეობის დიდი მნიშვნელობის გამო ~ (7, 13-15-16-19).

მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია კლასის ხელმძღვანელს.

მშობლებთან მუშაობის მრავალგვარი ფორმებიდან ეკოლოგიური აღზრდა-განვითარების გაუმჯობესების მიზნით მიზანშენონილად მიგვაჩინია ლექცია-საუბრების ჩატარება.

საუბრების მეშვეობით და ბავშვებთან პრაქტიკული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაანალიზების შედეგად ისინი გააცნობიერებენ, რომ სათანადო სიმაღლეზე დაყენებული ეკოლოგიური აღზრდა ხელს უწყობს მოზარდს უფრო ღრმად, ემოციურად შეიცნოს გარემომცველი ობიექტური სინამდვილე, შეამჩნიოს და ჯეროვნად შეაფასოს ლამაზი, კარგი და სრულმქნილი, რაც მოიპოვება სინამდვილეში და დატებეს მისი სიმშვენიერით. ამას კი უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცნობილია, რომ გარემომცველი სინამდვილესადმი გონივრული დამოკიდებულების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხელს უწყობს ადამიანის როგორც პიროვნების გონებრივ, ზნეობრივ განვითარებასა და საერთო განათლების დონის ამაღლებას, ეხმარება მას ღრმად გაიაზროს ცხოვრებისული მოვლენები, აფართოებს და აღრმავებს მოზარდის ემოციურ სფეროს, რითაც დიდი წვლილი შეაქვს სრულქმნილი პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ ადრეული ასაკიდანვე ბავშვებს აუცილებლად ვასწავლოთ არა მარტო საყოფაცხოვრებო ჩვევები და სანიტარულ-ჰიგიენური წესები, არამედ სპეციალურად შერჩეული ზნეობრივი შინაარსის შემცველი საუბრების მეშვეობით გავაგებინოთ, თუ რა როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში ჰაერი, ნყალი, მზე, გარემო, მწვანე საფარი, ცხოველები და ფრინველები; ავუხსნათ, რომ ის დიდი სიკეთე, რომელსაც ბუნება სთავაზობს კაცობრიობას, შეიძლება ადამიანის არაგონივრული მოქმედების შედეგად უმონყალოდ განიავდეს, ადამიანებმა ბავშვობიდანვე უნდა ისნავლონ ბუნებასთან ურთიერთობის წესი და რიგი და შეიძინონ ბუნების მოვლა-დაცვის ელემენტარული ჩვევები. ის, რომ ბავშვი ადრეული ასაკიდანვე გარკვეულ ინტერესს იჩენს გარემომცველი სინამდვილისადმი, შესაძლებლობას იძლევა ოჯახში, მათთან დავინყოთ გეგმაზომიერი აღმზრდელობითი მუშაობა როგორც ბავშვების საკუთარი შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის, ისე ბუნებისადმი სიყვარულის მაღალი გრძნობის გამოსამუშავებლად. საბავშვო ბალებისა და ოჯახების მუშაობის გამოცდილების შესწავლა ადასტურებს, რომ წარმატების მიღწევა ამ საქმეში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვებზე სისტემატურად ვახდენთ გეგმაზომიერ პედაგოგიურ ზემოქმედებას და ისინი უფროსების მხრიდან ხედავენ ბუნებასთან გონივრული დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითებს. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მოზარდები ძალზე ხშირად მონაწილენი ხდებიან უფროსების უსულებულო დამოკიდებულებისა ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნების მიმართ.

ბავშვი, რომელიც საოჯახო შრომაში მონაწილეობის მეშვეობით აქტიურად არის ჩაბმული ცხოველებისა და მცენარეების, ფრინველების მოვლა-პატრონობაში, მზრუნველობას იჩენს მათ მიმართ, თამაშობს და ეალერსება უმწეო პატარა ცოველებს, ზრუნავს მათი გამოკვებისათვის, დიდობისას მზრუნველობით ეპყრობა არა მარტო ადამიანებსა და ბუნებას, არამედ ამასთან ერთად ავლენს ისეთ მაღალზნეობრივ თვისებებს, როგორიცაა კეთილმოსურნეობა, ზომიერება, დაჩაგრულისადმი დახმარება, მეგობრობა და რაც მთავარია, ადვილად ამყარებს ურთიერთობებს გარშემო მყოფ ადამიანებთან.

ბუნების მოვლა-დაცვის ჩვევების ჩამოყალიბება და ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობის განვითარება მტკიცედ არის დაკავშირებული ადამიანის საერთო განვითარების დონესთან და ოჯახმა ამ მიმართულებითაც უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებანი. ფსიქოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, რომ სასტიკი და უხეში, ბარბაროსული დამოკიდებულება ბუნებისა და ცხოველების მიმართ იმ ადამიანთა ხვედრია, რომელთაც გააჩნიათ განათლების დაბალი დონე. მათ არ შეუძლია თავიანთი საქმიანობის მიხედვით გაუტოლდნენ თანატოლ განათლებულ მოზარდებს და თავის გამოჩენის მიზნით ისეთ ქცევას ახორციელებენ, რომელიც საზოგადოებისათვის ძალზე საშიში და საზიანოა. ასეთი ჩვევების აღმოფხვრა უფროსებზეა დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვები ყველაზე, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება, ღებულობდნენ ბუნებასთან ურთიერთობის სასურველი ქცევის მაგალითებს და ამით დადებით ზეგავლენას ახდენდნენ მათზე.

ვერავითარი საუბარი, თუნდაც ღრმა შინაარსიანი, ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ მშობლები თვითონ არ იძლევიან ბუნებასთან ურთიერთობის დადებითი ქცევის მაგალითებს. თუ უფროსები შვილებისაგან მოითხოვენ იმას, რასაც თვითონ არ აკეთებენ, მაშინ ასეთ მოთხოვნებს თავისი ღირებულება არ გააჩნია, რადგან სულ ერთია, შვილები მას არ შეასრულებენ.

მშობლებმა ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ასწავლონ, რომ ყველაფერი ის, რითაც ადამიანი სარგებლობს ამ ქვეყნად, ბუნების ნობათია და ადამიანისავე ხელით შრომის მეშვეობითაა მოპოვებული და თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდნენ. ბავშვებს უნდა გავაგებინოთ, რომ თუ ბუნების ქომაგებად არ ვიქეცით, ბუნების ენას არ დავეუფლეთ და ბუნებასთან ურთიერთობის წესები არ ავითვისეთ, ამ შემთხვევაში ჩვენ თვითონვე შევუქმნით ჩვენს თავს საფრთხეს, რადგან ბუნება ვერ იტანს მის მიმართ უხეშ, უგუნურ დამოკიდებულებას და შურს იძიებს ადამიანებზე.

რა გზას დაადგება მოზარდი ბუნებასთან ურთიერთობისას, გაუფრთხილდება თუ დაუდევრად, უხეშად მოეპყრობა მას, ეს გარკვეულად აღზრდაზეა დამოკიდებული და აქ ყველაზე უფრო დიდი ზემოქმედების ძალა მშობელს, განსაკუთრებით კი დედას უნდა მიეკუთვნოს. ცხოვრებისეული გამოცდილება, ცალკეულ მეცნიერ-მკვლევართა გამოკვლევები ადასტურებს, რომ არ არსებობს იმაზე უფრო დიდი ზემოქმედებითი ძალა, რომელიც დედას გააჩნია თავისი შვილის მიმართ. დედის ყველა რჩევა-დარიგება დაუვინარია და იგი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება ადამიანს.

ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდისა და მისი მოვლა-დაცვის ჩვევების ათვისების ერთერთ ნაცად გზად ბავშვებისათვის რაიმე დავალების მიცემა (მცენარეების დარგვა-მოვლა, ფრინველებისა და ცხოველებისათვის ყურადღების მიქცევა და ა.შ.) და ამ დავალების შესრულების მიხედვით მათი ქცევის შეფასება შეიძლება დადებითად ჩაითვალოს. თუ დავალება კარგად არის მოფიქრებული, შეიძლება მან დიდი როლი შეასრულოს მოზარდის პიროვნები ფორმირების, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის ჩამოყალიბებაში. ასეთი დავალებები, იმის და მიხედვით, თუ რა ხასიათის შინაარსის შემცველია ის, სასწავლო ფუნქციასთან ერთად სააღმზრდელო ზემოქმედებასაც ახდენს მოზარდზე. როგორც მშობლების საუბრებიდან ჩანს, საოჯახო დავალებების შესრულება, როცა მას უფროსების მხრიდან შექება, მონონება ახლავს თან, დიდ სიხარულს ანიჭებს პატარებს და მათი ქცევის ხასიათის გვარობაზეც ახდენს გავლენას და ეს არც არის გასაკვირი, რადგან შრომა არ არის თავშესაქცევი, თამაშის მსგავსი რამ. შრომის პროცესი ეს არის სერიოზული, ზოგჯერ მძიმე პროცესიც, და მხოლოდ იმის შეგნებამ, რომ მხოლოდ შრომით მიაღწევ შენთვის სასურველ შედეგს და ამასთან ერთად, უფროსების მხრიდან შექებასა და მონონებასაც დაიმსახურებ, შეიძლება უდიდესი სიამოვნება განაცდევინოს მოზარდს. შრომის მოყვარეობისა და ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდის მეშვეობით ოჯახს შეუძლია იმავდროუ-

ლად აღსაზრდელში ისეთი მაღალზნეობრივი ადამიანური თვისებებიც ჩამოაყალიბოს, როგორიცაა: სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, პატიოსნება, მოკრძალება, ერთმანეთისადმი მზრუნველი დამოკიდებულება და სხვ. მოზარდი, რომელიც ასეთი მაღალზნეობრივი თვისებებითაა შეიარაღებული, მზრუნველობით ეპყრობა არა მარტო ბუნებას, არამედ ადამიანებსაც, ავლენს კეთილ, ადამიანურ თვისებებს გარშემო მყოფთა მიმართ და რაც მთავარია, აცნობიერებს, რომ ის დიდი სიკეთე, რომელსაც ბუნება სთავაზობს კაცობრიობას, შეიძლება უმოწყალოდ განიავდეს, თუ ადამიანებმა ბავშვობიდანვე არ ისწავლეს მისი გაფრთხილება, ბუნებასთან ურთიერთობის ნესი და რიგი, თუ მათ არ გაიგეს, რომ ყოველივე ის, რითაც ისინი ასე უხვად სარგებლობენ, ბუნების წყალობითა და ადამიანთა დაუღალავი შრომის შედეგადაა მოპოვებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ნ., პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 1999.
2. დოლიძე მ., ბუნებისადმი სიყვარულისა და ეკოლოგიური აღზრდის შინაარსი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და მისი სრულყოფის აქტუალური პრობლემები, პერიოდული სამეცნიერო ჟურნლი „ინტელექტი“, 2005, #3 (23).
3. ობოლაძე უ., ქაჯაია ვ., ბუნება და ადამიანი იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, თბ., 1979.
4. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.
5. საპატრიარქოს უწყებანი, #1, 10-16 იანვარი, 2008.
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, სიტყვანი, ქადაგებანი, ტ. I, თბ., 1997.
7. უშინსკი კ.დ., ტ. I (ქართულ ენაზე), თბ., 1948.

ЛИЯ МЕНТЕШАШВИЛИ

РОЛЬ СЕМЬИ В ВОСПИТАНИИ И ФОРМИРОВАНИИ У ДЕТЕЙ ЛЮБВИ К ПРИРОДЕ, УМЕНИЯ УХАЖИВАТЬ ЗА НЕЙ И ЗАЩИЩАТЬ ЕЁ

Резюме

Семья играет значительную роль в формировании у детей любви, умения ухаживать за ней и защищать ее. Здесь закладываются основы любви к прошлому, настоящему и будущему своей Родины, к её горам, долинам и рекам, к её флоре и фауне.

В результате соответствующей воспитательной работы вышеперечисленные чувства и умения должны развиваться и углубляться в процессе обучения.

Задачи экологического воспитания в семье должны решаться совместно со школой и педагогами.

LIA MENTESHASHVILI

ROLE OF THE FAMILY IN FORMING LOVE OF NATURE, MAINTENANCE AND ITS PROTECTION

Summary

Family has an important role for children in forming love of nature, maintenance and its protection. The foundation lays in love of past, present and future of its mountains, ralleys, rivers, flora and fauna. All this must be developed by proper upbringing work and deepened in pupils.

Tasks of ecological upbringing must be implemented by the family together with school and teachers.

ნატო შეროზია
ასისტენტ-პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოზარდი და დანაშაული

არასრულწლოვანთა მიერ ქცევის საზოგადოებრივი ნორმებიდან გადახვევა, დაწყებული დისკიპლინარული დარღვევიდან დანაშაულამდე, საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. აახალგაზრდობის, ჩვენი ხვალინდელი დღის საქციელი არ შეიძლება ყველას არ აღელვებდეს; საინტერესოა რა ანუხებთ მათ, რა მოთხოვნებს უყენებენ დღევანდელობას, რა ღირებულებებს ემსახურებიან, რა ინტერესები ამოძრავებთ და, პირიქით, რას მოითხოვს მათგან დღევანდელობა. ამის გასაგებად მათ ქცევის არსში ჩაწვდომაა საჭირო, ვინაიდან ადამიანის „სოციალური ბუნება და ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობანი ქცევაში ფორმირდება, შეიცნობა და ფასდება“ (1, 18)

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საკმაოდ გაზრდილია დანაშაულთა რიცხვი. სულ უბრალი მიზეზების გამო შეიძლება არასრულწლოვანმა სასიცოცხლო ზიანი მიაყენოს თანატოლს. ძალიან ხშირია მოზარდთა შორის ქუჩური გარჩევები, რომლებიც სავალალო შედეგით მთავრდება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით აქტიურად დგას კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის საკითხი. ეს გარემოება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა. რომელიც ჯერჯერობით მოუგვარებლად რჩება. პრობლემის მოგვარებაში კი ვგულისხმობთ დამნაშავე მოზარდის ამგვარი მენტალიტეტის აღმოფხვრას, რაც გულისხმობს იმას, რომ საკითხი-სადმი მიდგომა სხვაგვარი კუთხითაა საჭირო.

იმისათვის, რომ მართებული, მეცნიერულად სარწმუნო რეკომენდაციები შევიმუშაოთ, საჭიროა ჩავწვდეთ იმ ფესვებსა და წყაროებს, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულობებს განაპირობებენ.

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით დებულებას, რომ დამნაშავეებად არ იბადებიან, ასეთებად ყმაწვილებს გარემომცველი სამყარო აქცევს.

მოზარდის განცდები, მისწრაფებები, ჯერ კიდევ განუმტკიცებელი ძალები იმ მცირე თუ დიდ სიძნელებს ეჯახება, რომელებიც მას ხვდება ცხოვრების გზაზე. ხშირად არასრულწლოვანი მზად არ არის იმ ცვლილებებისათვის, რასაც სწორი გზის არჩევანი მოითხოვს.

სწორი გზის არჩევანში მოზარდს ოჯახი, სკოლა და საზოგადოებრიობა უნდა დაეხმაროს. ხოლო, რომ დაეხმარო, უნდა იცოდე ვის რაში და როგორი დახმარება სჭირდება.

მნიშვნელოვანია დაისვას სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემები და განისაზღვროს მიმართულებები, თუ როგორ ვიპოვოთ მათზე პასუხი, როგორ გახდეს შესაძლებელი პრობლემების გადაჭრა.

საამისოდ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიზანმიმართული საქმიანობა დამნაშავე, ეჭვმიტანილ ან დანაშაულისკენ მიდრეკილ მოზარდებთან. ისინი სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის უდიდესი ტკივილია. სამწუხაროდ, მათდამი გულგრილობაც საზოგადოების თანამდევი თვისებაა. აარადა, დროულ ჩარევას, მოზარდის გვერდით დგომას შეუძლია სიკეთისკენ შემოაბრუნოს გაცუდებული ზნეობა და ქმედება.

ვფიქრობთ, რომ დანაშაულთა საფუძველში, სოციალურთან ერთად პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიზეზებიც დევს. არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის არიან:

- მოზარდები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან შეგნებულად და საკუთარი თავი მართლებად მიაჩნიათ, უპირისპირდებიან საზოგადოებას. ამ ტიპის დამნაშავენი, როგორც წესი, ჯგუფების მეთაურები არიან და უნარი შესწევთ მერყევ დამნაშავეებზე ძლიერი, დამღუპველი ზეგავლენა მოახდინონ;

- მოზარდები, რომლებმაც კარგად იციან, რა შეიძლება და რა არ შეიძლება. ასეთებს არა აქვთ მყარი მორალური მრნამსი და ღრმა ზნეობრივი გრძნობები. მათი ქცევა დამოკიდებულია სიტუაციაზე. ასეთი ახალგაზრდები გარკვეულ დრომდე, ვიდრე არ მოექცევიან ცუდი ზეგავლენის ქვეშ, წესიერ ცხოვრებას ეწევიან, სუსტი ნებისყოფა აქვთ, რის გამოც არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ მავნე ზეგავლენას;
- მოზარდები, რომლებსაც არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ თავიანთ მოთხოვნილებებს და ამ მოთხოვნილებებს ხშირად ნებადაურთველი გზით იკმაყოფილებენ. ასეთი სახის დამნაშავებს დანაშაულის ჩადენის შემდეგ სინდისის ქენჯნის, სინანულის გრძნობა უჩნდებათ. ამგვარ ყმაწვილებს სურთ კარგად მოიქცნენ, მაგრამ მოტივთა ბრძოლაში მათი უშუალო მოთხოვნილებანი იმარჯვებენ;
- მოზარდები, რომლებმაც ვერ მონახეს თავიანთი ადგილი მოსწავლეთა კოლექტივში, ოჯახში, ისინი მუდამ განაწყენებული არიან. ეჩვენებათ, რომ მათ მიმართ ყველა უსამართლოა; არაფრად აგდებენ, დასცინიან, აბუჩად იგდებენ. ამგვარი ნეგატიური განცდები, შესაძლოა, მართლაც რეალურ საფუძველზე იყოს აღმოცენებული, მაგრამ ისიც შესაძლოა, არ გააჩნდეთ ასეთი საფუძველი, სინამდვილეში მათ არავინ დასცინის, არავინ ამცირებს. ასეთი ბავშვები დამნაშავეთა რეზერვს ქმნიან.

როგორც ვხედავთ, თანატოლთა წრე დიდ ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე, ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ხშირად ეს ზემოქმედება ისე ძლიერია, რომ იგი ელვისებურად ანადგურებს ყოველივე დადებითს, რაც ბავშვს ოჯახსა და სკოლაში უფროსებისაგან შეუძნია. არაერთხელ ვყოფილვართ მოწმე „გადახრებისა“, რომლებიც მოზარდს ქუჩის ზეგავლენით მოსვლია.

რითი იზიდავს მოზარდს ქუჩა, რა უბიძგებს მას ქუჩისაკენ? ააქ შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა მიზეზი დავასახელოთ, მაგალითად: კონფლიქტურ ოჯახში, სადაც წევრებს შორის ურთიერთგაგება არ სუფევს, ბავშვის მყუდროება დარღვეულია და იგი გარეთ ეძებს ‚თავშესაფარს“. ამ შემთხვევაში, მოზარდს ვერ უგებენ, არ თანაუგრძნობენ, იგი ოჯახიდან გარიყულად თვლის თავს და ქუჩაში, თანატოლებითან პოულობს საერთოს. მმოზარდს ურჩევნია იმათანა დაამყაროს კონტაქტი, ვინც აღიარებს მას, ვინც არ ჩაჰკირკიტებს და ანგარიშს უწევს მის პიროვნებას. ააქ იგი იოლად აღნევს თვითდამკვიდრებას, რასაც ასე მიელტვის.

და როცა მოზარდი ქუჩაში გაგვირბის, ვიძიებთ რა ამის მიზეზს, როგორც ჩანს, ჩვენ, უფროსებს, ყურადღების მიღმა გვრჩება მისი ფარული პრეტენზიები, ნაკლებად ვიცნობთ მის სულიერ სამყაროს, თორემ ზოგიერთი შეცდომა ნამდვილად არ მოგვივიდოდა, თუნდაც ისეთი, სიტყვისა და საქმის ერთიანობის დარღვევა რომ ჰქვია, ანდა სიტყვის გატეხა. ერთის თქმა და მეორის კეთება ასუსტებს არათუ სიტყვის ზემოქმედების ძალას, ჩვენს ავტორიტეტსაც, სპობს ბავშვის ჩვენდამი ნდობას.

დამაფიქრებელ სურათს ქმნის ჩატარებული გამოკვლევები: სხვადასხვა დანაშაულის გამო დაკავებულ მოზარდთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნება. დანაშაულის უმეტესობა ეკონომიური ხასიათისაა (ქურდობა, ძარცვა, თალღითობა, მითვისება და ა.შ). დანაშაულის საგანი კი ხშირად უმნიშვნელო გროშებს არ აღემატება. არის შემთხვევები, როცა მოპარული თანხით მათ ოჯახში საკვები მიაქვთ ან ნისიად აღებული სურსათის ვალებს იხდიან. ხშირად მოპარული ნივთის ღირებულება 5-დან 10 ლარამდე თანხას შეადგენს.

არასრულწლოვან დამნაშავეთა შესწავლამ დაგვანახა, რომ ბევრი მათგანი კარგად ახერხებს შენიღბოს თავისი ნამდვილი ზრახვები, რის შესახებაც სამართლიანად წერს ფსიქოლოგი 6. როგორაც: ‚ჩვეულებრივ პირობებში აღსაზრდელის ორპირობის დანახვა ძნელია. მოზარდი საკმაოდ მარჯვედ ახერხებს მის შენიღბვას, ცდილობს გარშემომყოფ ადამიანებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ კონფლიქტურ სიტუაციაში, სადაც უნდა მოხდეს სიკეთესა და ბოროტებას შორის გზის უკომპრომისო არჩევა, შეუძლებელია მოზარდის ნამდვილი სახე არ გამოჩნდეს“ (5, 38).

ჩვენთვის ნათელია, თუ რაოდენ ძნელია არასრულწლოვან დამნაშავეთა ბუნებაში ფესვგაშლილი ეგოიზმის აღმოფხვრა. ეეგოცენტრიზმი, პირადი ინტერესების წინა პლანზე წამოწე-

ვა ძნელადაღსაზრდელთა დამახასიათებელი ნიშანია. მათი უმრავლესობისათვის ნიშანდობლივია ეგოიზმი, რაც იმით გამოიხატება, რომ ამგვარი მოზარდი ყოველნაირი ამოცანის გადაწყვეტის დროს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობს და ზრუნავს. იგი დარწმუნებულია თავისი ინტერესების შესრულების აუცილებლობასა და საკუთარი თავის განსაკუთრებულობაში.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესახებ საინტერესო კვლევაა წარმოდგენილი მაია ხასიას წიგნში- „მჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები“ (ნაწილი მე-2). კვლევაში მონაწილეობდნენ არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების თანამშრომლები და ამ დაწესებულებაშივე მყოფი (თავისუფლებაალკვეთილი) არასრულწლოვნები.

კვლევამ, თუ რა გახდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი, მოგვცა შემდეგი მიზეზების ნუსხა:

1. მძიმე ოჯახური და სოციალური პირობები;
2. კონფლიქტები ოჯახში;
3. ოჯახში ფუნქციათა არასწორი გადანაწილება, რაც არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველად იქცა. არასრულწლოვანს, რომელსაც არა აქვს განათლება, პროფესია და ცხოვრებისეული გამოცდილება, ოჯახის რჩენა უწევს;
4. საზოგადოების როლი და მისი დადებითი ზეგავლენის დეფიციტი;
5. აღზრდის პრობლემები, ანუ არასწორი აღზრდა; აღზრდის დეფიციტი;
6. ფსიქოლოგიური პრობლემები.

გვჯერა, მოზარდებში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება შესაძლებელია სწორი და მიზანმიმართული აღზრდა-განათლების წარმართვით. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ბავშვები არ მივიღნენ დასჯა-დაპატიმრებამდე. აამ საქმეში, როგორც ვთქვით, მნიშვნელოვანია პედაგოგიური საქმიანობის სწორად წარმართვა. პპრობლემა დგას, გადაწყვეტის გზები მოსაძებნია. სხვადასხვა ქვეყანაში ამ მხრივ არსებობს სხვადასხვა პრაქტიკა, რომელიც გასაზიარებელია, მაგრამ ყველა ქვეყანას თავისი ტრადიცია, კულტურა, მისწრაფება, ღირებულებები აქვს, რაც თავისებურ მიდგომას მოიხსოვს.

შესამჩნევია, რომ სკოლებში გახშირდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდთა როგორც ზნეობრივ, ისე სოციალურ განვითარებაზე. არცთუ იშვიათად მოსწავლე თავად ხდება მონაწილე ან მოწმე სხვადასხვა ფორმით ჩადენილი დანაშაულისა. მძიმე შედეგის მომტანია ყალბი ფასეულობები, მით უფრო, რომ ბავშვი ქცევის მოდელირების მეშვეობით, ანუ სხვისი ქცევის მიბაძვითაც სწავლობს. სკოლაში მეფობს სოციალური სტიქია, თუმცა იგი შესწავლას ექვემდებარება, ეს აუცილებელია, რათა ადამიანმა შეძლოს მისი მართვა და მისგან არ დაიღუპოს. რათა მოზარდს არ ჩამოუყალიბდეს სოციალურად არასასურველი, ნეგატიური ქცევები. მაშ, მოდით ხელი შევუწყოთ მათი ნორმალური ფსიქიკის განვითარებას.

ამასთან, განსაკუთრებით საშურია სასჯელმისჯილ და სასჯელმოხდილ მოზარდთა თანადგომა. ბოროტება, დანაშაული უნდა გვცულდეს, მაგრამ მისი ჩამდენი ადამიანი, მითუმეტეს ბავშვი, უნდა გვეცოდებოდეს და ყოველი ღონე უნდა გამოვიყენოთ, რომ იგი დავუბრუნოთ ნორმალურ ცხოვრებას. სხვაგვარად, მისი კრიმინალად ჩამოყალიბება საზოგადოებრიობას ძლიერ დააზიანებს.

სამწუხაროდ, მუდმივად არსებობს საფრთხე არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებებისა, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის პრევენციის მექანიზმი. სკოლებსა და სხვადასხვა პროფესიულ ცენტრებში განსახორციელებელია სპეციალური სამუშაოები. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს ასეთი საქმიანობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს კლასის დამრიგებელს, საგნის მასწავლებელს, მშობელს, სკოლის ფსიქოლოგს თუ სოციოლოგს ერთად წარმართონ მიზანმიმართული მუშაობა. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, თუ სასკოლური მოხდილი მოზარდების სასწავლო და შრომით საქმიანობაში შედეგიანი ჩაბმისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა დამნაშავეობა ხშირად უკავშირდება ოჯახს თუ გარემოს, სადაც არასრულწლოვანი იზრდება. გამოიკვეთა ის უარყოფითი მიზეზებიც რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოჯახში არასრულწლოვანის არასწორმა აღზრდამ, ან ოჯახის წევრთა უყურადღებობამ და ა.შ. ამიტომ, საჭიროა აქცენტი გაკეთდეს თავად ოჯახის უფრო ღრმად შესწავლაზე, ოჯახის როლზე არა მხოლოდ არასრულწლოვანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე, არამედ, აგრეთვე, სასჯელის მოხდის პერიოდშიც, მშობლების ჩართულობაზე რეაბილიტაციის პროცესში.

შეიმჩნევა, რომ კანონთან დაპირისპირებულ არასრულწლოვანთა უმეტესობა საზოგადოების ღარიბი ფენის წარმომადგენელია, რომელსაც მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები აწუხებს. მოზარდ თაობაში დამნაშავეობის ზრდა ხშირად სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა დაცვისა და მზრუნველობის ნაკლებობის მაჩვენებელია. ბავშვები, უპირატესად, კანონს უპირისპირდებიან გადარჩენისათვის ბრძოლაში გამოვლენილი ქმედებებით (ქურდობა, მანანნალობა, მათხოვრობა). ისინი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხშირად დგებიან ძალადობის, შეურაცხყოფისა და მათი უფლებების დარღვევის საფრთხის წინაშე.

თავისუფლების აღკვეთამ ბავშვს შეიძლება გამოუსწორებელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანი მიაყენოს, ხოლო ოჯახისა და საზოგადოებრიობისაგან მოწყვეტამ, განათლების მიღებისა და პროფესიულ განვითარების პერსპექტივის შეზღუდვამ კი, თავის მხრივ, მრავალი სოციალური და ეკონომიკური სირთულე წარმოუშვას. არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის მის შემდგომ განვითარებას და საზოგადოებრიობაში რეინტეგრაციას.

არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან, მაგრამ წამდვილ პრობლემას წარმოადგენს არა თვით ეს სისტემა ან მეთოდების შერჩევა მის დასახვეწად, არამედ ის სოციალური თუ ეკონომიკური პირობები, რომლებიც სამართალდარღვევებს წარმოქმნიან და, შესაბამისად აუცილებელია ამ ძირეული მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრა. (2, 49).

ცხადია, ადამიანი ერთი რთული სისტემაა, სადაც ვერაფერს გამოაცალკევებ, ვერაფერს დააშორებ ერთმანეთს. აამიტომ, მას მთლიანად, ერთიანად უნდა მოფრთხილება. ეს უნდა იყოს ჩვენი აღზრდის პრინციპი.

არასრულწლოვნებთან აღმზრდელობითი ღონისძიებები, შემეცნებითი ინტერესების გაღვივება, ცხოვრების სტიმულის მიცემა, შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ნებისყოფის გაძლიერება, თვითკრიტიკისა და თვითშეფასების უნარის ამაღლება, რჩევა-დარიგებები, დახმარების ხელის განვითარება, თანადგომა, ტაქტიკის პედაგოგიური ჩარევა, მისდამი გულისხმიერი დამოკიდებულება, ჰუმანური და დადებითი ზნეობრივი გარემო ის პირობებია, რომელთა საშუალებითაც სწორი გზა უნდა ვუჩვენოთ ძნელადარსაზრდელ ბავშვებს და არ მივიყვანოთ ისინი სამართალდარღვევამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ბაგრატია. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., 1983.
2. ფონდი 'გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში'. მოზარდთა შორის ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად. თბ., 2008.
3. მ. ხასია. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები. II ნაწ. თბ., 2006.
4. შეროზია, გ. გელაძე. 'შემობრუნება სიკეთისაკენ ანუ სიყვარულით გავასწოროთ ერთმანეთის შეცდომა-შეცოდებანი'. ბათ., 2008.
5. შ. დემეტრაძე. 'არასრულწლოვან დამნაშავეთა ხელახლი აღზრდის საშუალებანი'. თბ., 1996.

JUVENILE AND CRIME

Summary

Human being-it's one whole. It is a difficult system, where you can't divide anything, you can separate nothing from it. That is why we should take care of it. It must be our principle in upbringing.

Man must be brought up individually not only to live, but to coexist with other people. School, family, society, government should help the child to develop his (her) function and make such a social environment, which will help him (her) to get desired education and normal conditions of life.

Educative measures with minors , develop cognitive interests, to give stimulus of life, forming working skills, forming will, self-criticism and self-appraisal skills, to give a piece of good advice, give a helping hand, support to give tactful pedagogical advices, delicate attitude towards them, human and positive moral situations are the conditions we should show to difficult juveniles not to commit an offence.

НАТО ШЕРОЗИЯ

ПОДРОСТОК И ПРЕСТУПЛЕНИЕ

Резюме

Человек – это единое целое. Он представляет собой сложную систему, части которой нельзя разделить или отделить друг от друга. Поэтому его нужно оберегать и это должно стать нашим принципом в воспитательной работе.

В процессе работы с несовершеннолетними в воспитательных целях необходимо проводить следующие мероприятия: развитие творческих интересов и жизненных стимулов, формирование трудовых навыков, выработка силы воли, повышение уровня самооценки и развитие навыков самокритики. Умение давать советы, протягивать руку помощи, поддерживать, сочувствовать, давать тактичные педагогические советы, сердечно относиться к ним, создавать гуманную и положительную среду – вот те условия, с помощью которых мы должны помочь трудновоспитуемым подросткам в выборе правильного пути и что поможет оградить их от правонарушений.

ლელა თავდგირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, პროფესორი

სწავლება/სწავლის სტრატეგიები - ნიზამის რაოდის საშუალება

წიგნიერება, ტრადიციული გაგებით, გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს მისი შინაარსი მეტს მოიცავს; „თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს,“-აღნიშნულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში (1, 35). საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებმა აჩვენა, რომ ქართველ ბავშვებს წიგნიერების კუთხით საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. ამის შესახებ თავის დროზე ინფორმაცია განათლების ეროვნულმა ცენტრმა გაავრცელა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები მონაწილეობდნენ, მათ შორის საქართველო მეორედ იყო.

როგორ ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს წიგნიერების კომპეტენცია? როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტის დამუშავება, ანალიზი, არგუმენტების თავისუფლად გამოხატვა? წიგნიერება სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებული. წიგნიერების დონეზე საუბრისას გასათვალისწინებელია პედაგოგების კვალიფიკაციაც, ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო. უპირველესად კი სკოლაში ნებისმიერი საგნის მასწავლებელი თავად კარგად უნდა ფლობდეს წერისა და კითხვის სტრატეგიებს და აქტიურად იყენებდეს საგაკვეთილო პროცესში. ამასთან, მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება, რადგან სწორედ სწავლების მეთოდი ითვლება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტად. სწავლების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია უშუალოდ გაკვეთილის მიზანზე, მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებსა და პედაგოგის ოსტატობაზე. გაკვეთილის მიზანი შეიძლება იყოს: კითხვისა და წერის უნარების ჩამოყალიბება, ტექსტიდან რომელიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის განხილვა ან ტექსტის დეტალურად გაგება, ლექსიკური ერთეულების დაზეპირება, ან თვით კითხვის პროცესიც. ამიტომ, სწავლებისას მეთოდთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექსტზე მუშაობა, ტექსტის გაგება და თვით ტექსტის შექმნაც კი. ამ პროცესების გარეშე სწავლება არაეფექტურია, ვერ ხერხდება გრამატიკული თუ ლექსიკური სიახლეების გაკვეთილზე შეტანა, შესასწავლი მასალის შესახებ მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სამეტყველო უნარ-ჩვევებზე ვარჯიში.

სწავლების მეთოდთა პრობლემა, ყოველთვის იყო და არის აქტუალური როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს კანონზომიერია, რამდენადაც სწავლების მიზნისა და ამოცანების რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული სწორად შერჩეულ სწავლების მეთოდებზე. „ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იან ამოს კომენსკი დიდაქტიკის პირველ და უმნიშნელოვან მიზნად მიიჩნევდა ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენსკი მოითხოვდა და დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს“(3, 1).

სირთულეების დაძლევის ერთ-ერთ ეფექტურ და აპრობირებულ გზად მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მრავალფეროვანი სტრატეგიებით აღჭურვა და მათი პრაქტიკაში გამოყენება მიიჩნევა. სწორად შერჩეული სტრატეგია მოსწავლეებს ეხმარება: ტექსტის გაგებასა და დამუ-

შავებაში; ტექსტის შესახებ შეკითხვების დასმაში; ტექსტიდან დასკვნების გამოტანასა და მიღებული ცოდნის გამოყენებაში და ა. შ. (4, 32). რაც უფრო მეტ სტრატეგიას იყენებს მასწავლებელი სასწავლო პროცესში, მით მეტად სახალისო და მარტივი ხდება ზეპირი და წერილობითი დავალებების შესრულების პროცესი. სწორედ სტრატეგია ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის კრიტიკულად გაანალიზებაში, არგუმენტების ჩამოყალიბებაში, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებაში. შესაბამისად, მაღლდება წიგნიერების დონე მოსწავლეებში.

წერითი აზროვნების უნარის განვითარება დიდ ძალისხმევას და შრომას მოითხოვს როგორც მოსწავლისგან, ასევე მასწავლებლისგან. განვიხილოთ სტრატეგია- რა-რატომ-როგორ? რომელსაც ხშირად ვიყენებთ სასწავლო პროცესში.

რა?	რატომ?	საიდან? რატომ?
რას ფიქრობთ? (თქვენი მოსაზრება)	რატომ ფიქრობთ ასე? (თქვენი მოსაზრების ახსნა, გამომწვევი მიზეზების და-სახელება)	საიდან იცით? (თქვენი მოსაზრების დამასაბუთებელი არგუმენტი ან მაგალითი)

პირველ სვეტში „რას ფიქრობთ?“ მოსწავლეს ვთხოვთ ჩაწეროს პირადი მოსაზრება, პოზიცია, დამოკიდებულება საკითხის, მთავარი იდეის მიმართ.

მეორე სვეტში „რატომ ფიქრობთ ასე?“ ვითხოვთ ჩაწეროს მოსაზრება, რამ გამოიწვია მისი გაჩენა.

მესამე სვეტში „საიდან იცით?“ შემსწავლელს მოჰყავს მტკიცებულებები, მაგალითები, რომლითაც ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.

სტუდენტებისათვის სახალისოა წყაროებზე მუშაობა ტექსტის გაგებისა და გააზრების სქემების გამოყენებით (2, 4). მაგალითად, ქვემოთ განხილული გაგების სქემის მეშვეობით ხდება მოთხოვთ არსის წვდომა ერთი პერსონაჟის შესახებ ინფორმაციით.

ჩვენი მოთხოვთა არის _____ შესახებ. ----- არის მნიშვნელოვანი ვმირი (მოქმედი პირი) იმიტომ, რომ იგი ცდილობს ----- . მოთხოვთა თავდება, როცა ----- . მსგავსი სქემის გამოყენება შესაძლებელია ისტორიული გმირის შესახებ ინფორმაციის შესაჯამებლად.

_____ (ვმირის სახელი) _____ ისტორიაში შევიდა, როგორც ----- ჩემი აზრით, მისი ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ ----- . ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ----- . ასეთი სქემების მოდიფიცირებული ვარიანტის გამოყენება შეიძლება ორი მოვლენის / ორი ცნების შესადარებლადაც.

უკანასკნელ პერიოდში აქტიური, მიზანმიმართული სწავლისათვის და დამოუკიდებელი კვლევისათვის ვიყენებთ პროექტს, როგორც სწავლების მეთოდს. ის საუკეთესო სავარჯიშოა კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისათვის, მრავალფეროვანი სამუშაოებისათვის, რომლებშიც წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. პროექტი, როგორც მეთოდი, განათლებაში XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა.

პროექტი ეფექტურად გამოიყენება როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. პროექტზე მუშაობისას, მოსწავლეები, სტუდენტები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას, ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ ხანგრძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე.

სტუდენტები გარევეული დროის (ერთი ან რამდენიმე კვირა) განმავლობაში ამუშავებენ ლიტერატურას, ატარებენ კვლევას, დამოუკიდებლად ეძებენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს, ახდენენ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს და შემდეგ წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე მას. პროექტები ეხმარება ახალგაზრდებს რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და გამოცდილება. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობის

და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ კი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, აქცია, თანამიმდევრული ღონისძიებები და ა. შ.). სასურველია პედაგოგმა წინასწარ შეარჩიოს საპროექტო თემები, მოსწავლესთან ერთად განისაზღვროს შესრულების ვადები, მიუთითოს წყაროები, საიდანაც შემსწავლელი მოიპოვებს საჭირო მასალას. პროექტზე მუშაობა შესაძლებელია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. დასაწყისში უმჯობესია ჯგუფურად. ჯგუფური მუშაობა სახალისოცაა და სასარგებლოც.

პედაგოგი სასწავლო პროექტის მსვლელობისას, კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მათ აძლევს მიმართულებას. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს. უმაღლეს სკოლაში სტუდენტებს ვაძლევთ პროექტის თემის არჩევის, დამოუკიდებლად ფუნქციების განაწილების, დროის დაგეგმვის საშუალებას. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს, სტუდენტებს მოეთხოვება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციის და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები.

პროექტის წარმოდგენის დროს ვცდილობთ კლასში, აუდიტორიაში სადღესასწაულო ატ-მოსფერო შევქმნათ, ვზრუნავთ იმაზე, რომ მოსწავლეს, სტუდენტს გავუადვილოთ პრეზენტაცია. პროექტის შექმნაში აქტიურადაა ჩართული ყველა მონაწილე, ისინი თავისუფლდებიან ნერვიული დაძაბულობებისაგან.

ვფიქრობთ, სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება მათ საშუალებას აძლევს მოიყვანონ არგუმენტები, დაიცვან თავიანთი პოზიცია, გაიუმჯობესონ მეტყველების და წერის კულტურა, გაააქტიურონ ახლად ათვისებული ინფორმაცია, შეაჯამონ მოსაზრებები წაკითხულის შესახებ. ეს გვიჩვენა ჩატარებულმა კვლევამ. ჩვენს შეკითხვებზე: რომელი ლექცია იყო თქვენთვის საინტერესო? რით იყო საინტერესო ეს ლექცია? სწავლების რომელი მეთოდი იყო გამოყენებული ლექციაზე? გამოკითხულ სტუდენტთა 70%-მა საინტერესო ლექციად დაასახელა ის ლექციები, რომლებიც ტარდებოდა დიალოგის გამართვით, პრობლემების დასმით, სტუდენტთა აქტიური ჩართულობით და არა მონოლოგით. კითხვაზე-რამდენ საგანში ტარდება ამ ფორმით ლექციები? სტუდენტებმა იმ სემესტრში მოსმენილი 6 სასწავლო კურსიდან დაასახელეს სამი. რაოდენობრივად გამოკითხული იქნა 60 პირველკურსელი, 40 მეორეკურსელი. კვლევის შედეგების ანალიზმა გვაჩვენა, რომ განათლების ხარისხი სწავლების ხარისხზეა მიბული, ლექტორ-მასწავლებელთა კომპეტენციაზე, შესაბამისი გარემოს შექმნასა და სწავლებისათვის საჭირო ინსფრასტრუქტურის მოწყობაზე. მოქმედი პრაქტიკოსი ლექტორ-მასწავლებლებიც საჭიროებენ გადამზადებას. მნიშვნელოვანია სტუდენტზე ორიენტირებული ლექციის დაგეგმვაც.

ჩვენ მიერ განხილული სტრატეგიები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც წერის, ასევე დისკუსიის დროს. ეს საშუალებას აძლევს შემსწავლელს ტექსტი ვიზუალურად აღიქვას, დაადგინოს ინფორმაციის ნაწილებს შორის ურთიერთობიმართება, სიღრმისეულად გაიაზროს თემა, გაანალიზოს საკუთარი პოზიცია და ადეკვატური დასკვნები გამოიტანოს. ეს ასევე უადვილებს მას აზრის მოკლედ და ლაკონიურად ჩამოყალიბებას, უვითარებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს,. აძლიერებს მოტივაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი, 2015წ
2. მინასარიძე. გაგებისა და ანალიზის სქემები, ელექტრონული ჟურნალი „მასწავლებელი“. http://ruskagonashvili.blogspot.com/2014_04_01_archive.html.
3. ს. ლობჟანიძე, დისკუსია–თანამშრომლობითი სწავლების ერთ–ერთი მეთოდი. ჟურნალი „მასწავლებელი“, თბილისი, 2011წ.
4. ე. მავერდაშვილი, ტექსტზე მუშაობა და კითხვის სტრატეგიები უცხო ენის გაკვეთილზე. ჟურნალი „მასწავლებელი“, N 4, თბილისი, 2013წ.

ЛЕЛА ТАВДГИРИДЗЕ

Батумский государственный университет Шота Руставели

Департамент педагогики, профессор

**СТРАТЕГИИ ОБУЧЕНИЯ КАК ОДНО ИЗ СРЕДСТВ
ФОРМИРОВАНИЯ ГРАМОТНОСТИ**

Резюме

Эффективная организация учебного процесса обусловлена правильным выбором методов обучения и их адекватным использованием. Выбор метода непосредственно связан с целью урока, с возрастными и индивидуальными особенностями учащихся, а также с опытом и навыками учителя. В статье проанализированы стратегии, которые помогают обучающимся в восприятии текста, его критическом осмыслиении, учат учащихся делать выводы и способствуют формированию навыков аргументирования своей точки зрения.

LELA TAVDGIRIDZE

Batumi State University, Department of Pedagogy, professor

**THE TEACHING / LEARNING STRATEGIES AS ONE OF THE
MEANS FOR LITERACY DEVELOPMENT**

Summary

Teaching methods appropriate selection and its adequate use usually provides effective learning process. Teaching method depends on the lesson purpose, the students' age and individual characteristics and on the teacher's skills. The article discusses several strategies that help the students to understand and critically analyze the text, to form text conclusion and argumentative skills.

მურგან თავდიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სხავლა-აღზრდის საკითხები „ვეცხისტყაოსანი“

მართალია, „ვეცხისტყაოსანი“ არაა პედაგოგიური პოემა, ოლონდ, როგორც გენიალური თხზულება, ისიც ბევრ დიდაქტიკურ იდეასა და პედაგოგიურ მოსაზრებას შეიცავს. ტექსტში დაუნჯებულია ბევრი სააღმზრდელო თეორიული იდეა, ხოლო იქვე კონკრეტული სახეებისა და ტიპების მოქმედებით ეს თეორიული მოსაზრებები რეალიზდება კიდეც. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ცენტრალური დებადი: ჯერ საჭიროა ცოდნის შევსება, ოლონდ არც ეს კმარა, აუცილებელია თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. თავის ანდერძში ავთანდილი მკაფიოდ აცხადებს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?“ სხვაგან ეგ იდეა სხვაგვარი ფორმით ასეა გამოხატული: „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა!“

აქ მოცემულია ავტორის იდეათა გასაღები: ცოდნა თავისთავად ვერაფერი ბედენაა. მას სჭირდება პრაქტიკული მოხმარება, რამეთუ მოუხმარებელი საუნჯე მკვდარი კაპიტალია. პრაქტიკული საქმიანობა კი აუცილებლად მოითხოვს საქმისადმი თავდადებას, რაც პიროვნებას გამარჯვებამდე მიიყვანს.

პერსონაჟები კარგად გრძნობენ სწავლა-აღზრდის სიკეთესა და საჭიროებას. ისინი წამდაუნუმ იმეორებენ ზოგადთეორიულ იდეებს აღნიშნულის შესახებ. მაგალითად, ტარიელი აცხადებს: „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“. გმირები მადლიერების გრძნობით იღებენ სხვათა რჩევებს, მითითებებს, სწავლებებს. ამ მხრივ სანიმუშოა თინათინი. როცა როსტევანი მას წვრთნის და აჯერებს, რომ „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“, აგრეთვე ასწავლის სიუხვეს: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“, იქვეა შენიშნული:

„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა“ (3,18).

აქ პრაქტიკულად ხორციელდება ტარიელის განაცხადი: „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“ (3,189).

რუსთველის მიხედვით, არა მარტო უფროსი ასწავლის უმცროსს, არამედ, შესაძლებელია, უმრნემესმაც ასწავლოს უხუცესს. ამ მხრივ რუსთველისათვის ჩაკეტილი წრე არ არსებობს. მაგალითად, ჭირში ჩავარდნილ მამას ქალიშვილმა გონივრული რჩევა მისცა: „გაგზავნე კაცი ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი!“ უცხო მოყმის საძებრად ადამიანები დააგზავნეო! მხცოვანი ხელმწიფე ასეც მოიქცა და ბოლოს აღიარა კიდეც უმცროსის რჩევის სიკეთე: „მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო“.

პროლოგში ავტორი აღიარებს ესთეტიკური აღზრდის საჭიროებას. მისი გაგებით, პოეზია ფილოსოფიის ნაწილია. ამიტომ მას უწვრთნელი, უბირი კაცი ვერ გაიგებს. აქ საჭიროა ერთგვარი მომზადება, სათანადო ესთეტიკური საფანელი, ვინაიდან ამ საზეო საქმეს, ანუ პოეზიას, ვითარცა ფილოსოფიას, გაიგებს მხოლოდ საამისოდ შემზადებული, ანუ „ვარგი“, პიროვნება: „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“.

რუსთველის გმირები კეთილად და მრავალმხრივ (ჰარმონიულად) აღზრდილი პირები არიან და ყველაფერი ეს კონკრეტული სახე-ტიპებითა თუ მოქმედებებით დასტურდება.

ახლა ვნახოთ, როგორ ზრდიან და წვრთნიან ყმანვილებს სწავლების დაწყებით ეტაპზე.

პოემით, ტარიელს სამეფოდ ზრდიან, ოლონდაც რა ვითარებაში? რუსთველი უდიდეს ყურადღებას აქცევს სააღმზრდელო გარემოს.

საპატრონოდ, ანუ სამეფოდ, აღზრდა საგანგებო ვითარებაში ხდებოდა. „საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“, – აცხადებს ინდოელი ჭაბუკი. საამისოდ არსებობდნენ სპეციალისტები, ფილოსოფოსები. „ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცე-

ვა-ქმნათად“, – აკონკრეტებს იგივე პერსონაჟი. ე. ი. ხელმწიფური ქცევის შესათვისებლად ბრძენებაცები ირჯებოდნენ, ესენი კი სპეციალური ცოდნა-უნარით აღჭურვილი პირები იყვნენ.

სამეფოდ აღსაზრდელთა მასწავლებლები რომ სიპრძნითა და უნარებით გამორჩეულნი ყოფილან, ამას კიდევ უფრო მკაფიოდ გვიდასტურებს ნესტან-დარეჯანის აღზრდის ამბავი. ფარსადანმა ბოლოს გადაწყვიტა, სარიდანის ძე მამამისისათვის უკან დაებრუნებინა, ხოლო თავისი ასული ხელმწიფედ დაესვა. საამისოდ საჭირო იყო უფლისწული გოგონას ჯეროვნად აღზრდა. ამ შემთხვევაში უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად არის აღწერილი ის გარემო, ადამიანთა წრე, რომელშიც მომავალი მბრძანებელი ინვრთნებოდა. უწინარეს ყოვლისა, აქ უპრიანია, ყურადღება მივაქციოთ საგანგებო წვრთნისა და აღზრდა-განათლების დაწყების ასაკს.

დიმიტრი უზნაძე საგანგებოდ მსჯელობს აღნიშნულ საკითხზე და ბოლოს ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური არგუმენტების მოხმობით ადგენს, რომ ასეთი ოპტიმალური ასაკი არის 7 წელი. „შეიძლება ითქვას, რომ შვიდი წელი ის ასაკია, როდესაც ბავშვი საკმარისად ფლობს თავისი ობიექტივაციის უნარს. ამიტომ უეჭველია, ეს ის ასაკია, როდესაც პირველად უჩნდება სწავლის მოთხოვნილება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ (4,340).

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სწორედ აღნიშნული ასაკიდან იწყებენ ყმაწვილთა აღზრდა-განათლებას „ვეფხისტყაოსანში“. თუმცა ტარიელის აღზრდისას ეს ასაკი არაა მითითებული, ოღონდ ეგ ნათლად ირკვევა ნესტანის შემთხვევაში. პოემაში საგანგებოდ არის მითითებული სწავლის დაწყების ასაკი.

„მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმობილი,

შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი.“

სწორედ ამ დროს შენიშნა ფარსადანმა, რომ მის პირმშობს ჰქონდა სათანადო უნარები: „მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწომსა“, მან სპეციალური კოშკი ააგო, სადაც ყველა პირობა იყო სწავლება-წვრთნისა:

„მეფემან კოშკი ააგო, შიგან საყოფი ქალისა;

ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,

ძირსა ბალჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;

იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა! "(3,73).

ნესტანს ჰყავდა მამიდა დავარი, „ვინ გრძნებითა ცაცა იცის“, ესე იგი, ერთობ ბრძენი და თანაც ასტროლოგი, მნათობთა ავანჩავანიც რომ კარგად უწყოდა; სწორედ მას, ერთგულსა და მისანდოს, დაავალეს უფლისწულის აღზრდა.

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,

მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი.“

მაშასადამე, ჰქონიათ ასეთი წესი: პედაგოგიურ პროცესში რომ მშობლები არ ჩარეულიყვნენ, აღსაზრდელი ცალკე სახლში იზრდებოდა – ვერც ნათესავნი და ვერც მოსეირენი ვერ დაინახავდნენ. სწორედ ეს არის ხაზგასმული ტექსტში:

„სრა ედგა, მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა;

ვერვინ ვხედევდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა;

ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა " (3,73).

დაიხატა სააღმზრდელო გარემოს სრული სურათი: ცალკე მოწყობილი სახლი, შემოკავებული მაღალი ზღუდით; სახლის ირგვლივ მდიდარი ბაღი; მასწავლებლად – ბრძენქალი დავარი და დამხმარეებად – ფრეილინა ასმათი და ორი მონა-ზანგი.

საგულისხმოა, რომ განმარტოებულად აღზრდის ეს წესი მოქმედებდა უფრო გვიან ხანაშიც. XVII-XVIII საუკუნეების მეიგავე-დიდაქტიკოსი და დიდი განმანათლებელი სულხან ორბელიანი თხზავს იგავ-არაკთა კრებულს „სიბრძნე სიცრუისა“. აქ აღწერილია ფინეზ მეფის კარი. ხელმწიფეს, როგორც იქნა, ელირსა ძე ჯუმბერი, რომელიც საწვრთნელად გარეშე სპეციალისტს – ლეონს – მისცა. პედაგოგმა პირობის ხელწერილი ჩამოართვა მბრძანებელს, რომლის

ძალითაც მშობელი წვრთნის პროცესში ვერ ჩაერეოდა; რაც მთავარია, უფლისწული ცალკე სახლში უნდა დავარგებულიყო. აი, როგორაც ყოველივე ეს აღნერილი: „მისცა მეფემან ხელით-წერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა; აღაშე-ნა სახლი სამეფო და ჯდა მუნ. დაუწყო ჯუმბერს წვრთნა და ასწავლიდა დღივ და ღამ, და მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად“ (2,24).

აქ საყურადღებოა ორი გარემოება: ლეონმა სასახლის გარეთ, კარისაგან მოშორებით, აა-შენებინა საწვრთნელი სახლი, სადაც მონაფისა და პედაგოგის საქმიანობას ვერავინ ხედავდა. ესე იგი, პედაგოგიურ პროცესში ვერავინ ჩაერეოდა. საგანგებოდაა ხაზგასმული – მეფეს ხშირ-ხშირად აღარ აჩვენებდაო პირმშოს.

როგორცა ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ აღნერილი ვითარების მსგავსია ორბელიანის თხზულებაში წარმოსახული სააღმზრდელო გარემო.

მართალია, აქ კონკრეტულად არაა მითითებული ზუსტი ასაკი, ოღონდ უნდა იგულის-ხმებოდეს შვიდი წელი. თხზულებაში თქმულია: „რა წარმოიზარდაო“, მოზარდად შვიდი წლის ყმანვილი უნდა ვიგულვოთ, მით უფრო, რომ იქვე მითითებულია: ლეონი ქეიფობდა, ხოლო შე-გირდს მწდეობას ავალებდაო.

როგორცა ჩანს, აუცილებელი სწავლა-აღზრდის პროცესი გრძელდებოდა 8-10 წელიწადს. ტარიელი კიდევ ერთ სანიშნო ასაკს მიუთითებს:

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა.“

ე. ი. 15 წლის ასაკშიც გრძელდებოდა წვრთნა. შვიდიდან 15-16 წლამდე კი 8-9 წელიწა-დია. ყველაფრიდან ჩანს: ვაჟთა აღზრდაში დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო ასპარეზო-ბისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს ირკვევა ამირბარის სიტყვებიდან:

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა,

სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.“

იგულისხმებოდა, რომ სამონადირეო ილეთების ზედმიწევნით ცოდნა საბრძოლო მომზადე-ბის საფუძველი იყო, ხოლო სპორტულ ასპარეზზე გამოსვლა - ფიზიკური ძლიერებისა. ეს ორგვა-რი - სამხედრო და სპორტული - თამაშები უფრო დაკონკრეტებულია მომდევნო სტროფში.

„მოსრნეს მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან,

მერმე ვიბურთი მოედანს მინდორით შემოქცეულმან.“

სპორტული მომზადება რომ ერთ-ერთი საუკეთესო გზა იყო პიროვნების პარმონიული განვითარებისა, ეს ჩანს ფრიდონის სიტყვებიდან:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მწვრთიდიან,

მასწავლებელის მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთიდიან.“

მოქმედება-ქცევის წესებზე ბევრს მეტყველებს პოემის ერთი სცენა. რაინდი ხელმწიფეს კოშკში შეჰყვა. მამას ენადა, ქალიშვილისათვის მინდვრად დახოცილი დურაჯები ეჩუქებინა. აქ მკაფიოდ ჩანს ეტიკეტი: ნანადირევი ხელთ უპყრია და მიაქვს ყმანვილკაცს; მეფე წინ მიდის, ის უკან მისდევს; კოშკის კორიდორში რომ მოხვდნენ, პატრონი ოთახში შევიდა, ხოლო ახალგაზ-რდა კაცი ზრდილობის წესთა სრული დაცვით ფარდაგის მოღმა შედგა და დაელოდა. მან არ იკადრა, პატრონს შიგნით შეჰყოლდა:

„ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა,

მე გარე ვდეგ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა;

ვერას ვხედავდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა“ (3,76).

მამიდა დავარი რომ გერგილიანი სპეციალისტი გამოდგა, ეს დასტურდება არაერთი ეპი-ზოდიდან: წესტანი მრავალმხრივ განვითარებული ქალბატონი დადგა. მან ბრწყინვალედ შეის-წავლა ფილოსოფია. ეს ჩანს მისი ანდერძიდან, რომელიც ქაჯეთის ციხეში შეთხზა. ამ ბარათში უღრმეს სუფიურ იდეებზეა საუბარი. სუფიური იდეების წვდომა კი საგანგებო გონებრივი წვრთნის თვინიერ ყოვლად წარმოუდგენებია! მეორეც, ამ უსტარში ბანოვანი ამჟღავნებს დიდ

ესთეტიკურ გემოვნებას, პოეტურ ბუნებას, წერითი მეტყველების ოსტატობას. წერითი მეტყველება კი მეტყველების უმაღლესი ფორმაა, პიროვნების კულტურის უაღრესი გამოვლინებაა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

რუსთველის იდეით, ადამიანი ღვთაებრივად მოწყობილი წესრიგის, მსოფლიო ჰარმონიის, ერთ-ერთი მაღალი შუალედური რგოლია. ამიტომ მან უნდა იზრუნოს მასზე მდაბლებთან ჰარმონიულ თანაარსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ყური მიუგდოს და მზერა მიაპყროს მასზე მაღალთა ჰარმონიის საიდუმლოს, კოსმიურ ჰარმონიას, ფეხი აუნყოს მასზე მაღლა მდგომთა კანონებს. აი, სწორედ მაშინ მოხერხდება უარუთქმელი შერწყმა „ზესთ მწყობრთა მწყობრთან“, ანუ, როგორც ვიკტორ ნოზაძე მიუთითებს, „ორდინადორ სუპრემოსთან“ – პირველ, უზენაეს მომწყობრთან, ღმერთთან (1,371). საამისოდ კი აუცილებელია, ადამიანმა მიიღოს სწავლა და შემდგომ ეგ ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიუ, 1963.
2. ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, წიგნში „ქართული მწერლობა“, VII, თბილისი, 1989.
3. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცემა, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016.
4. დ. უზნაძე, სასკოლო ასაკის დასაწყისის პრობლემისათვის, წიგნში „პედაგოგიური თხზულებანი“, თბილისი, 2005

MURMAN TAVDISHVILI,
Professor, Technical University of Georgia

EDUCATION PRINCIPLES IN „THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN“

Summary

The article - „education principles in „The Knight in the Panther’s Skin“ fully reflects the didactics of the poem „The Knight in the Panther’s Skin“.

In the poem great importance is attributed to a practical use of theoretical knowledge (Avtandil’s will). It is considered that the elder should teach the younger, but if it happens on the contrary – the result will be undoubtedly effective. In the poem great emphasis is laid on the age of the beginning of study that is 7 years. According to the present pedagogical sciences, beginning of studies at this age is very proper. The same opinion is shared by a didactic person of the 18th century - Sulkhan-Saba Orbeliani. Didactic ideas on the education of children are described in detail in „The Knight in the Panther’s Skin“ and are reinforced by allegories and aphorisms.

МУРМАН ТАВДИШВИЛИ
профессор Грузинского технического университета

ВОПРОСЫ ВОСПИТАНИЯ И ОБУЧЕНИЯ В ПОЭМЕ РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

В поэме показан процесс воспитания и обучения молодых людей. Многие дидактические идеи трансформируются в афоризмах.

Центральное положение автора: надо знать теорию, но этого мало. Личность должна уметь это знание применять на практике.

Обычно обучает и дает наставление старший, но иногда это прекрасно делают молодые.

Великое значение придается возрасту, когда ребенок начинает серьёзные занятия. В поэме указывается возраст – 7 лет. Сегодняшняя педагогическая мысль склонна к тому, что как раз 7-летние дети должны поступать в школу.

Автор уделяет большое внимание воспитательной среде; по его мнению, в процесс воспитания не должны допускаться родители (чтобы не помешали воспитателям). В этом вопросе с великим Руставели созвучен известный педагог и просветитель XVIII столетия Султан Саба Орбелиани.

На передний край выдвигается военно-спортивное воспитание юношей, их физическое развитие. Процесс воспитания продолжается в течение 9-10 лет.

КОНСТАНТИН РАМИШВИЛИ
Доктор педагогических наук, профессор

КАТЕГОРИЯ РАЗВИТИЯ В ПСИХОЛОГО-ПЕДАГОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЯХ

Ключевые слова: парадигма современного образования; традиционная трактовка категории развития; биологизаторская и социологизаторская концепции развития; зоны умственного развития; технология развивающего обучения; возрастные задачи развития.

Современное образование как динамическая система характеризуется процессом смены парадигм - переходом от парадигмы обучения к парадигме учения. В этих условиях психолого-педагогическая наука не может не учитывать целый ряд явлений и процессов, связанных с изменением целей образования, включением в учебный процесс новейших технологий.

Информатизация образования, требования к алгоритмизации учебного процесса, его технологичности привели к тому, что технологии в счетном процессе уже не воспринимаются как нечто чужеродное, незнакомое.

Анализ современных психолого-педагогических исследований показывает, что подавляющее большинство ученых придерживаются культурно-цивилизационной концепции психолого-педагогического знания и опыта, учитывают многообразие теоретико-методологических положений современной науки и расширение аспектов понимания ее основных категорий.

В центре нашего анализа - категория развития, являющаяся основополагающей не только в рамках психолого-педагогической науки, но и для различных биологических дисциплин и других смежных наук, поэтому теоретические и прикладные исследования данного процесса, включающие поиск его источников, выявление закономерностей, необходимых условий и осмысление в целом, представляют ключевую проблему современной науки. Эта проблема актуальна как на практическом, так и на общечеловеческом и методологическом уровнях. Однако традиции научной деятельности, отмечает Т. Кун, порождают ряд проблем, решение которых объективно необходимо для изменения и интерпретации категории развития, а как следствие, и основательного преобразования парадигмы психолого-педагогического исследования в целом [5].

Анализ учеными традиционной трактовки категории развития позволил им выявить ряд серьезных проблем как на общем научном, так и на конкретно - психологическом уровне. Сюда относится и проблема источника развития, которую исследователи, работающие в рамках социологизаторской или биологизаторской парадигмы, рассматривают хотя и по-разному, но с одинаково негативным результатом. Если принципиальная ошибка первых заключается в прямом, механическом переносе закономерностей общественной жизни на развитие конкретного человека, то вторые пытаются найти его в развитии мозга, в особенностях функционирования нейронных структур [9]. В рамках биологизаторской парадигмы процесс развития рассматривается как их созревание, как развертывание генетических программ роста и адаптации организма. Недалеко уходят и социологизаторские концепции развития, на первый взгляд фиксирующие, что его источник - в общественном взаимодействии. Но в силу абстрактности подобных указаний не раскрывающие сущность этого процесса с позиций его внутренней диалектики [1].

Заслуживает внимание фундаментальный вывод А. Нечаева, что развитие любого явления, будучи целостным, многогранным и противоречивым, предполагает постоянное разрешение этих противоречий в ходе его собственного, внутренне определяемого самодвижения, осуществляющегося в тех или иных, но всегда конкретных условиях [7]. Не случайно, полемизируя с известным положением С. Рубинштейна, гласящим, что «...внешние причины действуют через внутренние» [8], А. Леонтьев подчеркивал, что, напротив, «... внешние условия действуют через внутренние» [6]. Данное положение можно наглядно проиллюстрировать примерами из области педагогической психологии. В частности, в исследованиях учебной деятельности младших школьников, проведенных Г.Цукерман, было показано, что одной из характерных ошибок, свойственных большинству программ развивающего обучения, является неправомерное отождествление процесса развития с теми конкретными изменениями, которые происходят с субъектом учебной деятельности в результате специфическим образом организованного процесса обучения [10].

Необходимо отметить и то, что исходя из pragматических установок, авторы многих прикладных разработок пытаются учитывать лишь сиюминутно активные общественные запросы, ориентированные на формирование у детей конкретно значимых для исследователей «новообразований».

С этим подходом мы сталкиваемся, обращаясь к различным концепциям развивающего обучения. Начнем с того, что проблема интерпретации категории развития наглядно представлена в рамках любой подобной концепции. Что же здесь понимается под развитием? Как показывает методологический анализ, в большинстве случаев оно приравнивается к формированию педагогически целесообразных новообразований, т.е. таких способностей, умственных действий, понятий, способов мышления, ценностей и установок, которые по мнению того или иного автора, являются необходимыми для успешной реализации деятельности, в которую вовлечен «развивающийся» индивид [4]. Например, к известной системе Эльконина-Давыдова к их числу относят становление рефлексивного отношения к действительности, формирование конкретных способов теоретического мышления [11]. Здесь же отметим, что, согласно выводу А. Нечаева, организация обучения на основе данной системы развития понимается достаточно pragmatically - как успешное решение задач раннего приобщения к теоретическим знаниям [7].

Как известно, понятие «развивающее обучение» основано на идеи Л. Выготского о том, что обучение должно вести за собой развитие, опираясь не только на созревшие функции ребенка, но и на те, которые еще только созревают.

Поскольку успешность решения ребенком задачи, проблемы зависит от того, в какой мере эта задача адекватна его развитию, Л. Выготский выделил три зоны умственного развития личности: зону актуального развития, зону ближайшего развития, зону запредельного развития.

В зоне актуального развития находятся те задачи, которые ребенок уже умеет решать самостоятельно, в решении которых он приобрел навык. Обычно решение задач актуального развития не вызывает энтузиазма у детей, потому что в этих задачах нет новизны, а значит и нет интереса к ним. Это, конечно же, не означает, что не нужно решать задачи в зоне актуального развития. Этот вид обучения отводится для самостоятельной, внеаудиторной работы.

В зоне ближайшего развития находятся те задачи, которые ученик сможет решить, но не самостоятельно, а под руководством учителя на основе уже имеющихся знаний. Именно с помощью таких задач знания переводятся в систему мышления, при этом идет осознание того, что

уже учащийся знает, и формируется умение применять эти знания для решения задач нового типа.

В зоне запредельного развития лежат задачи, которые ученик не может решать в силу своей неподготовленности к этому. Если учитель работает в этой зоне развития, его ожидает неудача: почувствовав свою неспособность, ученик откажется от решения задачи и потеряет веру в себя.

Чтобы у ученика был интерес к учению, учитель должен работать в зоне ближайшего развития, на самостоятельную работу выносить задачи, лежащие в зоне актуального развития, никогда не работать в зоне запредельного развития. Данная модель и послужила ядром для концепции развивающего обучения, разработанной под руководством Эльконина - Давыдова.

Авторами были выделены следующие дидактические принципы своей концепции:

1. В обучении главную роль играет система научных понятий, на основе которых ученик овладевает универсальным принципом решения задач определенного типа.

2. Учебная деятельность направлена на абстрактно-теоретические формы мышления ученика. Знания усваиваются посредством движения от общего к частному и путем выяснения условий происхождения содержания понятий.

3. Овладение теоретическими знаниями развивает у учащихся теоретическое мышление, а также формирует творческий подход к осуществлению практической деятельности.

4. Усвоение знаний происходит методом восхождения мысли от абстрактного к конкретному. Это происходит таким образом: ученик анализирует учебный материал с помощью учителя, затем выделяет в нем общее и фиксирует общее в знаковой форме, т.е. строит его содержательную конструкцию. Продолжая анализ материала, он раскрывает закономерные связи между общим и его различными проявлениями, т.е. получает частное [11].

Таким образом, в развивающем обучении акцент переносится с изучения учебного материала на учебную деятельность ученика по развитию теоретического мышления и на всестороннее развитие личности учащихся. При этом знания все равно передаются ученикам, но с применением дедуктивного подхода.

Одной из актуальных задач развивающего обучения, помимо формирования теоретического отношения к действительности, ученые считают создание социальной ситуации развития, для которой новообразования выступают как необходимое условие. А. Дусавицкий, к примеру, в качестве основных задач выделяет:

- создание системы отношений ребенка со сверстниками и взрослыми;
- организацию условий для увлеченного интеллектуального поиска;
- формирование чувства ответственности за свою деятельность [3].

Однако в широком практическом плане подобные задачи пока не поставлены.

В свете вышеизложенного мы пришли к следующему выводу: если рассматривать процесс развития не как множественное формирование различных новообразований, а как единый и целостный процесс становления человека в процессе общественного взаимодействия в виде конкретных и исторически обусловленных местом и временем обстоятельств, то становится очевидным, что «воспитывать личность в пробирке», т.е. когда социальные условия этому не способствуют, невозможно [1].

Однозначным является вывод ученых, что по-новому должна высвечиваться проблема единой периодизации развития.

Истории психологии известно множество попыток выделить также критерии развития, которые были бы абсолютными, т.е. «работали» вне зависимости от особенностей общественной жизни и культуры (теории Ж. Пиаже, Э. Эрикsona, З. Фрейда и других).

Именно представление о том, что критерии периодизации развития могут и должны быть универсальными, легли в основу разнообразных систем возрастной периодизации, целью создания которых было освобождение от культурного влияния. По мнению А.Нечаева, в рамках одного и того же культурного контекста попытка опоры на единственный «универсальный» признак оказывается ложной [7]. Еще Л. Выготский, критикуя попытки построения возрастной периодизации на основе одного критерия, отмечал, что «признак, показательный и существенный для суждения о развитии ребенка в одну эпоху, теряет значение в следующую, так как в ходе развития те стороны, которые раньше стояли на первом плане, отодвигаются на второй план» [1].

Построение периодизации развития предполагает не только выявление характеристик, изменяющихся в ходе развития, но прежде всего, определение его движущих сил, источников.

В трудах Б. Ананьева, Л. Божович, А. Леонтьева, Б. Ломова, А. Лурия, В. Мерлина, Н.Лейтеса, Д. Узнадзе и других ученых, содержатся фундаментальные выводы о «сообразности содержания преподавания со свойствами натуры и личностными способностями детей». Это означает, что при определении содержательной последовательности научных знаний во внимание необходимо принимать, прежде всего, возраст учащихся. Отбор научного материала для изучения и его распространения по возрастным параллелям должно быть обусловлено как логикой самой науки, так и логикой возрастных закономерностей психического и личностного развития учащихся.

Младенчество, дошкольное и школьное детство, ранняя юность - жизнь растущего человека на всех этих возрастных этапах наполнена особым содержанием (особыми взаимоотношениями с окружающими; особыми способами познания окружающего мира; ведущей деятельностью (игровой, учебной, общением), в наибольшей степени способствующей развитию именно на данном этапе онтогенеза.

К концу каждого возрастного периода наряду с основными личностными новообразованиями у ребенка возникают новые потребности: в изменении взаимоотношений с окружающими, в ином виде деятельности, в более полном познании окружающего мира, в осознании своих прав и пр.

Каждый возраст является сензитивным для развития основных психологических новообразований определенного этапа онтогенеза, которые служат плацдармом для последующего развития. Поэтому на каждом возрастом этапе, отмечает И. Дубровина, существуют особые, центральные, присущие именно данному этапу, проблемы развития. Отсюда вытекают и задачи развития. Это то, чему человеку предстоит научиться, чем предстоит овладеть, что предстоит выработать и пр. [2].

В заключение отметим, что возрастные задачи развития - это те достижения в развитии, которые растущий человек должен приобрести на протяжении определенного возрастного этапа, чтобы не только полноценно прожить его, но и иметь в дальнейшем возможность конструктивного развития.

Использованная литература:

1. Выготский Л.С. Педагогическая психология. М., 1991.
2. Дубровина И.В. Практическая психология в лабиринтах современного образования. М., 2014.

3. Дусавицкий А.К. Развивающее обучение: зона актуального и ближайшего развития//Начальная школа: плюс-минус. 1999, №7.
4. Кудрявцев В.Т. Развивающее обучение - многоступенчатая система. Замысел. Реализация. Перспективы. М., 2003.
5. Кун Т. Структура научных революций. М., 1977.
6. Леонтьев А.Н. Деятельность. Сознание. Личность. М., 1975.
7. Нечаев А.А. Избранные психологические труды. М., 2014.
8. Рубинштейн С.Л. Бытие и сознание. М., 1957.
9. Слободчиков В.И. Антропологический принцип в психологии развития // Вопросы психологии. 1998, №6.
- 10 Цукерман Г.А. Что развивает и что не развивает учебная деятельность//Вопросы психологии, 1998, №5.
11. Эльконин Д.Б. Избранные психологические труды. М., 1989

**კონსტანტინე რამიშვილი
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

განვითარების კატეგორია ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ კვლევაში

რეზიუმე

განათლების თანამედროვე პარადიგმების გათვალისწინებით და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით, ავტორი განიხილავს სხვადასხვა პრობლემებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია იმ აუცილებლობასთან, რომ განვითარების კატეგორიის ინტერპრეტაცია. მისი ყურადღების ცენტრშია განვითარების კატეგორიის შინაარსი, დიალექტიკა და განვითარების კრიტერიუმები ასაკობრივი პერიოდიზაციის კონცეფციის ფარგლებში, სწავლების განვითარების ტექნოლოგია. ძირითად მიზანს წარმოადგენს: მოსწავლეთა თეორიული აზროვნებისა და შეგნების ფორმირება; მოსწავლეს არა მარტო ცოდნის, უნარებისა და სიახლეების გადაცემა, არამედ იმ საშუალებების, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება განხორციელდეს სხვადასხვა აზროვნებითი მოქმედება; სამეცნიერო ლოგიკის შემეცნება მოსწავლეთა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

**KONSTANTINE RAMISHVILI
Doctor of Pedagogical Sciences, Professor**

CATEGORY OF DEVELOPMENT IN PSYCHOLOGO-PEDAGOGICAL RESEARCH

Summary

The author considers a lot of problems with the modern paradigms of education, achievements of psychologo-pedagogical science, connected with inevitable changes interpretation category of development. In the centre of this article is the category of development, dialectics and criterion of development in conception of age division into periods, technology of developing education.

Among the principal tasks are: forming theoretical mentality of pupil; giving pupil not so much knowledge, ability, skills, as methods we can carry out different mental activities, reproduction educational activities of children logic scientific knowledge.

МАРИНЕ АРОШИДЗЕ

Батумский государственный университет Шота Руставели
профессор департамента славистики

СТРАТЕГИЧЕСКИЕ ОРИЕНТИРЫ ЛИНГВОДИАКТИКИ В ГРУЗИИ

Рубеж века двадцатого с веком двадцать первым оказался весьма богат общественно-политическими катаклизмами. Развал огромной советской империи отразился на жизни всех входящих в нее республик, затрагивая своими проблемами и европейские страны, и другие государства мирового сообщества во всех сферах жизни, в том числе и в области образования. В Грузии была разрушена советская система среднего и высшего образования и взят курс на межкультурное иноязычное образование.

Резкая смена общественно-политической парадигмы, реформа грузинской образовательной системы, вхождение в единое европейское образовательное пространство, изменение языковой ситуации и языковой политики в Грузии потрясли до основания лингводидактику, в центре внимания которой было преподавание русского языка как второго родного, протекающее в интенсивном режиме с первого класса общеобразовательной школы, а в некоторых случаях и с дошкольных учреждений, и поверхностное изучение одного из иностранных языков (формально по выбору: английский, французский или немецкий, а фактически – по возможности). Учащимся предлагали изучение иностранных языков, в зависимости от того, какими специалистами располагала данная конкретная школа. Не удивительно, что наблюдался определенный дисбаланс между «городом и деревней». В крупных грузинских городах изучали все три языка (английский, немецкий или французский), одно время с преобладанием немецкого, затем с явным преобладанием английского. В деревнях же ситуация оставалась сложной, учителя английского языка были большой редкостью, поэтому учили тому, чему могли. Русский язык, который был обязательным предметом, изучался повсеместно.

В высшей школе при изучении иностранного языка предлагался выбор из четырех языков (русский, английский, немецкий, французский), причем очень сильна была мотивация для изучения русского языка, знание которого давало преимущества при трудоустройстве, было обязательным условием карьерного роста, большим подспорьем при освоении тех профессий, учебная литература по которым была, в основном, на русском языке, отчасти выбор русского языка был результатом вышеуказанного дисбаланса между городом и деревней.

XXI век убедительно продемонстрировал, что языковое образование стало важнейшим инструментом успешной жизнедеятельности человека в поликультурном сообществе людей. Мультилингвизм стал повседневной реальностью, но он существенно дифференцирован особенностями национальных социокультурных систем, их восприимчивостью, государственной политикой национального культурного развития. В Грузии мультилингвизм, пришедший на смену билингвизму, развивается своеобразно в силу целого ряда условий. Грузинские школьники и студенты получают образование в условиях настоящего «лингвистического бума»: резко увеличилось количество иностранных языков, изучаемых в школе и в вузе, привычное «трио» обогатилось турецким, испанским и др. языками. Коммуникативный подход к изучению иностранных языков трансформировал всю методическую концепцию изучения иностранных языков. Начался сложный процесс переподготовки учителей иностранного языка, поиск новых

учебников и учебных комплексов, процесс «вживания» в реальную действительность новых методических установок и подходов.

По мнению Е.Г.Таревой, «современная методологическая палитра теории и методики обучения иностранным языкам представлена несколькими ведущими тесно взаимосвязанными направлениями: личностно-деятельностный подход, коммуникативный, компетентостный, культурообразный подходы». При этом «бытовавшая в прежние времена дидактическая доминанта «акцент на культуру изучаемого языка все чаще переосмысливается в пользу паритетности культур, и эта лингводидактическая стратегия, несомненно, требует пересмотра обучающих технологий» (Тарева 2014:6).

Лингводидактика в Грузии прошла очень стремительный путь преобразований, многие из которых насаждались не совсем продуманно. Любое изменение сложившейся системы чревато сложностями и опасностями, тем более такое глобальное по масштабам и глубокое по преобразованиям. Но все, что происходит в системе среднего и высшего образования сегодня есть своеобразный ответ на то, что было предпринято вчера, и на что можно будет надеяться завтра.

Все ошибки в области лингводидактики, во многом зависящей от сложившейся общественно-политической и языковой ситуации, от политического и экономического курса государства и от языковой политики, чреваты серьезными последствиями для молодого поколения. Ведь ошибки, допускаемые в социо-коммуникативном отношении, могут быть катастрофическими как для политического диалога, так и для экономического сотрудничества. Сам термин «диалог» весьма условен, ибо современное сотрудничество скорее представляет собой «полилог». Поэтому надо стремиться к новому, не теряя старого. Приоритетное изучение английского языка должно сочетаться с сохранением русской коммуникативной компетенции, ибо русский язык не только один из распространенных международных языков, но и важнейший язык межкультурного общения на огромной территории постсоветского пространства.

Грузия стремительно движется вперед по пути развития демократии и гражданского общества, и многое в этом успешном движении зависит от воспитания компетентных молодых специалистов, владеющих иностранными языками, навыками межкультурной коммуникации и современными технологиями. Оглянемся же на пройденный путь и попытаемся осмыслить существующую реальность.

В настоящее время Грузия переживает сложнейший в языковом отношении период, когда повсеместно взят курс на интенсивное изучение английского языка, но мультилингвизм еще не перерос в мультикультуризм. Русские культурно-исторические реалии и советизмы уже агнонимичны для подрастающего поколения, а реалии англо-американской культуры еще далеко не привычны. «Языковая карта» современной Грузии и «лингвистические иерархии» нуждаются в пристальном изучении, ведь изменение социальной структуры общества привело к изменениям личности языковой, лишило ее привычного средства самореализации и самопонимания. Происходят глубинные изменения на уровне усвоения картины мира, трансформируются привычные культурные концепты, пересматриваются сформированные представления о мире.

Но ориентация на интенсивное изучение иностранных языков привела к созданию ситуации, когда межкультурное иноязычное образование настолько доминирует, что стремление освоить язык и культуру другого народа оборачивается плохим знанием родной культуры. У большинства студентов первых курсов высших учебных заведений не сформированы навыки работы с текстом, очень низкий «порог восприятия» фоновых культурных знаний, плохо

сформированы навыки письма деловых документов, умение аргументировать свою точку зрения и пр.

Введение Общеевропейских уровней владения языками у нас «не работает». Формально все расписано просто замечательно, но фактически повсеместной является ситуация, когда изучение иностранного языка на первом курсе высших учебных заведений с выпускниками грузинских публичных школ (не имеются в виду специализированные языковые школы) приходится начинать с уровня A2 вместо положенного по школьным программам B2. А ведь это выпускники, которые не просто изучали данный язык на протяжении ряда лет в школе, но и сдавали его на вступительном едином государственном экзамене, тем самым выяснилась еще одна проблема – насколько существующая в Грузии тестовая система отражает реальное владение иностранными языками (владение говорением, аудированием, чтением, письмом). В дальнейшем (на уровне магистратуры и докторантуры) несоответствие языковых уровней (которым реально владеет абитуриент с уровнем, «прописанным» в соответствующей образовательной программе) продолжается. Даже в случае сдачи теста, который соответствует указанному языковому уровню, остается открытый вопрос о навыках говорения и аудирования. Проверка и оценка знаний учащихся и студентов – очень сложная проблема, с которой связано также качество используемых тестов.

В соответствии с Законом Грузии об образовании, в публичных школах учащиеся в обязательном порядке изучают два иностранных языка, а в специализированных языковых лицеях даже больше. Но когда они поступают в высшие учебные заведения Грузии, то «теряют» второй иностранный язык, так как в большинстве образовательных программ (за редким исключением) предусматривается изучение лишь одного иностранного языка. Имеет место не совсем продуманная лингводидактическая концепция.

Необходима выработка основных стратегических ориентиров в развитии лингводидактики в Грузии, к которым, по нашему глубокому убеждению, необходимо отнести следующие:

- 1) совместные научные исследования интердисциплинарного характера психолингвистов, дидактиков, этнопсихолингвистов, лингвокультурологов и пр. в области особенностей формирования языковой картины мира детей полилингвов;
- 2) совершенствование учебных комплексов по иностранным языкам с обязательным «привязыванием» их к родному языку обучающихся и к национальным особенностям аудитории;
- 3) сопоставительные исследования разносистемных языков, в первую очередь английского и грузинского;
- 4) четкое соблюдение преемственности усваиваемых уровней владения иностранными языками на всех ступенях среднего и высшего образования (школа, бакалавриат, магистратура, докторантура);
- 5) совершенствование методики проверки и оценки знаний;
- 6) усиление внимания к таким видам речевой деятельности, как аудирование и говорение;
- 7) обязательный паритет культур (культуры изучаемого языка и родной культуры).

Данный перечень можно продолжить, но мы не ставили перед собой задачу сформулировать стратегии развития лингводидактики в Грузии, нам хотелось выяснить проблему необходимости осмыслиения пройденного грузинской лингводидактикой пути (в постсоветский период) и

осознания необходимости продуманных лингводидактических стратегических ориентиров в современных условиях.

Использованная литература:

1. Арошидзе М., Дзагания И. Формирование языковой личности в современной Грузии // Саერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვერბალური ტექნოლოგიები-IV“. თბილისი, 2014.
2. Тарева Е.Г. Проблемное поле межкультурного иноязычного образования // Межкультурное иноязычное образование. Москва, 2014, Логос.

მარინე აროშიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლინგვიდიდაკტიკის სტრატეგიული ორიენტირები საქართველოში
რეზიუმე

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარადიგმის მკვეთრმა შეცვლამ, ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეფორმამ, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში შესვლამ, ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის შეცვლამ საქართველოში გამოიწვია ლინგვოდიდაქტიკის განვითარების ახალი მიმართულების სისტემური გააზრების აუცილებლობა.

სტატიაში გაანალიზებულია მულტილინგვიზმის თავისებურება ქართული სოციოკულტურული სისტემის პირობებში, არგუმენტირებულია ლინგვოდიდაქტიკის განვითარების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები. ენობრივი განათლება ადამიანის ნარმატებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. ჩვენ პოლიკულტურულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ამიტომ, აუცილებელია მეთოდისტების, ფსიქოლოგების, ლინგვისტების ერთობლივი ძალისხმევა, რათა ისეთი ლინგვოდიდაქტიკური სტრატეგიები და ტაქტიკა გამოვიმუშაოთ, რომლებიც ქართული ენისა და კულტურის თავისებურებებს გაითვალისწინებენ.

MARINE AROSHIDZE
Batum Shota Rustaveli State University

STRATEGIC GUIDELINES OF LINGUODIDACTICS IN GEORGIA

Summary

Drastic change of socio-political paradigm, the reform of educational system in Georgia, introduction of the common European educational system, the change in linguistic situation and linguistic policy in Georgia, resulted with the need of systemic understanding of the new direction of linguodidactics development in Georgia. The article covers the analyses of the features of multilingualism in Georgian socio-cultural systems and argues the main strategic guidelines of linguodidactics development. In multicultural society, linguistic education became one of the most important tools in professional and personal activities, therefore teachers, psychologists and linguists have to work jointly in order to develop the correct linguodidactic strategy and tactics considering the features of national language and culture.

სოცილ ფანეულიძე
განათლების აკადემიური დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსარითეთული
პედაგოგიკა**

ექსპერიმენტული პედაგოგიკის გაგების, მისი მიზნისა და ამოცანების და, რაც მთავარია, აღზრდის პროცესში არსებულ პრინციპულ სირთულეთა „ნორმალიზაციაში“ ბავშვის შესაძლებლობების გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია დიმიტრი უზნაძის წერილი „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“. ეს წერილი დაიბეჭდა უურნალ „განათლებაში“ 1912 წელს. მასში, ექსპერიმენტული პედაგოგიკის მნიშვნელობის გარდა, საუბარია აღზრდის მნიშვნელოვან პრობლემებზე.

სტატიაში ექსპერიმენტული პედაგოგიკა უპირველეს ყოვლისა გაგებულია, როგორც „მხოლოდ ისეთ ზომათა სისტემად, რომელიც ბავშვის ფსიქიურ თავისებურებათა მეცნიერულად დასაბუთებულს დეტალურ შემეცნებაზე არიან დამოკიდებულნი“ (1.გვ.437). აქ ბავშვის მონაცემების „მეცნიერულად დასაბუთებულ“ შესწავლად იგულისხმება ბავშვის ფსიქიურ ცხოვრებაზე დაკვირვება ბუნებრივი და ლაბორატორიულ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების შეჯერების გზით, რასაც ექსპერიმენტული პედაგოგიკა აწარმოებდა. სწორედ ესაა „ჩვეულებრივი პედაგოგიკისაგან“ ექსპერიმენტული პედაგოგიკის განსხვავება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, „ექსპერიმენტალური პედაგოგიკა არსებითად ხომ მხოლოდ მით განირჩევა ჩვეულებრივი პედაგოგიკისაგან, რომ იგი ფსიქოლოგიური ცოდნის შუქით ინათებს გზას თავის ბნელით მოცულს სამოქმედო ასპარეზზე“ (1.გვ.437). როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტული პედაგაგოგიკის უმთავრესი ლირსება ბავშვის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ცოდნაზე დაყრდნობით აღზრდს წარმართვაშია დანახული.

სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული აღზრდის რთული ბუნება, რომ იგი არაა ერთგვაროვანი, არამედ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მიმდინარე პროცესია; აღზრდა აუცილებლობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს, რომელიმე მათგანის გამორიცხვით წყდება აღზრდის პროცესი. აქ დიმიტრი უზნაძე სავსებთ სწორად მიუთითებს და აღნიშნავს აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის რთულ ბუნებაზე.

დიდი ფსიქოლოგი მსჯელობს რა აღზრდის რთულ ბუნებაზე, წარმოგვიდგენს მისგან გამომდინარე ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობრივ მომენტს, რაც „პედაგოგიური პრაქტიკის“ თვით შუაგულშია ამოთხრილი“, და მას „აღზრდის ტრაგედიას“ უწოდებს. რა არის აღზრდის რთული ბუნების ერთ-ერთი გამომხატველი ეს ტრაგედია? დიმიტრი უზნაძის აზრით, ის აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს. ბავშვი იოლად არ ემორჩილება აღმზრდელობით ღონისძიებებს, რადგან ისინი თავიანთი სოციალური მიზანდასახულობით გაუგებარია მისთვის. ეს, მართლაც, სიძნელეს ბადებს აღზრდის პროცესში: „ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით ხშირად უბედურება და წამება იქნება....აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით ჭვრეტს ამ კეთილდღეობას და აღსაზრდელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურად. გონიერება მოითხოვს, მყობადი აწმყოს შეწიროთ, მცირე სიამოვნება დიდსა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ. მაგრამ მოზარდი სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასდროს და ვერაგზით ვერ ანაცვალებს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავის აწმყოს“ (1.გვ.429–431).

უზნაძის აზრით, ეს წარმოქმნის აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის „მტრულ“ დამოკიდებულებას, რომელიც აღზრდის მთელ პროცესს გასდევს. მაშასადმე, – დაასკვნის დუზნაძე,

ეს წინააღმდეგობა მუდმივი ხასიათის ყოფილა, იგი გარდაუვალი სიძნელეა, თვით აღზრდის შუაგულში წამოჭრილი“ (38. გვ.437).

მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის მოსაზრებებში, მართლაც, საფუძვლიანადაა ხაზგასმული აღზრდელობითი ამოცანებისადმი ბავშვის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მომენტი.

მთლიანობაში აღზრდა წარმოდგენილია, როგორც საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური პროცესი. აღზრდა მხოლოდ სოციალურ მოვლენადაა აღიარებული. დიმიტრი უზნაძის მიერ ამავე წერილში აღზრდის რთული ბუნება სწორედ მისი საზოგადოებრივი ხასიათითაა ახსნილი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აღზრდა რთულ საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, სადაც არ არსებობს საზოგადოება იქ არც აღზრდა იქნება“. (1. გვ.428). აქვე ასაბუთებს ამ აზრს და გვიჩვენებს აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს ადამიანის განვითარების ადრეულ სტადიაზე, თვით ოჯახური აღზრდის პირობებშიც კი. ბოლოს იგი დაასკვნის, რომ „განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანი ოჯახის კედლებს გადალახავს და შემადგენელ ნაწილებად უფრო რთული ერთეულის სხეულს ედულება. იგი წევრი ხდება საზოგადოებისა, სახელმწიფოსი და მისი აღზრდა ოჯახის ფარგლებს უსხლტდება და საზოგადოების ან სახელმწიფოს სპეციალურ პედაგოგიურ დაწესებულებებში, სკოლებში სრულდება. ამით აღზრდის მიზნებიც თავის ოჯახურ ელფერს კარგავს და სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ემორჩილება“ (1.გვ. 429).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს ხსნის თვით მისი ბუნებით, კერძოდ, იმით, რომ აღზრდა არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური პროცესი, არამედ აუცილებობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს. ჩვენი აზრით, აღზრდის ასეთი გაგება ლოგიკურად უკავშირდება აღზრდის რთულ ბუნებას. აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ აღზრდის ცნება ორ მომენტს თხოულობს, რომელთაც ურთიერთგავლენაც ჰქმნის მას. პირველი არის აღმზრდელი და მეორე აღსაზრდელი.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ, მას არ შეუძლია სამუდამოდ მოსპოს აღზრდის ძირითადი წინააღმდეგობა, მაგრამ „ ბავშვის სულიერი ცხოვრების გაცნობა, განსაკუთრებით მისი ბუნებრივ ინტერესთა განვითარება ფართო გზას მისცემს ყოვლის აღმზრდელობით გავლენას მისი სულის წიაღში და მით საგრძნობლად შესუსტებას იმ ტრაგიკულ ნაკადის სიშმაგეს, რომელიც აღზრდის წიადაგზე იბადება და მიქროლავს. ექსპერიმენტული პედაგოგიკა კი საშუალებას მოგვცემს უტკიცილოდ და შეუგრძნობლად შეუფარდოთ ჩვენი სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის სულიერი საუნჯის მასალას, მისს ბუნებრივი განვითარების გზას“ (1,430).

დიმიტრი უზნაძე ბავშვის მისი თავისებურებების, განვითარების კანონზომიერებების შესწავლას მოითხოვს იმ მიზნით, რათა სწავლა – აღზრდის პროცესში „შეგუებულ, შეკავშირებულ, შეტყუპებულ“ იქნას ერთიმეორესთან ინდივიდუალური და სოციალური მოტივები და მისწრაფებანი. დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს პრობლემა უნდა გადაჭრას ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ და ამ გზით შეანელოს აღზრდის ტრაგედია.

„ნამდვილ პედაგოგიკას, – წერს დიმიტრი უზნაძე, – მხოლოდ ერთი გზა გააჩნია, რომელზე სრბოლაც მას თავისი მიზნის განხორციელებამდე მიიყვანს. ეს გზა თვით ბავშვის ბუნების ნათელყოფაა, მისი ფსიქოლოგიის ცოდნა. მხოლოდ ასეთ შემეცნებას, ასეთ ცოდნას შეუძლია იმ კანონთა და ნორმათა ნათელყოფა, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდეს აღმზრდელი, თუ გსურს რომ, მისი მოქმედება გონიერს წიადაგზე იყოს დამდგარი. ამრიგად ნამდვილი პედაგოგიკის წიადაგსა და საფუძველს ბავშვის ფსიქოლოგიის შემეცნება უნდა შეადგენდეს“ (2,55).

„აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში, უეჭველია, გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი „სულიერი მღელვარებისადმი“ თანაგრძნობა- ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ., „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, უურნალი „განათლება“, №6, 1912.
2. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალ, 1912.
3. უზნაძე დ., „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №1, 1980.
4. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 2005.

SOPHIO PHANCHULIDZE

Doctor of Education

Akaki Tsereteli State University

MAIN TRAGEDY OF UPBRINGING AND EXPERIMENTAL PEDAGOGY

Summary

In our opinion, Dimitri Uznadze's letter – „Main Tragedy of Upbringing and Experimental Pedagogy“ is very important for comprehension of experimental pedagogy, its aims and tasks, and the main thing- for normalization of principal difficulties in upbringing process to define a child's abilities.

According to Dimitri Uznadze, a child's characteristics and development laws should be studied „to connect, link“ individual and social motives, aspirations with each other. To his mind, experimental pedagogy may solve the problem and the solution will slow down upbringing tragedy.

СОФЬЯ ПАНЧУЛИДЗЕ

доктор образования

Государственный университет Акакия Церетели

ОСНОВНАЯ ТРАГЕДИЯ ВОСПИТАНИЯ И ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ ПЕДАГОГИКА

Резюме

Для понимания экспериментальной педагогики, ее цели и задач, и, что самое главное, для „нормализации“ принципиальных сложностей раскрытия детских возможностей, существующих в процессе воспитания, по нашему мнению, большое значение имеет письмо Дмитрия Узнадзе - „Основная трагедия воспитания и экспериментальная педагогика.“

Дмитрий Узнадзе утверждает, что изучение ребенка и его особенностей, закономерностей его развития, должно быть организовано таким образом, чтобы в процессе воспитания были тесно взаимосвязаны индивидуальные и социальные мотивы и стремления. По мнению великого психолога, эту проблему должна разрешить педагогика, которая позволит замедлить трагедию воспитания.

თამარ გოგოლაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

იყალთოს აკადემიის ტრადიციები „ქვევრის სკოლა- აკადემიის“ აღორძინებით გრძელდება

საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში-კახეთში, ქალაქ თელავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი იყალთო. იგი თავისი აკადემიის ისტორიითაა ცნობილი, რომელმაც შესანიშნავი ფურცელი ჩანერა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. ცხრა საუკუნის წინათ დაარსებულმა „აკადემიამ რამდენიმე ასეულ წელს გაუძლო და დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეების ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. აკადემიის დაარსება მონაბეჭდის მიმდევანი ეპოქის საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებასა და მაღალ კულტურას. აქ მოღვაწეობდნენ იმ დროს მეცნიერული აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენლები“ (4. 3).

ისტორია „ასურელი მამების „სახელით იცნობს ჯერ კიდევ VI საუკუნეში ანტიოქიიდან მრავალი მონაფიით მოსულ სირიელ საეკლესიო მოღვაწე იოანეს. მან პირველი მონასტერი, მცხეთის მახლობლად, ზედაზნის მთაზე ააშენა. აქედან აგზავნიდა თავის ჩამოყვანილ მონაფე-ებს ქართლსა და კახეთში ეკლესია-მონასტრების დასაარსებლად და ქრისტიანობის განსამტკიცებლად. VII საუკუნის მეორე ნახევარში იყალთოში მონასტერი ააგო იოანეს ერთ-ერთმა მონაფემ ზენონმა, რომელსაც შემდგომ მას ზენონ იყალთოელი ეწოდა. მონასტერს ეკლესიები, სენაკები დაემატა და დიდ სამონასტრო კომპლექსად იქცა.

XII საუკუნეში სწორედ აქ, იყალთოს მონასტერთან დააფუძნა არსენ ვაჩეს ძემ ანუ არსენ იყალთოელმა აკადემია. იგი წარმოშობით ამავე სოფლიდან ყოფილა, რაც შეიძლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს აღმოსავლეთ საქართველოს ამ ნაწილში საგანმანათლებლო ცენტრის დაარსებისა. განთქმულ მეცნიერს, სახელოვან მასწავლებელსა და განმანათლებელს არსენ იყალთოელს დიდ პატივს მიაგებდა მეფე დავით აღმაშენებელი(1089-1125). იგი დავით აღმაშენებლის მეფობის დროს სწავლობდა კონსტანტინეპოლის-მანგანის წმინდა გიორგის მონასტერთან არსებულ აკადემიაში და დაუფლებია იურისტისა და ფილოსოფოსის სპეციალობებს. 1114 წელს დაბრუნებულა საქართველოში და მოღვაწეობა ჯერ პირველად გელათის აკადემიაში ცნობილ დიდ ფილოსოფოსთან იოანე პეტრინთან დაუწყია, შემდეგ კახეთში და ბოლოს შიო მღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა. გარდაცვალების შემდეგ დაუკრძალავთ იყალთოს აკადემიის შენობის ეზოში. „იყალთოში მას აკადემია უნდა დაეარსებინა 1120-იან წლებში“(5,3) გადმოცემით, დიდ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოაზროვნეს, უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შოთა რუსთაველსაც აქ უსწავლია. ამ ფაქტის გამოა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში დაფუძნებულ საზოგადოებრივ აკადემიაში ტრადიციად დამკვიდრებულ შოთაობას იყალთოელებთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს. ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ამ თემაზე, ხალხის უდიდესი პატივისცემის გამოსახატად, ბევრი მასალა შემოგვინახა.

XII საუკუნის საქართველოში, იყალთოსა და გელათის აკადემიები განათლების მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ. ასევე სავარაუდოა , რომ უმაღლესი განათლების კერები არსებობდა შიომღვიმეში(ქართლი) აკადემიის სახით და გრემში, რომელიც თელავიდან 18 კილომეტრზე მდებარეობს. იგი XVI საუკუნეში კახეთის სამეფო დედაქალაქი იყო. დავით აღმაშენებელმა საზღვარგარეთიდან მოიწვია ცნობილი სწავლული თანამემამულენი და მუშაობისათვის კარგი პირობები შეუქმნა: „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ { მხოლოდ } სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანასა კიდეთათ, სადაცა ესმა ვისიმე სინმინდე, სიკეთე სისრულე, სულიერთა და ხორციელთა სათნოებათა აღსავსეობა . . . მოიყვანა და დაამკვიდრა მას შინა . . . [შესწირა] მამული ლიპარიტეტი (ლიპარიტ ბალვაშის ყოფილი მამული)...და უზრუნველი ტრაპეზე განუჩინა.“ (1. 26).

1938 წელს შეისწავლეს აკადემიის შენობა. გამოავლინეს სამჭედლო სახელოსნო: “ნაპოვნი იქნა XII საუკუნის კერამიკის ფრაგმენტები და სეფიანთა დინასტიის ვერცხლის ფული. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იყალთოს აკადემიასთან, გარდა იმ დროს სხვა აკადემიებისათვის დამახასიათებელი ზოგადი მეცნიერული დისციპლინებისა(ლვთისმეტყველება, ფილოსოფია, ასტრონომია, რიტორიკა და სხვ.) ისწავლებოდა აგრეთვე ხელოსნობის ზოგიერთი დარგი: მჭედლობა, კერამიკა, ანუ „მეცნიერება“, როგორც მას მაშინ უწოდებდნენ, და სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი-მეცნიერება-მედვინეობა“ (5,4).

სავარაუდოა, რომ იყალთოს აკადემიის შენობასთან მეცნიერების ყველაზე დიდი მეურნეობა არსებოდა პატარა ქოცებით გამართული მარნით, სადაც ღვინის სხვადასხვა წესით დაყენებას აწარმოებდნენ, მარანში ამაღლებული ნაწილი, ვარაუდით, მაშინდელი მეღვინის კათედრის ფუძე იყო, სადაც ტარდებოდა კვლევითი საცდელი მუშაობა მეცნიერება-მედვინეობაში.

იყალთოს სკოლა-აკადემია საუკუნეების განმავლობაში ქართული მეცნიერული და კულტურის დიდი კერა იყო. შემორჩენილია გამოჩენილი მოაზროვნეების არსენ იყალთოელისა და სხვა აქ მოღვაწეთა ნაშრომები.

იყალთოს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ძველი აკადემიის ნანგრევებზე ცოდნის ახალი კერა შეიქმნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტის სახით. მასში გაერთიანებული წევრები ოთხ ფაკულტეტზე იღებდნენ განათლებას. კერძოდ:

- ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური;
- ბ) ლიტერატურა - ხელოვნება;
- ც) სასოფლო-სამეურნეო;
- დ) მედიცინა.

აქ არა მარტო იყალთოელები ეუფლებოდნენ მათთვის საჭირო, საინტერესო საკითხების შესწავლას, არამედ მთელი ამ რეგიონის და მისი მეზობელი სოფლების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და სწავლებაში სტიმულის მიმცემი იყო აქ ჩამოსული გამოჩენილი ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებული ლექცია-მოხსენებები პრაქტიკული სამუშაოებითურთ. იყალთოს აკადემიის მხცოვან მსმენელებს დღესაც ახსოვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებთან შეხვედრები და მათ მიერ ჩატარებული სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებები. კერძოდ : გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ე. ხარაძე, გ. წერეთელი, პროფესორები : შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, გ. ბერიძე და სხვა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

“ მაშასადამე, გელათისა და განსაკუთრებით კი იყალთოს აკადემიების მაგალითზე აშკარა ხდება, რომ უმაღლესი სკოლა თეორიული განათლების გარდა, ახალგაზრდობას ცხოვრებაში გამოსაყენებელი პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებითაც აიარაღებდა. ტრივიუმ – ქვადრივიუმის სასწავლო დისციპლინების ციკლს ემატებოდა არა მარტო იურისპრუდენცია და მედიცინა, არამედ აგრონომია, მეცნიერება(კერამიკა) ანუ მეჭურჭლეობა, მეტალურგია.“ (6.303). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალხური გადმოცემითა და რიგი მეცნიერების შეხედულებებით იყალთო - გელათის აკადემიების გარდა გრემისა და შიომღვიმის აკადემიებიც არსებობდა, რომლებსაც დიდი სარგებლობა მოჰკონდა საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურის აღმავლობისათვეს.

ალავერდის ეპარქიაში, სულიერი ცხოვრების პარალელურად ბევრი პოზიტიური საქმე კეთება მეუფე ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის(მახარაძის) თაოსნობით. იგი სოფლის მეურნეობისა და არქიტექტურის გარდა საგანმანათლებლო სფეროსაც ეხება, ახალგაზრდობის სწავლა - აღზრდაზე ზრუნავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თელავში გახსნა ალავერდის ეპარქიაში არსებული სკოლა, რომელსაც სათავეში თვითონვე ჩაუდგა.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იყალთოში პროფესიული ტრადიციები გაგრძელდება, ქვევრის სკოლა - აკადემიის “ სახით, მით უფრო ნიშანდობლივია რეგიონალურ-პოლიტიკური თვალსაზრისისთაც. აქ ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითთან ერთად, ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა და ალავერდის ეპარქიის სამღვდელოებამ აკურთხეს ქვევრის სკოლა-აკადემიის “ ქვევრის სახლი“ -ს საძირკველი, სადაც ჩადებულ ლითონის სპეციალურ კაფსუ-

ლაში მოხსენებულია მშენებლობის იდეის ავტორი და განმახორციელებელი . იგი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს, პროექტის ღირებულება კი 2 290 366 ლარია.

პროექტის მიზანია საქართველოში, განსაკუთრებით ალავერდის ეპარქიაში, რომელიც ქალაქების თელავისა და ახმეტის რაიონებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს – საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება, კონკრეტული ტრადიციული შრომითი პროფესიის ქვევრისა და თიხის ჭურჭლის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენა და ამ პროფესიაში ცოდნის საგანმანათლებლო მომავალი თაობებისათვის გადაცემა, ამ საქმით დაინტერესებულ პირთათვისაც - უწყვეტი განათლების მსურველთათვის, განსაკუთრებით კი რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესების გაზრდა მივიწყებული შრომითი ტრადიციული პროფესიის მოძიების მიმართ , შემდგომ მისი დამზადების ტექნოლოგია, თიხის დამუშავების ძირძველი ტრადიციის შენარჩუნება უახლესი ტექნოლოგიური ბაზის დახმარებით. მიღებული პროფესიით რეგიონშივე

კურსდამთავრებულთა დასაქმება. ამასთან ერთად გათვალისწინებულია სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული და ტურისტულ – რეკრეაციული ფუნქციების განვითარებაც.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ბიძგი მიეცემა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის „მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ“ ანუ „მთის კანონის“ განხორციელებასაც, რის შედეგადაც, მთაში ბიზნესი გადასახადებისაგან თავისუფლდება, ექიმები, ექთნები, პედაგოგები სახელფასო დანამატს იღებენ, პენსიონერებს პენსია 216 ლარი გაუხდათ. ამ დასახლებაში ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს შორის მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კანონის საფუძველზე პანკისის ხეობასაც აქვს მინიჭებული, ეს კი პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ამ რეგიონიდან მოსახლეობის გადინებას შეამცირებს , განსაკუთრებით ახალგაზრდებისას, ვიმედოვნებთ დასაქმების პრობლემასაც პოზიტიურად გადაჭრის.

„ქვევრის სკოლა-აკადემიაში“ დამზადებული პროდუქციის ანუ თიხის ნაწარმის შეძენის შესაძლებლობა ყველას ექნება . ტურისტებს ინტერესის მიხედვით შეეძლებათ თეორიულ-პრაქტიკულად შეისწავლონ თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია, რომლის ეფექტურ შესწავლასაც ერთიორად გაზრდის სასწავლებელთან არსებულ მუზეუმში გამოფენილი უძველესი თიხის ჭურჭელი.

სამსართულიან ადმინისტრაციულ შენობასთან არის ერთსართულიანი საწარმო ანუ ქვევრის დასამზადებელი საამქრო , რომელიც ელექტროენერგიისა და წყლის გარდა აღჭურვილია საკანალიზაციო, სანიაღვრე , გათბობისა და გაგრილების , განიავების და გაზმომარაგების სისტემების მოწყობა. აქვეა ბიბლიოთეკა და ინტერნეტ-კაფე.

„ქვევრის სკოლა-აკადემიას“ დაარსება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იუნესკოს მიერ ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს მეთოდს უკვე მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც ერთი-ორად გაზრდის ამ პროფესიით არა მარტო ახალგაზრდების, ტურისტების, არამედ უფროსი ასაკის პირთა დაინტერესებასაც.

უაღრესად დიდია ასეთი სახის სასწავლებლის საგანმანათლებლო-აღმზრდებულობითი მნიშვნელობა, რადგანაც ზოგად განათლებასთან ერთად მხოლოდ რაიმე ხელობას კი არ შეასწავლის ახალგაზრდას, არამედ ფართო პროფესიულ განათლებას მისცემს მას, რაც შემდგომში საშუალებას აძლევს ადვილად აითვისოს მონათესავე პროფესიები ახალი ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით. ზუსტად ასეთი კადრების მომზადება ესაჭიროება დღეს თანამედროვე სოფლის მეურნეობას. სასწავლებლის კურსდამთავრებული თეორიულ-პრაქტიკულად მზად იქნება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რაც ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მოთხოვნაა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემისათვის.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება გაკვეთილი, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა. დიდაქტიკაში ცნობილი გაკვეთილის ტიპებიდან ამ შემთხვევაში კომბინირებული გაკვეთილის გამოყენება მიგვაჩინია საჭიროდ, მაგრამ სასწავლო მასალის, საგნის სპეციფიკურობისა და მეცადინეობის შინაარსის შესაბამისად გაკვეთილი თავისებურ სახეს მიიღებს. მეცადინეობის პროცესში ინტერაქტიურ მეთოდებს ასაკობრივი ანუ სასწავლებლის საფეხურების მიხედვით გამოვიყენებთ სიუჟეტურ -როლებიან თამაშს, გონებრივ იერიშს, დისკუ-

სიას და ა.შ.ეს მეთოდები განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელთა გამოყენება მეცადინეობის პროცესს უფრო ეფექტურს ხდების, ხოლო მოსწავლე უფრო პოზიტიურად განეწყობა გაკვეთილისადმი და ხალისიანად ჩაერთვება საგაკვეთილო პროცესში . სასწავლო აქტივობების არჩევისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ახალგაზრდების ცოდნა და უნარი, მათი შესაძლებლობები და გამოცდილება.

იყალთოს აკადემია, რომელიც XII საუკუნის შემდგომაც აგრძელებდა მუშაობას, აქ საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მრავალმა მოქალაქემ მიიღო მათვის სასურველი საფუძვლიანი განათლება კონკრეტული დარგების მიხედვით, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, რომლებიც რეგიონისათვის საჭირო პროფესიებს ეუფლებოდნენ, შემდეგ ეფექტურად იყენებდნენ თავიანთი რეგიონისა და ქვეყნის სულიერ-მატერიალური კულტურის გასამდიდრებლად და პირადი საჭიროებისათვის.

XXI საუკუნის იყალთოში პროფესიულ ტრადიციებს ქვევრის „სკოლა - აკადემია“ გააგრძელებს, რომელიც მეცნიერების, პედაგოგების, მშობლების, სხვადასხვა უწყებების, დამსაქმებლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების მუდმივი თანამშრომლობის საზრუნავი გახდება.

ყურადსალებია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე ზრუნვა, რადგანაც სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. ასეთი სახის მოსწავლეების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენს მოზარდების მშობლების ინფორმირება და მათ მიერ შვილებთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება. მშობლები პედაგოგებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე უფრო ახლოს გაეცნობიან „ქვევრის სკოლა-აკადემიის“ სასწავლო პროგრამას, მისი შესრულების გზებს, საშუალებებს და დაეუფლებიან ისეთ ხერხებს, რომლებიც სარგებელს მოუტანს მათ შვილებს იმ უნარჩვევების გამომუშავებაში, რაც საჭირო იქნება კონკრეტული პროფესიის ასათვისებლად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდების მშობლები პრაქტიკულად მიეხმარებიან შვილებს სხვადასხვა სახის დავალებების შესრულებაში ზოგ შემთხვევაში პასუხისმგებლობას აიღებენ საკუთარ თავზე რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, ეს გამოიწვევს პედაგოგებისათვის ტვირთის შემსუბუქებას . ჯანმრთელი შვილების მშობლები ზემოთ ჩამოთვლილის გარდა პედაგოგებთან ერთად უზრუნველყოფენ მოსწავლეების ვიზიტს ავადმყოფ, მოხუც და მარტოხელა რეგიონში მაცხოვრებელ მოსახლეობას დახმარების მიზნით . უწყვეტი განათლების მსურველები მოზარდებთან მუშაობით უფრო დიდ გამოცდილებასაც მიიღებენ და თავს იგრძნობენ უფრო საჭირო, სასარგებლო და ღირებულ ადამიანებად. ასეთი ქმედება პედაგოგისათვის მასტიმულირებელია.

მიგვაჩნია, რომ „ქვევრის სკოლა-აკადემიასა“ და მისი ანალოგიური სახის სასწავლებლებისათვის სპეციალურად დამუშავებული მშობელთა „გზამკვლევებია“ საჭირო, რომლებიც განათლების სამინისტროს მიერ სპეციალური პროგრამების მიხედვით შემუშავდება.

საგნის სპეციფიკურობის(ტრადიციული ხელობის) სწავლა- სწავლებისას ანუ ამ კერძო შემთხვევაში მშობელს აუცილებლად უნდა მიეთითოს თუ როგორ იმუშაონ შვილებთან, ინფორმაცია მიაწოდოს და მოამზადოს თეორიულ-პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად უსაფრთხოების ტექნიკის წესების მკაცრი დაცვით.

„ქვევრის სკოლა-აკადემიის“ მუშაობის პროცესში მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ სპეციალისტებისა და ფინანსობების რეკომენდაციები აქტუალურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ასევე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებებზე, კრიზისულ პერიოდებზე, ინკლუზიურ განათლებაზე, ჰიგიენაზე, ზოგადი ცხოვრების ჯანსაღ წესზე, წიგნიერებისა და სახელოსნოსგარეშე აქტივობების ეფექტურად გამოყენებაზე.

პრაქტიკული სწავლების პროცესში საჭიროა მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომა. ნამუშევრები შესრულდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, რომლის დროსაც მიეცემათ საზიარო კომპლექსური დავალება. ჯგუფური მუშაობა მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში, რაც ერთობლივ ძალისხმევას- ამოცანების ერთობლივად გადაჭ-

რას ანუ საერთო ნაკეთობის დამზადებაზე შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს. მოსწავლეები უკეთ გაეცნობიან თიხაზე მუშაობას, მათ თვისებებს, ქვევრების გარდა, დაამზადებენ გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებს: ქოთნებს, საყვავილებს, სასანთლებს, საშანდლებს, სასაკ-მეველს, სასმელ ფიალებს, კეცებს და სხვა. უკეთ გაეცნობიან დეკორატიულ- გამოყენებით ხელოვნებასაც და ძირითადად შემოქმედებითად იმუშავებენ ამა თუ იმ თიხის ნაკეთობებზე. აქ თბილ გარემოში, განიტვირთებიან და თავიანთ კრეატიულობასა და შინაგან რესურსებს უფრო კარგად გამოავლენენ, განსაკუთრებული მზრუნველობით მოეკიდებიან უნარშეზღუდულ მოსწავლეებს მშობლებთან და მთელი სასწავლებლის პედაგოგიურ შემადგენლობასთან ერთად.პერიოდულად მოეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და მათი გაყიდვაც, რაც ერთგვარ სტიმულს მისცემს მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის.

“ქვევრის სკოლა- აკადემიაში” შეიქმნება ეფექტური საგანმანათლებლო გარემო, რომელიც კეთილგანწყობილი იქნება არა მარტო მოზარდების, არამედ უწყვეტი განათლების მსურველთათვისაც.

მაშასადამე :

1. ქვევრის სკოლა-სახელოსნოს სასწავლო გეგმის განხორციელების ხელშესაწყობად მნიშვნელოვნად მიგვაჩინია სასწავლო შედეგების ეფექტურად მიღწევის გზებსა და საშუალებებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა. პირველ რიგში ანგარიში უნდა გაეწიოს მოსწავლეთა თეორიულ-პრაქტიკული მუშაობის სპეციფიკას ანუ სასწავლო დროის გამოყენების მიზნით აუცილებელია ამა თუ იმ ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინება, ანუ ის უნარ-ჩვევები, რომელიც საჭიროა მოცემული თიხის ნაწარმის დასამზადებლად. აქ მთავარია მათი სურვილებისა და ინტერესების, უსაზღვრო ფანტაზიის, ემოციათა სამყარო, მათი უშუალობის, დამოუკიდებლობის, რომანტიკისა და ა.შ. გათვალისწინება;

2. მნიშვნელოვნად მიგვაჩინია სასწავლო შედეგების ეფექტიანობის ასამაღლებლად ყოველგვარი სასწავლო რესურსის გამოყენება., რომელიც შესასწავლ საგანთან იქნება თანდართული- სარეკომენდაციო, მეთოდური, სანიმუშო აქტივობები. მაგ: პედაგოგისათვის მეთოდიკური სახელმძღვანელოები საგნის საფეხურების მიხედვით, საგნის გზამკვლევი, მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოები, სხვადასხვა საინფორმაციო მისაწვდომობის გაზრდა – აქტივობები, სიმულაციები, ანიმაციები, საგანმანათლებლო თამაშები, ვიდეომასალა და ა.შ. პედაგოგები ფართოდ უნდა იყენებდნენ სწავლების თანამედროვე მიდგომებს, საგანთაშორისი კავშირების ვიზუალიზაციას. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურად და ეფექტურანად გამოყენების დემონსტრირება და მათი სწავლების პროცესში სისტემატურ დანერგვას;

3. მოსწავლეთა საქმიანობის გამრავალფეროვნება შემოქმედებითი-პრაქტიკული საქმიანობის პროცესში და რაციონალური დასვენების შეხამება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ახალგაზრდათა ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა, ეს კი ნაკეთობის ხარისხისა და რაოდენობის გაზრდის საფუძველია ;

4. უწყვეტი განათლების სისტემის არსებობა ხელს უწყობს უფროსებისაგან ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილების გაზიარება-ზრდას, მათ ინიციატივას, ამით მომავალ კარგ ხელმძღვანელთა და პედაგოგთა სამჭედლოც მზადდება. ეს თაობათა ურთიერთობაზე პოზიტურად იმოქმედებს;

5. ყველა ხელთარსებული რესურსი უნდა გამოვიყენოთ, რათა რეგიონის ახალგაზრდები შრომითი ბაზრისათვის მოვამზადოთ, რისი საფუძველიც თავიდანვე უნდა შევქმნათ და სკოლის მერხიდანვე პოზიტიურად განვაწყოთ მოზარდები ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და კონკრეტული დარგის მაღალკალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად. პროფესიული განათლება გავხადოთ უფრო მიმზიდველი ვიდრე არის. ყველა პირობა შევქმნათ იმისათვის, რომ ახალგაზრდები დადებითად განვაწყოთ აუცილებლად საჭირო რეალიზებადი პროფესიების მიმართ;

6. სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრეთა მიერ მიწების გასხვისება-ძირითადად უცხოებზე კანონით უნდა აიკრძალოს, ხოლო გაყიდული მიწები უკან გამოისყიდონ, რათა საქარ-

თველოს თვითეული რეგიონი მთელი გარშემო ტერიტორიების საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეს ისე, როგორც ეს XII საუკუნეში იყო, მის შემდგომ და ეხლაც გრძელდება იყალთოში. ამ მხრივ სასურველია ყველა ეპარქიამ მიბაძოს დავით ამბა ალავერდელს, მისი ეპარქიისა და თანამედროვე შრომის ბაზრის რეალიზებადი პროფესიის მქონენი მოამზადონ. მოხდეს ყველა ასაკის მსურველთა პროფესიული განვითარება არა მარტო რეგიონის მოსახლეობიდან, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლოს ამ კოკრეტული პროფესიის დაუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, საქართველოს განათლების მატიანე, თბილისი, 2015 წელი. (26 გვ.)
2. ქ. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, მოამბე, #12, 2012 წ: გვ. 104-108
3. ქ. ალავერდი, ალავერდის ეპარქიის სეზონური გამოცემა, ზაფხული, #2/10, 2015 წ.
4. ლომიძე ზურაბი, იყალთო: [მე-5 სამონასტრო გზამკვლევი]-თბილისი. 1968, გვ. 3
5. ალ. მამულაშვილი, იყალთოს აკადემია, თბილისი, 1948 წ. გვ. 3-4
6. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი პროფ. ნ. ვასაძე, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი-1988 წ. გვ. 303

ТАМАРИ ГОГОЛАШВИЛИ

профессор Государственного университета Ильи
ТРАДИЦИИ АКАДЕМИИ ИКАЛТО ПРОДОЛЖАЮТСЯ В
ВОЗРОЖДЕННОЙ «ШКОЛЕ-АКАДЕМИИ КВЕВРИ»

Статья посвящена просветительской и профориентированной работе, проводимой в академии Икалто, традиции которой поддерживаются в Грузии и сегодня. Академия восстановила мастерскую Квеври, деятельность которой очень важна не только с точки зрения педагогических основ воспитательной работы, но и для регионального экономического развития. В немалой степени этому способствовало то обстоятельство, что по решению Юнеско старинному грузинскому методу приготовления вина в квеври был присвоен статус нематериального, культурного наследия; помимо этого, Парламентом Грузии был принят закон «О развитии высокогорных регионов», давший зеленый свет любителям традиционного виноделия. В статье приводятся также педагогические советы и рекомендации.

TAMARI GOGOLASHVILI

THE TRADICIONS OF IKHALTO ACADEMY ARE BEING CARRIED ON BY REVIVAL OF
“THE SCHOOL OF KVEVRI”

Summary

(Kvevri is a large egg-shaped vessel made of potter's clay, where wine is kept and is put under ground)

This scientific work contains information about the educational professional work at Ikhalto Academy, whose traditions are being carried on by starting working of the work – shops of the schools of „Kvevri“, which was supported by the fact, that the ancient methods of making wine in kvevri was given a status of the monument of non – material cultural inheritance by UNESCO, as well as the mountain law, which was passed by the parliament.

The work contains some pedagogical helpful advice and recommendations.

პედაგოგიური ფსიქოლოგია

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

სხავლის ფსიქოლოგიური პუნქტისა და განვითარების მიზანთაბის საკითხების საკითხებისათვის

ზოგადად სწავლას უწოდებენ ისეთ აქტივობას, რომელშიც რაიმე ცოდნა-ჩვევა შეიძინება. ეს განსაზღვრება ყველაზე მარტივია და აკმაყოფილებს სწავლის ცნების ძირითად მოთხოვნას. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, ადამიანი სწავლობს, ე.ი. ცოდნას იძენს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ხშირად ჩვენ ვსწავლობთ საამისო მიზანდასახულობის გარეშე, გაუცნობიერებლად, ისე, რომ ვერც კი ვამჩნევთ, რომ ვიძენთ ცოდნას. მაგალითად, ვსწავლობთ თამაშის, გართობისა და შრომის დროსაც. სკოლამდელ ასაკში ბავშვი ძირითადად სწავლობს, იძენს ფართო ცოდნასა და გამოცდილებას შესაბამისი განზრახვისა და მიზანდასახულობის გარეშე. ამასთან ხშირად ასეთი მიზნის დასახვა არც კი შეუძლია. ასე ეუფლება იგი პრაქტიკულ ენას, ეცნობა საგნებსა და მოვლენებს, იძენს ასაკის შესატყვის მარტივ ჩვევებს და ა.შ. გართობისა და შრომის შემთხვევაშიც ჩვენ ცოდნას ვიძენთ ისე, რომ სრულიადაც არ ვართ მომართულიცოდნა-ჩვევის შესაძნად; ვაკეთებთ სხვა რამეს, მაგრამ ჩვენდა უნებლიერ ვიძენთ ცოდნას. პროფესორი შ. ჩხარტიშვილი სწავლის ასეთ ფორმას მოტივაციურ საფუძველს მოკლებულ, ლატენტურ ანუ ფარულ სწავლას უწოდებდა (5,59). ასე რომ, თუკი ლაპარაკია საზოგადოდ სწავლაზე, ანუ ცოდნის მიღებაზე, ამას ადგილი აქვს მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე.

სწავლის ზემოაღნიშნული ფორმისაგან არსებითად განსხვავდება სასკოლო სწავლება-სწავლა, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს მოსწავლეს, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო ქცევის სუბიექტს. თუ ლატენტური სწავლის დროს სწავლა მოკლებულია ყოველგვარ მოტივაციურ საფუძველს, სხვა ქცევაში ჩართული ადამიანი ცოდნას იძენს უმოტივოდ, ამჯერად, სწავლა ხდება ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც მოითხოვს მოსწავლის საგანგებო განზრახვასაც და სწავლის სათანადო მოტივსაც. სასწავლო ქცევაში სუბიექტის მონაწილეობა აქტიურ ხასიათს ატარებს, ხოლო თავად ეს აქტიურობა ობიექტივაციის პროცესს გულისხმობს. სწავლის სუბიექტი (მოსწავლე) ობიექტივირებული შინაარსის უკეთ შესწავლას ესწრაფვის და იქ, სადაც ობიექტივაცია სათანადოდ არაა მომწიფებული, შეუძლებელია ნამდვილი სწავლის შესახებ ვილაპარაკოთ, - ამბობს დ. უზნაძე (3, 69-70).

ადამიანი, თავისი ბუნებით, პროსპექტული არსებაა. იგი წინ იხედება. მის ყოველდღიურ საქმიანობასაც ხშირად ხვალინდებილი დღის, მომავალი ცხოვრების ინტერესები განსაზღვრავს. მართალია, ეს მომავალი შეიძლება დროში ძალიან მცირეც იყოს დადიდოც, მაგრამ ამით ადამიანის პიროვნების არსი არ იცვლება. ყველა შემთხვევაში იგი მომავლის ამოცანათა გადასაწყვეტად მოწოდებულ სისტემად რჩება და შორეული მოტივაციური ქცევის სუბიექტად გვევლინება. ვფიქრობთ, სასწავლო ქცევაც, ისევე, როგორც ადამიანის შრომითი საქმიანობა, არსებითად შორეული მოტივაციური ბუნების მქონე აქტივობაა.

შორეულ მოტივაციურ ქცევას ჩვენ ადამიანის ისეთ აქტივობას ვუწოდებთ, რომელსაც აქტუალურ მოთხოვნილებებთანუშუალო კავშირი არ აქვს. ეს ქცევა არასდროს ემყარება იმ მოთხოვნილებების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილებების პირობებსაც თვითონ ჰქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევის სტრუქტურაში კი არ მოიაზრება და მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ეს მომავალი ერთ შემთხვევაში შეიძლება საათებით გაიზომოს, მეორეში კი - წლებითაც. ამასთანავე,

შორეული მოტივაციური ქცევის შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის ან საზოგადოების ინტრესები-სათვის. ბუნებრივია, ასეთი შედეგიშეუძლებელია უშუალო კავშირში იყოს აქტუალურ მოთხოვ-ნილებებთან. იგი სუბიექტის ახლანდელი, მომენტალური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად იქმნება და მას ყოველთვის გარკვეული ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულებააქვა [1] [2]. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ობიექტური ღირებულება წებისყოფითი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს, განსხვავებით აქტუალურ მოთხოვნილებებთან უშუალო კავშირში მყო-ფი სუბიექტური ღირებულებისაგან, რომელიც იმპულსურ ქცევას ედება საფუძვლად [4], გასა-გები ხდება, რომ შორეული მოტივაცია, არსებითად, წებისყოფითი ქცევის მოტივაცია ყოფილა, შორეული მოტივაციურიქცევა კი - წებისყოფითი ქცევა.

რაც შეეხება სუბიექტური და ობიექტური ღირებულებების ცნებებს, განვმარტავთ, რომ ისინი დაკავშირებულია სპეციფიკურ-ადამიანურ თავისებურებებთან, კერძოდ, ადამიანი, ცხო-ველებისაგან განსხვავებით, ცხოვრობს რამუდმივ ნივთთა სამყაროში, საგნებსა და მოვლენებ-სმისთვის აქვს როგორც სუბიექტური, ისე მუდმივი, ჩვენი აწმუოს მდგომარეობისაგან დამოუ-კიდებული ობიექტური ღირებულება. მაგალითად, ჩვენ გვშია თუ არა, პურს ჩვენთვის ყოველ-თვის აქვს ობიექტური ღირებულება. ცხოველისათვის, ისევე როგორც პატარა ბავშვისთვის, პურის ნაჭერს აქვს მხოლოდ სუბიექტური ღირებულება, რომელიც იცვლება შიმშილის მოთ-ხოვნილებისინტენსივობის შესაბამისად. ობიექტური ღირებულება არ ექვემდებარება ასეთ ცვალებადობას. სწორედ ამიტომ ობიექტური ღირებულება ასრულებს წებისყოფითი ქცევის მოტივის ფუნქციას, სუბიექტური ღირებულება კი გამოდის იმპულსური ქცევის მოტივის როლში.

ასე რომ, შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე წებისყოფითი ქცევის მოტივი ყო-ველთვის ობიექტური ღირებულებაა. ისევე, როგორც შრომა, მოსწავლის სასწავლო ქცევაც, როგორც გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახე, შორეული მოტივაციური ბუნების მქონე წების-ყოფითი ქცევაა. სულ ერთია სწავლობს მეათორმეტეკლასელი უმაღლესი მათემატიკის ელემენ-ტებს, თუ პირველკლასელი ეუფლება ანბანს, ამას, სწავლის მოტივაციური აგებულებისა და მისი ფსიქოლოგიური ბუნების თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს. ორივე შემთხვევაში სწავლას სოციალური, საზოგადოებრივი დეტერმინაცია აქვს. მოსწავლე მიმართულია სწავ-ლის შედეგზე და არა პროცესზე, სწავლის პროცესთან დაკავშირებულ სიამოვნება-უსიამოვნე-ბის გრძნობაზე. ასეთ ვითარებას ადგილი აქვს, თამაშის დროს, ხოლო სწავლის შინაგან, ფსიქო-ლოგიურ დეტერმინანტს ყოველთვის აუცილებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან, გარკვეული ობიექტური ღირებულების შექმნასთან, ე.ი. ცოდნა-ჩვევის შეძენასთან დაკავშირე-ბული სოციალური დატვირთვის მქონე მიზნები და მოტივები შეადგენენ. თუ თამაშის არსი თა-მაშია და ამ ქცევის გარეთ მას სხვა მიზანი არ გააჩნია, სწავლის მიზანი სასწავლო ქცევის გა-რეთ ნაგულისხმევ შედეგშია. თუკი თამაში პროცესუალურია და მას ამ პროცესში განცდილი სიამოვნება თუ კმაყოფილება ამართლებს, სწავლა შედეგზეა ორიენტირებული და მას ამ შე-დეგის მნიშვნელობა დაობიექტური ღირებულება აძლევს აზრს. სწავლა შეიძლება სასიამოვ-ნოც იყოს და არასაიამოვნოც, მაგრამ მოსწავლისათვის მთავარია არა სწავლის დროს განცდი-ლი გრძნობები, არამედ სწავლის შედეგი, სათანადო ცოდნა-ჩვევის შეძენა. ამიტომაცაა, რომ მოსწავლე ხშირად დიდ ძალისხმევას მიმართავს ამ შედეგის მიღწევისათვის, მაშინ როდესაც თამაში მაშინვე წყდება, როგორც კი იგი უსიამოვნებად გადაიქცევა ბავშვისათვის. საგულის-ხმოა, რომ მაშინაც კი, როდესაც სწავლის სუბიექტის ქცევას უძლიერესი სასწავლო ინტერესე-ბი და თეორიული მოთხოვნილებები აღძრავენ და სწავლაც სახალისოა, მოსწავლის ცნობიერე-ბას მხოლოდ ამ მოთხოვნილებების დაკავშირებული „მე უნდა“-სგანცდები ჰქმნიან. ეს ფენომენოლოგიური მხა-რე ყოველთვის თან ახლავს სასწავლო ქცევას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის გარეშე, ასეთიპასუხისმგებლობისა და ვალდებულებისმომენტის გარეშე სწავლა თამაშს დაემსგავსებო-და. ასეთ შემთხვევაში, როგორც სამართლიანად შენიშნავს. ჩხარტიშვილი, მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, რაც მხოლოდ თავისთავსა და თავის დაკავშირფი-

ლებაზე ზრუნვას გულისხმობს, ჩვენ ვერ ავხსნიდით მოსწავლის სერიოზულ, პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას სწავლისადმი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ის, რაც სწავლის, როგორც მოსწავლის ქცევის დამოუკიდებელი ფორმის შესახებ ითქვა, შეიძლება განვავრცოთ და განვაზოგადოთ სტუდენტის სასწავლო მოქმედებაზეც. ერთიც და მეორეც შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე გონიეროვი შრომის სახესხვაობებია. სწავლის მოტივი ორივე შემთხვევაში მისი შედეგის, ე.ი. ცოდნა-ჩვევის ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულებაა და არა აქტუალურ, წარმავალ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული და გრძნობებში გამოხატული ამ ქცევის მომენტალური სუბიექტური ღირებულება. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შეიძლება ორივე შემთხვევაში განზოგადებულად ვიღლაპარაკოთ სწავლის განწყობის შესახებაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც მოსწავლის, ისე სტუდენტის განწყობა სწავლისადმი, ძირითადად, ერთნაირი თავისებურებებით ხასიათდება. მოკლედ შევჩერდეთ ამ საკითხებზეც.

სწავლისსუბიექტს (მოსწავლეს თუ სტუდენტს) სწავლის განწყობა რომ შეექმნას (იქნება ეს სწავლის შედარებით ხანგრძლივი, ე.წ. პერმანენტული განწყობა, თუ განწყობა მოცემული კონკრეტული მასალის დასწავლისადმი, გაკვეთილის თუ ლექციის მოსმენისადმი), მას, უპირველესად, უნდა ჰქონდეს სწავლის მოთხოვნილება. ცნობილია, რომ სკოლისადმი მოსწავლეთა თავდაპირველ სწრაფვას სწავლის მოთხოვნილებაც განსაზღვრავს. ბუნებრივია, უნივერსიტეტიც მოდიან ასეთი მოთხოვნილების მქონე ახალგაზრდები. მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ სწავლის განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორი იმთავითვე თვალსაჩინოა, მაგრამ ყოველთვის ასე როდია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი მოთხოვნილები სხვადასხვა ძალისაა, მუდმივი და ყოველთვის აქტუალურიც არაა (ყველა საგნის მიმართ მაინც), ასეთ შემთხვევაში, სწავლის განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორის როლში ნებისყოფა უნდა გამოვიდეს. როდესაც მოზარდს არც სწავლის მოთხოვნილება აქვს და არც სათანადოდ განვითარებული ნებისყოფა, მაშინ მის სასწავლო აქტივობას განსაზღვრავს სწავლისადმი სრულიად უცხო, ჰეტეროგენული მოტივები და სწავლაც მძიმე, იძულებითი ხასიათის ქცევად განიცდება. აქედან ნათელია, რომ სასაწავლო- შემცნებითი მოთხოვნილებების აქტივაციასთან ერთად, მოზარდთა ნებისყოფის განვითარებაზე ზრუნვა სასკოლო და უმაღლესი განათლების მუშაკთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენ უნდა ვზრდიდეთ არა ახლო მოტივაციური, არამედ შორეული მოტივაციური ბუნების მქონე ნებისყოფითი ქცევის განხორციელების უნარით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, არა დღევანდელ დღეზე, ანმყოსმოთხოვნილებებზე მომართულ, არამედ მომავალზე ორიენტირებულ ადამიანებს.

მაგრამ, თავისთვად მოთხოვნილება და ნებისყოფა, როგორიც არ უნდა იყოს მათი განვითარების დონე, ვერ უზრუნველყოფს სწავლის განწყობის შემუშავებას. აუცილებელია ობიექტური ფაქტორიც, შესაბამისი სიტუაციაც. ამ უკანასკნელის როლი სწავლის განწყობის შემუშავებაში განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც მოსწავლეებს და სტუდენტებს შემცნებითი მოთხოვნილებები და ნებისყოფა სათანადოდ არ აქვთ განვითარებული. ამასთან, დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ჭაბუკობის ასაკშია. მართალია, ყოველთვის საჭიროა, მაგრამ განსაკუთრებით ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ობიექტურ სიტუაციაში, ტრადიციულ საშუალებებთან ერთად, შემოვიტანოთ სწავლისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიები, უზრუნველვყოთ მოზარდები საჭირო სასწავლო მასალებით, ყველაფერთან ერთად, ყოველთვის სანიმუშოდ ჩავატაროთ გაკვეთილები თუ ლექციები, გავამდიდროთ ბიბლიოთეკაც, კარგად მოვაწყოთ სამკითხველო დარბაზიც და ა.შ. ყველაფერი ეს დაეხმარება სწავლის სუბიექტს (მოსწავლეს თუ სტუდენტს) ადვილად შემუშაოს სწავლის განწყობა, რომლის საფუძველზეც წარიმართება შემდეგ მისი შესაბამისი აქტივობაც.

ვინაიდან სწავლა შორეული მოტივაციური ქცევაა, ბუნებრივია, სწავლის მყარი განწყობის შემუშავებისა და წარმატებული სწავლისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია, თუ სად და როგორ ხედავს თავის მომავალს სწავლის სუბიექტი. ეს კი უკვე ამ ასპექტითაც მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისა და დღევანდელ სტუდენტთა მომავალში დასაქმების გარანტიების მარად აქტუალური პრობლემის წინაშე გვაყენებს, რომლის გადაწყვეტაც, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მიზანშენონილია სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების ჩვენე-

ული გაგებიდან გამომდინარეც. სწავლა, როგორც შორეული მოტივაციური ქცევა, შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს, რომ სწავლის სუბიექტს ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი მომავალი საქმიანობა თავისსავე დღევანდელ სასწავლო აქტივობასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში სწავლა იქნება უფრო ნაყოფიერიც, მიზანმიმართულიც და შედეგზე ორიენტირებულიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ბარამიძე. შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა. ბათუმი, 1995 წ.
2. ბ. ბარამიძე. აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა. ბათუმი, 2008 წ.
3. დ.უზნაძე. სასკოლო ასაკის პრობლემისათვის, ფსიქოლოგია, ტ. V, თბ., 1948 წ.
4. ჭ. ჩხარტიშვილი. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. თბილისი, 1958 წ.
5. ჭ. ჩხარტიშვილი. ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები. თბილისი, 1980 წ.

НОДАР БАРАМИДЗЕ

**К ВОПРОСУ ВЗАИМООТНОШЕНИЯ
ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ ПРИРОДЫ ОБУЧЕНИЯ И УСТАНОВКИ**

Резюме

Учебная деятельность, как разновидность умственного труда, представляет собой социально детерминированное, отдаленное мотивационное поведение, целью которого является приобретение знаний и навыков, имеющих независимую от нынешнего состояния учащегося объективную ценность. По существу, аналогичное обстоятельство имеется в случае учебного поведения студента. Исходя из этого, можно одинаково охарактеризовать особенности установки учебной деятельности как школьника, так и студента.

NODAR BARAMIDZE

ABOUT EDUCATION PSYCHOLOGY NATURE AND SET DIRECTION SUBJECTS

Summary

According to the author, education, as pupils' basic behavior and students' educational activity is a mental work variety, which have a distance motivation structure. Thus, it makes possible to talk generalized in both cases about education set and author thinks, that pupils' as well as students' education mood, has the same characteristics.

იმარი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სეავლების მთოდების პედაგოგიურ-ფილოგიური საფუძვლები

სამეცნიერო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების პრობლემას ეძღვნება მრავალი კვლევა ფსიქოლოგის და პედაგოგიკის სფეროში.

ფსიქოლოგიაში დიდი ხანია იკვლევენ სწავლებისა და განვითარების ურთიერთკავშირს, ურთიერთგანპირობებულობას. ამ საკითხს იკვლევდნენ მსოფლიოს უდიდესი ფსიქოლოგები: პიაუე, მეიმანი, ჯეიმსი, თორნდაიკი, კოფკა, ვიგოტსკი და სხვა.

განმავითარებელი სწავლების პრობლემები აინტერესებდა მრავალი თაობის პედაგოგებს: კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, ჰერბარტს, უშინსკის და გოგებაშვილს.

ტრადიციული სწავლების მეთოდოლოგიამ თავის განვითარების პიკს მიაღწია მეოცე საუკუნის შუა წლებში. სასწავლო მასალა ხელოვნურად იყო გადიდებული, განმეორებები ორიენტირებული იყო უნარ-ჩვევების განვითარებაზე და ხელს ვერ უწყობდა ბავშვის ინტენსიურ განვითარებას. სწავლება უნიფიცირებული იყო და ახმობდა მოსწავლეთა ინდივიდუალურობის გამოვლენას. საჭირო და აუცილებელი გახდა ფსიქოლოგის ჩართვა სწავლება/სწავლის პროცესში, რადგან განვითარების პროცესს ფსიქოლოგია შეისწავლის.

ფსიქოლოგიური საფუძვლები განმავითარებელი სწავლების ერთიანი კონცეფციის შემუშავებისათვის ჩაიყარა ჯარ კიდევ 1930-ან წლებში ლ. ვიგოტსკის, დ. ელკონინის, ა. ლეონტიევის, ვ. დავიდოვის და სხვათა ნაშრომებში, თუმცა სწავლების აქტიური მეთოდების სისტემატური საფუძვლების შემუშავება ფართოდ დაიწყო მხოლოდ 1960-ანი წლების მეორე ნახევარში და 1970-ანი წლების დასაწყისში პედაგოგების და ფსიქოლოგების პრობლემური სწავლებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში. დიდი როლი სწავლების აქტიური მეთოდების ჩამოყალიბებაში და განვითარებაში ითამაშეს ისეთი მეცნიერების ნაშრომებმა, როგორებიც არიან მ. ბირშტეინი, ტ. ტიმოფეევსკი, ი. სიროეჟკინი, ს. გიდროვიჩი, ვ. რაბალსკი, რ. უკოვი, ვ. ბურკოვი, ბ. ხრისტენკო, ა. სმოლკინი, ა. ვერბიცკი, ვ. ეფიმოვი, ვ. კომაროვი და სხვ.

სისტემურად იქნა დამუშავებული განმავითარებელი სწავლების ორი ძირითადი მიმართულება: გალპერინი, დ. ელკონინი, ვ. დავიდოვის და ლ. ზანკოვის სისტემაში ჩადებული იყო სწავლების ჩატარების პრიციპები სირთულის მაღალ დონეზე, სასწავლო მასალის სწრაფი ტემპით გავლა, თეორიული ცოდნის ამაღლება. აღნიშნულ სისტემას უნდა განევითარებინა მოსწავლეთა აზროვნება, ემოციური სფერო, ესწავლებინა წაკითხულის ზოგადი აზრის, ძირითადი შინაარსის გაგება, გამოყოფა, მაგრამ ამ სისტემამ გამოიწვია სასწავლო განათლების მოცულობის გაზრდა და გაართულა მისი თეორიული დონე. ყოველივე ამან გამოიწვია სწავლების გადატვირთვა და უარყოფითად იმოქმედა მოსწავლეთა ხარისხზე და მოსწრებაზე. სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის დაუფლებაზე გაკეთებულმა აქცენტმა უარყოფითად იმოქმედა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ ლ. ზანკოვის მიერ წარმოდგენილი სწავლების პრინციპებიდან ყველა ვერ დამკვიდრდა პედაგოგიურ მეცნიერებაში.

ვ. დავიდოვის განმავითარებელი სწავლების სისტემა მიმართულია მოსწავლეთა შემეცნების, შემეცნებითი მოღვაწეობის განვითარებაზე. თუ კი ტრადიციულ სისტემაში სწავლა მიმართულია კერძოდან, კონკრეტულიდან, ერთეულიდან ზოგადისაკენ, აბსტრაქტულისაკენ, მთლიანისაკენ, ვ. დავიდოვის სწავლების სისტემაში პირიქითა: ზოგადიდან კერძოსკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ; ცოდნას ითვისებენ მათი გავლის პირობების ანალიზის გზით. მოსწავლეები სწავლობენ სასწავლო მასალაში ძირითადი, არსებითი, ზოგადი დამოკიდებულების აღმოჩენას, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ცოდნის ობიექტის შინაარსს და სტრუქტურას, ამ დამოკიდებულებას ისინი გამოსახავენ განსაკუთრებულ საგნობრივ, გრაფიკულ ან ასოით მოდელებში, რომლებიც იძლევიან სასწავლო მასალის სუფთა სახით შესწავლის საშუალებას; აღნიშნულმა სისტემამ მიიღო ყოველმხრივი გამოყენება და სწავლების პრაქტიკაში დანერგვა.

მ. დანილოვმა და ვ. ესიპოვმა თავიანთ ნაშრომში „დიდაქტიკა“ ჩამოაყალიბეს სწავლების პროცესის აქტივიზაციის ზოგიერთი წესი, რომლებიც ასახავენ პრობლემური სწავლების ორგანიზების ზოგიერთ პრინციპს: მოსწავლეების მიყვანა განზოგადებამდე და არა მათვის მზა განმარტებების და ცნებების მიცემა; მოსწავლეების ეპიზოდურად გაცნობა სამეცნიერო მეთოდებთან; განავითარონ მათი აზრის დამოუკიდებლობა შემოქმედებითი დავალებების მეშვეობით. ამ მიმართულებებში კარგად იყო გამოხატული სწავლების მიზანი, მაგრამ არ იყო აღნიშნული სწავლების პროცესის მიზნის მიღწევის გზები და საშუალებები. შემდგომ, 1965 წელს, სწავლების პროცესის აქტივიზაციის კვლევების ანალიზის დროს მ. სკაქტენი ყურადღებას ამახვილებს ნოვატორი პედაგოგების პრაქტიკაზე და აღნიშნავს მისი კვლევის დასაწყისზე, როგორც ახალი მიმართულება დიდაქტიკაში.

პოლონელი დიდაქტიკოსები ოკონი და კუპესევიჩი მუშაობდნენ პრობლემური სწავლების თეორიაზე, ისინი განიხილავდნენ მას მეთოდის სახით, მაგრამ როგორც სისტემას. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, პრობლემური და განმავითარებელი სწავლება შეიცავს ერთმანეთის ელემენტებს. სწავლების პრაქტიკაში ამ მეთოდების გამოყენებამ გამოიწვია მეთოდების წარმოქმნა, რომლებსაც აქტიური უნდოეს. მათ საფუძვლად უდევს მასწავლებლის და სტუდენტების დიალოგური ურთიერთმოქმედება.

თავიანთი წვლილი სწავლების აქტიური მეთოდების განვითარებაში შეიტანეს ა. მატიუშ-კინმა, ტ. კუდრიავცევმა, მ. მახმუტოვმა, ი. ლერნერმა, მ. ლევიმ და სხვებმა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აქტიური მეთოდების კვლევები ტარდებოდა სასკოლო სწავლების მასალებზე, რამაც განაპირობა აქტიური მეთოდების დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში, რადგანაც საჭირო გახდა აქტიური მეთოდების თეორიის განსაზღვრული ადაპტირება უმაღლესი სასწავლებლის დიდაქტიკური პროცესისათვის. ამასთან დაკავშირებით პერიოდულ გამოცემებში მიმდინარეობდა დისკუსია, ტარდებოდა სპეციალური კვლევებიც, რომლებიც განიხილავდნენ უმაღლეს სასწავლებელში პრობლემური სწავლების სპეციფიკას. ა. მატიუშ-კინმა თავის ნაშრომებში დაასაბუთა აქტიური მეთოდების გამოყენების აუცილებლობა სტუდენტთა სასწავლო მუშაობის ყველა სახეობებში, შემოიღო დიალოგური პრობლემური სწავლების ცნება როგორც მასწავლებლისა და სტუდენტების ერთობლივი აქტივობის პროცესი.

სწავლების აქტიური მეთოდების თეორიის საწყის დებულებებში იყო ჩადებული „აქტივობის საგნობრივი შინაარსის“ კონცეფცია, რომელიც შეიმუშავა აკადემიკოსმა ა. ლეონტიევმა. მასში შემეცნება აღიარებულია აქტივობად, რომელიც მიმართულია საგნობრივი სამყაროს ათვისებაზე. მაშასადამე, ის არის საგნობრივი მოღვაწეობა. როდესაც ადამიანი შედის კონტაქტში გარშემო სამყაროს საგნებთან ის შეიცნობს მათ და მდიდრდება, როგორც სამყაროს შემეცნების (სწავლა და თვითსწავლა), აგრეთვე მასზე ზემოქმედების პრაქტიკული გამოცდილებით.

სასწავლო პროცესში სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ეყრდნობა სწავლების ზოგადდიდაქტიკური პრინციპების ერთობლიობას და შეიცავს თავის სპეციფიკურ პრინციპებს: პროფ. ა. ბალაევის მიხედვით ეს პრინციპებია:

- თანანონადობის (ბალანსის) პრინციპი** სწავლების შინაარსსა და მეთოდს შორის სტუდენტების მზადყოფნის და მეცადინეობის თემის გათვალისწინებით.

- მოდელირების პრინციპი.** სასწავლო პროცესის მოდელს წარმოადგენს სასწავლო გეგმა. მასში აისახება მიზნები და ამოცანები, სწავლების მეთოდები და საშუალებები, მეცადინეობის პროცედურა და რეჟიმი, ყალიბდება კითხვები და დავალებები, რომლებსაც წყვეტენ სტუდენტები სწავლის მსვლელობაში. მაგრამ, მასწავლებლისათვის აუცილებელია საბოლოო შედეგის მოდელირება ანუ სწავლადასრულებული „სტუდენტის მოდელის“ აღწერა.

- კონტროლის პრინციპი.** ეს პრინციპი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის მომზადებას, სტუდენტების მზაობის რეალური დონის თანახმად, მათი ინტერესების გამოვლენას, ცოდნის ამაღლების მოთხოვნილების დადგენას. კონტროლი იძლევა საშუალებას მაქსიმალური ეფექტურობით დაზუსტდეს სასწავლო კურსის შინაარსი, გადაიხედოს სწავლებისათვის შერჩეული მეთოდები. არგუმენტირებულად იყოს დასაბუთებული სწავლების აქტუალურობა და გამოწვეული იქნას სწავლის სურვილი.

4. შინაარსის და მეთოდების სწავლების მიზნებისადმი შესაბამისობის პრინციპი. სასწავლო მიზნის ეფექტური მიღწევისათვის მასწავლებლისათვის აუცილებელია სტუდენტებისათვის ისეთი სასწავლო მოღვაწეობის სახეობების შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად უდგება კონკრეტულ თემის შესწავლას თუ ამოცანის ამოხსნას.

5. პრობლემურობის პრინციპი. ამ შეთხვევაში აუცილებელია მეცადინეობის ისეთი ორგანიზება, როდესაც სტუდენტები იძენენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს იმ სირთულეების და წინაღობების გადალახვის მეშვეობით, რომლებსაც ქმნის პრობლემის დასახვა.

6. „ნეგატიური გამოცდილების“ პრინციპი. პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებასთან ერთად დაიშვება შეცდომებიც, ამიტომაც აუცილებელია ადამიანის ვასწავლოთ შეცდომების თავიდან აცილება. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად სწავლების აქტიურ მეთოდებზე აგებულ სასწავლო პროცესში შემოტანილია ორი სასწავლო ელემენტი: 1. კონკრეტულ სიტუაციებში დაშვებული შეცდომების შესწავლა, ანალიზი და შეფასება. 2. სტუდენტის მხრიდან შეცდომის უზრუნველყოფა ცოდნის და უნარ-ჩვევების შეთვისების პროცესში. სტუდენტებს სთავაზობენ გასაანალიზებელ სიტუაციას ან აძლევენ პრობლემურ ამოცანას, რომელიც ისეა ჩამოყალიბებული, რომ სტუდენტი მისი გადაწყვეტის დროს აუცილებლად დაუშვებს შეცდომას, რაც, როგორც წესი გამოწვეულია საკმარისი გამოცდილების არქონით.

7. პრინციპი „მარტივიდან რთულისაკენ“. მეცადინეობის დაგეგმვა და ორგანიზება ხდება სასწავლო მასალის და მის შესასწავლად გამოსაყენებელი მეთოდების მზარდი სირთულის გათვალისწინებით.

8. უწყვეტი განახლების პრინციპი. სტუდენტთა შემეცნებითი აქტიურობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სასწავლო მასალის, კონკრეტული თემის და მეცადინეობის ჩატარების მეთოდის ახლებურობა (სიახლე).

9. ჯგუფური საქმიანობის ორგანიზების პრინციპი. სტუდენტს ხშირად უწევს რაღაც ამოცანების ამოხსნა ან გადაწყვეტილების მიღება ჯგუფში, კოლექტიურად. აქ იქმნება აუცილებლობა სტუდენტს განუვითარდეს ჯგუფური მოქმედებების უნარები.

10. წინმსწრები სწავლების პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს სწავლების პირობებში პრაქტიკული ცოდნის დაუფლებას და მისი პრაქტიკაში განხორციელების უნარს, სტუდენტებში საკუთარ ძალებში რწმენის ჩამოყალიბებას, შედეგების მაღალი დონის უზრუნველყოფას მომავალ საქმიანობაში.

11. დიაგნოსტირების პრინციპი. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს მეცადინეობების ეფექტურობის შემოწმებას.

12. სასწავლო დროის ეკონომიის პრინციპი. სწავლების აქტიური მეთოდები იძლევიან საშუალებას შემცირდეს დრო ცოდნის ათვისებაზე და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. რადგანაც ცოდნის ათვისება, მუშაობის პრაქტიკული ხერხების დაუფლება და უნარების გამომუშავება ერთდროულად ხდება, ამოცანების გადაწყვეტის, სიტუაციების ანალიზის ან საქმიანი თამაშის სწავლების აქტიური მეთოდების მართებულად გამოყენებას შეუძლია გადაწყვიტოს ერთდროულად სამი სასწავლო-საორგანიზაციო ამოცანა:

1. დაუქვემდებაროს სწავლის პროცესი მასწავლებლის მმართველობით ზემოქმედებას;

2. უზრუნველყოს სასწავლო პროცესში, როგორც მომზადებული, ასევე მოუმზადებელი სტუდენტების აქტიური მონაწილეობა;

3. დაამყაროს უწყვეტი კონტროლი სასწავლო მასალის ათვისების პროცესზე.

მთლიანობაში გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწავლების მეთოდებს სამი ძირითადი მიზანი გააჩნია: საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი მიზანი.

საგანმანათლებლო მიზანი

• მეთოდი, როგორც მყარი, ფუნქციური ცოდნის მიღების საშუალება;

• მოსწავლეს/სტუდენტს გადაეცეს მეცნიერული ცოდნის გარკვეული სისტემა;

- მოსწავლეები დაუფლონ ზეპირ და წერით უნარ-ჩვევებს;
- მოსწავლეებში/სტუდენტებში მოხდეს სხვადასხვა მეთოდების და სტრატეგიების გამოყენების უნარების განვითარება;

აღმზრდელობითი მიზანი

- მეთოდი, როგორც სწავლებისა და აღზრდის ერთიანი და კონსტრუქტივისტული სისტემა;
- პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება;
- ინიციატივის ხელშეწყობა;
- მიზანზე ორიენტირებულობა და მიზნით მართული ქცევის დაუფლება;
- სწავლის სწავლა - მეტაკოგნიციური უნარის განვითარება;
- შრომის ორგანიზება;
- საკუთარი აზრის დაცვის უნარი;
- კოლექტიური მუშაობის და სხვისი აზრის პატივისცემა;

განმავითარებელი მიზანი

- მეთოდი, როგორც პიროვნების მრავალმხრივი (კოგნიტური, სოციალურ-ემოციური...) განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა;

- ინტუიციისა და წარმოსახვის განვითარება;
- ლოგიკური აზროვნების განვითარება;
- წარმოსახვის განვითარება;
- მსჯელობის, შეხედულებათა არგუმენტირების, მოვლენათა ანალიზის უნარი;
- თვითეფექტიანობის განცდის განვითარება.

ჩვენი აზრით, ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა სწორად შერჩეულ მეთოდთა და სტრატეგიათა სისტემა, მოსწავლეებზე/სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სწორი მეთოდოლოგიით შედგენილი სახელმძღვანელოები, სასწავლო ლიტერატურა და მაღალი კომპეტენციების მქონე პროფესორ/მასწავლებლები.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მრავალი სწავლული პედაგოგი და ფსიქოლოგი ხედავდა სწავლების ახალი მეთოდების შემუშავების აუცილებლობას სტუდენტებთა სასწავლო მოღვაწეობის აქტივიზაციისათვის. ეს პრობლემა აქტუალური რჩება დღესდღეობითაც. პრობლემური და განმავითარებელი სწავლების მიზნების რეალიზაციაში დევს აქტიური მეთოდები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს მიაღწიონ განზოგადებას, განუვითაროს დამოუკიდებელი აზროვნება, ასწავლოს სასწავლო მასალაში მთავარის გამოყოფა, ანვითარებს მეტყველებას და მრავალი სხვა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს აქტიური მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში არის აუცილებელი პირობა მაღალკულიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად და იძლევა დადებით შედეგებს. ისინი იძლევიან საშუალებას სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ ცოდნა და უნარ-ჩვევები აქტიურ სასწავლო-შემეცნებით მოღვაწეობაში ჩართვის გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბილისი, 2012 წ.
2. Рeутова Е. А. Применение активных и интерактивных методов обучения в образовательном процессе ВУЗА, методические рекомендации. Новосибирск, 2012.
3. Давыдов В.В. Теория развивающего обучения. М., 1996 .
4. ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი, რედაქტორი ია კუტალაძე, 2010 წ.
5. მაღრაძე მ., ინტერაქტიური მეთოდებით სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, ანსუ-ს გამომცემლობა, ქუთაისი, 2005.
6. Wissenschaftliche Schreiben und Studentische Lernen, Universitaet Zuerich, 2007.

IMERI BASILADZE
Professor at Akaki Tsereteli State University

PEDAGOGICAL AND PSYCHOLOGICAL GROUNDS OF TEACHING METHODS

Summary

Interconnection and mutual determination between teaching and development has been studied in pedagogy and psychology for a long time. Mentioned issue had been investigated by the greatest psychologists such are Jean Piaget, Mayman, James, Thorndike, Koffka, Vygotsky and etc.

This problem is still an issue of the day. Problematic and developing teaching purposes cover active methods, which help students to reach generalization, develop independent thinking, teach how to separate main issues in learning materials, develops speech and many others. As the experience indicates, usage of active methods in teaching process is an essential condition for preparation of highly qualified staff and leads to positive results. They give an opportunity to gain knowledge and skills through involving them in learning processes.

მერაპ გალიაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი

სიავლის მოტივთა გარებან და შინაგან ფორმაბაზ კლასიფიკაციის თაორიული პროგლობები

სასწავლო ქცევის მოტივაციის განმსზღვრელ ფაქტორთა შინაგან და გარეგან მოტივებად დაჯგუფება, რაც დღევანდელ განათლების მეცნიერებებშია დამკვიდრებული, არაა დამყარებული შესაბამისი ცნებების (მოტივაცია, გარეგანი მოტივი, შინაგანი მოტივი, ქცევა) მკაფიო მეცნიერულ დეფინიციაზე. ამიტომ მოცემულ ტერმინთა გამოყენება ხდება სიტყვის მნიშვნელობის უშუალო განცდის და არა ამ სიტყვებით გამოხატულ ცნებათა არსებითი ნიშნების ერთმნიშვნელოვანი განმარტების დონეზე, რაც მრავალ გაუგებრობას ბადებს. ჩვენი კვლევის მიზანია სწავლის გარეგან და შინაგან მოტივთა განმასხვავებელ არსებით ნიშანთა დაზუსტება. დავინყოთ ამჯერად არსებული ვითარების შეფასებით. დღეს მიღებული თვალსაზრისით, გარეგან მოტივად ითვლება გარემოდან მომდინარე სტიმულაცია, რომელიც სუბიექტისთვის დამასასიათებელი რომელიმე მოთხოვნილების აქტივაციის გზით აღძრავს ქცევას, შინაგანად კი გარე ფაქტორისგან დამოუკიდებლად აქტივირებული მოთხოვნილება.

სწავლასთან მიმართებით, გარეგან მოტივებად ითვლება დაჯილდოება-დასჯის სხვადასხვა ფორმები, შინაგანად კი, თეორიული შემეცნებითი ინტერესები, რომლებიც სინამდვილის განსაზღვრულ სფეროთა მიმართ ცნობისმოყვარეობის და ცოდნისმოყვარეობის განცდათა სახით გვეძლევა. ამ მოდელის მიხედვით, როდესაც, მაგალითად, მოსწავლე იმიტომ მეცადინეობს, რომ გაკიცხვას (დასჯას) გადაურჩეს, საქმე გვაქვს გარეგან მოტივთან, ხოლო თუ შესასწავლი მასალა აინტერესებს, მაშინ სწავლას შინაგანი მოტივი უდევს საფუძვლად. ცხადია, დასჯის მოლოდინი და შემეცნებითი ინტერესი შინაარსობრივად ნამდვილად განსხვავებული მოტივაციური ფაქტორებია, მაგრამ ეს არაა განსხვავება შინაგანობა-გარეგანობის ნიშნით. საქმე ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ქცევის ორგანიზება სუბიექტის მოთხოვნილებებს უკავშირდება. მოყვანილ მაგალითში, მოსწავლეს ერთ შემთხვევაში გაკიცხვის აცილება, ე.ი. უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, აინტერესებს, მეორე შემთხვევაში ახლის გაგება, ანუ შემეცნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ ორივე მოთხოვნილებაა და, როგორც ასეთი, ორივე სუბიექტური პროცესია, ანუ შინაგანია.

რაკი სწავლის (ზოგადად ქცევის) მოტივი, თუ ამ ცნებაში ქცევის აღმძვრელ და წარმმართველ ძალას ვგულისხმობთ, ყველა შემთხვევაში აუცილებლად სუბიექტური (ე.ი. შინაგანი) მოცემულობაა, გარეგან და შინაგან მოტივთა შორის განსხვავების გავრცელებული გაგება მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მოტივსა და ქცევის ერთიმეორისაგან განსხვავების პირობით, რასაც ქცევის მექანიციისტურ გაგებამდე მივყავართ. მექანიციზმის, რომლის პირველი ვარიანტი ჯერ კიდევ დეკარტებმ ჩამოაყალიბა, მიაჩნია, რომ ცოცხალი ორგანიზმი კარგად ანუყობილი მანქანაა, ხოლო მის მოძრაობას გარედან მასზე მოქმედი სტიმულები იწვევს. გასული საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულმა ბიპევიორისტულმა ფსიქოლოგიამ, ამ პრინციპის უნივერსალიზაციის გზით, სტიმულ-რეაქციის (S-R) ქცევითი მოდელი შეიმუშავა და ყოველი სულიერის (მ. შ. ადამიანის) ქცევა სტიმულებზე რეაგირების სახით წარმოადგინა. სწავლა, ამ თეორიის მიხედვით, განსაზღრულ სტიმულებზე განსაზღვრული რეაგირების ფორმათა დასწავლაში გამოიხატება. აქედან იღებს სათავეს სწავლის გარეგანი მოტივაციის კონცეფცია, რასაც სისტემურად ჩამოყალიბებული სახე მიეცა გვიანდელი ბიპევიორიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბერას სკინერის, მოძღვრებაში [6]. სწორედ სკინერის დამსახურებაა, რომ რადიკალური ბიპევიორიზმი, რომელიც, როგორც ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრება, უკვე კარგახანია

ისტორიის კუთვნილებაა, განათლების ფსიქოლოგიაში დღესაც ინარჩუნებს პოზიციებს, როგორც სწავლის გარეგანი მოტივაციის ძირითადი თეორიული ბაზა.

სწავლის მოტივაციის ამ მოდელში ადამიანის სწავლა ცხოველთა წვრთვნის ანალოგიურ პროცესადაა წარმოდეგნილი, რაც ბიჰევიორიზმისათვის დამახასიათებელი რედუქციონიზმია. ცხოველთა წვრთვნა დამყარებულია გასაწვრთვნელი ცხოველის ისეთ პირობებში ჩაყენებაზე, როდესაც იგი იძულებული ხდება მწვრთვნელის მიერ ჩაფიქრებული მოქმედებები (მოძრაობა-თა კომლექსები) შეასრულოს. მაგალითად, ცირკის ლომი იძლებულია გადახტეს ალმოდებულ რგოლში, რითაც მიიღებს სასურველ ზუგბარს, ხოლო თუ ასე არ მოიქცევა, მიიღებს მათრახს. ასე აქვს წარმოდგენილი რადიკალურ ბიჰევიორიზმს სკოლაში მოსწავლეთა სწავლაც. ამიტომ, ბიჰევიორისტულ პრინციპებზე აგებული პედაგოგოგიური პროცესი, სწავლაში მოსწავლის აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად მხოლოდ დაჯილდოება-დასჯის სხვადასხვა ფორმებს მიმართავს. პირველი გამოიყენება სასურველი (წარმატებული) ქცევის განმტკიცებისათვის, მეორე კი არასაურველი (წარმატებელი) ქცევის ჩაქრობისათვის. სკინერისეული მოდელის მიხედვით, სწავლის წარმატებული მიმდინარეობა დამოკიდებულია როგორც სასწავლო აქტივობის განმამტკიცებელი სტიმულების მიწოდებაზე, ასევე სწავლის მიზნიდან აცდენილ მოქმედებათა (ვთქვათ, გაკვეთილზე უყურადღებობის, დავალებათა მოუმზადებლობის და სხვ.) ჩამაქრობელი სტიმულების მიწოდებაზე. ამასთანავე, განმტკიცებაც და ჩაქრობაც, შეიძლება განხორციელდეს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სტიმულაციით, რაც სქემატურად ასეთი ცხრილის სახით შეიძლება გამოისახოს:

დადებითი (პოზიტიური)	უარყოფითი (ნეგატიური)	
განმტკიცება (დაჯილდოება)	სასურველი სტიმულის მიწოდება	არასასურველი (ავერსიული) სტიმულის არიდება
ჩაქრობა (დასჯა)	არასასურველი (ავერსიული) სტიმულის მიწოდება	სასურველი სტიმულის არიდება

ისედაც ნათელია, მაგრამ მაინც ვაზუსტებთ, რომ სიტყვები „დადებითი“ და „უარყოფითი“ გამოხატავს არა სტიმულაციის ფორმათა შეფასებით ასპექტს (კარგი-ცუდი, გამართლებული-გაუმართლებელი და ა.შ.), არამედ სტიმულის ფიზიკურ ყოფნა - არ ყოფნას პედაგოგიურ სიტუაციაში. კერძოდ, დადებითი განმტკიცების დროს მოსწავლეს უშუალოდ ეძლევა ის ჯილდო (სასურველი ქულა, ქება, საჩუქარი და სხვ.), რომლის მისაღებადაც იაქტიურა. უარყოფითი განმტკიცების დროს მას ასეთი სტიმული არ ეძლევა, მაგრამ, იმისათვის, რომ მასალა მოამზადა (ან რაიმე სხვა კარგი საქმე გააკეთა) არ ეძლევა არც სასჯელი (არადამამაყოფილებელი ქულა, გაკიცხვა, და სხვ.), რასაც მასალის მოუმზადებლობის შემთხვევაში მიიღებდა. როდესაც ასეთი (ავერსიული) სტიმულები ეძლევა, საქმე გვაქვს დადებით დასჯასთან, რაც ემსახურება იმას, რომ მეორედ ასეთი რამ (მაგალითად გაკვეთილზე მასალის მოუმზადებლად მოსვლა) არ გაპედოს. ამავეს ემსახურება უარყოფითი დასჯაც, როდესაც საჯელი ფიზიკურად არ ეძლევა, მაგრამ არ ეძლევა არც ის სარგებელი, რასაც სხვაგვარად მოქცევის შემთხვევაში მიიღებდა. დაჯილდოება-დასჯის ამ ფორმათა გამოყენება მთლიანად პედაგოგის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რაც გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების დღეისათვის მიმდინარე პროცესის პირობებშიც, ბიჰევიორისტული მოდელი კვლავ რჩება სკოლებში სწავლის მოტივაციის ამაღლების ყველაზე გაბატონებულ მეთოდიკურ ხერხად. ბოლო ხანებში შემოტანილ ინოვაციათა მიუხედავად, ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ისე განაწყოს მოსწავლე სწავლისათვის, რომ არც მხოლოდ მის დაჯილდოებაზე იყოს დამყარებული და, რაც მთავარია, არ ესაჭიროებოდეს უსწავლელობის მძიმე შედეგებით მისი დაშინება.

გადავიდეთ შინაგანი მოტივის ცნების აღწერაზე. მისი ერთ-ერთი თეორიული მოდელი ჩამოყალიბებულია საბჭოური განმავითარებელი სწავლების სისტემაში, რომელიც დღესაც ფართოდა რეკლამირებული პოსტსოციალისტურ სივრცეში. ეს მოდელი ნამდვილ სწავლად მხო-

ლოდ შემეცნებით ინტერესებზე დამყარებულ სწავლას მიიჩნევს. ამ თეორიული კონსტრუქციის მიხედვით, სწავლის შინაგან მოტივებს სწაორედ შემეცნებითი მოთხოვნილებები წარმოადგენს. განმავითარებელი სწავლების თეორეტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რაკი სწავლა შემეცნებითი საქმი-ანობაა და კოგნიტურ პროცესთა (აღქმის, მეხსიერების და აზროვნების) აქტივაციის გზით ხორციელდება, მისი მოტივაციაც მთლიანად შემეცნებით მოთხოვნილებებზე უნდა იყოს დამყარებული. სხვაგვარი ვითარება, მათი აზრით, აფერხებს სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ფორმირებას. აქედან გამომდინარე, დგება კატეგორიული მოთხოვნა: სასწავლო პროცესი ისე იყოს ორგანიზებული, რომ მისი მიმდინარეობიდან გამოირიცხოს მოტივაციის ყველა ის ფორმა, რასაც შემეცნებითი შინაარსი არ გააჩნია [5,382]. პირველ რიგში ეს სწორედ დაჯილდოება-დასჯას ეხება, თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს მოტივაციური ცვლადებიც, მხოლოდ სუბიექტურ პროცესთა (მოთხოვნილებათა) აქტივაციით ახდენენ სასწავლო აქტივობის აღძვრა-წარმართვას.

როგორც ვხედავთ, შინაგანი მოტივის ის გაგებაც, რაზეც განმავითარებელი სწავლების თეორიული მოდელია აგებული, ფაქტიურად მოტივისა და ქცევის გათიშვის პოსტულატს ემყარება. დაჯილდოება-დასჯა გარეგანად მიაჩნიათ იმ თვალსაზრისით, რომ ცოდნის მიღებისთვის საჭირო შემეცნებითი აქტივობა, როგორც სასწავლო ქცევის პატერნი, მასთან ორგანულად არაა დაკავშირებული, ხოლო შემეცნებით მოთხოვნილებასთან იგი სწორედ ასეთ კავშირშია. ეს ნადვილად ასეა, რადგან ის მოთხოვნილებები, რომელთა აქტივაციასაც დაჯილდოება-დასჯის სხვადასხვა ფორმები ახდენს, სასწავლოს გარდა სხვა ტიპის აქტივობითაც შეიძლება დაკმაყოფილდეს, შემეცნებით მოთხოვნილებას კი მხოლოდ შემეცნებითი აქტივობა (სწავლა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) აკმაყოფილებს, მაგრამ ესაა განსხვავება არა შინაგანობა-გარეგანობის თვალსაზრისით, არამედ აქტივობის ფორმისა და მოტივის ერთიმეორესთან პომოგენურობა-ჰეტეროგენურობის მიმართების თვალსაზრისით. მაგალითად, ჯილდოს მიღების სურვილი სწავლისადმი ჰეტეროგენური მოტივია, რადგან ქცევის მიზანი (ცოდნის მიღება) და მოტივი (ჯილდო, ვთქვათ სასურველი ქულა), სხვადასხვა ბუნების მოვლენებია, შემეცნებითი მოთხოვნილება კი პომოგენური, რადგან მოტივი და მიზანი აქ ერთმანეთს ემთხვევა. ეს საკითხი დეტალურად აქვს განხილული შ. ჩხარტიშვილს [4] და აქ მასზე საუბრის გაგრძელება საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ამრიგად, ქცევისა და მოტივის ერთიმეორისგან გათიშვის პოსტულატზე აგებული კლასიფიკია, რომლის მიხედვითაც სწავლის მოტივები შინაგანად და გარეგანად ჯგუფდება, პასუხს ვერ გვაძლევს კითხვაზე, თუ რა არის ამ განსხვავევების არსი. ე.ი. რაში გამოიხატება ან ერთი ჯგუფის მოტივების გარეგანობა, ან მეორე ჯგუფის მოტივების შინაგანობა. სულ სხვაგვარად წარმოჩნდება ეს საკითხი მაშინ, თუ ქცევისა და მოტივის ერთიანობის იმ თვალსაზრისზე დავდგებით, რაც დ. უზნაძის განწყობის თეორიაშია მოცემული [2]. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ყოველგვარ მოქმედებას, დაწყებული ფიზიკური მოძრაობებიდან და დამთავრებული უმაღლესი რიგის ფსიქიკური პროცესებით, ქცევად სწორედ მოტივი აქცევს. ამიტომ, ქცევა ფსიქოლოგიურად არა მოქმედებას (აქტივობათა კომპლექსებს), არამედ მოტივს უდრის. შესაბამისად, ვერც ქცევის და ვერც სუბიექტის მიმართ ვერანაირი მოტივი გარეგანი ვერ იქნება. ყოველგვარი მოტივი ქცევას აღძრავს მოთხოვნილებათა აქტივაციის გზით, მოთხოვნილება კი სუბიექტის შინაგანი მდგომარეობაა. ამის მიუხედავად, შინაგანი და გარეგანი მოტივების ერთიმეორისაგან განსხვავება, ჩვენი აზრით, მაინც საჭიროა, მაგრამ ეს უნდა დაეფუძნოს არა მოტივისა და ქცევის ერთიმეორისაგან გათიშვის პოზიციას, არამედ ქცევის აღმძერელ მოთხოვნილებათა უზნაძისეულ კლასიფიკაციას სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ მოთხოვნილებებად [3]. სუბსტანციონალური მოთხოვნილება მიმართულია საგანზე, ხოლო ყოველგვარი საგანი, ცხადია, სუბიექტისადმი გარეგანი მოცემულობაა. ასეთია ჯილდოც, სასჯელიც და ცოდნაც, რადგან ყველა მათგანი შესაბამის სუბსტანციონალურ მოთხოვნილებას (ჯილდო - საჩუქრის მიღების, სასჯელი - უსაფრთხოების, ცოდნა - შემეცნების და სხვ.) აკმაყოფილებს. ამდენად, ყველა ეს მოტივი შეიძლება გარეგანად ჩაითვალოს ინტენციონალობის ნიშნით. ე.ი. შემეცნებითი მოთხოვნილებები, რომლებიც დღევანდელ განათლების ფსიქოლოგიაში სწავლის შინაგან მოტივებადაა მიჩნეული, ისევე გარეგანი მოტივებია, როგორც დაჯა-წახალისების დაებითი თუ უარყოფითი ნაირსახეობანი.

ჭეშმარიტად შინაგანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფუნციონალური მოთხოვნილებები, რომლებსაც არა საგნობრივი, არამედ პროცესუალური ინტენციონალობა ახასიათებთ. ფუნქციონალური მოთხოვნილება, სუბსტანციონალურისაგან განსხვავებით, მიმართულია არა რაიმე საგნობრივი ვითარების მიღწევაზე (ვთქვათ ცოდნის ამა თუ იმ სტრუქტურის შეძენაზე), არამედ საკუთრივ აქტივობის პროცესზე. საკუთარ ფსიქო-ფიზიკურ ფუნქციათა ამოქმედების, შესატყვის აქტივობებში მათი გაშლის და რეალიზაციის ტენდენცია იმთავითვეა ჩადებული სულიერი არსების ბუნებაში. განსაკუთრებით მნიშველოვან როლს ასრულებს ეს ტენდენცია ადამიანის ცხოვრებაში, რომლის ტვინის უმაღლესი სტრუქტურების ფუნციონალური ტენდენცია ინტელექტუალური აქტივობის ნაირგვარ ფორმებში ვლინდება.

ამრიგად, ადამიანის გონიერივ აქტივობას (მაგალითად, სწავლას) არ აღძრავს მხოლოდ სუბსტანციონალური შინაარსის მქონე მოთხოვნილებები (ცნობისმოყვარეობა და ცოდნისმოყვარეობა). მას აღძრავს საკუთრივ ამ სახის აქტივობის ფუნქციონალური მოთხოვნილებაც. თეორიული მოთხოვნილება, რასაც განმავითარებელი სწავლების თეორეტიკოსები შემეცნებით ინტერესთან აიგივებენ, სინამდვილეში მოთხოვნილებათა ორ კლასს შეიცავს, შემეცნებითი მოთხოვნილებებისა და ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილებათა სახით [4]. პირველი სუბსტანციონალური ხასიათისაა, მეორე კი ფუნქციონალურის. როდესაც სწავლას ესა თუ ის შემეცნებითი მოთხოვნილება აღძრავს, ყოველთვის საქმე გვაქვს გარეგან მოტივთან, რადგან ინტენციონალობის ნიშნით მასსა და დაჯილდოება-დასჯით აქტივირებულ მოთხოვნილებებს შორის არავითარი განსხვავება არაა (ყველა სუბსტანციონალურია). სწავლის შინაგან მოტივაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი აღძრულია სწავლაში მონაწილე ინტელექტუალური ძალების ფუნქციონალური ტენდენციით. სხვა საქმეა, რომ სწავლის რეალური პროცესი პრაქტიკულად პოლიმოტივირებული (პოლიმოთხოვნისეულობის მნიშვნელობით) [1] ქცევაა და მის ორგანიზაციაში ერთდროულად მრავალი სუბსტანციონალური და ფუნქციონალური მოთხოვნილება მონაწილეობს. უფრო მეტიც, დ. უზნაძის თანახმად [3] სასწავლო აქტივობა სასწავლო ქცევად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ იგი ერთდროულად ფუნქციონალური მოთხოვნილებებითაცაა აღძრული და სუბსტანციონალურითაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბ., 2013
2. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998
3. უზნაძე დ., შრომები, ტ. V, თბ., 1967
4. ჩხარტიშვილი შ., სწავლის მოტივაციური ფორმები, უურნ. „სკოლა და ცხოვრება“, N 12, 1975
5. Гальперин П. Я., Психология как объективная наука, М., 1996
6. Skinner B. F. Par-Dela liberte et la diqnite. Bruxelles, dessiart. 1973

MERAB MAGHRADZE
Akaki Tsereteli State University
Department of Philosophy and Psychology

THEORETICAL PROBLEMS OF CLASSIFICATION OF LEARNING MOTIVES AS INTERNAL AND EXTERNAL FORMS

Summary

In the psychology of education, it is used to group the learning motives as internal and external forms. External forms include different kinds of rewards and punishments, while internal forms include cognitive needs. However, contentual differences among these two forms does not actually mean that first group is truly external and second one truly internal. In the article there is expressed the opinion

that the motive could be regarded as external, if on the basis of activation of substantial needs it determines the behavior, while the motive is internal if it is connected with activation of cognitive needs. According to this viewpoint, any form of cognitive need towards learning could be regarded as external form, like punishment or reward. In addition, the true motive of learning is need of intellectual activity.

МЕРАБ МАГРАДЗЕ

Департамент философии и психологии

Государственного университета Акакия Церетели

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ КЛАССИФИКАЦИИ МОТИВОВ УЧЕНИЯ НА ВНУТРЕННИЕ И ВНЕШНИЕ ФОРМЫ

В современной психологии образования распространена группировка мотивов учения на внешние и внутренние формы. Внешними считаются разнообразные виды поощрения и наказания, а внутренними - познавательные потребности. Но разница в содержании, которая действительно существует между разновидностями, совсем не означает, что мотивы первой группы действительно внешние, а мотивы второй группы действительно внутренние. В статье выдвигается мысль, что внешними можно назвать такие мотивы, которые определяют поведение через активацию субстанциональных потребностей, а внутренними являются такие мотивы, которые связаны с активацией функциональных потребностей. С этой точки зрения, любые формы познавательной потребности, такие как поощрение или наказание, являются внешними. Внутренним же мотивом учения является потребность в интеллектуальной активности.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

უმაღლესი განათლება და ბიზნესი-რეალობა და გამოცვევები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის თანამდევ მოვლენად იქცა გეგმიური სახალხო მეურნეობის მართვის პრინციპებისა და მექანიზმების ნგრევა, რასაც ვერ ვიტყვით განათლებისა და მეცნიერების მიმართ. რამაც უმაღლეს განათლებაში არსებულ გამოწვევებს მხარი ვერ აუბა. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2004) და საქართველო შეურთდა ბოლონის პროცესს, დაიწყო სისტემური და თვისებრივი ცვლილებები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. თუმცა, უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე რეფორმებმა სათანადო შედეგები მაინც ვერ მოიტანა. ამას ადასტურებს ქართული უნივერსიტეტების არასახარბიერო მდგომარეობაც მსოფლიო და ევროპულ რეიტინგებში. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში რეფორმის მესვეურები ყველა კრიტიკულ შეკითხვაზე დასავლეთის ქვეყნების ანალოგიებით იმართლებდნენ თავს, რაც არადამაჯერებელია. არადა, ისეთ ქვეყანას, რომელსაც ბოლონის უნივერსიტეტის ტოლ-სწორი გელათის აკადემია ჯერ კიდევ XII საუკუნეში ჰქონდა, მხოლოდ მიმპარველობით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. კარგია ცივილიზებული მსოფლიოს გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ამასთან ერთად ნებისმიერმა რეფორმამ ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიცია უნდა გაითვალისწინოს. თვით ბოლონიის პროცესიც ხომ ამ იდეას ემსახურება: „ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების საბოლოო მიზანი ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ენობრივი ნაირფეროვნების დაცვაა, რაც მისი მრავალფეროვანი ტრადიციების მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული და, ასევე, ევროპის ინოვაციური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ხელშეწყობაა, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის მზარდი თანამშრომლობის მეშვეობით“ (5, 72-73).

სამწუხაროდ, განათლების რეფორმის უკვე მიღებული შედეგებიდან საიმედო ბევრი არაფერია: მასობრივი უმაღლესი განათლების შედეგად მზადდება ინფორმირებული ფუნქციონერი და არა მცოდნე სპეციალისტი. უნივერსიტეტის ამოცანა აღარ არის პროფესიაში განსწავლული მოქალაქის აღზრდა, მისი სოციალიზაცია და იგი კონფორმიზმის ჩარჩოებში მოქცეული ფუნქციონერი მენეჯერის მომზადებით ამოინურება. შესაცვლელია არსებული მიღვომები საგანმანათლებლო პროგრამებისადმი, სწავლების ორგანიზაციის ფორმებისადმი და მეთოდებისადმი. ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს საგანთა სწავლების მეთოდიკა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს უმაღლეს სკოლებში იგნორირებულია.

სწორედ ამიტომ, უმაღლემა განათლებამ და, შესაბამისად მეცნიერებამ ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. ჩვენში ტრადიციულად არსებული ინტელექტუალური პოტენციალი ეკონომიკური პროცესების მიღმა აღმოჩნდა. უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნესს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ორმხრივ სარგებლობაზე დამყარებული კავშირები. უცხოური ინვესტიციები კვლავ მიუწვდომელია უმაღლესი განათლებისათვის, ხოლო ქართული ბიზნესის მხრივ აქტივობა განათლებაში, თითქმის უმნიშვნელოა.

საგანმანათლებლო და ეკონომიკური პროცესების ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შემუშავებისა და ამოქმედების გარეშე შეუძლებელია „ადამიანისეული კაპიტალის“ გამოყენება, რაც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის განვითარების წამყვან ფაქტორადაა აღიარებული. ცნობილია, რომ სწორედ ამ სექტორში განეული ინვესტიცია ამაღლებს კვალიფიკაციას და ზრდის ადამიანის პირვენულ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისთვის საჭირო ხარჯი მხოლოდ მავანმა ადამიანმა (ან ჯგუფმა) უნდა გასწიოს, სარგებლობა კი მიიღოს როგორც კონკრეტულმა პიროვნებამ, ისე

მთელმა საზოგადოებრიობამ. ეს გარემოება აქტუალურს ხდის საგანმანათლებლო მომსახურებასა და უმაღლესი განათლების სისტემაში საბაზრო, არასაბაზრო თუ სხვა მექანიზმების შესწავლასა და გამოყენებას. აქედან გამომდინარე, ნათელია მიზანიც: ამ ორი სექტორის (განათლებისა და ეკონომიკის) ეფექტიანი ურთიერთობა.

საგამანათლებლო და ეკონომიკური საქმიანობის ურთიერთობის დიდი გამოცდილება არ-სებობს განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. აშშ-სა და ევროპაში დიდი კომპანიები მჭიდროდ თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან. ზრუნავენ მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე; გამოყოფენ სასხრებს კვლევითი ლაბორატორიების მოსაწყობად, ანესებენ სტიპენდიებს წარჩინებული მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის; პასუხისმგებლობას კისრულობენ კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

დამსაქმებლებთან ანალოგიური ურთიერთობები დაამყარეს ბალტიის ქვეყნების უმაღლეს-მა სასწავლებლებლებმა, ამ ქვეყნების ბიზნესექტორი აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის და დასაქმების ღონისძიებებში (7,789-791), რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილ დასაქმების სააგენტოზე.

თანამედროვე საზოგადოება დიდი ხანია შეთანხმდა იმაზე, რომ განათლებაც ბიზნესია, თუმცა, თავისი სპეციფიკით გამორჩეული. თანაც იგიც განიცდის იმავე გარემოებების ზემოქმედებას, რასაც ბიზნესი. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო ბიზნეში მოღვაწე ყველა სუბიექტმა საქმიანობა ბიზნესის კანონებით უნდა წარმართოს. მხედველობაში გვაქვს საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყება, რასაც, პირველ ყოვლისა, ნინ უნდა უძლოდეს შრომის ბაზრის შესწავლა და კადრებზე მოთხოვნილების დადგენა. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ანბანური ჭეშმარიტება არავის ახსოვდა, როცა 90-იან წლებში უნივერსიტეტების დაარსების ნამდვილი ბუმი იყო გაჩადებული. სწორედ ამიტომ გვქონდა ყველაზე მეტი უნივერსიტეტი მსოფლიოში. ეს რაოდენობა ნაწილობრივ შეამცირა პირველმა ინსტიტუციურმა აკრეტიდაციამ (2004-2005 წ.). რაკი აკრედიტაცია ნებაყოფილობითი იყო, მის გავლაზე განაცხადი მხოლოდ 225 უმაღლესმა სასწავლებელმა შეიტანა (მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო), აქედან აკრედიტაცია მიიღო მხოლოდ 110-მა უმაღლესმა სასწავლებელმა. აკრედიტაციის მეორე ეტაპზე უკვე მინიჭებული აკრედიტაცია შეინარჩუნა 55 უმაღლემა სასწავლებელმა.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების გათვალისწინებით, ამდენი უმაღლესი სასწავლებელი რომ მეტისმეტია, ამას ყველა აღიარებს. თუ მიზეზებით დავინტერესდებით, ადვილად დავინახვთ, რომ უმაღლესი სასწავლებლის დასაფუძნებლად საქართველოში იმხანად მარტივი საკანონმდებლო ბაზა არსებობდა. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ამ სფეროში ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდა, კორუფციაც გარკვეულ როლს ასრულებდა ლიცენზიების მოპოვებაში და შედეგად მივიღეთ უმაღლესი განათლების უკიდეგანო ზრდა, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნებს საერთოდ არ ითვალისწინებდა. სპეციალობათა ჩამონათვალში ლიდერობდა ისეთი მოდად აღიარებული ფაკულტეტები, როგორცა საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, დიპლომატია და ა.შ.

ასეთი სავალალო მდგომარეობის ტყვეობაში ვიყავით უახლოეს წარსულში, მაგრამ ისმის კითხვა: გავთავისუფლდით კი ამ მანკიურებებიდან? სამწუხაროდ, ნაწილობრივ. ძირითადი პრობლებები კვლავ სახეზეა და ხელს უშლის როგორც უმაღლესი განათლების განვითარებას, ისე მის პოზიტიურ გავლენას ეკონომიკაზე. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების საფუძვლად ვერ იქცა კადრებზე მოთხოვნა. სწორედ ამაზე მეტყველებს უმაღლესი სასწავლებლების არაოპტიმალური ქსელი. ამჟამად საქართველოში 20 სახელმწიფო და 55 კერძო უმაღლესი სასწავლებელია. კონკურენციის პირობებშიც კი, სტუდენტთა ოდენობა 2,5-ჯერ აღემატება ბაზრის მოთხოვნებს და აშკარად შეუსაბამოა ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებაში.

ფაქტობრივად ქართული უმაღლესი სასწავლებები არ იკვლევენ შრომის ბაზარს, რაც საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირების საფუძველი უნდა იყოს. როცა უნივერსიტეტი ამა თუ იმ მიმართულებით (სპეციალიზაციით) ადგენს საგანმანათლებლო პროგრამას, შემდეგ კი განაცხადს აკეთებს მის აკრედიტაციაზე და ამ დროს არ აქვს შესწავლილი შრომის ბაზარზე

არსებული მდგომარეობა, რასაკვირველია, ასეთ უსდ-ს პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროდუქტის მარკეტინგზე. სამწუხაროდ, შრომის ბაზრის კვლევას მიმართავს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ 3-5 %. გამოკითხულ დამსაქმებელთა 80 % კი ასეთი კვლევების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს. ამიტომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი დასკვნა მარტივია: უმაღლესი სასწავლებლები მოწყვეტილი არიან შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, ანგარიშს არ უწევენ უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე რეალურ საჭიროებებს, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაში უმუშევრობაზე და უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობაზე.

როცა კონკურენტუნარიანობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მსოფლიოში არსებული შეფასების თანამედროვე მოდელები (ISO 9001, ISO 9004, MAB, SWOT ანალიზი და ა.შ.). საქართველოში ცოტა თუ იყენებს აღნიშნულ მოდელებს. ჩვენთან კვლავინდებურად სტუდენტთა რაოდენობაა (50 %) მთავარი ინდიკატორი უსდ--ს კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში. 30 % დასაქმებას ანიჭებს უპირატესობას, 10 % სასწავლო-მატერიალურ ბაზას, ხოლო 10 %-ის აზრით, უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობას აკადემიური პერსონალის განაპირობებს.

დღეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მესვეურები ერთხმად აღიარებენ საგანმანათლებლო ბაზარზე მაღალი კონკურენციის არსებობას. ამასვე ადასტურებს უმაღლესი სასწავლებლების წამომადგენლების გამოკითხვის შედეგები. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 70 % მიიჩნევს, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების მხოლოდ 40-50 %-ია კონკურენტუნარიანი. 30 %-ის აზრით კი კონკურენტუნარიანია მხოლოდ 20-30 %. ჩვენი აზრით, აღნიშნული მდგომარეობის ზუსტ შეფასებას ახალგაზრდა მკვლევარი ლ. ტაბატაძე გვაძლევს თავის სადოქტორო დისერტაციაში: „გამოდის, რომ ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილით, წარმოადგენენ კონკურენტუნარო უმაღლესი სასწავლებლები, სახეზეა კონკურენცია სწორედ მათ შორის“ (4, 115).

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციას მრავალი ფაქტორი აფერხებს. ჩვენის აზრით, მათ შორისაა სწავლების არასახარპიელო დონე, მნირი ფინანსები და მომველებული საგრანტო რეგულაციები, ასევე, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, ავტორიზაციის და აკრედიტაციის არასრულყოფილი სტანდარტები და ბიზნესის სექტორთან კომუნიკაციის დაბალი დონეც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი უსდ ჯეროვნად ვერ იყენებს იმ პოტენციალს (სწავლება/სწავლის მაღალი და წინმსწრები ხასიათი, მისაწვდომობა და კრეატულობა), რაც ლია განათლების სისტემისთვის არის დამასასიათებელი.

თითოეული მათგანი საგანგებო კვლევას მოითხოვს, ეს რაც შეიძლება მაღე უნდა შესრულდეს. ამჯერად, ჩვენ მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლებისა და ბიზნესის სექტორის ურთიერთობაზე შევჩერდებით.

საყოველთაოდ ცნობილია, თანამედროვე, განვითარებული ეკონომიკის მთავარი მახასიათებელი მისი ინოვაციურობაა, ხოლო ინოვაციური ეკონომიკის განვითარების იმპულსად ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაა მიჩნეული, რაც საგანმანათლებლო და ბიზნესსაქმიანობის ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებით ხდება შესაძლებელი. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების პირობებში შესაძლებელია არა მარტო ადგილობრივი შრომის ბაზრის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალით, არამედ საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული კონკურენციის განევაც.

საქართველოს არ აქვს ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ნედლეული და ენერგორესურსები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ეკონომიკა არ განვითარდება. არის სხვა გზებიც და ერთ-ერთი ესაა უმაღლესი განათლება და მეცნიერება, სადაც დიდი პოტენციალი არსებობს. ჩვენ სწორედ ისინი უნდა გამოვიყენოთ. თუმცა ამისათვის ბევრი შრომა და შორსგამიზნული მოქმედებებია საჭირო.

რამდენადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოღვაწეობის შედეგი ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად აისახება, იმდენად ასევე წარმატებული ბიზნესის ზემოქმედება პოზიტიურ გავლენას ახდენს სასწავლო-სამეცნიერო პროცესებზე, რაც თავის მხრივ საგანმანათლებლო ბიზნესის განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად უნდა იქცეს. ამ მიზნით გასატარებელია ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგნიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

ჩვენი ბიზნესექტორის წარმომადგენელთა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მათი მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსირებაში მინიმალურია (10 %). გამოკითხული დამსაქმებლები უჩივიან კურსდამთავრებულთა დაბალი მომზადების დონეს. მათი აზრით, სასწავლო პროგრამები ზედმეტად თეორეტიზირებულია და ხელს არ უწყობს საკვალიფიკაციო უნარების განვითარებას.

საქართველოში ამჟამად საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის უნიფიცირებული სტანდარტები მოქმედებს, რაც, არცთუ იმვიათად, ნებატიურად აისახება მათ ხარისხზე. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ არსებული სააკრედიტაციო მოთხოვნები საგრძნობლად აბრკოლებს დამსაქმებლების ჩართულობას მათ ფორმირებაში. უნიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები მკაცრ ჩარჩოებში აქცევს პროფესორსაც. სილაბუსში ძნელია ამოიკითხო ავტორის თვითმყოფადობა. ხშირად ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, თითქოს ყველა სილაბუსი ერთი ადამიანის შედგენილი იყოს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილმა ორგანომ - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ - თვითდინებაზე მიუშვას პროცესი და არ დაადგინოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი სტანდარტები, მაგრამ უნივერსიტეტების და საკუთრივ პროფესორების აკადემიური თავისუფლებაც არ უნდა შეიზღუდოს.

საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები ზოგჯერ ისევა ჩამოყალიბებული, რომ მასთან შეუძლებელია სპეციალისტის მომზადებისათვის ნამდვილად საჭირო სასწავლო კურსის მისადაგება. მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე პროფესორთა გუნდი, რომელმაც, იმის მიუხედავად, რომ საჭიროდ მიაჩნდა, მაინც ვერ შეძლო „განათლებისა და პედაგოგიკის ისტორიის“ სასწავლო კურსის შეტანა პროგრამაში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სტანდარტული მოთხოვნები ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციების შესახებ ამის საშუალებას არ იძლეოდა. ხშირად ისეთ კურიოზამდეც მივდივართ, რომ ასეთ ბედს იზიარებს მომავალი მასწავლებლისთვის პირველხარისხოვანი საგანი პედაგოგიკაც. როგორც ჩანს, მასწავლებლის მომზადების სტანდარტებს ისეთი ხალხი ადგენს, ვისაც არასდროს ჩაუტარებია გაკვეთილი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების წესებს ისინი განსაზღვრავენ, ვისაც ბიზნესის მართვა კომუნიკაციულ სავარძელში ნებივრობა ჰგვინა. ამ დროს კი დამსაქმებლებს არაფერს ეკითხებიან.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოდელებისა, უნივერსიტეტში სწავლის ხარისხის განსაზღვრის მიზნით მრავალი გამოკითხვა ტარდება. მთელ მსოფლიოში ხარისხის შეფასების ერთ-ერთი აპრობირებული სახე სტუდენტების გამოკითხვაა, რომელიც ბოლო ხანში ჩვენშიც გავრცელდა. ასეთი გამოკითხვები სასარგებლოა და უნდა გაგრძლებეს. მაგრამ, მისი შედეგები საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესორთა კვალიფიკაციის შეფასების შესახებ, ყოველთვის ვალიდური არ არის.

ჩვენს სტუდენტთა შორის ჯერ კიდევ ბევრია არამოტივირებული სტუდენტი, რასაც მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ესეც საგანგებო კვლევის საგნად უნდა იქცეს. თუმცა, ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნას დავჯერდებით, რომ სწავლისადმი არამოტივირებული სტუდენტების შეფასება ცალსახად რელევანტურად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ ამ კატეგორიის სტუდენტი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არც თუ ცოტაა.

სწავლების ხარისთან დაკავშირებით ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში კიდევ ერთმა მანკიერებამ მოიკიდა ფეხი. დაფინანსების არსებული წესის თანახმად, სწავლის გადასახადი, რომელსაც სტუდენტი იხდის, უნივერსიტეტის ფინანსირების მთავარი წყაროა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტიც და პროფესორიც ფინანსურად სტუდენტზეა დამოკიდებული. სწავლი-

სადმი არამოტივირებული სტუდენტი ასეთ მდგომარეობას გაუცნობიერებლად „იყენებს“ და ზარმაცობს, მას სჯერა, რომ ფულის შემომტან სტუდენტს სტატუსს არ შეუჩერებენ და დადებით ნიშანს როგორდაც დაუწერენ.

არსებული საგრანტო სისტემა რომ სრულყოფილი არაა, იქედანაც ჩანს, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური 2250 ლარია, ხოლო კერძო სასწავლებლებში ფასი მერყეობს 3000-დან 4000 ლარამდე. მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბოლო წლებში კერძო სასწავლებლებიც ამცირებენ სწავლის გადასახადს. ზოგმა კერძო უნივერსიტეტმა ფასების კონკურენციის გამო გადასახადი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დადგენილ გადასახადს გაუთანაბრა.

ერთი კრედიტის საფასური სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში 30-35 ლარია, ხოლო ზოგიერთ კერძო სასწავლებელში 70 ლარსაც აღნევს. სამწუხაროდ, დაუსაბუთებელია მინიმალურ და მაქსიმალურ ტარიფებს შორის ამდენი გრადაცია, ხოლო ამის ახსნა საბაზო პირობებით საერთოდ წარმოუდგენელია.

აბიტურიენტთა მოსაზიდად კონკურენტულ ბრძოლაში ჩვენი უნივერსიტეტები სწავლების ხარისხის საზიანო ნაბიჯებზეც არ იხევენ უკან. მხედველობაში გვაქვს ეროვნული გამოცემების შედეგად დასაძლევი ერთობ დაბალი ზღვარი, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტი ირიცხება კონკრეტულ უსდ-ში. ამასთან ერთად, კიდევ ერთი მანკიერების თაობაზე უნდა ითქვას, კერძოდ, საქმე ეხება უნივერსიტეტების მიერ სავალებულო საგნების დადგენას, რომელთა ცოდნა და ჩაბარება აუცილებელია კონკრეტულ ფაკულტეტზე სწავლისათვის. სამწუხაროდ, არც თუ ცოტაა ისეთი უნივერსიტეტი, რომლებიც ტექნიკური და ეკონომიკური პროფილის სპეციალობაზე მათემატიკის და ფიზიკის ნაცვლად ისტორიისა და გეოგრაფიის ცოდნად ითხოვს.

სწავლების დაბალი ხარისხის გამოწვევ მიზეზთა შორისაა აკადემიური პერსონალის შეუსაბამობა დაკავებულ ადგილთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში ამჟამად მოქმედებს 75 უმაღლესი სასწავლებელი. მათი უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით ადვილი არ არის. კვლავ საჭირბოროტო პრობლემად რჩება აკადემიური პერსონალის პედაგოგიური მომზადებაც. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სადოქტორო პროგრამებზე ისწავლება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის (სამწუხაროდ, კიდევ ერთი მანკიერი პრაქტიკა დამკვიდრდა ჩვენში, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ნაცვლად შემოიღეს სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, რაც ყოვლად გაუმართლებელია) მოკლე კურსი, არსებულ ვითარებას ვერ ცვლის. საჭიროდ მიგვაჩნია მოქმედმა აკადემიურმა პერსონალმა პერიოდულად აიმაღლოს კვალიფიკაცია, გაიაროს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და მეთოდიკის სასწავლო კურსები. ამასთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან არსებული საგრანტო სისტემა არაეფეტურია და არ ხდება კვლევების წახალისება, არ უნდა იყოს გასაკეირი ამ მიმართებით გამოთქმული კრიტიკა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, უმაღლესი განათლების და მეცნიერების დაფინანსების სავალალო მდგომარეობა (საქართველოში უმაღლესი განათლების სახელმწიფი დაფინანსება მშპ-ს 0,9 %-ია, ევროპაში კი 2.5-3 % - ის ფარგლებშია). თუ აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებლებს შესაბამის თანხებს მივუსადაგებთ მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია.

ნებსით თუ უნებლიერ, ჩვენთან ნაწილობრივ იზღუდება უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუძემდებლური პრინციპები - აკადემიური თავისუფლება და არჩევანის თავისუფლება, რაც უარყოფითად აისახება სწავლების ხარისხზე. უმაღლეს სასწავლებლებს არც არჩევანის თავისუფლება აქვს აბიტურიენტების შერჩევის პროცესში და არც აკადემიური თავისუფლება მისაღები გამოცდების ფორმისა და შინაარსის განსაზღვრაში. ამ ფუნქციებს საერთო ეროვნული გამოცდები ასრულებს, რომელმაც უკვე ამონურა თავისი შესაძლებლობები. აღნიშნულის შემოღება განსაზღვრულ ეტაპზე სჭირო იყო და პოზიტიური როლიც შეასრულა მთერი რიგი მიმართულებით, მაგრამ დღეს საჭიროა უფრო მოქნილ სისტემაზე გადავიდეთ. გამართლებული იქნება საატესტატო გამოცდები საერთო ეროვნულმა გამოცდებმა ჩაანაცვლოს, და უნივერსიტეტებმა თავად შეარჩიონ აბიტურიენტები.

ცივილიზაციულმა მსოფლიომ დიდი ხანია საგანმანათლებო მომსახურება საპაზრო კანონზომიერებათა ლოგიკას დაუქვემდებარა. საგანმანათლებლო ბიზნესმა ისევე დაიმკვიდრა ადგილი ეკონომიკაში, როგორც მომსახურებამ, კვების მრეწველობამ, შოუბიზნესმა და ა. შ.. მაგრამ, სხვა სექტორებისგან განსხვავებით, განათლების მხოლოდ ბაზრის კანონებით რეგულირება გამართლებული არ იქნება. ძალიან კარგია, რომ ჩვენმა სახელმწიფომაც დაიწყო პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ, როგორიცაა ქართველობის სპეციალიზაცია. მათი დაფინანსება სისხლხორცეულად დაკავშირებულია როგორც ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან, ისე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან. თუმცა, აღნიშნული პროგრამები მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსდება, ამიტომ ის გარკვეულ დისკრიმინაციად მიაჩნიათ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, რაც უსაფუძვლო ნამდვილად არ არის.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობას არსებითად ხელს უშლის დამსაქმებლებთან სუსტი და ხშირად ფორმალური კავშირები, რაც მხოლოდ მემორანდუმების საზემო გაფორმებით გამოიხატება და ამის იქეთ საქმე არ მიდის. უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესება ბიზნესის მხრიდან უმნიშვნელოა. როგორც უმაღლესი სასწავლებლების მესვეურებს, ისე ბიზნესმენებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ ურთიერთსარგებლობაზე დამყარებული თანამშრომლობა წაახალისებს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას და წარმატებას მოუტანას ორივე მხარეს - უმაღლეს სასწავლებლებსაც და ბიზნესსაც. ამასთან ერთად, ასეთი თანამშრომლობა სოციალური ეფექტის მომტანია, რადგან იგი ხელს შეუწყობს სილარიბის ეტაპობრივად დაძლევას. ცნობილია, რომ, რაც უფრო მაღალხარისხოვანია განათლება, მით უფრო სტაბილურია ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობა. ამიტომ, საგანმანათლებლო რეფორმები ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების ნაწილად უნდა იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ლ. (2013). „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში”, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი;
2. კაჭკაჭიშვილი ი. მაჭარაშვილი ნ. გოგსაძე გ. (2015). „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა”, სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი, (საქართველო), „ფონდი ლია საზოგადოება საქართველო”;
3. მაჩაბელი გ. ანდლულაძე ნ. ბრეგვაძე თ. აფხაზავა რ. (2013), „უმაღლესი განათლების გავლენა სამუსაო ზალის ფორმირებაზე”, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი;
4. ტაბატაძე ლ. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, სადოქტორო დისერტაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2016, გვ.115;
5. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისაკენ: ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები (კრებული), თბ., 2005;
6. ჯავახიშვილი ნ. ჯიბლაძე გ. ხუჯაძე ნ. ძაგანია ლ. (2011), სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ”, ევრიკავშირის განვითარების ხელშეწყობი პროგრამის თEMPUS - ის მხარდაჭერით განხორციელებული, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კვლევის ანგარიში.
7. Brens I. Bivza B. (2012), „Quality Evaluation OF HigherEddication Programmes: Process and challenges in Latvia”, Management Knowledge and Learning - International Conference: http://issbs.si/press/ISBN/978-961-6813-10-5/papers/ML12_147.pdf, (11.07. 2016).

АВТАНДИЛ АСАТИАНИ
профессор Грузинского технического университета

ВЫСШЕЕ ОБРАЗОВАНИЕ И БИЗНЕС - РЕАЛЬНОСТЬ И ВЫЗОВЫ

Резюме

Высшее образование Грузии и, соответственно, наука, не смогли оказать значительное влияние на экономику страны. Реформа, проведенная в системе высшего образования, не решила проблемы. Интеллектуальный потенциал, традиционно существующий в стране, оказался за пределами экономических процессов. Между высшими учебными заведениями и бизнесом все еще не существует связей, основанных на взаимовыгоде. Иностранные инвестиции, вложенные в сферу высшего образования, все еще недоступны, а активность грузинского бизнеса в образовании незначительна.

При создании образовательных программ грузинские высшие учебные заведения не изучают рынок труда, что создает диспропорцию между подготовкой кадров и их спросом. Количество вузов превышает требования рынка в 2,5 раза, что явно не соответствует населению страны и негативно отражается на безработице.

На рынке образовательных услуг нет здоровой конкуренции, это вызвано такими факторами, как: низкий уровень обучения, малые финансы, устаревшие грантовые регуляции, система Единых национальных экзаменов, несовершенные стандарты акредитации и слабые взаимосвязи с бизнес-сектором.

AVTANDIL ASATIANI
Professor of Georgian Technical University

HIGHER EDUCATION AND BUSINESS - REALITY AND CHALLENGES

Summary

Higher education of Georgia and accordingly, the science weren't able to effect significantly the economics of the country. The reform carried out in the system of higher education couldn't solve the problem. Intellectual potential, traditionally existing in the country, appeared to be outside the economic processes. Between the higher education institutions and business there is still no contact, which would be based on mutual profit. International investments invested in the sphere of higher education are not yet available. And the activity of Georgian business in education is not sufficient.

While creating educational programs Georgian higher education institutions don't study the labor market. This is the cause of disproportion between the staff training and their demand. The number of higher educational institutions prevails market demand 2,5 times. This obviously doesn't correspond to the population of the country and has negative impact on the unemployment.

There is no healthy competition on the market of educational services. This is caused by the factors like: low level of tuition, small finances, outdated grant regulations, the system of united national exams, imperfect standards of accreditation and weak communication with the business sector.

ვახტანგ სართალია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკის და
ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი

განათლების სისტემის მართვის პროგლობი თანამადროვე ეთავზე

საზოგადოების ინტერესი განათლების მიმართ ყოველთვის დიდია. აქედან გამომდინარე განათლების განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური წარმატებების მისაღწევად.

სოკრატე ამბობდა, რომ ცოდნა - სიკეთეა, ხოლო უცოდინარობა კი - ბოროტება. ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, რამდენადაც მხოლოდ ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებაში შეიძლება ადამიანის თავისუფალი სულიერი და კულტურული განვითარება, საერთაშორისი ურთიერთობების დამყარება, გლობალური ღირებულებების გაზიარება, საერთაშორისო ინტეგრაციაში მონაწილეობა.

ისტორიულად, ჩვენს ქვეყანაში განათლება და მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის განსხვავებული იყო სხვა სისტემებისაგან. რაც გამოწვეულია ჩვენი ტრადიციებით და ცხოვრების წესით. შესაბამისად განსხვავებულია დამოკიდებულებაც განათლების სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მიმართ. დღემდე განათლება განიხილება როგორც ეკონომიკის შემადგენელი დარგი. ამიტომ განათლების ეკონომიკა და მისი თეორიები, მნიშვნელოვან სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენს.

განათლების ეკონომიკის ცნება დაკავშირებულია განათლებისა და ეკონომიკის ფუნქციების განხორციელებასთან. იგი არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებს არჩევანს ადამიანი და საზოგადოება კაპიტალის მეშვეობით, ან უსასყიდლოდ იმისათვის, რომ გამოიყენოს შეზღუდული რესურსები და განახორციელოს სხვადასხვა სახის სწავლება.

განათლებიდან სარგებლობას ღებულობს როგორც ინდივიდი, ასევე საზოგადოება. შესაბამისად, არსებობს სარგებლობის ორი ტიპი: ერთი მიეკუთვნება საზოგადოებრივს და გულისხმობს განათლებასთან დაკავშირებული იმ ხარჯებიდან მიღებულ უკუგებას, რომელსაც ინდივიდი იხდის თავისი შემოსავლიდან. მეორე კი შეადგენს "გარე" სარგებლობას, რომელიც იქმნება განათლებაში განეული სახელმწიფო ინვესტიციებით და მას ინდივიდები უშუალოდ ვერ მიითვისებენ.

სარგებლობა, რომელიც განათლებას მოაქვს ადამიანისათვის, აისახება მოხმარების ხასიათში და ინვესტიციების რაოდენობაში. მოხმარების კატეგორიას მიეკუთვნება პროდუქცია და მომსახურეობა. ისინი აკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნებს მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით და არის ინვესტიციების განხორციელების შედეგი. ინვესტიციების განხორციელებასა და მოხმარებას შორის შუალედური რგოლია საგანმანათლებლო მომსახურეობა. იგი უზრუნველყოფს სტუდენტის სურვილის დაკმაყოფილებას განათლების მიღებაში და ზრდის მისი შრომის მნარმარებლობასა და მოხმარების კულტურას.

განათლების ერთ-ერთი სარგებლობა დაკავშირებულია ყოველი მომდევნო თაობაში განათლების ზრდასთან. რაც უფრო განათლებულია თაობა, მით უფრო მეტ განათლებას ღებულობენ მომდევნო თაობები. განათლების ზრდის შედეგად იზრდება პოტენციური შემოსავლებიც. ამიტომ უფრო მაღალი შემოსავლის მიღების საფუძვლად შეიძლება ვალიაროთ განათლებაში დაბანდებული ინვესტიციები.

თავის მხრივ განათლებას აქვს განსხვავებული ზემოქმედება საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორებზე. იგი გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ანაზღაურების არახელფასით გამოხატულ განზომილებებზე, მაგალითად, ზღვრულ სარგებლობაზე, მუშაობის პირობებზე, გამომუშავების სტაბილურობაზე და სხვ. განათლებას აქვს წმინდა სამომხმარებლო შედეგებიც. მაგალითად, სწავლითა და კვლევით მიღებული სულიერი კმაყოფილება. ამასთანავე, განათლება გავ-

ლენას ახდენს არასაბაზრო საქმიანობებზე. ურთიერთმოქმედების ეს მხარეები ყოველთვის არ გამორიცხავენ ერთმანეთს და ზოგჯერ პიობითად უნდა იქნეს გამიჯნული ისინი ერთმანეთი-საგან, რადგან მათი შედეგების გაზომვა ძალიან ძნელია.

ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც გამოიყენება განათლებიდან მიღებული სარგებლობის გა-საზომად არის განათლებიდან პირდაპირი უკუგების მეთოდი. მეთოდი ეფუძნება განათლები-დან ინდივიდისთვის და საზოგადოებისთვის პირდაპირი უკუგების გაზომვას. საყოველთაოდ აღიარებულია უკუგების შეფასება მხოლოდ შრომითი გამომუშავების ან შემოსავლების რაო-დენობის გაზომვით.

სხვადასხვა კვალიფიკაციისა და სპეციალობის მუშაკების შრომის ანაზღაურება დიფე-რენცირებულია. განსხვავებული შრომის სახეები მოითხოვენ შესაბამის კვალიფიკაციას, გა-ნათლების დონეს, ჩვევებს, გამოცდილებას ან საბაზრო რისკისათვის მზადყოფნას. კლასიკური მოდელით, სამუშაო ძალის ფასი განისაზღვრება შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დონეებით, ანუ სხვანაირად, იგი არის ინვესტიციების შეფარდება, რომელიც გაწეუ-ლია რომელიმე სპეციალობის მისაღებად იმ მოთხოვნასთან, რომელსაც შრომის ბაზარი უყე-ნებს ინდივიდებს დასაქმების მიზნით.

განსაკუთრებული ანალიზის საგანია განათლების დარგის წილის კვლევა ქვეყნის მშპ-ში. ვინაიდან წლების მიხედვით განათლების დარგის წილი ქვეყნის მთლიან პროდუქტში 1,5-ჯერ აღემატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაღებული ხარჯების წილს საბიუჯეტო ასიგნებათა მთლიან მოცულობაში (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1.

2008-2015 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე დანახარჯები (მლნ. ლარი)

	2010	2012	2013	2014	2015	2016
საბიუჯეტო ხარჯები, სულ	561,7	595,0	673,2	754,3	840,0	952,0
%-ობით სახელმწიფო ბიუჯეტთან	7,9	7,5	7.6	8.3	8.7	9,6
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამებზე	55,7	124,2	129,3	138,2	154,9	212,0
სამეცნიერო კვლევების პროგრამებზე	43,1	29,9	35,7	49,7	60,5	66,5

წყარო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოქმედებს საბაზრო კონკუ-რენციაც და მისი კანონებიც. ასეთ პირობებში ჩნდება კითხვა: რა როლი უნდა შეასრულოს სა-ხელმწიფომ განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლებაში და როგორ უნდა განხორციელ-დეს მისი უზრუნველყოფა?

თუ განათლება ეხმარება და აძლიერებს ეკონომიკას, ეკონომიკის ზრდა კი სახელმწიფოს მთავარი მიზანია, მაშინ სახელმწიფოს ჩარევა განათლების სფეროს დაფინანსებაში მიზანშე-წნობილია. არგუმენტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს როლი განათლებაში აქტიური უნდა იყოს, ყოველთვის არ არის გამართლებული, თუმცა თანასწორობის უზრუნველყოფა საყოველ-თაოდ არის აღიარებული, როგორც სახელმწიფოს განათლებაში ჩარევის აუცილებელი პირობა.

განათლებაზე ხარჯები შეიცავს არა მარტო დანახარჯებს მიმდინარე საქმიანობაზე, არა-მედ აგრეთვე ხარჯებს მომავალ საქმიანობაზე - სტრატეგიის შემუშავების და სტრატეგიული გეგმების შედგენის სამუშაოების დაფინანსებას. საქართველოში განსხვავებით ევროპის ქვეყ-ნებისგან სწავლების ღირებულება არ არის მასზე განეული ხარჯების იდენტური. სტუდენტთა სწავლების დანახარჯებთან შედარებით დაბალია სწავლის საფასური. სახელმწიფოს მიერ სწავ-ლის წლიური საფასური უნივერსიტეტებში 2250 ლარი - მიზერული თანხაა. იმ დანახარჯებს, რაც ერთ სტუდენტზე უნდა გასწიოს უნივერსიტეტმა, რომ ის კვალიფიციურ სპეციალისტად


მოამზადოს ეს თანხა ნახევარსაც ვერ ფარავს. კერძო უნივერსიტეტები ცდილობენ მაღალი კონკურენციის პირობებში არ დააწესონ სახელმწიფო დაფინანსებისგან დიდად განსხვავებული გადასახადი. ჩვენი აზრით კვალიფიციური კადრების, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებისათვის აუცილებელია დაფინანსება გაიზარდოს. დაფინანსება უნდა დაკავშირებული იყოს და იანგარიშებოდეს სტუდენტთა მომზადების პირობების შესაბამისად. A

დაფინანსების დაბალმა დონემ გავლენა იქონია კადრების მომზადების ხარისხზეც. უნდა აღინიშნოს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. საგანმანათლებლო სექტორში გაჩნდა კერძო უმაღლესი სასწავლებლები. მათ გახსნას სათანადო დასაბუთებაც ქონდა, ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ახალ სპეციალობებს საჭიროებდა. ამასთან უკვე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს „არ შეეძლოთ“ აღნიშნული კადრების მომზადება. შესაბამისად კერძო სასწავლებლები იღებდნენ ლიცენზიას საქმიანობაზე, რომელსთაც არც შესაბამისი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ სასწავლო ლაბორატორიებზე, და არც საკუთარი პროფესორ-მასწავლებლები ყავდათ. ასე გაიხსნა საქართველოში 200-ზე მეტი კერძო სასწავლო აკადემია, სასწავლო უნივერსიტეტი თუ ინსტიტუტი. მათ საკუთარ თავზე აიღეს ახალი პროფილის და სპეციალობის კადრების მომზადება, რამაც სამუშაო ძალის ბაზარზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა, რაც დღემდე გრძელდება.

ასეთ უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხებოდნენ უმეტესად ის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში აქციებზე დადიოდნენ, მიტინგებზე ისხდნენ. მათ არ გააჩნდათ საუნივერსიტეტო სწავლებისთვის საბაზისო განათლების დონე. ამრიგად ამ უმაღლესი სასწავლებლების მთავარი დანიშნულება მასების „დამამშვიდებელი“ ფუნქცია იყო, რამაც უხარისხო სწავლებას დაუდო საფუძველი.

სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნების თანახმად ამ სასწავლებლების რაოდენობა ეტაპობრივად შემცირდა. უმაღლესი სასწავლებლებისთვის ავტორიზაციის მოთხოვნები თანდათან გამკაცრდა. მაგრამ უმაღლეს სისტემაში გაჩნდა სასწავლებლების ახალი კატეგორია – არაკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები. ეს არის კატეგორია, რომელიც ავტორიზებული უნივერსიტეტების და სასწავლო უნივერსიტეტების გვერდით არსებობენ და გასცემენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ არა სახელმწიფო დიპლომებს, არამედ საკუთარ დიპლომებს. ასეთი უმაღლესი სასწავლებლები დღემდე ფუნქციონირებენ და მათი კურსდამთავრებულებიც შესაბამისად სამუშაო ძალაზე საბაზრო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ყოველივე ეს, ცხადია გავლენას ახდენს მთლიანად კადრების მომზადების ხარისხზე.

ბოლო წლებში შემცირდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა, მაგრამ ხარისხის ცვლილება ჯერ-ჯერობით პრობლემად რჩება.



მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა ახალგაზრდების სწრაფვა უმაღლესი განათლების დიპლომების მიღებისაკენ კვლავ დიდია. შესაბამისად იზრდება სტუდენტთა რაოდენობაც.

ცხრილი 2.

მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა 2011-2015 წლებში

	2011	2012	2013	2014	2015
მოსწავლეთა რაოდენობა, ათასი	568,5	559,4	553,0	554,0	553,9
სტუდენტთა რაოდენობა, ათასი	95,1	109,5	117,7	124,2	138,9
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	4266	3040	3213	3410	3765

ნუკრო: საქართველოს სტატისტიკისა დეპარტამენტი

განათლების დაფინანსება უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული. დაფინანსების დაბალი დონის გამო სწარფვა უმაღლესი განათლებისადმი მაღინაც კი, როდესაც ახალგაზრდას არ აქვს შესაბამისი საბაზისო ცოდნა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სპეციალობები, „ბიზნესის აღმინისტრირება“ და „ფინანსები და საბანკო საქმე“. კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისთვის საბაზისო ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სპეციალისტის საფუძვლიანად დაუფლებისთვის აუცილებელია მათემატიკის სათანადოდ ცოდნა. ამათემატიკა არის რიგი სპეციალური დისციპლინების შესწავლისთვის მეტად საჭირო. ამ დროს სტუდენტებისთვის ეროვნულ გამოცდაზე უკვე ჩასაბარებელ საგნად, რომელსაც ისინი თვითონ ირჩევენ, გახდა მათემატიკასთან ერთად ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ქიმია და სხვ. აყოველივე ეს ხელს უშლის კვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც მათ კონკურენტუნარიანობის დაბალ დონეს განაპირობებს, და უქმნის წინააღმდეგობებს მათ დასაქმებას.

დადებითი და კარგია განათლების სფეროს მართვის ორგანოების დიდი ძალისხმევა პროფესიული სწავლების გააქტიურების მიმართულებით. ეს სწორი ტენდენციაა. ახალგაზრდებს დაინტერესების შემთხვევაში მიეცემა სხვადასხვა პროფესიების – მომსახურების სფეროს სპეციალობების, სამშენებლო სპეციალობების, დაბალი დონის მენეჯერების და სხვ. დაუფლების შესაძლებლობა. დღეისათვის პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტებს იღებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (11 კერძო სკოლა), პროფესიული კოლეჯები (40 კერძო და 11 საჯარო კოლეჯი), საზოგადოებრივი კოლეჯები (41 კერძო და 9 საჯარო კოლეჯი), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ეს არა მარტო კომპანიებს დაეხმარება მომზადებული პროფესიული კადრებით, არამედ შეამცირებს იმ ახალგაზრდათა რიცხვს, ვისაც არ აქვს საკმარისი საბაზო განათლება და პრეტენზია აქვთ საბაკალავრო სპეციალობების დაუფლებასა და ბაკალავრის დიპლომის მიღებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის გამართულდად მუშაობისთვის საჭიროა აკადემიური პერსონალი. ამის პირობა კი ეფუძნება საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა. დღეს საქართველოში გაუზრუნებელი საკადრო პოლიტიკის გამო განათლების დარგი მეტად ზიანდება. ხშირია კადრების ცვლა დარგობრივი მართვის ყველა დონეზე. 2000 წლიდან დღემდე განათლების და მეცნიერების სამინისტროში მრავალი მინისტრი შეიცვალა. მათგან თითქმის არცერთს არ გააჩნდა სპეციალური განათლება, არ იცნობდნენ სკოლას და საერთოდ განათლების პრობლემებს. მინისტრებად ინიშნებოდნენ პენიტენციალური სისტემიდან და პროკურატურიდან კადრები. მათ ყველას პრობლემების მისეული ხედვა გააჩნდა, რაც ხშირად განათლების პრობლემების მოგვარებას კი არ უწყობდა, პირიქით ხელს უშლიდა. შესაბამისად ეს ფაქტი უმაღლესი სკოლის პროფესურამ უარყოფითად შეაფასა და ვერ მიიღო. ვერ შეეგუა რეფორმას და განათლებაში მიმდინარე ცვლილებებს.

უმაღლესი სკოლების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კიდევ ერთი მახასიათებელია დასადგენი – პროფესორთა და სტუდენტთა თანაფარდობა. კრიტიკას ვერ უძლებს უმაღლესი სკოლების აკადემიური კადრებით დაკომპლექტების საკითხი. პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევა ხდება საკონკურსო წესით. ხშირად კონკურსის პირობები მეტად მარტივია, ან პირიქით მკაცრი. რაც მოტივირებული პროფესოურის შერჩევას უშლის ხელს. გაუგებარია კონკურსში მონაწილეობის ასაკობრივი შეზღუდვაც. 65 წლის მეცნიერს არ უნდა ეკრძალებოდეს კონკურსში მონაწილეობა და უმაღლეს სკოლაში მუშაობა. ასეთი მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური და საკონკურსო კომისიამ ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს ცალკეული პიროვნების არჩევის საკითხი, მისი ფიზიკური მდგომარეობის და შრომისუნარიანობის გათვალისწინებით.

გადახედვას საჭიროებს მასწავლებელთა და უმაღლესი სკოლის პროფესორთა შრომის ანაზღაურებაც. მათი ხელფასები მეტად დაბალია. პროფესორებს, რომ ირჩინონ თავი და საკუთარი ოჯახი, უხდებათ ერთდროულად რამოდენიმე უნივერსიტეტში მუშაობა. მათი ასეთი „გა-საჭირი“ კერძო უმაღლეს საწავლებლებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, და ამასთან ერთად დაბლა სწევს უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხს. კადრების კვალიფიკაცია რომ მაღალი იყოს, ისინი არ უნდა მუშაობდნენ ტერიტორიულად მეტად დაშორებულ სხვადასხვა უნივერსიტეტებში, რომ ცხოვრებისთვის საკმარისი თანხები მოიძიონ.

ეს საკითხი მართვის ორგანოების ყურადღების საგანიც გახდა და უნივერსიტეტებში ბოლონიის პროცესის მონაწილე უნივერსიტეტების მსგავსად შეიქმნა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. მაგრამ ასეთი სამსახურები ვერ ებრძვიან ხარისხთან დაკავშირებულ სისტემურ პრობლემას. თანაც ამ სამსახურებშიც თუ მუშაობენ არაკვალიციფური კადრები, მით უმეტეს ისინი პრობლემის გადაჭრას ვერ დაეხმარებიან.

პროფესორ-მასწავლებელთა დაბალმა ანაზღაურებამ დიდად დააზიანა უმაღლესი განათლების სისტემა. კუცხო ენების მცოდნე კვალიფიციური კადრები დასაქმდნენ სხვადასხვა კორპორაციებში, ბანკებში, კომპანიებში, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურებაა, ან სამუშაოდ წავიდნენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ცენტრებში. ასეთი ტენდენცია თუ დიდხანს გაგრძელდა უმაღლეს სკოლებს აკადემიური რესურსის მხრივ დიდი პრობლემები შეექმნებათ.

დისკუსიის საგანია სამეცნიერო კადრების მომზადების და ხარისხების მინიჭების სისტემაც. გასამართია და კვლავ სრულყოფას საჭიროებს განათლების საკანონმდებლო ბაზა. საქართველოში 2007 წლიდან ამოქმედდა, ევროპის სისტემის მსგავსად, სამეცნიერო კადრებისთვის ხარისხის მინიჭების ახალი წესი. კერძოდ სწავლების მესამე საფეხურის დამთავრების და საკვალიფიკაციო სამეცნიერო ნაშრომის დაცვის შემდეგ პიროვნებას ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამან სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. სამეცნიერო ხარისხის აკადემიური ხარისხით შეცვლამ ხარისხის დონე შეამცირა. თანაც იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არ არის შესაძლებელი დუბლირებული შრომების გამოვლენა, აღარ არსებობს დაცული დისერტაციების ერთიანი სახელმწიფო რეგისტრაცია-აღრიცხვა, კომპიუტერული საშუალებები სხვის ნააზრების გადმოღების ფართო შესაძლებლობებს იძლება. ყოველივე ამან გაადვილა სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და აკადემიური ხარისხის მოპოვება. თუ ქვეყანაში არსებული ორი სამეცნიერო ხარისხის მინიჭება ხდებოდა, რაც დიდი შრომის ფასად მიიღწეოდა, განსაკუთრებით მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის, ახალმა მიდგომამ ხარისხის მოპოვება მეტად გაადვილა. მით უმეტეს არ შეიძლება მეცნიერებათა დოქტორების სამეცნიერო ხარისხის და აკადემიური დოქტორების ხარისხის გათანაბრება, რაც მათ ანაზღაურებაშიც ერთნაირად აისახება. ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია ახალგაზრდების მეცნიერებით, მეცნიერული კვლევებით დაიტერესების შენელების. მართლია მეცნიერების ცალკეულ დარგებში კვლავაც ბევრია მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული კვლევები, დაცულია მეტად დიდი სამეცნიერო ღირებულების დისერტაციები, მაგრამ მთლიან რაოდენობაში ეს ძალიან ცოტაა. ამიტომაცა რომ დაცული დისერტაციების რაოდენობა ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება.

უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სამეცნიერო საქმიანობისთვის პირობების გაუმჯობესება. ვერ შეიქმნა უნივერსიტეტებში სამეცნიერო კადრების მომზადების-

თვის საჭირო სამეცნიერო ცენტრები და ლაბორატორიები, სადაც დოქტორანტები კვალიფიციურ კვლევას ჩატარებდნენ. მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა უმნიშვნელო ნაწილს აქვს სურვილი სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. A

უმაღლეს სკოლების საქმიანობაში გამოიკვეთა კარგი ტენდენცია. კურსდამთავრებულების ინტერესი გაიზარდა საერთაშორისო კვლევით ცენტრებში სილრმისეული ცოდნის მიღებისადმი. ეს რა თქმა უნდა უნივერსიტეტების სამეცნიერო კადრებით უზრუნველყოფას დიდად და-ეხმარება. მაგრამ ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა.

კვლავ დგას საკითხი იმის შესახებ თუ რა იქნება უკეთესი: გრანტი მიეცეს უნივერსიტეტებს თუ სტუდენტებს? ვინ უნდა დაფინანსდეს - უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების ხელფასი თუ სტუდენტების სწავლება?

სახელმწიფო დაფინანსების როლი განათლების დაფინანსებაში ყოველთვის მნიშვნელოვანია. კერძოდ,

- განათლება სარგებლობას აძლევს არა მარტო ინდივიდებს, არამედ მთელ საზოგადოებას;

- საჭირო განათლების ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გამოავლენს არა მარტო განსაკუთრებით ნიჭიერი, და გადახდისუნარიანი სრული პოტენციურ შესაძლებლობების ინ-დივიდებს, არამედ ხელს შეუწყობს ყველა ინდივიდის პროფესიულ მომზადებას, რაც თანასწორობის მიღწევის აუცილებელი პირობაა.

- განათლება უზრუნველყოფას დიდ სახელმწიფი სარგებლობას, განსაზღვრავს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

- თანამედროვე ეტაპზე საჭირო ხდება ახალი კავშირების განვითარება სახელმწიფოს, მოსახლეობასა და კერძო მენარმეებს შორის, რომლებმაც ერთად უნდა იტვირთონ ფინანსური ვალდებულება განათლების განვითარებაზე (87, 115).

უმაღლეს განათლებაში დაფინანსების შერეული სისტემის მიზანშეწონილობა განისაზღვრება ქვეყნის განვითარების დონით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რამდენადაც ხელფასის სიდიდე გარკვეულნილად დაკავშირებულია შრომის შედეგებთან, უმაღლეს განათლებაში დაბანდებული თანხების კერძო და საზოგადოებრივ უკუგებას შორის სხვაობა საკმაოდ დიდია. ეს ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯების დიდ ნაწილს გაიღებს სახელმწიფო, ხოლო სარგებლობის დიდ ნაწილს დებულობს ინდივიდი შრომის ანაზღაურების სახით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაფინანსების ტვირთის დიდი ნაწილი განათლების ამ სისტემაში უნდა გაიღონ კერძო მენარმეებმა და ინდივიდებმა. შესაძლებელია შემოღებულ იქნეს პირდაპირი გადასახადი განათლებაზე როგორც ზოგიერთ ქვეყანაში არის.

სასწავლო დაწესებულებების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმად განიხილება მომზადებული კადრების დასაქმების საკითხი, რაც დაფინანსების სისტემაშიც უნდა აისახოს.

უნივერსიტეტების საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ავტორიზაციის პროცესში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია, მაგრამ ეს კრიტერიუმი რას ემსახურება გაუგებარია. დღემდე დასაქმების მიმართულებით კვლავ აქტიურია თვითდასაქმების პროცესი. საზღვარგარეთ უნივერსიტეტების საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართულები კერძო კომპანიები, რომლებიც ასევე დასაქმების საკითხებშიც ეხმარებიან უმაღლეს სასწავლებლებს. მართალია ჩვენთან ზოგიერთ უნივერსიტეტებში შეიქმნა დასაქმების და კარიერული ზრდის ცენტრები, მაგრამ ისინი ხშირად ფორმალური სამსახურებია და თავის ფუნქციებს ვერ ასრულებენ. ამიტომ მართვის ორგანოების მცდელობა რომ განათლების სისტემაში დანერგონ ხან გერმანული, ხან ესტონური მოდელი შედეგებს ვერ იძლევა. მარტო კარგად შედგენილი სასწავლო პროგრამები და სასწავლო დისციპლინების გამართულად მომზადებული სილაბუსები სწავლის ხარისხს ვერ ეხმარება.

მიუხედავად მტკიცნეული მომენტებისა, კვლავაც უნდა გამკაცრდეს უნივერსიტეტების ავტორიზაციის მოთხოვნები. პარლამენტის და სამთავრობო დონეზე მართვის ორგანოებმა პერმანენტულად უნდა გაზარდოს მოთხოვნები უმაღლესი სასწავლებლებისადმი, რათა სიტუაცია მიმართული იყოს სრულყოფისა და პროგრესისაკენ. საუნივერსიტეტო საქმიანობის გან-

ხორციელების ნება მხოლოდ იმ სასწავლებლებს უნდა მიეცეთ, რომელთაც აქვთ სათანადო მატერიალური ბაზა, გააჩნიათ სათანადო ინტელექტუალური პოტენციალი, ჰყავთ პროფესორთა კვალიფიციური კადრები, გააჩნიოთ სწრაფვა სიახლეებისადმი და შესაძლებლობები მათი დანერგვის. უნივერსიტეტებს რომელთაც შეუძლიათ კოოპერაციის საწყისებზე თანამშრომლობა სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან და დიდ კორპორაციებთან კოლეგიალური თანამშრომლობა. მხოლოდ ასეთი უმაღლესი სასწავლებლები არიან დღეს მიმზიდველი აბიტურიენტებისა და მათი მშობლებისათვის.

საკამათო არ არის, რომ ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა უმაღლესდამთარებულ სპეციალისტებზე. იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემა ბაზრის მოთხოვნებს. დასაქმებაზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ კუსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის მაჩვენებლებით ცალკეული სპეციალობების მიხედვით. საქართველოში ასეთი სტატისტიკა ჯერჯერობით ჩამოყალიბების ეტაპზეა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები 70 პროცენტს შეადგენენ, მაშინ დასაფიქრებელია, რომ საქართველოს განათლების სისტემაში მომზადებულ სპეციალისტებზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე ძალიან დაბალია.

მნიშვნელოვანია უწყვეტი განათლების სისტემის შემოღებაც. დაწყებითი განათლება, საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება ის საფეხურებია, რომელიც პიროვნების სპეციალისტად ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. მაგრამ ამით არ სრულდება პროცესი. საჭიროა პიროვნებამ მუდმივად იზრუნოს პროფესიულ სრულყოფაზე. პერმანენტულად გაიაროს გადამზადების კურსები, გაეცნოს პროფესიის შესაბამის სიახლეებს და დაეუფლოს მათი გამოყენების შესაძლებლობებს. ამის შესაძლებლობები არსებობს როგორც ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ცეტრებთან თანამშრომლობით. რასაც გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ეხმარება.

გზა გლობალიზაციისაკენ მხოლოდ უნივერსიტეტების სასწავლო პროცესების ინტეგრაციით მიიღწევა და იგი გულისხმობს სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას; სასწავლო საგნების შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების დაახლოებას; ერთობლივი სასწავლო პროგრამების ამუშავებას; პროფესორ-მასწავლებელთა მობილობით დასაქმებას და სხვ.

ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების შეთანხმებამ ხელი შეუწყო უნივერსიტეტების ურთიერთანამშრომლობას. გაზარდა ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაინტერესება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისა და ქართული უნივერსიტეტების საქმიანობისადმი. გაიზარდა დონორი და საქველმოქმედო ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსება და ჩართულობა ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის რეორგანიზაციის საქმეში. შესაძლებელი გახდა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება.

დღეისათვის განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესი და მისი მართვა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ინტერნაციონალიზაციის პროცესი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემატური ინტეგრაციის პროცესი საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტებით. ამ პროცესს მუდმივი მუშაობა ესაჭიროება. საჭიროა უნივერსიტეტებს ჰქონდეთ შემუშავებული გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე განათლების თავისებურებები.

უნივერსიტეტებს კი სტრატეგიული განვითარების გეგმაში ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ხშირად არ აქვთ, ან ერთმანეთისგან გამიჯნული არ აქვთ სტრატეგიის მიმართულებები და სტრატეგიის განხორციელების სამუშალებები. ეს რა თქმა უნდა ხელს უშლის როგორც ინტერნაციონალიზაციის პროცესს, ასევე ქართული უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული სტრატეგიების განხორციელებაში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა განათლების სისტემის რეფორმირების ფარგლებში ცალკეული ღონისძიებების გატარება. ჩვენი აზრით განათლების რეფორმირების პროცესს დიდად დაეხმარება: ბაზრის მოთხოვნების და სპეციალისტთა მომზადების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესაბამისობის მიღწევა; უმაღლესი განათლების რეგულირე-

ბის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; სწავლების დაფინანსების თანამედროვე მოდელების შესწავლა და გამოყენება; უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვალიფიციური დონის მუდმივი მონიტორინგი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების მომზადებაში დამსაქმებელთა მონაწილეობა; ეროვნული უნივერსიტეტების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებების განსაზღვრა; მუდმივად ზრუნვა უნივერსიტეტების საქმიანობაში ინოვაციური მეთოდების გამოყენებასა და დანერგვაზე.

ქართული ანდაზა „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“ უნდა დაიხვენოს პროფესიული კუთხით. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოკრძალებით წარმოდგენილი ჩვენეული ხედვები დაეხმარება და ხელს შეუწყობს განათლების სისტემის მართვის სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ.სართანია, ინტერნაციონალური ტენდენციები უმაღლესი განათლების სისტემაში, ჟ. გლობალიზაცია და ბიზნესი, #2, 2016
2. ვ.სართანია, მ.თოქმაზიშვილი, შ.მაღლაკელიძე, განათლების ეკონომიკის საფუძვლები, თბ. 2004
3. შ.ამონაშვილი, ადამიანი ადამიანის შემოქმედი, თბ. 1987
4. ო. ალფეინიძე, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი - სტრატეგიული პროცესი, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული უურნალი, #3, 2014
5. დ.ნარმანია, უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში, თბ. 2012 (http://ciesr.org/files/education_georgia_dr_davit_narmania.pdf)
6. ლ.ბაქრაძე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013
7. ვ.კიკუტაძე, უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა საქარტველოში, თბ. 2015
8. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (21.12.2004),
9. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ (21.07.2010),
10. <http://www.mes.gov.ge/>
11. <http://www.naec.ge>
12. <http://www.economy.ge/ge>
13. <http://mof.ge/>
14. <https://www.nbg.gov.ge/>
15. <http://www.geostat.ge>

VAKHTANG SARTANIA
PhD in Economics, Prof.
Dean of the School of Economics and Business Administration,
St. Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia

PROBLEMS IN THE MANAGEMENT OF EDUCATIONAL SYSTEM AT PRESENT

Summary

Due to traditions and lifestyle, the attitude towards education system in our country always varied. Accordingly, the attitudes towards social-economic principles of education are different.

Conditions of Scientific work that still exist in higher educational system need improvement. Scientific centers and laboratories for training scientific personnel, where extensive researches could be carried out, are still unestablished.

It is true that interest of undergraduate students in gaining deep knowledge in international research centers has increased. However, the number of such students is still small. The process of internationalization of education and its management is at present an important factor in increasing competition in this field. It is necessary for universities to have long-term development strategy, reflecting peculiarities of contemporary education.

Recommendations, that will support educational System reforms, are offered in the article: Market demands and necessity to achieve balance between quantitative and qualitative factors of training; improvement of regulations in higher education legislation; usage of contemporary scholarship programs; Constant monitoring of qualification level of undergraduate students in accordance with the Market demands; Participation of employees in preparation of university curricula; Determination of steps taken by national universities in the direction of internalization process; Constant concern of universities in the field of applying innovative methods.

ВАХТАНГ САРТАНИЯ

Доктор экономических наук, профессор

Декан факультета Экономики и Бизнеса Грузинского Университета

Патриархата Грузии имени Святого Андрея Первозванного

ПРОБЛЕМЫ УПРАВЛЕНИЯ СИСТЕМОЙ ОБРАЗОВАНИЯ В СОВРЕМЕННОЕ ВРЕМЯ

Резюме

В нашей стране образование и отношение к нему всегда было особым, что обусловлено традициями и устоем жизни. Соответственно, особое внимание уделяется социально-экономическим принципам образования.

В высших учебных заведениях, к сожалению, всё ещё не удалось улучшить условия научной деятельности: в университетах нет научных центров и лабораторий, необходимых для подготовки научных кадров, где можно было бы проводить качественные исследования.

Правда, вопрос интерес выпускников университетов к получению знаний в международных исследовательских центрах, но количество этих молодых людей пока еще незначительно. Управление системой образования и интернационализация обучения на сегодняшний день являются важными факторами повышения конкурентоспособности.

Автор статьи предлагает рекомендации, которые помогут процессу реформирования системы образования: необходимость достижения качественной и количественной подготовки специалистов, соответствующих требованиям рынка; усовершенствование законодательной базы регулирования высшего образования; применение современных методов финансирования обучения; постоянный мониторинг уровня квалификации окончивших университет студентов; участие работодателей в составлении образовательных программ; определение направления деятельности национальных университетов в вопросах интернационализации; постоянная забота о внедрении и применении инновационных методов.

პროფესიულ-ტექნიკური განათლება

რევაზ ნაკაშიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პროფესიული განათლება გერმანიაში (დუალური სწავლების სისტემა)

ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ბრიობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების პროცესებში წამოჭრილმა პრობლემებმა ნათლად გვიჩვენა, რომ ეროვნული პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის საზრუნვავი და საფიქრალი ბევრი გვაქვს. უპირველეს ყოვლისა საკუთარი და უცხოური გამოცდილების ღრმა და ობიექტური ანალიზი გვმართებს, რომელიც საქმიანობის ყველა უბანზე ძალების მობილიზებას, ერთიან ძალისმევით მოქმედებას მოითხოვს, რასაც სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოვაბით თავი. ამჯერად, მნიშნელოვან მოვლენად მიგვაჩინია საქართველოს მთავრობის მიერ, ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის მიღებულ ოთხ პუნქტიანი გეგმა (2017-2020 წწ.), რომელშიც პრიორიტეტული ადგილი ეროვნული პროფესიული განათლების აღორძინებისა და განვითარების ღონისძიებებს უჭირავს. კერძოდ, გერმანული პროფესიული განათლების „დუალური სწავლების“ სისტემის ჩვენს სინამდვილეში დანერგვას ისახავს მიზნად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, ვისაც უშუალო შეხება აქვს პროფესიული კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების პრობლემებთან, უდიდეს პასუხისმგებას აკისრებს. იგი, ჩვენი ევროპული არჩევანის მნიშნელოვან ნაბიჯად უნდა აღვიქვათ. თითოეულის მონდომებასა და პასუხისმგებლობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. იმისათვის რომ გერმანელი კოლეგების მდიდარი და ნაცადი გამოცდილება ჩვენი გონივრული მიდგომის ნაყოფად ვაქციოთ, აუცილებელია გავითავისოთ მათი ეროვნული პატრიოტიზმის, სტაბილურობის, კვალიფიციური შრომის და პუნქტუალობის მაღალი დონე.

ბუნებრივია, საზოგადოების დიდ დაინტერესებას იწვევს ის, თუ როგორ ახერხებენ გერმანელები ეფექტური საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას, რა წარმოადგენს ტრადიციული „დუალური სწავლების“ სისტემა, რა უპურატესობა გააჩნია სწავლების სხვა ფორმებთან და შინაარსთან შედარებით. როგორია მათი სასწავლო გეგმები, პროგრამები, საზოგადოების სხვადასხვა უწყებებისა და დამსაქმებლებთან ერთობლივი მუშაობის მექანიზმები და ა.შ.

ჯერ კიდევ, თხუთმეტიოდე წლის წინ, ვეცადე, ეს სიცარიელე რამდენადმე შემევსო. ბერლინში, ევროპის პროფესიული განათლების ფონდის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირ-სემინარის მუშაობაში მივიღე მონაწილეობა. შესაძლებლობა მომეცა ახლოდან გავცნობოდი ამ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას. უშუალოდ მოსმენილის და ნანაისაგან მიღებული შთაბეჭდილებები, შეხედულებები და მოსაზრებები გადავწყვიტე ცალკე ნაშრომის სახით გამომეცა: „პროფესიული განათლება გერმანიაში“ [1]. სამწუხაროდ, მაშინ, ცოტა თუ ვინმე დაინტერესდა ამ წიგნით. ახლა კი, როცა ვითარებამ გერმანული პროფესიული განათლების სისტემის მოქნილი მექანიზმის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვა მოითხოვს, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, ერთხელ კიდევ გავამახვილოთ მის მიმართ სპეციალისტებისა და ფართო მკითხველის ყურადღება.

დუალური სწავლების სისტემის სიკეთეში სულ უფრო ვრწმუნდებით, იგი ეპოქალურ ცვლილებებს წარმატებით ართმევს თავს, პოპულარობასა და ნდობას იხვეჭს. წარმატებით გამოიყენება მეზობელ ქვეყნებში: (ავსტრიაში, დანიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში...). მისდამი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩინს განვითარებული ქვეყნები, მაგრამ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები მის შაბლონურ გადმოტანას არ გვირჩევენ. ამაზე მიგვანიშნებს ბერლინის ფედერალური განათლების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის, ქალბატონ ზავადე კააშის სიტყვე-

ბი: „...თითოეულ ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული სწავლების სისტემა, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყნის ცხოვრების წესს, ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ ინფრასტრუქტურების განვითარებას“. [2,360].

ამასთან მიმართებაში, დღესაც აქტუალობას არ კარგავს დიდი ილიას მიერ 1898 წელს გაკეთებული გენიალური შეფასება წერილში „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“: „ამ ოცს უკანასკნელ წელინადში ხელოსნობა და ერთობ ვაჭრობა-მრეწველობა ისე წინ წამოდგა გერმანიაში, რომ ყველასთვის საოცებელი გახდა. წინათ, ამ მხრივ უღონო გერმანია ბევრად ჩამოუვარდებოდა იმისთანა სამრეწველო ქვეყანას, როგორიცაა საფრანგეთი და შორი-აბლოსაც სასწორზე ვერ დაუდგებოდა ინგლისს, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობაში ყველა ქვეყანაზე წინ იყო. ახლა გერმანია ამ ოცს, თუ მეტ-ნაკლებ წელინადში მრეწველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის წინ უსწრებს, ლამის ინგლისს გაესწორპიროს და მსოფლიო ბაზარზე ცილობა გაუწიოს“. ილია შემდეგ სამართლიანად დაასკვნის: „...უპირატესობა გერმანიისა, რომელიც წლიდან-წლამდე უფრო და უფრო თავს იჩენს, საქონლის სიკეთითა და ბაზრების განდიდებითა, სამართლიანი ჯილდოა იმ ზედმიწევნით ასრულებული პროგრამისა, რომელიც სამი სიტყვით გამოითქმის: „საერო განათლების წარმატება“. [3]

გერმანელი ერის შრომისმოყვარეობის, ცოდნისა და ენერგიის რაციონალური მიზნობრივი გამოყენების მისაბად მაგალითზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ და ხალხმა ერთიანი ძალისხმევით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული და გაჩანაგებული ფაბრიკა-ქარხნების, სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს მონდომებით მოჰკიდეს ხელი. სწავლა და შრომა, შრომა და სწავლა – ეს კაცობრიობის არსებობისათვის აუცილებელი ორი ფენომენი მჭიდროდ დაუკავშირეს ერთმანეთს, რის კვალობაზეც მოკლე ხანში გაართვეს თავი ურთულეს ამოცანას, ქვეყანა კვლავ მონინავე სახელმწიფოთა რიგში ჩააყენეს.

გერმანული წარმოების საქონლის ხარისხი საყოველთაო ნდობას იმსახურებს, ფასი არა-სოდროს ეცემა დაბლა, რაც ქვეყნის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ამერიკული ჟურნალი „HARVARD BUSINESS REVIEW“ 1992 წლის დეკემბერში წერდა, რომ გერმანულ წარმოებას თუ დღეს მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, ამის განმსაზღვრელი ფაქტორი ქვეყანაში პროფესიული სწავლების მაღალი ხარისხია: „სწავლების ტრადიციული სისტემა აქ უზრუნველყოფს ცოდნის იმ დონით მიღებას, რომელიც მაღალხარისხოვანი სპეციალისტების მომზადების საშუალებას იძლევა, ხოლო ასეთ სპეციალისტებს თავიანთი თეორიული და პრაქტიკულ მომზადებით შეუძლიათ სწრაფად დაეუფლონ უახლეს ტექნოლოგიას. [4]

დუალური სწავლების სისტემის მეშვეობით მოზარდის სასკოლო გარემოდან პროფესიულ-შრომით სამყაროში მაღალხარისხოვან სპეციალისტად გადასვლის და დასაქმებისთვის საუკეთესო პირობები იქმნება. გერმანელი ახალგაზრდების უმეტესობა შრომით ცხოვრებას და შესაბამისი პროფესიული განათლების მიღებას ერთდროულად იწყებს. პრაქტიკულ შრომითი საქმიანობას კვირაში 3–4 დღით ფაბრიკა-ქარხნებში, სახელოსნოებში, ლაბორატორიებში, სავაჭრო და საზოგადოებრივ კვების ობიექტებში გადიან. ხოლო თეორიულ სწავლებას ერთი-ორი დღით პროფესიულ სასწავლებლებში (სასწავლო ცენტრებში) იღებენ. სამუშაო ადგილისა და სასწავლებლის ერთმანეთთან სიახლოვე მჭიდრო კავშირ-ურთიერთობებს და შემოქმედებით თანამშრომლობას განაპირობებს. მისი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თეორიისა და პრაქტიკას შორის ზღვარის წაშლა შეესაბამებოდეს რეალური ცხოვრების მოთხოვნებს. იგი, პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციის ის ფორმაა, რომელიც პრაქტიკული სწავლების ინსტრუქტორის (ოსტატის) და პედაგოგ-მასწავლებლის შორის ამყარებდეს შემოქმედებით კავშირს, რასაც პედაგოგიური თეორიის მნიშვნელოვან შენაძენად აღიარებენ. აქვე გვინდა ისიც დავძინოთ რომ, ეს მეთოდი ბევრად აადვილებს წარმოებაში ტექნიკური სიახლეების დანერგვასა და მათ ოპერატიულ ათვისებას. სწავლების პრინციპს – „LEARNING BY DOING“ (სწავლება

შრომით, შრომის მეშვეობით + თეორიული მომზადება) – გერმანელები ნაციონალურ ღირსებად მიიჩნევენ და კიდეც ამაყობენ ამით.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 1980 წელს სწავლების აღნიშნული მეთოდი შეფასებული იქნა როგორც „უმაღლესი დონის გონივრული გადაწყვეტილება“. მათი შეხედულებით მომავალი სპეციალისტების თეორიის სწავლებიდან შრომით საქმიანობაზე გადასვლა და პირიქით, ერთ-ერთი იმ პირობათაგანია, რაც უზრუნველყოფს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გერმანიაში ახალგაზრდების უმუშევართა რაოდენობის სიმცირეს.

პროფესიულ განათლებას გერმანიაში საინტერესო ისტორიული წინამძღვრები აქვს, რა-საც ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების კონტექსტში განიხილავენ და ამუშავებენ პერსპექტიულ სამუშაო გეგმებს. პროფესიული განათლებისა და სწავლების სახელ-მძღვანელო პრინციპს აქ განსაზღვრავს ერთმანეთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი ძირითა-დი კომპონენტი: „Bერუფ“-ის (ერუფ – პროფესია) სპეციფიკური გაგება და სწავლების დუალუ-რი სისტემის ორგანიზაციის მაღალი დონე, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის მო-ნაცვლეობის პრინციპი – „სწავლა და შრომა, შრომა და სწავლა“

სწავლების დონე და სტანდარტები, სწორედ, აღნიშნულის ერთიანობაში განიხილება, რა-საც საფუძველი ეყრდნობა: ერთი მხერივ – წარმოებაში საწარმოო საქმიანობის – პრაქტიკული, მე-ორე მხერივ კი თეორიული საგაკვეთოლო პროგრამული მასალის სწავლების პირობებში.

„ერუფ“ – ის შინაარსში აისახება გერმანული პროფესიული სწავლების სტანდარტების რე-გულირების უნივერსალური პრინციპი, რომელშიც მოიაზრება შრომითი საქმიანობის სპეცია-ლური ნაკრები, ტიპიურ პროფესიულ მოქმედებათა სისტემატიზირებული ცოდნის, უნარის, სოციალური კომპეტენციისა და პროფესიული გამოცდილების უნივერსალური ერთობლიო-ბა.. „Bერუფ“ – ი თავისი არსით საკმაოდ აბსტრაქტულ, უნიკალურ და სტაბილურ კონსტრუქციას წარმოადგენს, მომდინარეობს გერმანიის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური რეალობი-დან. იგი არ იფარგლება მხოლოდ შრომითი საქმიანობით და ზოგად გაგებას იძენს. ამრი-გად „Bერუფ“ – ი წარმოგვიდგენს პროფესიულ სამყაროს ერთ მთლიანობაში, რომელიც მოი-ცავს პიროვნებათა პროფესიულ მიდრეკილებას, სწავლებას, შრომით მოწყობას, საზოგადოე-ბრივ საქმიანობას, სოციალურ სტატუსს, სოციალური უზრუნველყოფის სისტემას და ა.შ. დოქ-ტორ გერხარდ კონის თქმით: გერმანული პროფესიული განათლების სტანდარტები სწორედ აღნიშნული კომპონენტების ერთიანობას ეყრდნობა. [5]

ქვეყნის სამრეწველო და ეკონომიკური განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, მთა-ვარი ყურადღება უპირველესად კვალიფიციურ მუშაკთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი სა-ჭიროების გარკვევაზეა გადატანილი, რაც ნიშნავს: გულდასმით იქნას გაანალიზებული შრომის ბაზრის რეალური მდგომარეობა, რომელი სპეციალობების, რა სახის და დონის მომზადებულ კადრებზეა მოთხოვნები. ეს არის ის მნიშვნელოვანი დეტალი, რომელზედაც იგება შემდგომი სამოქმედო გეგმები.

დუალური სწავლების სისტემაზე დაფუძნებული შესასწავლი პროფესიების განსაზღვრა და დადგენა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ მოთხოვნებს. იგი ფედერალური მი-ნებისა და პარტნიორთა ინტერესების ურთიერთშეთანხმებით ხდება. პროფესიული განათლება შრომით ბაზარზე, პროფესიული კადრების ძირითად მიმწოდებელს წარმოადგენს, რომელიც დაკვეთებს იღებს დარგობრივი სამინისტროებიდან, წარმოება დაწესებულებებიდან, ვაჭრობი-სა და მომსახურების სფეროებიდან, თავისუფალი პროფესიებიდან და ა.შ.

სწავლების პროფესიული პრინციპი უპირველესად ორ ძირითად მიზანს ემსახურება: იქ-ცეს ახალგაზრდა ადამიანების წარმატებული პროფესიული კარიერის შექმნის საფუძვლად და უზრუნველყოს ეროვნული მეურნეობა კვალიფიციური სპეციალისტებით. მათი მაღალი პრო-ფესიებისალიზმი და მდიდარი პრაქტიკული ჩვევები ეკონომიკური წარმატების უმნიშვნელოვა-ნესი საფუძველია.

პროფესიული სწავლების მიმზიდველობის პრინციპი, თავის მხრივ ანვითარებს სწავლი-სადმი ინტერესს, ცოდნის მუდმივი გაღრმავებისადმი სწრაფვას. იგი დღეს აუცილებელია ყვე-

ლასთვის, ვისაც შრომა და საქმიანობა ტექნიკური გარდაქმნებისა და ეკონომიკის სფეროში გლობალური სტრუქტურული ცვლილებების პირობებში უხდება, ვალდებულია მუდმივად შეინარჩუნოს და განავითაროს საკუთარი პროფესიული კვალიფიკაცია. წარმოებაში სწავლის პროცესი ხელს უწყობს, უპირველესად დამოუკიდებელი საქმიანობის ჩვევების განმტკიცებას, საკუთარი ღირსების ამაღლებას, სოციალური ქცევის სრულყოფას, მობილურობისა და შრომისადმი შემოქმედებით მიდგომას.

დუალური სწავლების სისტემაში დომინირებს მოდულირებული სწავლების პრინციპები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტის სასკოლო–საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შრომის სამყაროში გადასვლისთვის, რომლის საბოლოო შედეგია ის, რომ გერმანიაში უფრო მიზანმიმართულად ხდება ტექნიკური ცოდნის საფუძვლიანი შესწავლა და ოპტიმალური გზების მიგნების პროცესები, შესაბამისად მაღალია ცოდნის ხარისხი და დასაქმების მაჩვენებელი.

მოდული ეს არის სასწავლო მასალის მოცულობა და ის პრაქტიკული ჩვევები, რომლებიც უნდა აირჩიოს სტუდენტმა კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის. მოდული შეიძლება შედეგებოდეს ერთი ან რამოდენიმე მოდულირებული ერთეულისგან, რომელიც ცოდნისა და შესაძლებლობების ერთობლიობას ქმნის, რაც აუცილებელია ერთი დასრულებული ოპერაციისა თუ მოცემული სამუშაოს რომელიმე ციკლის ლოგიკური შესრულებისთვის.

მოდულაცია სწავლების პროცესისადმი რაციონალურ მიდგომას წარმოადგენს. იგი პროფესიული განათლების ვიწრო სპეციალიზაციასაც გულისხმობს. სწავლების ეს ფორმა ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც იყიდებს ფეხს, რასაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კადრების მომზადებისათვის ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა ექნება. იგი შესაძლებლობას იძლევა პროფესიული მომზადების სფეროში ისეთი პრობლემები გადავჭრათ როგორიცაა, საწარმონ და ტექნოლოგიური პროცესების კონკრეტული მოთხოვნების მიმართ დროული რეაგირება, ზოგად საგანმანათლებლო და დიფერენცირებული მომზადების პირობებში, პიროვნებათა და მოსახლეობის პროფესიული ინტერესების ინდივიდუალური თავისებურებათა გათვალისწინებით, სასწავლო პროგრამების მაქსიმალური მიახლოვება კონკრეტულ სამუშაო მოთხოვნებთან და სტუდენტის ინდივიდუალურ თავისებურებებთან (ზოგადი განათლების დონე, ნიჭიერება, უნარ-შესაძლებლობები და ა.შ.).

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, შეცვლისა ან მოვალეობათა გაფართოების შემთხვევაში, შეიძლება შესწავლილი იქნას დამატებითი საჭირო მოდულის ერთეული, რაც ხშირად აუცილებელი ხდება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფი ცვლილებების პირობებში.

პროფესიული სწავლების დაწყების წინ მოსწავლები გადიან მოსამზადებელ კურსებს ე.წ. ნულოვან ჯგუფებში, რაც ზოგჯერ მთელ სასწავლო წელს გრძელდება. ამ პერიოდში მომავალი სტუდენტები ეცნობიან არამარტო არჩეულ, არამედ, მომიჯნავე და მონათესავე პროფესიებსაც. მოსამზადებელი კურსის უპირატესობა თვალსაჩინოა. საჭირო კვალიფიკაციასთან ერთად, რომელსაც ახალგაზრდა ირჩევს, საფუძვლიანად შესწავლამდე აქვს მოფიქრების შესაძლებლობა – შეაჩეროს არჩევანი მასზე, ან შეცვალოს სპეციალობა თავისი მისწრაფების და შეხედულების შესაბამისად, თუ დარწმუნებულია, რომ ის მისი მომავალი ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფის, წარმატებული პროფესიული კარიერისა და უკეთესი პერსპექტივის საწინდრად მიაჩინა.

კვალიფიკიურ მუშათა ახალი ცვლის მომზადების საქმეში დიდ როლს თამაშობს დიდი და საშუალო დონის ფირმები, წარმოება–დაწესებულებები. მიუხედავად იმისა, რომ მათ მოსწავლეთა მომზადება ძვირი უჯდებათ, მათთვის სახსრების გამოყოფაზე მაინც არ ძუნწობენ. ფირმების ასეთი დაინტერესება იმით აიხსნება, რომ მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული ბაზარზე გასატანი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა რაც დამოკიდებულია პროფესიონალიზმზე.

პროფესიული სწავლების ფედერალური ინსტიტუტი ინტენსიურ საქმიანობას ეწევა განათლების ამ სისტემაში არსებული პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტისათვის. მის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენელები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევით მუშაობას. მუშაობენ ახალ სასწავლო პროგრამების სტანდარტებზე, სახელმძღვანელოების შედგენაზე, მეთოდური მუშაობის სრულყოფასა და სასწავლებელთა ფინანსირების საკითხებზე. ტრადიციულად, სასწავლო გეგმები მტკიცდება, სახალხო განათლებისა და ფედერალური მიწების განათლების მი-

ნისტრების კონფერენციაზე. ფედერალური მიწები შემდგომ ხელმძღვანელობენ ამ გეგმებით, საჭიროების შემთხვევაში კი მათში შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ.ნაკაშიძე, პროფესიული განათლება გერმანიაში. ბათუმი 2002;
2. რ.ნაკაშიძე, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან. ბათუმი;
3. ი.ჭავჭავაძე, ტ.4, თბილისი, 1987;
4. ტ. ფედეროვა, სოციალური პარტნიორობა გერმანიის პროფესიულ „პროფესიული განათლება“, №6, მოსკოვი, 2002;
5. გერხარდ კონი, პროფესიული განათლების სტანდარტები, ევროპის განათლების ფონდი. (რუსულ ენაზე), ტურინი, 1998.

REVAZ NAKASHIDZE

PROFESSIONAL EDUCATION IN GERMANY

Summary

At the present stage, under the conditions of intensive economic reconstruction of the country, when the process of integration with other countries is taking place, training well-qualified, skilled specialists, competitive at the world market, is of great importance for national economics.

Special attention is paid to the experience of the developed countries. The highest level of German professional education is well-known. There is great interest in system of „dual education“, which provides high-level standards of education in the country, creates optimum for professional training and balanced demand for specialists.

According to experience in a young developing state successful realization of primary professional education reform is possible only when, together with the state main customers of the personnel are actively taking part: manufacturers, trade partners union, other social partners.

There is great demand for common coordinating organization for training and provision of employment, like the ones existing in German Federal Republic.

We should be very careful while borrowing innovations and trying them in our conditions,. National traditions and peculiarities should be taken into consideration.

German system of training well-qualified professionals is of great theoretical and practical value for us, it provides basis for its creative application.

РЕВАЗ НАКАШИДЗЕ

ПРОФЕССИОНАЛЬНОЕ ОБРАЗОВАНИЕ В ГЕРМАНИИ

Резюме

На современном этапе, в условиях интенсивной экономической перестройки страны, когда происходят процессы интеграции с другими государствами, для повышения конкурентоспособности на мировом рынке огромное значение приобретает подготовка высококвалифицированных национальных кадров.

Особое внимание привлекает изучения опыта развитых государств. Общеизвестен высокий уровень немецкого профессионального образования. Особый интерес вызывает система „дуального обучения“, которая обеспечивает в стране высокий уровень стандартов обучения, создаёт оптимальные условия для профессиональной подготовки и регулирования спроса на специалистов. Опыт показывает, что для молодого государства удачное осуществление реформы начального профессионального образования возможно, если вместе с государством в нем активно принимают участие основные заказчики кадров, производители, профессиональные союзы, другие социальные партнеры. Для подготовки и трудоустройства профессиональных кадров у нас в стране явно не хватает единых координирующих органов, подобных советам и палатам, действующих в ФРГ.

Для освоения новшеств и их апробирования в условиях нашей действительности необходимы взвешенность и осмотрительность, учёт национальных традиций и особенностей. Немецкая система подготовки квалифицированных профессиональных кадров имеет большую теоретическую и практическую ценность, и даёт нам возможность для её творческого осмысления и использования.

რევაზ ნაკაშიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**პროფესიული განათლების პედაგოგიური, სოციალურ-ეკონომიკური
საფუძვლებისა და მაცნეორული კვლევების კონცეფციისთვის**

განვითარებული ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად პროფესიულ განათლებას მიიჩნევენ. იქ, სადაც სახელმწიფო კარგავს წამყვან პოზიციებს განათლების პოლიტიკის განსაზღვრაში, ვერ იჩენს სათანადო აქტივობას პროფესიული სასწავლო დაწესებულების წარმატებული ფუნქციონირებისათვის, ძლიერი ეკონომიკის შექმნაზე ფიქრი მიუწვდომელ ოცნებად რჩება.

ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის რთულ პირობებში აღმოჩნდა. ამ ფონზე დღის წესრიგში დგას პროფესიული განათლების წინაშე წამოჭრილი პრობლემების სილრმისეული ანალიზი. საქმიანობა უნდა დავიწყოთ ფუნდამენტალური მნიშვნელობის ამოცანების გადაჭრით:

I. უპირველესად, ახლო და შორეულ პერსპექტივის გათვალისწინებით საჭიროა კვალიფიციური კადრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მომზადების თანაფარდობის განსაზღვრა;

II. უნდა ვიზრუნოთ პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ოპტიმალური განლაგებისთვის როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონული მასშტაბებით; ქვეყნის ინფრასტრუქტურის შესაბამისად უნდა მოხდეს სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებისა და გაფართოების ღონისძიებების შემუშავება.

III. სახელმწიფოს მოქმედი საგანმანათლებლო პოლიტიკით სასწავლებლების მართვა და საქმიანობა დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპზე უნდა აიგოს. თუმცა ეს უნდა მოხდეს მჭიდრო კონტაქტში ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან, კადრების მომზადებით დაინტერესებულ ყველა მხარესთან, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. საყოველთაო მსჯელობისა და განსჯის საგნად უნდა იქცეს კადრების მომზადების პოლიტიკა.

თანამედროვე ეპოქაში პროფესიული განათლების ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისა და მის წინაშე არსებული სიძნელეების დასაძლევად არა-ერთი დაბრკოლების გადალახვა გვიხდება. რამდენადაც დეტალებში გაანგარიშებული პროფესიული განათლების სისტემის გაჯანსაღების სრულყოფილი გეგმა-პროექტი, ჯერჯერობით არ გაგვაჩინია.

ცხადია, რომ წარსულიდან ცუდი მემკვიდრეობა გვერგო. ამ საუკუნის დასაწყისის სისტემური რეფორმების შედეგად დაშვებულმა შეცდომებმა და განუკითხაობამ აურაცხელი ზიანი მოგვაყენა, პროფესიული განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებათა 90% ოპტიმიზაციისა და სხვა უსაფუძვლო პრეტენზიებით საგანმანათლებლო სივრციდან უკვალოდ გაქრა, განიძარცვა და გაპარტახდა ძვირადლირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოშალა საბაზო საწარმოებთან კონტაქტები, მკვეთრად დაეცა სასწავლო კონტინგენტის რაოდენობა, შემცირდა შესასწავლი პროფესიების ჩამონათვალი.

იკლო სახელმწიფო ორგანოებისგან სახელმძღვანელო დირექტივების, განკარგულებებისა და ინსტრუქციების გაცემამ. შეუძლებელი გახდა შიდა და გარე ინტეგრირების პროცესების მართვა. არც წამახალისებელი ფორმები იქნა შენარჩუნებული. პირიქით – სასწავლებლებში შემოღებული იქნა ასაკობრივი ცენტი, უპირატესობა გადახდისუნარიან მოსწავლეებს მიენიჭათ.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის აგვისტოს №150 დადგენილებით პროფესიული სასწავლებლების პროგრამებიდან ზოგადი საშუალო განათლების საგნების ამოღებამ არა მარტო მომავალი კადრების ინტელექტუალურ მომზადებას მიაყენა ზარალი, არამედ ათასობით გამოცდილი პედაგოგი დატოვა უმუშევარი. უმეტესობამ მორალურ და მატერიალურ ზარალთან ერთად პროფესიული დისკომფორტიც განიცადა. ქვეყნის მოქალაქეებისთვის პროფესიული

განათლების ხელმისაწვდომობის, საყოველთაობისა და უფასოდ დაუფლების პრინციპები უმოწყალოდ დაირღვა.

საზოგადოებას დღემდე გაურკვეველი რჩება საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის №118 განკარგულების – „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ საჯარო კერძო პარტნიორობის ფარგლებში ინვესტიციების მოზიდვისთვის 50 პროფესიული მომზადება-გა-დამზადების ცენტრის შექმნის განუხორციელებლობის მიზეზები. ეს მეტად სასარგებლო საქმე იქნებოდა ფუნქციადაკარგული სასწავლებლების აღორძინებისთვის.

სასწავლო დაწესებულება, რომელიც დანიშნულებას თავს ვერ ართმევს, უნდა დაიხუროს, მაგრამ ალოგიკურია რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტში ერთადერთი სასწავლებლის არსებობი-სას მისი ლიკვიდაცია. რაც უნდა გვიჭირდეს, როგორც უცხოური პრაქტიკა გვეკრნახობს, სას-წავლებლების ფუნქციონირებისთვის ყველაზ უნდა გამოიღოს ხელი.

ასეთი მემკვიდრეობის პირობებში, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს სა-ზოგადოების დროული ინფორმირებულობა. ადამიანებს აინტერესებთ შემორჩა თუ არა პრო-ფესიულ განათლებასა და პროფსასწავლებლებს უწინდელი პრესტიუზი, თანხვედრაში არის თუ არა სწავლების პროგრამული მასალა თანამედროვე მოთხოვნებთან, დაცულია თუ არა თეორი-ული და პრაქტიკული სწავლების თანაფარდობა, რამდენად მისაღებია კურსდამთავრებულები-სადმი მინიჭებული კვალიფიკაციის ხარისხი, დასაქმების შანსები და სოციალური სტატუსის ზრდის პერსპექტივები.

სასწავლო ცენტრების ნაყოფიერი საქმიანობის გარანტი მძლავრი მატერიალურ-ტექნი-კური ბაზა და მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებია. აუცილებელია ადგილებზე თეო-როული და პრაქტიკული სწავლებისთვის ნორმალური პირობების შექმნა. სანარმოო პრაქტიკის გასავლელად მოწინავე წარმოება-დაწესებულებების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყე-ნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ზრდასრული მოქალაქეების პროფესიული განათლებით უზრუნველყოფას, დეფი-ციტურ სპეციალობებში კადრების მიზნობრივ მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას, მოდულირებული სწავლების ჯგუფების შექმნას სახელმწიფო დაფინანსებით გეგმავს, რაც კერძო სასწავლო დაწესებულებებთანაც აქტიურ თანამშრომლობას, მათი პოტენ-ციალის ეფექტურად გამოიყენებას ითვალისწინებს. თუ ამჟამად პროფგანათლების სისტემაში მთლიანად 11 ათასი სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა პროფესიას, მომავალი სასწავლო წლის-თვის მათი ორმავი რაოდენობის მოზიდვაა დაგეგმილი. შესაბამისად, დასაქმებულებსაც მიეცე-მათ შანსი, წარმოებისგან მოუწყვეტლად აიმაღლონ კვალიფიკაცია, ან შეცვალონ პროფესია.

მსგავსი დანიშნულებით სახსრების გამოსაყოფად სახელმწიფო უპირატესობას იმ კერძო სასწავლო ცენტრებსა და კოლეჯებს ანიჭებს, რომლებიც უმთავრესად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე არიან ორიენტირებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელ-მწიფო რესურსები დღეს ამისთვის საკმარისი არ არის, უნდა ამოქმედდეს შესაბამისი წახალი-სების, საგადასახადო შელავათებისა და სტიმულირების მეთოდები იმ დამსაქმებელთა და ბიზ-ნესმენთა მიმართ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიონალ სპეციალისტთა მომ-ზადებაში.

პროფესიული განათლების ახალი კანონპროექტით ბევრი სიახლეა გათვალისწინებული, რაც დადებითად წაადგება პროფსასწავლებლების კურსდამთავრებულთა ცოდნისა და ინტე-ლექტურულური დონის ამაღლებას. საბაზო ზოგადი განათლების მიღების შემდეგ სასწავლებელ-ში ჩარიცხულ სტუდენტს უფლება ეძლევა, პროფესიული სწავლების პარალელურად, დაეუფ-ლოს სრულ ზოგად განათლებას, აიღოს სრული ზოგადი განათლების ატესტატი. ასეთ კურ-სდამთავრებულებს, არამარტო მეტი შანსი ეძლევათ წარმატებული შრომითი საქმიანობის-თვის, არამედ უჩნდებათ პერსპექტივა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისითაც.

სახელმწიფო და კერძო სასწავლებლების თანამშრომლობა საშუალებას იძლევა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ზრდასრული და დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ასამაღ-ლებლად, შემეცნებითი პროგრამების დასაუფლებლად, მათ შორის არასამუშაო საათებში.

„პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიულ მომზადებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის (საზოგადოებისა თუ კერძო პირის) აქტიურ ჩართულობას, რაშიც განუზომლად დიდია ადგილობრივი მმართველობების ორგანოთა როლი და პასუხისმგებლობაც. მათ უკეთ გაეგებათ, როგორ და ვისთან ერთად აკეთონ საქმე.

საქართველოს სამთავრობო პროგრამის 4-პუნქტიან გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული ქვეყნის საგანმანათლებლო რეფორმისა და მასში პროფესიული განათლების პრიორიტეტულობის აუცილებლობაზე. ყურადღება გამახვილებულია, ასევე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა შესწავლაზე. კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილი გერმანული პროფესიული განათლების დუალური სწავლების სისტემის ჩვენ სინამდვილეში დანერგვაზე. მით უფრო, რომ პროფესიული განათლების გერმანული მოდელი ჩვენთვის უცხო არასდროს ყოფილა. მისი უამრავი მახასიათებელი წარმატებით გამოიყენებოდა ჩვენს პრაქტიკაში, ოღონდ იმ ინტერპრეტაციითა და სახეცვლილებებით, რასაც მისგან მაშინდელი საზოგადოება მოითხოვდა.

თანამედროვე პირობებში პროფესიული განათლება და შრომითი საქმიანობის პროდუქტიულობა, ქვეყნის სიძლიერის გარანტია. საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ფუნქციის მატარებელია და განიხილება, როგორც მშრომელი ადამიანის სოციალური სტატუსის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. როცა საწარმოო ძალთა განვითარების პროცესები თანხვედრაშია საზოგადოებრივ და პიროვნულ ინტერესებთან, სტიმულს მატებს პროფესიული და ზოგადი კულტურის ამაღლებასაც. ეს თავის მხრივ მოითხოვს არა მხოლოდ ახალი კადრების მომზადებას, არამედ არსებულის საქმიანობის სტილის, სწავლების შინაარსისა და მეთოდების მრავალჯერად გადახალისებას, ზოგჯერ მთლიანად შეცვლასაც კი, თანაც ისე, რომ მაღალკვალიფიციური მუშა თავისი ცოდნითა და ინტელექტუალური მომზადებით წარმოების აქტიური მონაწილე და შემოქმედი გახდეს.

პროფესიულ-საკვალიფიკაციო მახასიათებლების ცვლილებები, ახალი პროფესიების დანერგვისა და ზოგჯერ წინმსწრები ფორმებით კადრების მომზადების ინტერესები მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამების საფუძვლიან დამუშავებასა და კომერციული და მეცნიერება-ტევადი პროცესების თანამედროვე საგანმანათლებლო ჭრილი გააზრებას. განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს სასწავლო, საცდელი და კომერციული მიზნით მეურნეობების (სკოლა-საწარმოებისა და სკოლა-მეურნეობების), ჩამოყალიბებისა და მართვის პროცესების სრულყოფას, რაც რაციონალური მიდგომის საგნად უნდა იქცეს.

ქვეყანაში სოციალური პროგრამების რაოდენობა დღითიდლე იზრდება, რომლებშიც მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების პროექტების წილი. მთავარია მათი სრულყოფილი და ხარიხობრივი შესრულებისთვის სახსრები დანიშნულებით დაიხსარჯოს. არა მარტო დღევანდელი რეალობის, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამთავრობო პროგრამებით მცირე და საშუალო საწარმოებისა და კოოპერაციული გაერთიანებისთვის საჭირო მუშახელის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხთა დროული გადაწყვეტა.

ამასთან, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შევძლოთ ყველა იმ დახმარებისა და თანადგომის ნაყოფიერი გამოყენება, რასაც მოწინავე სახელმწიფოები და არასამთავრობო გაერთიანებები გვთავაზობენ ქართული პროფესიული განათლების განვითარებისთვის. ფასდაუდებელია მათი გამოცდილების გაზიარების, მეთოდური და მატერიალური დახმარების მნიშვნელობა. სამაგალითო გერმანიის ტექნიკური განვითარების საზოგადოების, აშშ-ს მიერ დაფუძნებული „ათასწლეულის გამოწვევის საზოგადოების“ (2012 წ.) და რიგი ქვეყნების დახმარება პროფესიული განათლების განვითარების ხელშემწყობი პროექტების განხორციელებაში. მაგრამ, საკითხავია თუ რამდენად ვართმევთ თავს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების დროულ და ხარისხობრივ შესრულებას.

ზოგჯერ სიახლეების დანერგვისა და პრობლემების გადაწყვეტისთვის ვერ ვიჩენთ სათანადო ინიციატივას და მოლოდინის პოზიციაზე ვამჯობინებთ დარჩენას, ნაცვლად იმისა, რომ გადავდგათ გაბედული ნაბიჯები. ასპარეზი ნოვაციებს დავუთმოთ და ძალების დროულად მობილიზება მოვახდინოთ. სხვანაირად წინსვლა გაგვიჭირდება.

სკოლებსა და სასწავლებლებში მეცნიერ-მუშაკთა მოზიდვას მრავალმხრივი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია პროფესიულ-ორიენტაციული კუთხით მუშაობის ეფექტური გზებისა და მეთოდების ძიება. განვითარებული ქვეყნების მაგალითებს თუ მოვიშველიებთ, ისინი მოზარდთა ინტერესებისა და ნიჭიერების კვლევას ადრეულ სასკოლო ასაკიდან იწყებენ და საამისოდ თანხებსაც არ იშურებენ. ინგლისის სკოლებში ამ საქმეს პედაგოგ-ტიუტორები წარმართავენ, რომლებიც არ კვევენ მოზარდთა ინტერესებსა და მიდრეკილებებს (რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ამით არ იფარგლებიან), აერთიანებენ მოსწავლებს მათვის საყურადღებო ინტერესთა ჯგუფებში (კლუბებში), აკვირდებიან და შესაბამის რჩევა-დარიგებებს აძლევენ სამომავლო გზის სწორ არჩევანში.

საგულისხმოა, რომ პედაგოგ-ტიუტორთა მომზადების საუკუნოვან ტრადიციას საფუძველი ოქსფორდში, კემბრიჯსა და სხვა მონინავე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩაეყარა. ევროპის რიგ ქვეყნებში უკვე წარმატებით ინერგება მათი მუშაობის გამოცდილება.

საქმის ცოდნით შესრულებულ პროფესიულ-ორიენტაციულ საქმიანობას ძალუძს ბევრი უსიამოვნება აარიდოს მომავალ თაობას. მათ შორის, პროფესიის არჩევაში მოსალოდნელი შეცდომები.

პროფესიული სასწავლო ცენტრების ფორმირება და მრავალმხრივი საქმიანობა, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სასოფლო და მთიანი მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მათ უკეთ ძალუძთ გაერკვენ ადგილობრივ პირობებში, ოპერატიული რეაგირება მოახდინობ კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ნებისმიერი მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე, სამუშაოდან მოუწყვეტლად დაგეგმონ სწავლების კურსები, მათ ინტერესებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამებითა და მეცადინეობის ხელსაყრელი გრაფიკებით. შორეული რეგიონებისთვის საქმისადმი ამგვარი მიდგომის უპირატესობა იმაშია, რომ სტაბილური გახდეს ახლობელ გარემოში მოსახლეობის შრომითი საქმიანობა, მიგრაციისა და სხვა პრობლემები მინიმუმადე შემცირდეს.

ქვეყნის ეკონომიკაში ევროპული სტანდარტების დანერგვა, წარმოება-დაწესებულებათა ევროპულ ყაიდაზე გადაყვანა და პროფესიისადმი პასუხისმგებლური მიდგომა ადგილზე მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების სანინდარია, თუმცა არც ჩვენს მიღწევებზე უნდა ვთქვათ უარი. ყველაფერი საზღვარგარეთულისადმი კრძალვით კი არ უნდა დავრჩირდილოთ, არამედ ავალორძინოთ, გავუფრთხილდეთ და პატივი მივაგოთ მშობლიურ ტრადიციებს. საკუთარი ფასეულობების წინ წამოწევით უკეთ გავაცნოთ ჩვენი ღირსებები მსოფლიოს.

პროფესიული სიამაყის განცდას საფუძველი აქედანვე უნდა ჩაეყაროს, წინ წამოიწიოს ჩვენი ერისთვის ოდითგან დამახასიათებელი ტრადიციული სპეციალობების, შრომითი პროფესიების მნიშვნელობა. ამ მხრივ საფუძვლიანი მუშაობის დაწყება გვმართებს სკოლებსა და სასწავლებლებში. ჩვენი ნიჭისა და ცოდნის დემონსტრირებისთვის მრავლისმთემელია, თუნდაც ქართული ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საცავებში ინახება ჯერაც. ამის ერთ-ერთი დასტურია შორეული ელადის მიწაზე ნაპოვნი ანტიკური პერიოდის თიხის ჭურჭლი (ამფორა), რომელზედაც იკითხება წარწერა „კოლხები მქმნაო“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ნაწარმი იდესლაც უცხოურს არაფერში ჩამოუვარდებოდა.

მომავალ პროფესიონალს სასწავლებელში მოზიდვისა და სწავლის პერიოდში მიმზიდველი გარემო და მრავალმხრივ საყურადღებო ატმოსფერო უნდა შევუქმნათ. დროის ეს მონაკვეთი უნდა ვაქციოთ მისთვის მოქალაქეობრივი ფორმირების საუკეთესო პერიოდად როგორც პროფესიული დაოსტატების, ისე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ვასწავლოთ შრომისმოყვარება, ადამიანებთან ურთიერთობის კულტურა, სიყვარული, პატივისცემა, შემწყნარებლობა და ტოლერანტობა. დავეხმაროთ მორალურ-სულიერი სამყაროს საუკეთესო ღირებულებების ათვისებაში.

დამაფიქრებელია, რომ პროფესიული სწავლების ვადები და დანახარჯები შეზღუდულია. შეუძლებელია 2-3 თუ 6 თვის განმავლობაში სპეციალობის საფუძვლიანი დაუფლება. რთული პროფესიების ათვისებას ზოგჯერ წლები სჭირდება. საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში ამას 4-5 წელს ანდომებენ. სწავლების ვადებსაც ზრდიან, ეკონომიკური კრიზისებისა და მასიური უმუშევრობის პირობებშიც კი უხდიან სტიპენდიას სტუდენტებს, უზრუნველყოფენ მათ სხვადასხვა

შეღავათით. აცხადებენ: სჯობს ახალგაზრდებს მივაწოდოთ ფართო დიაპაზონის განათლება, აღვუძრათ მეტი დაინტერესება და პატივისცემა პროფესიისადმი, მივცეთ საშუალება შემოქმედებითი გარემოს გამოყენებით საინტერესო შემეცნებით პროგრამებში აქტიურად ჩართვისა, ვიდრე ქუჩაში მოხვდნენ და დანაშაულებრივ სამყაროში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი, რაც სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტ პრობლემებს შეუქმნის.

დრო მიდის, ჩვენი განათლების სისტემა, განსაკუთრებით პროფესიული განათლება, კი ვერა და ვერ დაადგა სტაბილური განვითარების გზას. განუწყვეტელი კამათის, სჯა-ბასისა და დაპირებების ფონზე, არ გვტოვებს განცდა იმისა, თუ როდემდე გაგრძელდება ასე. ბოლოსდაბოლოს როდის შევძლებთ ამ (და არა მარტო ამ) სფეროში რადიკალურ შემობრუნებას.

ქართულ პროფესიულ განათლებას საქმიანობის ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება გააჩნია. გვქონდა მიღწევები და ნაკლოვანებებიც (ობიექტური თუ სუბიექტური), მაგრამ დღემდე ნაკლებად თუ უცდია ვინმეს მეცნიერულ დონეზე შეესწავლა ისინი, შეემუშავებინა მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები. ვერც პროფესიული პედაგოგიკის მიმართ ვიჩენთ ჯეროვან ყურადღებას.

პროფესიული განათლების წინსვლა წარმოუდგენელია პროფესიული პედაგოგიკის გარეშე. ამ უკანასკნელის სრულყოფისთვის ნაყოფიერად უნდა გავისარჯოთ: ქვეყნის მასშტაბით წამყავან უნივერსიტეტებში უნდა შეიქმნას პროფესიული პედაგოგიკის სფეროში მომუშავეთა ჯგუფები (დეპარტამენტი). ამ დარგის მცოდნე კომპეტენტურ მეცნიერ-მუშავთა და სპეციალისტთა აქტიური საქმიანობით, საზღვარგარეთელ კოლეგებთან შემოქმედებითი კავშირებით უნდა ვიზრუნოთ პროფესიული განათლების მაღალი სტანდარტებისა და ინტეგრირებული პროგრამების შექმნისთვის, რაც ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სფეროს აქილევსის ქუსლიცაა. პროფესიულ-ორიენტაციული საქმიანობის მოუნესრიგებლობა, მისი როლის შეუფასებლობა, ეპიზოდურად განხორციელებული მცირე მასშტაბის ღონისძიებები ოპტიმიზმის საფუძველს ვერ იძლევა.

РЕВАЗ НАКАШИДЗЕ

КОНЦЕПТУАЛЬНЫЙ ПОДХОД ГРУЗИНСКОГО ПРОФЕССИОНАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ НА НОВОЙ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЙ ОСНОВЕ

Резюме

Формирование общественного мнения и единая координация действий требует от нас больших усилий. Именно эту цель ставит перед собой государственная программа «Профессиональное образование для трудовой деятельности», по которой предусмотрена профессиональная подготовка и занятость заинтересованных сторон в социально-экономическом развитии страны, огромную роль и ответственность несут органы местного управления.

В плане Грузинской правительственной программы, состоящей из четырех пунктов, особо отмечена «Реформа образования страны» и необходимость приоритета профессионального образования. В этой программе особенное внимание уделено изучению опыта передовых стран. Общеизвестны успехи немецкого профессионального образования, так называемого дуального обучения.

Прогресс профессионального образования невозможен без педагогики, необходимо научно исследовать проблемные вопросы в этом направлении: профессиональная ориентация, высококвалифицированная подготовка студентов и занятость выпускников. В первую очередь, обязательно надо решить: какого типа учебные центры нужно учредить и где, с соответствующей инфраструктурой, учебными профилями и высококвалифицированными кадрами. Для этого

необходимо установить связь между работодателем и заинтересованным агентством по подготовке высококвалифицированных кадров.

REVAZ NAKASHIDZE

PROFESSIONAL EDUCATION PEDAGOGY, SOCIAL-ECONOMIC BASIS AND SCIENTIFIC RESEARCH CONFERENCE

Summary

Great effort is needed to form a public opinion and act in coordination. This is the aim of the state program "professional education for employment", by which it is considered to involve public or individuals who are interested, in professional trainings and social-economic development of a country and in which the role and responsibilities of local governments are also great.

The 4-point plan of the government program of the Government underlines the importance of the country's educational reform and the priority of professional education in it. The focus is on studying the experience of the world advanced countries. In particular, the introduction of the Dual Teaching System of German Professional Education in our reality.

The development of the professional education is impossible without professional pedagogy. The scientific study of problematic issues of the professional education is essential. Including professional orientation, high quality training of students and employment of graduates. Firstly, it should be decided where and what kind of educational institutions should be established, with appropriate infrastructure, educational fields and high qualified professionals. To facilitate the establishment of business interaction with employers and organizations interested in staff trainings.

ენათმეცნიერება

ჯემალ ჯინჯიშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ზენოს დაფინიციის სრულყოფის საკითხებისათვის

როგორც ვიცით, ზმნის განსაზღვრის ვარიანტები ასეთი გვაქვს:

ზმნა _ მეტყველების ნაწილი; სრულმნიშვნელოვანი, ფორმაცვალებადი (უღლებადი) სიტყვა. ფუნქციურად გამოხატავს კონსტრუქციაში სუბიექტად წარმოდგენილი პირის მოქმედებას (აკეთებს, კეთდება...) ან მდგომარეობას (დგას, წუხს...) [1].

ზმნა _ მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ პირთან (პირებთან) ანდა გრამატიკულ კლას-კატეგორიასთან დაკავშირებულ მოქმედებას, მდგომარეობას [2].

ზმნა _ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც იცვლება პირის, რიცხვისა და სხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით [3].

ზმნა _ მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი ფორმაცვალებადი სიტყვა [4].

ზმნა _ საგნის მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი სიტყვა [5].

ქართული ენის მორფოლოგიის სახელმძღვანელო სხვაც ბევრი არსებობს, მაგრამ ყველა მათგანში ზმნის დეფინიცია ზემოხსენებულ დეფინიციათა ანალოგიურია, მსგავსი.

უუუუნა ფეიქრიშვილი და რუსუდან საღინაძე ზმნის დეფინიციას საერთოდ არ იძლევიან და კმაყოფილდებიან ასეთი აღწერითი დებულებით: „ზმნა აღნიშნავს საგნის მოქმედებას (აშენებს, ხატავს...), განცდას (წუხს, დარდობს...), მდგომარეობას (დგას, წევს...), ზოგჯერ ...“ და ა. შ. [6, 157].

ამ განსაზღვრათა ანალიზი მრავალ კითხვას ბადებს. ჯერ ერთი, ზმნა მეტყველების ნაწილი არ არის, ზმნა სიტყვაა და იგი მეტყველების ნაწილის მხოლოდ ერთი წარმომადგენელია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ზმნის განმარტებაში ჩვენ ვიხმარეთ დიზიუნქცია „მოქმედება ან მდგომარეობა“. დიზიუნქცია კი ორნაირია: მკაცრი და არამკაცრი. აქ მკაცრი დიზიუნქცია გამოყენებული, რადგანაც „ან“ ნაწილაკი მიგვაჩნია მაცალკევებლად. ამით ჩვენ „ან“ ნაწილაკის გამოყენებით ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ მოქმედება და მდგომარეობა, ჩავთვალეთ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულად, არათავსებადად. მოქმედება დავარქვით მოძრაობას, მდგომარეობა კი დავარქვით უძრაობას.

ეს სწორი არ არის.

გავითვალისწინოთ, რომ, თუ ბავშვი მირბის, ის სირბილის მდგომარეობაშია, თუ მას სძინავს, იგი ძილის მდგომარეობაშია. ისე, რომ, მოქმედება და უმოქმედობა, მოძრაობა და უძრაობა _ მდგომარეობის კერძო სახეებია, ყველა ერთ ცნებაში ერთიანდება. ბარვა მდგომარეობის ზოგადი სახეა, ბარავს _ მისი კერძო, მოძრაობითი, დინამიკური სახე. ე. ი. ბარვა არის საგნის ზოგადი მოქმედებითი მდგომარეობა, ბარავს არის საგნის კონკრეტული, კერძო მოქმედებითი მდგომარეობა. ზუსტად ასევე, ძილი მდგომარეობის ზოგადი სახეა, სძინავს _ მისი კერძო, უძრაობითი სახე. არის მდგომარეობის მესამე სახეც, რომელსაც საერთოდ არ ვითვალისწინებთ ენათმეცნიერებაში. ეს _ განწყობის მდგომარეობაა. მაგალითად, შეში განწყობის მდგომარეობაა, მას არც მოძრაობა ეხება და არც უძრაობა.

მდგომარეობა _ ეს ტერმინია, აბსტრაქტული ცნების ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ობიექტის ცვლადი პარამეტრების სტაბილურ მნიშვნელობათა სიმრავლეს. მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ იგი აღწერს ობიექტის ცვლად თვისებებს. მდგომარეობა სტაბილურია მანამ, სანამ ობიექტზე არ არის წარმოებული მოქმედება. თუ ობიექტზე წარმოებული იქნება რაიმე მოქმედება, მაშინ მისი მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს.

ობიექტის მდგომარეობათა თანამიმდევრულ ცვლას პროცესი ეწოდება.

აი, რა არის მდგომარეობა. ახლა სრულიად ცხადია, რომ იგი მოიცავს მოძრაობასაც და უძრაობასაც. გავიხსენოთ ცნობილი ინერციის კანონი: „სხეული ინარჩუნებს უძრაობის ან თანაბარი სწორხაზოვანი მოძრაობის მდგომარეობას მანამ, სანამ სხვა სხეული არ გამოიყვანს მას ამ მდგომარეობიდან“.

ამგვარად, ჩვენ რომ ენათმეცნიერებაში მოქმედებას და მდგომარეობას ერთმანეთს ვუპირისპირებთ, არ არის სწორი. მდგომარეობა თავის თავში აერთიანებს მოქმედებასაც და უმოქმედობასაც, მოძრაობასაც და უძრაობასაც. მაშასადამე, მდგომარეობას ორი სახე გააჩნია: ზოგადი და კერძო. მდგომარეობის როგორც ზოგადი, ისე კერძო სახეს, თავის მხრივ, სამი ქვესახე გააჩნია: მოძრაობითი, უძრაობითი და განწყობითი. ე. ი. მდგომარეობის ცნება შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ;


მდგომარეობის ზოგადი სახე: 1. მოძრაობითი _ სირბილი, თამაში, ბარვა და სხვ.; 2. უძრაობითი _ ძილი, წოლა და სხვ.; 3. განწყობითი _ შიში, წუხილი და სხვ.

მდგომარეობის კერძო მოძრაობითი ანუ მოქმედებითი სახე: მირბის, თამაშობს, ბარავს, იცონის და სხვ.

მდგომარეობის კერძო უძრაობითი ანუ უმოქმედობითი სახე: სძინავს, წევს, ზის და სხვ.

მდგომარეობის კერძო განწყობითი სახე: წუხს, შიშობს და სხვ.

ამ მდგომარეობათა კლასიფიკაციას გვიჩვენებს შემდეგი ნახაზი:



მაშასადამე, შეგვიძლია შემოვილოთ ზმნის შემდეგი, უფრო სწორი განსაზღვრა:

ზმნა ეწოდება სიტყვას, რომელიც მიუთითებს საგნის მდგომარეობაზე.

ეს განსაზღვრა გვაზუსტებინებს იმ გარემოებას, რომ სიტყვები: სირბილი, თამაში, ბარვა, თოხნა, ძილი, წოლა, წერა, კითხვა და მისთანები უნდა მივაკუთვნოთ ზმნების კლასს და არა სახელზმნას, ან არსებით სახელთა კლასს. ე. ი. ზმნების კლასი ორ სახეს შეიცავს: 1. ზმნების საწყისებს და 2. მათგან წარმოებულ ზმნებს. ორივე მათგანი საგნის მდგომარეობაზე მიუთითებს, პირველი _ ზოგადზე, მეორე _ კონკრეტულზე. თუმცა, ზმნის საწყისი წინადადებაში თავისი ფუნქციონალური ბუნებით არსებითი სახელის როლს თამაშობს. მაგრამ მერე რაა, რომ ასეა. ჩვენ ვსაუბრობთ ენის ლექსიკის ზოგად კლასიფიკაციაზე, თორემ სხვადასხვა წინადადებაში ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა შეიძლება ჰქონდეს გაგებაც და ფუნქციონალური დატვირთვაც.

მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები, ცხადია, ერთგვაროვანი სიტყვებია.

ამრიგად, საწყისი ჩამოშორდა მიმღეობას, და აქვე აღვნიშნოთ სრულიად სამართლიანი ცნობილი აღიარებაც, რომ „ენის მორფოლოგიურ სისტემაში მიმღეობა ქმნის ცალკე კლასს, რომელიც განსხვავდება სახელისა და ზმნისაგან“ [1]. ისინიც ერთგვაროვანი სიტ-

ყვებია, ქმნიან კლასს, სხვა კლასთაგან განსხვავებულს, თუმცა მათთან ბევრი საერთო აქვთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენა (ენციკლოპედია). თბილისი, 2008.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. თბილისი, 1950-1964.
3. ლეო კვაჭაძე. ქართული ენა. თბილისი, 1993.
4. ოთარ მიქაელიშვილი. ქართული ენა. თბილისი, 1998.
5. ნათელა მაღლაკელიძე, მანანა მიქაძე. ქრთული ენის სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 1996.
6. უუჟუნა ფეიქრიშვილი, რუსუდან საღინაძე. ქართული ენა. თბილისი, 2014.

ДЖЕМАЛ ДЖИНДЖИХАДЗЕ

К ВОПРОСУ О СОВЕРШЕНСТВОВАНИИ ДЕФИНИЦИИ ГЛАГОЛА

Резюме

Мы неправы, когда при определении глагола сопоставляем друг с другом понятия действия и состояния. Состояние объединяет в себе действие и бездействие, движение и покой. Следовательно, состояние имеет два вида: общий и частный. Как общий, так и частный виды состояния со своей стороны имеют по три подвида: движение, покой и установка. Следовательно, понятие «состояние» можно охарактеризовать следующим образом: общий вид состояния: движение - бег, игра и т. д., покой – сон, сидение и т. д., установочный вид – боязнь, тревога и т. д. Частный вид состояния: движение – бежит, играет и т. д., покой – спит, сидит и т. д., установочный – боится, тревожится и т. д. Следовательно, можем ввести следующее, более правильное определение глагола:

Глаголом называется слово, которое указывает на состояние предмета.

JEMAL JINJIKHADZE

FOR IMPROVEMENT OF VERB DEFINITION

Summary

When we deal with the definition of a verb we confront action and state of things against each other and it is not correct. The state of things combines action and inactivity itself.

The state of things has two types: general and private. The general or private state of things in turn have three subjects: movable , immovable and state of attitude (mood). So we can characterize the concept of state of things as follows: General type of state of things:

1. Movable – to run, to play, to dig and others; 2. Immovable: to sleep, to lie and others; 3. State of attitude: to fear, anxiety and so on. Private movable or type of acting: runs, plays, digs and others. Type of private immovable or inacting state of things: sleeps, lies, sits, and others. Type of private attitude of the state of things: is angry, is afraid and others.

Therefore, we can introduce the more correct definition of a verb as follows: the verb is a word that indicates the state of things of the subject.

ეკოლოგიური განათლება

GIA KAJAIA

PhD in Biology, Professor

ECOLOGICAL CRISIS, RELIGION, ETHICS (For perfection of ecological education)

Ecological crisis can be characterized as a specific interrelation of environment and human being when the development of productive forces of society do not fit into the actual capacity of the environment. According to Dediu (1990) and Reimers (1990), an ecological crisis implies not only the growth of the human influence on the environment, but its main feature involves also the influence of the modified environment on the development of society.

The development of anthropogenic ecological factor, along with the developing ecological crisis began in the relatively recent past, when two phenomena coincided – technical progress and demographical outburst. At present both of these phenomena develop exponentially; they reinforce their mutual action, indicating that the concomitant processes of biosphere are still ongoing, and to stop those processes, or at least – to slow them down, will be associated with increasing complexity.

The global anthropogenic changes are reflected in almost all the environment settings. A huge number of substances that cause a greenhouse effect are released into the atmosphere. At the end of the 1990-ies the annual emission of CO₂ reached a record level of 23,9 billion tons, 400 million tons more than in 1995, and almost 4 times more than in 1950. As a result, the air temperature in 2030-2050 may increase by 1,5-2°C, what will be most significant warming over the past 10 000 years. This will be followed by the sea level rise of 50-100 cm, and almost 2 meters – by the end of the 21st century.

Annual average consumption of oxygen on our planet equals $1 \cdot 10^{10}$. The amount of oxygen consumed during the last century is almost the same as in past million years. It is estimated that by the end of this century the annual consumption of oxygen may reach 10% of its total reserve. Photosynthetic activity of vegetation shall definitely fail to recover the consumption of that scale and amount.

A doubling of energy produced from natural fuel occurs every 70-80 years. This means that after three centuries the amount of energy produced in the world may equal the solar energy that reaches our planet – which will essentially change the functioning of the biosphere.

The pollution of land is constantly growing. It is calculated that in the second half of the last century 130 million cars emitted almost 80 000 tons of CO, almost 150 000 tons of hydrocarbon, and about 1000 tons of lead. There are about 600 000 cars in the world at present... Out of 20 billion tons of iron that is melted throughout the history of mankind, 14 billion tons of iron is scattered in the air. The eutrophication includes almost 50% of the planetary lakes; due to the erosion the annual loss of land reaches 50-70 thousand sq. kilometers.

The pace of urbanization is constantly growing by about 160 000 people every year. This fact causes the incessant growth of noise and vibration (according to the available data, noise reduces life expectancy by 8-12 years).

Nowadays, one of the most essential problems represents the lack of fresh water. 14 African countries experience shortage of drinking water, and it is believed that by 2025 eleven other countries

will add to that group. In the resolution of the UNEP report – „2000 – Perspectives of Global Ecology“, we read: „If the situation is not radically changed, by the year 2025 – out of every 3 inhabitants on Earth, 2 will suffer from the lack of drinking water“.

In what way was developed the relationship between society and environment? We point out two different tendencies: anthropocentric and biocentric. According to the first, the living nature or wildlife – and human society, represent two diverse systems and their relationship is implemented by the laws established by man. As for the biocentric approach, according to it, a man as a biological species remains under control of the basic laws of ecology, and obeys them.

During the last centuries, anthropocentrism occupied a dominant position contributing to the creation of a crisis. According to Aurelio Peccei (1977), at the present time the human capabilities and human power develop exponentially. But this development is extremely doubtful and dangerous, because it shall bring benefit only in case of cautious and prudent attitude towards it; otherwise the humanity awaits an incurable result.

From the middle of the last century the religious leaders take active part in the discussions on the problems of ecology. According to V. Korenev (1994), ecology – along with activities in the spheres of environment protection – will not be effective, till the laws that are laid down in the various religious teachings – concerning our attitude towards nature – are not studied.

From this point of view it is interesting to study the work and activities of „Roman Club“ established in 1968. By common opinion of club members, together with the progressively thinking scientists, politicians and public figures of the second half of the 20th century, the current conditions of ecology are caused not only by socio-economic, technical, technological – or political reasons, but at its core they have spiritual factors as well. The global ecological crisis reflects a deep cultural crisis that embraces a whole specter of human relations that involve their mutual relationship, their attitude towards society and towards environment. In order to survive the mankind needs a unified and comprehensive view of the nature of the universe. Only religion is capable to create the corresponding image. According to Boreiko (2005), if technologies persuade people to transform environment – which implies not only the creation but the demolition as well – the religion teaches restraint, courtesy and moderation.

There exists an opinion that paganism represents a relatively „ecological“ faith, and the wisdom that propagates protection of environment is characteristic of Oriental religions like Hinduism, Buddhism, and Jainism. Representatives of Islam believe that all the elements of the environment are interrelated and when one of them is artificially removed then the existence of the entire community is broken.

Some eco-philosophers consider that Christianity is comparatively „non-ecological“ religion. As an argument they site the Protestantism and Christian denomination, created in the 16th century – the movement that after the Reformation opened the way to revolution in science and technology, to the means to subjugate the nature – and finally, to develop an ecological crisis. But the majority of eco-philosophers tend to the opposite opinion. According to R. Hatfield, the despotic attitude towards nature is a result of the wrong, biased citation of certain points of Old Testament.

The Biblical interpretation of the origin of ecological crisis and interrelationship of society and environment arises particular interest. According to S. Khribar's (2003) opinion, at the first stage people doubted the love of God and relied on Satan. Since a man, following the God's order, cared about other creatures, they – along with him, fell under Satan's influence. So, the man's nature was weakened – following the weakening of man's relations with God; correspondingly, the man's nature also weakened because of the weakened relations between a man and God. Correspondingly, the first mistake was

followed by a number of other mistakes that were repeated – and still are repeated by successive generations.

As Albert Gore (1993) had pointed out, the first violator of ecology was spilled blood of Abel, murdered by his brother. According to Bible, contamination of the environment was determined by the contamination of human soul with arrogance, greed and envy. That in its turn contributed to the contamination of body (with alcohol, narcotics, etc.), which then followed with the pollution of environment and entire biosphere. The 20th century is in fact the last link in this anthropocentric chain.

Scientists and politicians unanimously urge the representatives of various religions to actively participate in avoiding ecological crisis. Among such appeals should be mentioned a document published in the 1990-ies: "Save the Earth – a call for scientists and religious leaders". It was drawn up at Moscow Forum which held in 1990. The other document, signed by 2000 scientists, was followed in 1992: „Warning to Mankind – from anxious Union of Scientists“.

From the second half of the 20th century, a concept of ecological ethics becomes spread among ecologists and philosophers; it can be interpreted as norms of human behavior, as a standard of human actions and obligations towards nature and its elements.

In 1974 was developed an ethical-ecological line under the name „profound ecology“. Its basic principles proclaim the following: life and well-being of humans and animals are valuable irrespective of each-other; the value of animals does not depend on whether they are useful to man; people have no right to reduce the diversity of living creatures, arguing that there are less valuable species.

S. Fisher published in 1899 a book „A Man and Animals“, where he presented as basic points the following: the state is obliged to protect the interests of animals; legal principles of the animals must be developed; all animals deserve respect under criminal law.

Literatur:

1. Kajaia G., Ecology and the present day. Tbilisi, 2015.
2. Peccei A., The Human quality, Oxford, 1977.
3. Reimers N., Nature management, Glossary, M., 1990.
4. Борейко В.Е., Прорыв в экологическую этику. Киев, 2001, 2005.
5. Гор А., Земля на чаше весов. М.: ППП, 1993.
6. Дедю И.И., Экологический энциклопедический словарь, Кишинев, 1990.
7. Коренев В.И., Экология и религия. Сб.: Экология и религия, 1, 1994.
8. Фишер С., Человек и животное, Этико-юридический очерк, 1899.

გია ქაჯაია
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკოლოგიური პრიზისი, რელიგია, ეთიკა (ეკოლოგიური განათლების სრულყოფისათვის) რეზიუმე

ეკოლოგიური კრიზისი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ეკოსისტემების ნორმალური ფუნქციონირების რღვევა სტიქიური მოვლენების ან ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად. ანთროპოგენური ეკოლოგიური ფაქტორის გაჩენა და ეკოლოგიური კრიზისის განვითარება შედარებით ახლო წარსულში დაიწყო, როდესაც ერთმანეთს ორი მოვლენა დაემთხვა – ტექნიკური პროგრესი და დემოგრაფიული აფეთქება.

გლობალური ანთროპოგენური ცვლილებები გარემოს ყველა პარამეტრშია ასახული: იცვლება ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს შედგენილობა, ლითოსფეროს სტრუქტურა; იზრდება ურბანიზაციის ტემპი, დაავადებათა წარმოშობის და გავრცელების ალბათობა.

ბიოსფეროს ეკოლოგიური პრობლემების შესწავლისა და სათანადო ქმედებების მიზნით, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომელთა ეგიდით მრავალი გარემოსდაცვითი ღონისძიება ჩატარდა. გასული საუკუნის შუა პერიოდიდან ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში აქტიურად ერთვებიან რელიგიის წარმომადგენლები. მსოფლიო და ადგილობრივი რელიგიები, ყველა თავისებურად, გვთავაზობენ ზნეობრივი ფასეულობების და კანონების უნიკალურ კომპლექსს წარმატების უზუნველ-ყო-ფისათვის გარემოს დაცვის საქმეში.

მეცნიერები და პოლიტიკოსები ერთსულოვნად მოუწოდებენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს, აქტიურად ჩატარონ ეკოლოგიური კრიზისის თავიდან აცილებაში.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ეკოლოგებსა და ფილოსოფოსებს შორის ფეხს იკიდებს ეკოლოგიური ეთიკის ცნება, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც ადამიანის ქცევის ნორმების, მისი ვალდებულებებისა და ქმედებების სისტემა ბუნებისა და მისი ელემენტების მიმართ.

ГИЯ КАДЖАЯ

доктор биологических наук, профессор

ЭКОЛОГИЧЕСКИЙ КРИЗИС, РЕЛИГИЯ, ЭТИКА (К усовершенствованию экологического образования)

Резюме

Экологический кризис можно определить как ситуацию, возникшую в экосистемах вследствие нарушения их равновесия под воздействием стихийных явлений или антропогенных факторов. Развитие экологического кризиса началось сравнительно недавно, по мере нарастания двух глобальных явлений – технического прогресса и демографического взрыва.

Антропогенное изменение среды проявляется во всех ее параметрах: меняется состав атмосферного воздуха и гидросфера, деградирует литосфера; нарастает процесс урбанизации, повышается вероятность возникновения и распространения болезней.

С целью изучения экологических проблем биосфера во второй половине прошлого столетия был создан ряд международных организаций, под эгидой которых было проведено немало природоохранных мероприятий. С середины XX века к решению экологических вопросов активно подключаются религиозные организации.

Мировые и местные религии предлагают уникальный комплекс нравственных ценностей и законов, обеспечивающих успех в деле защиты окружающей среды. Ученые и политики единодушно призывают представителей разных религий активно содействовать предотвращению экологического кризиса.

Во второй половине XX века возникла новая отрасль науки – экологическая этика, которую можно определить как систему норм поведения, обязанностей и действий в отношении природы и ее элементов.

თოლკლორი

თამურ ჯაგოდიშვილი
ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

საერთო კავკასიური ფოლკლორული ცენტრის გამოვლენათა შესახებ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

საერთო კავკასიური რეალური რეგიონალური სივრცის არსებობა ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. მისი საფუძველი შექმნილია არა მხოლოდ გეოგრაფიული ან სახელმწიფო-ეპრივ-პოლიტიკური ინტერესებით, არამედ ერთიანი კულტურული ცნობიერებით. იგი შეინაგანი ეროვნული ნაირგვაროვნობის მიუხედავად, ტიპოლოგიურად გასაოცარ იდენტურობას (ერთგვარობნობას) ავლენს. მიზეზი, ცხადია, ქართული კულტურული ცნობიერებაა. იგი ისევეა ჩართული კავკასიურ კულტურულ წრეში, როგორც აღმოსავლურ-სპარსულ და ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სივრცეებში, ოლონდ იმ დაზუსტებით, რომ კავკასიურ კულტურულ სივრცეში ქართული დომინანტობდა. ამის ხსოვნა კავკასიელ ხალხებში ჯერაც არ გამქრალა; ინერციად გარდასახული ეს განცდა ჩვენს დროშიც იმედის თვალით წარმართავს, ჩვენი მეზობლის, კულტურული ცნობიერებით ჩვენიანების, მზერას, საქართველოსკენ. უკვე ძალიან შორეულ ექოდღა შემორჩა, მაგალითად, სულხან-საბას ეპოქას ხსოვნა, ალბათ, საერთო კავკასიური წარმართული კერპის, რომელსაც ერქვა გონი / ღონი. თავად სულხან-საბა ორბელიანისათვის არ არის მკაფიოდ გაცნობიერებული მისი არსი. ამას განმარტება-კომენტარის სიმწირეც ცხადყოფს და ლექსიკონის B რედაქციაში მისი სალექსიკონი ერთეულად ჯერ შეიტანა, მერმე გადახაზვა, ამოგდება (11, 164). „გონი – კერპი აღმართებული“ – გვაუწყებს სულხან-საბა და რომ ეს სახელი არ არის ზოგადად აღმართული კერპს აღმიშვნელი ტერმინი, ამას ქართული მითოლოგიური ცნობიერების დაშორიშირებული და შინაარსისაგან ლამის დაცლილი ფრაგმენტებიც ცხადყოფს: ასე, მაგალითად, „გონი“ ტოპონიმია იმერეთსა და რაჭაში, გონიერების აქცენტირებით, იგი მეტალურგიულ ცოდნასთან – რკინის დნობასთან დაკავშირებულ წარმართულ ღვთაებას უნდა განასახიერებდეს (იხ. თუნდაც „კვირია პალიტის“ 2012 წლის 16 სექტემბრის გვერდის კომენტარები). „გონის“ კავშირზე ცოდნასთა, შემეცნება-ცნობიერებასთან მიუთითებს სამყარს ქართული ენობრივი ხატისათვის დღემდე მკაფიოდ შემორჩენილი გამოთქმები – „გონი დაკარგა“, „გონზე აღარაა“, რაც ცოდნის, ცნობიერების დაკარგვას, უგუნურობას (უგონ-ურობას=უგუნურებას) მიშნავს. „გონის“ წარმართულ-მითოსური არსი გამოკვეთილად არის შემონახული ჩეჩინურ მითოლოგიაში, სადაც იგი მითოლოგიური არსებაა.

ამის ერთ გამოძახილს შეიცავს, მაგალითად, ფოლკლორული თქმულება – გადმოცემებით ჩვენს საერთო წარმომავლობაზე მითითებანი. განსაკუთრებულად საინტერესო უნდა იყოს ამ თვალსაზრისით, თუნდაც, ნ. იაკოვლევის მიერ 1925 წელს გამოქვეყნებული გადმოცემა ჩეჩინებისა და ინგუშების წარმოშობის შესახებ. ამ გადმოცემის მიხედვით, ჩეჩინებისა და ინგუშების (ნახჩუო და ლალღა) მშობლები არიან არაბი თურფალი (დევგმირი) და ქართველი თავადის ქალი. თურფალი არაბეთიდან ინგუშეთში ჩავიდა და მიუვალ მთებში, გამოქვაბულში დასახლდა, მესაქონლეობას მიჰყო ხელი. ცხვრის ფარა ღამით გამოქვაბულში ჰყავდა, კარს დიდი ღოდით კეტავდა (ციკლოპის მოარული ფოლკლორული მოტივის გამოძახილი). ღოდის სიდიდემ შეაშფოთა იქ შემთვევით მოხვედრილი მონადირე ქარველი თავადი და მისი ამაღა. მან არასასურველი მეზობლის თავიდან მოშორება მოხერხებით - ლამაზი ქალის მიჩნით და მისი დახმარებით განიზრახა. რამდენიმე ცდის (სხვადასხვა ქალების) შემდეგ მიგზავნილი საკუთარი ასულის მეშვეობით შეძლო კიდევაც ამ თურფალის შეპყრობა, მაგრამ მისმა ასულმა სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა ქმარი, მამას ხელშეუხებლობა მოსთხოვა, - მისგან ფეხმძმედ ვარო.

თავადი დაემორჩილა ბედს. ქალიშვილის სამზითვო მიწები უბოძა და სიძე მეზობლად და-ასახლა. ამ ქალმა ორი ვაჟი შვა. პირველი რომ დაიბადა, ხელში ფოთოლი ეჭირა (ფოთოლი-ღა). ამიტომ ღა ღა ღა (ფოთოლა), ანუ ინგუში უწოდეს; მეორე ვაჟი ხელში ყველის ნაჭრით გაჩნდა. ყველს ჩეჩენურად ნახჩ-ი ჰქვია. ამიტომ მას ნახჩუო უწოდეს, ე.ი. ჩეჩენი (1, 219-220). ამ ცნობას ვრცელი კომენტარით იმოწმებს მ. ხანგოშვილი „ვაინახების საგმირო ეპოში“.

ქართული კულტურული ცნობიერების დომინანტობის მატკიცებელი ფაქტები იმდენია და თანაც იმდენად მრავალგვარი, რომ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამასთან, ისინი საკმაო სისრულითა და სიღრმით არის შესწავლილი როგორც ქართველი, ისე ჩევენი მეზობელი კავკასიელი მკვლევარების მიერ. ყველაზე თვალსაჩინო ფაქტი აღნიშნული დომინანტობისა ქართული ქრისტიანობის გავრცელება და მისი კვალისადმი დამოკიდებულება ჩრდილო კავკასიაში. ამ თვალსაზრისით, ტიპური ვითარებაა ასახული ინგუშეთის სოფლებს ხამხასა და თარგიმს შორის შემორჩენილი ქართული ეკლესიის ნაგრევებთან დაკავშირებულ გადმოცემებსა და რწმენა-წარმოდგენებში. ეკლესიას იქაურები „თხაბა ერდი“-ს უწოდებენ (ქართულად ნიშნავს: „ჩევენი არის ეს სარწმუნოება“. თხა=ჩევენი; ბა=არის; ერ=ეს; დი=სარწმუნოება). ამგვარად განმარტავს თხაბა ერდის ჩეჩენური და ინგუშერი (ვაინახეური) ფოლკლორის მკვლევარი მ. ხანგოშვილი (2, 5). თუმცა, სხვა ახსნაც არსებობს. მაგალითად, გ. ლამბაშიძე ფიქრობს, რომ თხაბა ერდი ქართულ ეკლესიას თომა მოციქულის პატივსაცემად ეწოდა: თომას ერდი (ტაძარი) მითომა ერდი მითხომა ერდი - თხობა ერდი მითხაბა ერდი. (3, 24)

მ. ხანგოშვილის მოწმობით, „ქართული ეკლესია თხაბა ერდი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ინგუშებით. ჯერ კიდევ XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში ინგუშების ერთ-ერთი მთავარი სალოცავი იყო“ (2, 10). იგი იმოწმებს XIX ს. რუს მკვლევრის ნ. ფ. გრაბოვსკის (12 c. 112) ცნობას იმის თაობაზე, რომ ეკლესის ერთ-ერთი სენაკის ქვეშ არსებულ გვირაბში დასვენებული იყო ადამიანის ბარძაყის ძვალი, რომელსაც ინგუშები საკრალურ ძალას მიაწერდნენ და ლაზარობის მაგვარი წეს-ჩევეულებით გვალვიანობის დროს წვიმის გამოწვევის რიტუალს ასრულებდნენ.

დღეს ქართველი და კავკასიელი მკვლევარები თავგამოდებული დაუინებით იკვლევენ საერთო კავკასიური კულტურის ცნობიერების ფრაგმენტებს და მათი რესტავრირებით „დაკარგული კულტურული დოვლათის“ „პოვნას“ ლამობენ. ამ მიმართულებით ძიებანი მას შემდეგ გაინტენსიურდა, რაც ლიდერობა იტვირთა „კავკასიურმა სახლმა“.

ქართულ-კავკასიური სახელმწიფო ბრივ-პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობები ისტორიულად ყოველთვის აქტუალური იყო როგორც ჩევენში, ისე ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში. საერთო კავკასიური კულტურული სივრცისა და ცნობიერების არსებობის განცდა განსაკუთრებით XIX საუკუნეში გამოიკვეთა, როდესაც ამ კულტურის კვლევა რუსულმა გეოგრაფიულმა, ეკონომიკურმა, ლინგვისტიკურმა, ეთნოგრაფიულმა, ფოლკლორისტულმა მეცნიერებებმა იტვირთეს. ცხადია, ამავე საუკუნეში გამოვლინდა საერთო კავკასიური კულტურული ცნობიერების არსებობის მაუწყებელი ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული ფაქტები – საერთო თემები, მოტივები, წეს-ჩევეულებები, რწმენა-წარმოდგენები და ა. შ. ამგვარი ფაქტების გამოვლენებსა და კვლევებს უხვად შეიცავს ა. ვესელიოვსკის, გ. შ. მილერის, ა. ლ. ხახანაშვილის, გ. წერეთლის, ა. კ. წერეთლის, ს. მაკალათიას და სხვათა ნაწერები. უკვე იმთავითვე გაირკვა, მაგალითად, რომ ჩრდილო კავკასიურ ფოლკლორში კლდეზე მიჯაჭვის საერთო მოტივიც არსებობდა, მიჯაჭვული გმირიც ჰყავდათ და ჩევენს ნაცარქექიასაც ჰყავდა ვაინახი ორეული - ქულუბი, რომელმაც ქვასაც წვეთები გაადინა და ნაცრიანი გუდით გზაზედაც კორიანტელი დააყენა და ა. შ. ცხადია, ბევრი სხვა „საერთო“ პერსონაჟიც გვყავს, სიუჟეტიცა და მოტივიც გვაქვს.

თანამედროვე ეტაპზე, ცხადია, ამ მიმართულებით უფრო ინტენსიური და სიღრმისეული კვლევები მიმდინარეობს.

ქართულ ფოლკლორისტიკაში უკანასკნელ ხანს ანგარიშგასაწევი ნაშრომები გამოაქვეყნეს ქ. სიხარულიძემ („კავკასიური მითოლოგია“, 2006), ხ. მამისიმედიშვილმა („ვაინახები და

ქართველი მთიელები“, თბ., 1997), ხ. ხანგოშვილმა („ქისტები“, თბ., 2005), მ. ხანგოშვილმა (‘ვა-ინახური საგმირო ეპოსი’, თბ., „მერანი“, 2006) და სხვებმა.

არანაკლები ინტენსიურობით გამოირჩევა ქართული მწერლობა. ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ტრადიციებს, როგორც ცნობილია, ღირეულად აგრძელებენ გ. ჯაბუშანური, თ. მღვდლიაშვილი, ბ. არაბული, მ. ლანიშაშვილი, მ. ენდელაძე და სხვები.

დროის მსვლელობამ და ისტორიულმა კატაკლიზმებმა საფუძვლიანად შეარყიეს საერთო კულტურული, მათ შორის ფოლკლორული ცნობიერების ერთიანობის განცდა. ამის გამოა, რომ აღნიშნული ერთიანობის ფრაგმენტები მეტნაკლები სისრულითა თუ სილრმით შემორჩია კავკა-სის ხალხთა ფოლკლორულ მემკვიდრეობებს. ამის გამო, არაიშვიათად, ამ ფრაგმენტების შე-დარება-შეპირისპირებით, ან გამთლიანებით ხერხდება გარდასული რწმენა-წარმოდგენების, სიტყვიერების მოტივების, თემების რესტავრირება-რეპრეზენტაციები. ნიმუშად მხოლოდ ორ ფაქტს წარმოვადგენთ: ერთი ცნობილ ქართულ ხალხურ სიმღერას – „ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლავ“ - შეეხება. ამ შინაარსით („ნუ მამკლავ“) ტექსტი 1871 წელს ს. ველისციხეში ჩაუწერია ილია ჭავჭავაძეს, მოგვიანებით დაუფიქსირებია ვ. კოტეტიშვილს. ილიას ჩანერილი ტექსტი პ. უმიკაშვილის კოლექციაში მოხვდა და მისი „ხალხური სიტყვიერების“ მეორე ტომში დაიბეჭდა 1919 წომრით, ვ. კოტეტიშვილის მიერ ჩანერილი ქართლში გავრცელებული ტექსტი კი მის „ხალხურ პოეზიაშია“ წარმოდგენილი (გვ. 279), ამასთან, მის გვერდით განთვასებულია ამ ტექსტის „ნუ მჩაგრავ“ ვარიანტიც.

ქართულ ფოლკლორულ სივრცეში ტექსტის ის ვარიანტი, სადაც თქმა „ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლავ“ ფიგურირებს, სხვა ჩამწერს აღარ დაუფიქსირებია. ამის მიუხედავად, ტექსტი იმდენად გავრცელუბლდა (ცხადია, სიმღერის წყალობით), რომ ვ. კოტეტიშვილს ტექსტის პასპორტში მთქმელის ვინაობის დაფიქსირებაც კი არ უცვნია საჭიროდ. ამაზევე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ტექსტს ზოგ შემთხვევაში სხვა ლექსიც ებმის. მაგალითად, „შვილო, დავბერდი, დავბერდი“ (5, 253). დანარჩენ (უამრავ) შემთხვევაში თქმა „ნუ მამკლავ“ შეცვლილია ფრაზით „ნუ მჩაგრავ“. როგორც გაირკვა, ეს ტესქტი თავის დროზე კავკასიაში გავრცელებული მოხუცებულთა რიტუალურ მოკვდინებასთან დაკავშირებული საწესრვეულებო ლექსის ფრაგმენტია (6, 36-51), რომლის უფრო ვრცელი ტექსტი ადილეურ ფოლკლორშია დაფიქსირებული (7, 195).

მოხუცებულთა რიტუალური მოკვდინების წეს-ჩვევა და მისი თანხმლები „მოხუცებულთა სააკვნო სიმღერის“ ტექსტი უფრო საფუძვლიანად ადილეშია შემორჩენილი, თუმცა, იმავე წეს-ჩვევის არსებობა კოლხეთში სტრაბონიდან მოყოლებული არაერთ მკვლევარს აქვს დაფიქსირებული.

ადილეურ ფოლკლორში ეს წეს-ჩვევა შესწავლილი აქვთ ზ. ნალოევსა (8, 114-115) და შ. ხუტს (9). მათვე აქვთ გამოქვეყნებული მოხუცებულთა სააკვნო სიმღერის ტექსტი („Колыбельная старцев“). ამ მკვლევართა აზრით, აღნიშნული წეს-ჩვევისა და რწმენა-წარმოდგენის საფუძველი და მიზანია რიტუალურად მოკვდინებულ მოხუცებულთა ახლო მომავალში სულიერი აღდგომა, ახლადშობა. ამ მოსაზრებას ისინი იმ არგუმენტით ამყარებენ, რომ წეს-ჩვევას (რიტუალს) ახლავს სიცილი, რომელიც რიტუალურობით ძალიან ჩამოჰვავს ფინკიელთა, ფრაკიელთა და სხვა ძველ ხალხთა ქცევებს ანალოგიურ წეს-ჩვევათა აღსრულების უამს.

თავად „მოხუცებულთა სააკვნო სიმღერის“ ტექსტის შინაარსი ზ. ნალოევს ასე აქვს გადმოცემული:

„იავ ნანა, პაპა (მოხუცო),
შენი მიხრწნილი გვამი გაუტანიათ
აქედან, გაუტანიათ.
- ამას ნუ იტყვი, ჩვენო პატარძალო!
- იავ ნანა, პაპა!
ხარის მაგარი ტყავისაა შენი აკვნის არტახები, ჩვენო პაპა.

- ამას ნუ იტყვი, ჩვენო პატარძალო!

- იავ ნანა, ჩვენო პაპა!

დიდი ხარის ბეჭისგანაა შენი აკვნის შიბაქი, ჩვენო პაპა.

- ამას ნუ იტყვი, ჩვენო პატარძალო!

- იავ ნანა, ჩვენო პაპა!

შენთვის სასუდარე (ქსოვილი) შემოაქვთ, ჩვენო პაპა.

- ამას ნუ იტყვი, ჩვენო პატარძალო!

- იავ ნანა, ჩვენო პაპა!

გოდორს ამზადებენ შენი გვამისთვის, ჩვენო პაპა.

- ამას ნუ იტყვი, ჩვენო პატარძალო!

- იავ ნანა, ჩვენო პაპა!

მარმაშის ხალათს გიკერავ, ჩვენო პაპა.

- ასე იამბე, ჩვენო პატარძალო!

- იავ ნანა, ჩვენო პაპა!

შენი მიხრწნილი გვამიც გაუტანიათ აქედან, ჩვენო პაპა!

- ამას ნუ იტყვი, ჩვენო პატარძალო! (8, 114-115).

ზ. ნალოევის მოწმობით, მოხუცებულთა სააკვნო სიმღერების ტექსტები დაფიქსირებულია ყაბარდოულსა და ჩერქეზულ ფოლკლორულ ტრადიციებშიც. ისიც უთუოდ არის ანგარიშ-გასაწევი, რომ ზ. ნალოევის მასალას ზუსტად იმეორებს შ. ხუტიც.

ზემოთ მოყვანილი სააკვნო სიმღერის შინაარსი აშკარად თანახმიანობს ქართული სიმღერის ტექსტთან „ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლავ, ყველა დაგინყებს გმობასა, თუ სადმე შემეტებული, გეტყვი შვილსა და ძმობასა“. ოღონდ, ქართულ ტექსტში ძველთაძეველი წეს-ჩვევის მოხუცებულთა რიტუალური მოკვდინების – დესაკრალიზაციის ვითარებაა ასახული, – პრობლემის ზნეობრივ-ეთიკურ სიბრტყეზე გადატანის უამი. ამის გამოხატულებაა ფრაზათა – „ნუ მამკლავ“ „ნუ მჩაგრავ“-ით ჩანაცვლების ფაქტიც, რაც პირველის გაიშვიათებასა და მეორის საყოველთაოდ გავრცელებაშიც აისახება.

ვფიქრობ, აშკარაა, რომ ძველი საერთოკავკასიური რწმენა-წარმოდგენის და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვევის კვალი ქართულ ფოლკლორში ხსოვნადაკარგულ ფრაგმენტად არის შემორჩენილი. ადილეურ, ყაბარდოულ და ჩერქეზულ ზეპირსიტყვიერებაში კი კვალი უფრო ღრმაა, ხოლო ეს ფაქტი თავისთავად ერთიანი კავკასიური კულტურული (და ფოლკლორული) ცნობიერების არსებობას ცხადყოფს.

აღნიშნული ერთიანობის გამოძახილია, აგრეთვე, შენობა-ნაგებობაზე მშენებელ-ხუროს (ხუროთმოძღვრის) მკლავის ქვაში კვეთილად დაფიქსირების წეს-ჩვევა, რაც უაღრესად უცნაურად გვეხმიანება ცნობილი ხალხური ლექსიდან „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამი-გია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“.

აქ „რატომ კარგი აგიგია“ ადამიანის სულის სიბნელეში გარინდული შურის დაუნდობლობასა და ამაზრზენობაზე მინიშნებას შეიცავს, თუმცა, არც დასჯის ტრადიციულ გამიზნულობას გამორიცხავს: მკლავის მოჭრა მხოლოდ ფიზიკური დასჯის ფორმა არ არის. იგი უფრო ადამიანისათვის პროფესიული საქმიანობის აკრძალვაა, რადგან მკლავი (მარჯვენა) კავკასიის კულტურული ცნობიერების ველში პროფესიონალიზმის მეტაფორა და აღიარებული ოსტატების ოსტატობის უფლებაა. მკლავის მოჭრა, აქედან გამომდინარე, ამ უფლების ჩამორთმევაა. „ხეკორძულას ლექსში“ ამ წეს-ჩვევის გაფერმურთალებული ხსოვნალა გვეხმიანება, ისიც არა-პირდაპირ. დრო-უამბა ეს ხალხური ლექსი ფრაგმენტად შემოგვინახა, ტრაგიზმის სიმძლავრემ, შესაძლოა, წინამდებარე ინფორმაციული სისავსით განმსაზღვრელი სტრიქონები „გადაავინწყა“ მთქმელებს, რადგან ის სტრიქონები კირითხუროს მიერ აგებულ შენობაზე საკუთარი მკლავის გამოხატვის ტრადიციის თხრობა უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის საფუძველს აღნიშნული წეს-ჩვევის საერთო გავრცელება და ფესვმაგრობა ქმნის ვაინახების (ჩეჩენებისა და ინგუშების) ტრა-

დიციულ ყოფასა და ფოლკლორში. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ცნობები აქვს წარმოდგენილი ვაინახური საგმირო ეპოსის მკვლევარს მ. ხანგოშვილს ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიაში „ვიანახური საგმირო ეპოსი“. მისი მოწმობით, ვაინახებში შენობა-ნაგებობაზე ქვითხუროს მკლავის გამოსახვა (სველ კირზე ხელისმტევნის დადებით) ან გამოკვეთა (ქვაზე ბარელიეფით) საბრძოლო ციხე-კოშკების მშენებლობას უკავშირდება. საბრძოლო ციხე-კოშკი (ბოუ) ძლიერების სიმბოლოა. ამიტომ, მათ ასაგებად არაფერს იშურებდნენ, ცხადია, არც სახსრებს. ხალხურ საგმირო ეპოსში კოშკი ხოტბა-დიდების ობიექტია.

ვაინახები ისე დიდად ყოფილან სახელგანთქმულნი კოშკებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობაში, რომ იქაურ ოსტატებს საქართველოშიც (თუშეთში, ხევსურეთში) იწვევდნენ. ცნობები ამის თაობაზე ქართულ წყაროებშიც არის დაფიქსირებული (ვახუშტი ბატონიშვილი, სერგო მაკალათია).

ს. ხანგოშვილის ცნობით, კოშკის აგება რიტულურ მომენტებს შეიცავდა: კოშკის ასაგები ადგილის ამორჩევას სალ კლდეზე; საფუძვლის სიმყარის შემონმებას კლდეზე რძის დასხმით; კლდეზე ბზარის აღმოჩენის შემთვევაში კი ცხვრის დაკვლითა და მისი სისხლით ადგილის კურთხევით. მკაცრად ყოფილა განსაზღვრული კოშკის აგების დრო - 1 წელი. თუ ოსტატი მშენებლობას ამ ვადაში ვერ დაამთავრებდა, კოშკი ისევე დაუმთავრებელი რჩებოდა. როდესაც მშენებლობას გაასრულებდა, ოსტატი „კოშკის ბალავარზე, სველ კირზე ტოვებდა თავის ხელის მტევნის გამოსახულებას, ან ქვაზე ამოკვეთდა მას, როგორც ხელმონერას - თავისებურ გარანტს მისი სიმტკიცის“ (2, 84).

ამ ფონზე სრულიად ეცლება საფუძველი რუსი მკვლევრის მარკოვინის (10, 52; 2, 78) ვარაუდს, რომ კოშკებზე გამოსახული მკლავები მტრებისათვის მოკვეთილი მარჯვენებიან. სხვათა შორის, საამისო არგუმენტებად იგი ვაჟა-ფშაველას პოემებსა და სვეტიცხოვლის კედელზე გონიოიანი მარჯვენის გამოკვეთის იმ ფაქტს ასახელებს, კ. გამსახურდიას მხატვრულმა ცნობიერებამ უტყუარი ალღოიანობით „ხეკორძულას წყლის“ ზეპირსიტყვიერ ტექსტთან რომ დააკავშირა. ცხადია, სვეტიცხოვლის კედელზე მშენებელი ოსტატის მკლავის გამოსახვის წეს-ჩვევაა აღბეჭდილი და მტრის მოჭრილ მარჯვენასთან საერთო არაფერი აქვს.

მთავარი კი მოცემულ შემთხვევაში ის არის, რომ ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სივრცეში ოდესლაც ისევე ყოფილა გავრცელებული შენობა-ნგებობებზე მშენებელი ოსტატის მკლავის (მარჯვენის) გამოსახვა, როგორც, მაგალითად, ვაინახებში. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ერთიანი კავკასიური კულტურული (მათ შორის ფოლკლორული) ცნობიერების არსებობას, ამასთან იმასაც ადასტურებს, რომ ამ კულტურული სივრცის რაობის რკვევა თანამედროვე ფოლკლორისტიკის ერთ საინტერესო და აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Яковлев Н., Ингушия. Популярный очерк. Госиздат, М.-Л., 1925;
2. მ. ხანგოშვილი, ვაინახების საგმირო პოეზია, თბ.2006;
3. Гамбашидзе Г., Из истории связей Грузии и Ингушетии в средние века. Орджоникидзе, 1974;
4. ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია, გამოც. „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2006;
5. ქართული ხალხური პოეზია, ტ. VII, თბ., 1979;
6. თ. ჯაგოდნივშილი, „ბერი კაცი ვარ ნუ მამკლავ“, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990;
7. „ნართები-ადილეური საგმირო ეპოსი“, მოსკოვი, 1974;
8. Налоев З., Этюды из истории культуры адыгов, Нальчик, 1985;
9. Хут Ш. Х., Несказочная проза адыгов, Майкоп, 1989;
10. Морковин В. Н., В стране вайнахов. М. 1969;
11. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966;
12. Экономический и домашний быт жителей горского участка ингушского округа, Тифлис, 1879.

Т. И. ДЖАГОДНИШВИЛИ

О ПРОЯВЛЕНИЯХ ОБЩЕКАВКАЗСКОГО ФОЛЬКЛОРНОГО МЫШЛЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ФОЛЬКЛОРЕ

Резюме

В работе рассмотрены проявления в грузинском фольклоре элементов общекавказского этнокультурного и художественного мышления. Отмечается, что существование общекавказского культурного пространства подтвержено источниками, которые, несмотря на поразительное этническое многообразие, отличаются типологической общностью.

В данном культурном пространстве, как подтверждается фактическими материалами, доминантной являлась грузинская этнокультура, которая в тоже время активно участвовала в созидательных процессах Восточно-Персидского и Средиземноморского культурных пространств, как весьма значительная сторона. Тем самым грузинская этнокультура проложила путь элементам Восточно-Персидской и Средиземноморской культур в этнокультуры народов Северного Кавказа

T. I. JAGODNISHVILI

ABOUT COMMON CAUCASUS FOLKLORE DETECTION IN GEORGIAN ORAL SPEECH

Summary

In the article it is discussed common Caucasus feature and ethno cultural consciousness detection of Georgian folklore. It is noticed, that historian sources confirm the essence of common Caucasus cultural area, which in spite of ethnic differences stood out from typological uniformity. This cultural area, as an actual material revealed, that Georgian Ethno culture is dominant, which was actively involved in East-Persian and Mediterranean countries cultural sphere, as one of the active side. With it Georgian ethno culture encroached South Caucasus people to spread the value of the East-Persian and Mediterranean countries's culture.

ჩვენი იუბილარები

მოთა ქურდაძე – 90



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამარსებელს, ამავე აკადემიის უხუცეს წევრს, პე-დაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, მრავალი წლების მან-ძილზე გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პე-დაგოგიური ინსტიტუტის, ცხინვალის სახელმწიფო პედაგო-გოგიური ინსტიტუტის და გაერთიანებული ცხინვალისა და გორის, დღევანდელი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტის ემერიტუს-პროფესორს, ბატონ შოთა იოსების-ძე ქურდაძეს, მიმდინარე წლის 17 აგვისტოს, შეუსრულდა და-ბადებიდან 90 წელი.

ბატონი შოთა ქურდაძე დაიბადა ხაშურის რაიონის სო-ფელ იტრიაში, აქვე დაამთავრა რვანდლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო სურამის საშუალო სკოლაში. აქ იგი დაუმეგობრდა თავის შემდგომ მეუღლეს, ქალბატონ ნინო გველესიანს, რო-მელმაც დიდი როლი ითამაშა მის სამეცნიერო ასპარეზზე გამოყვანაში.

1949 წელს, შ. ქურდაძემ დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილილოგიის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ხაშურის რაიონის სო-ფელ ალის საშუალო სკოლის დირექტორად. 1955 წელს დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახე-ლობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდი-დატო დისერტაცია აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. შემდეგ მუშაობა გააგრძელა ხაშურის რაიონის სოფელ ქემფერის საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობა-ზე. 1956 წელს ინიშნება დაბა სურამის სკოლა-ინტერნატის დირექტორად, ხოლო 1958 წელს-გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დეკანად. 1968 წლიდან 1978 წლამდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის პროექტორად ინსტიტუტის რეორგანიზაციამდე. 1968 წელს დაიცვა სადოქტო-რო დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1978 წლიდან მუშაობას აგრძელებს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პროექტორად სას-წავლო სამეცნიერო დარგში, შემდგომ კი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ. 2007 წელს არჩეულ იქნა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც ლექციებს კითხულობდა 2014 წლამდე, 2014 წლიდან, გადაყვანილ იქნა ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორად. ბატონ შოთა ქურდაძეს პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლის მან-ძილზე, გაზრდილი ჰყავს არაერთი ასპირანტი და დოქტორანტი. ისინი დღესაც წარმატებით აგ-რძელებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ბატონ შოთას გამოქვეყნებული აქვს ასამდე სამეცნიე-რო ნაშრომი და სტატია, სასწავლო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ხასიათის მონოგრა-ფიები, ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი, რვა შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ბატონ შოთა ქურდაძეს 90 წლის იუბილეს და უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, თავის დიდ ოჯახთან ერთად.

ციალა ლოლაძე - 80



საქართველოს განათლების მეციერებათა აკადემიის წევრს, ქალბატონ ციალა ლოლაძეს 80 წელი შეუსრულდა.

პედაგოგების ოჯახში დაბადებულს პედაგოგობა მოწოდებად ექცა და ნახევარ საუკუნეზე მეტი მთელი შეგნებითა და თავდადებით ემსახურა საყვარელ საქმეს.

ბავშვობიდანვე ბეჭითი სწავლით გამორჩეულმა 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის ქალთა მე-14 საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზიკის სპეციალობით.

1959 წლიდან 1984 წლამდე ც. ლოლაძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თეორიულ ფიზიკაში.

1984 წლიდან ქალბატონმა ციალამ მუშაობა განაგრძო ა.ს. ბუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკის კათედრის გამგედ, მოგვიანებით კი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსად.

1993 წელს ციალა ლოლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიკის სწავლების მეთოდიკის და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1994 წელს კი სულხან-საბა თრბელიანის სახელობის თბილისის პეგადოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას პროფესორის სამეცნიერო წოდება მიანიჭა.

პროფესორ ციალა ლოლაძეის კვლევის სფეროა თეორიული ფიზიკა, მოზარდის ზნეობრივი და ინტელექტუალური აღზრდა, პიროვნების თვითორგანიზაცია, მათემატიკა, სამედიცინო ფიზიკა.

იგი 150 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელშიც განხილულია თეორიული ფიზიკის, ფიზიკის სწავლების მეთოდიკის, პედაგოგიკისა და ეთიკის საკითხები, ამასთან უმაღლესი სკოლისთვის განკუთვნილი 5 სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორია. ვულოცავთ ჩვენს კოლეგასა და მეგობარს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

თემო გოცაძე - 75



ცნობილ ქართველ ხელოვანს, საქართველოს სახალხო მხატვარს, ბატონ თემო გოცაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

თემო გოცაძემ 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (პროფესორ აპოლონ ქუთათელაძის ხელმძღვანელობით).

ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, თემო გოცაძე ათწლეულობის მანძილზე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ენეოდა და ამჟამადაც ენევა: იყო საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის დამდგმელი მხატვარი; ამავე ტელევიზიის მთავარი მხატვარი; საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩეველი კულტურის დარგში; საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანების „სურათების ეროვნული გალერეის“ („ცისფერი გალერეა“) დირექტორი.

აღსანიშნავია თემო გოცაძის პედაგოგიური საქმიანობა. იგი იყო საქართველოს კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე; ამავე ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სამხატვრო ხელმძღვანელი;

1997 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგია.

1964 წლიდან დღემდე ბატონი თემო აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, კერძოდ: სურათების ეროვნულ გალერეაში (1976, 2003 წწ.), მოსკოვის მხატვრის სახლში, სან-დიეგოსა და ნიუ-იორკის კულტურის ცენტრებში და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილი კოლექცია სახელწოდებით „ლურჯა ცხენებიდან აბსტრაქციამდე“ (140 ნამუშევარი).

პროფესორი თემო გოცაძე 1997 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, 1981 წელს მიენიჭა დამსახურებული მხატვრის, ხოლო 1989 წელს საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება, 1989 წელს თ. გოცაძემ საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მოიპოვა. 1995 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად და საპატიო თანაპრეზიდენტად.

ბატონი თემო გოცაძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ტრეტიაკოვსკის სახელმწიფო გალერეაში, დიუსელდორფის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, კანადის თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, კალიფორნიის ფედერალურ მუზეუმსა და სხვადასხვა კერძო კოლექციებში (აშშ-ში, იტალიაში, მექსიკაში, ირანში, საფრანგეთში, თურქეთში, რუსეთსა და საქართველოში).

2016 წელს ბატონ თემო გოცაძეს ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა საქართველოს კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო - „ხელოვნების ქურუმი“.

საქართველო განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავს გამოჩენილ ქართველ ხელოვანს საიუბილეო თარიღს და მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას უსურვებენ ქართველი ხალხის გასახარად.

ზურაბ ცუცეირიძე - 75



ზურაბ ლეონტის ძე ცუცეირიძე დაიბადა 1941 წლის 7 ოქტომბერს, ქ. ხაშურში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მამა დაიღუპა დიდ სამამულო ომში 1944 წელს, ქ. მინსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1959 წელს დაამთავრა ხაშურის რკინიგზის №12 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს სწავლობდა ისტორიის, იურიდიულ და უურნალისტიკის ფაკულტეტებზე. მიღებული აქვს ისტორიკოსი-სა და სამართალმცოდნის დიპლომები.

შრომითი საქმიანობა დაიწყო სტუდენტობის წლებში. მუშაობდა რკინიგზის სისტემაში ჯერ ელექტროქვესდაგურის მორიგე ელექტრიკოსად, შემდეგ კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის მე-60 პროფექციურ სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ. 1972 წელს შევიდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში და პროფექციური განათ-

ლების თეორიის საკითხებზე სადისერტაციო ნაშრომი მოამზადა ლენინგრადის საკავშირო სა-მეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ნ. დუმჩენკოს ხელმძღვანელობით.

1972 წელს მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური უურნალის „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში განყოფლების გამგე-რედაქტორად, 1984 წლიდან უურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილეა. 1991 წელს აირჩიეს საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლების კათედრის გამგედ. 1993 წელს კონკურსის წესით დაინიშნა ახალგახსნილი ქართული სამხედრო აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის უფროსად, პარალელურად, 2000 წლიდან მუშაობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში (ამჟამად, ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია) პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორად.

წლების განმავლობაში საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა ორგანიზაციებში: იყო უურნალისტთა კავშირის პედაგოგიური უურნალისტიკის სექციის თავმჯდომარე, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის წევრი და ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე, სხვადასხვა ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების წევრი და სხვ. არის პუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო მოძრაობის აქტიური წევრი, მინიჭებული აქვს „პუმანური პედაგოგიკის რაინდის“ წოდება.


გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები: „აღზრდის იდეების რეალიზაცია პროფესიული განათლების სისტემაში“ (1975 წ.); „წიგნი და საჭრეთელი“ /პროფესიული სკოლების პრობლემები და პერსპექტივები/ (1986 წ.); „განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლები“, I და II ნაწილი (1991 წ.); „ლექციების კურსი პედაგოგიკაში. აღზრდის თეორია“ (1997 წ.) „ლექციების კურსი პედაგოგიკაში. სწავლების თეორია“ (1999 წ.); „ლექციების კურსი სამხედრო პედაგოგიკაში“ (2001 წ.); „განათლების თანამედროვე თეორიები“. ნინო ორჯონიკიძესთან ერთად (2005 წ.); „წამყვანი ქვეყნების განათლების კონცეფციების შედარებითი ანალიზი“, ნინო ორჯონიკიძესთან ერთად (2009 წ.)

აკადემიურ სამეცნიერო უურნალში გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე და 400-მდე პუბლიცისტური სტატია საგანმანათლებლო პოლიტიკისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სხვა პრობლემებზე, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება საქართველოს უურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

წლების განმავლობაში მონაწილეობს რეპუბლიკურ თუ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებში. მისი მოხსენებები დაბეჭდილია ლენინგრადში, კიევში, ყაზანში, სარატოვში, მოსკოვში გამართული კონფერენციების მასალების კრებულში.

მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის პრემია წიგნისათვის „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“, I ნაწ. აღზრდის თეორია, 1998 წელს. ქართველ ოფიცერთა აღზრდაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის 2001 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

გილოცავთ ბატონი ზურაბ დაბადებიდან 75 წლისთავს და გისურვებთ ჩვეული შემართებით გელვანოთ ეროვნული სკოლის და პედაგოგიკური მეცნიერების საკეთილდღეოდ.



განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელს, განათლების აკადემიურ დოქტორს, პროფესორს, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აკაკი ზოიძეს 75 წელი შეუსრულდა

ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც იგი განათლების დარგის განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების, მომავალ პედაგოგთა მომზადებისა და მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების სამსახურში იღვწის და იხარჯება.

„დედა ენის“ ხიბლს და მადლს მშობლიური სოფლის - ბრილის რვაწლიან სკოლაში ეზიარა. შემდეგ იყო ჭვანის საჯარო სკოლა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იღვნოდა ბრილის საჯარო სკოლაში, დასაწყისში ბიოლოგიის, ხოლო შემდეგ დაწყებითი კლასების მასწავლებლად. სკოლასა და ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული მაძიებელი პედაგოგი შვიდი წლის განმავლობაში გატაცებით, ენთუზიაზმით აზიარებდა აღსაზრდელებს ქართული ენის ხიბლს, აკეთილშობილებდა, ამშვენიერებდა და ბუნების, ქვეყნის, ადამიანების სიყვარულით მუხტავდა.

1971 წელს აკაკი ზოიძე პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტის დაწყებითი განათლების სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგედ დააპინაურეს. კაბინეტი, რომელსაც სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იგი მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების ერთ-ერთ ძლიერ და მისაბაძ კერად იქცა. მისი მუშაობა განზოგადდა როგორც საქართველოს, ისე ყოფილი სსრ კავშირის მასშტაბით, კერძოდ, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და იგი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

სამაგალითოა აკაკი ზოიძის როლი სტუდენტი ახალგაზრდობის გონიერივ განვითარება-სა და ზნეობრივ სრულქმნაში. ათეული წლებია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში კითხულობს ლექციებს.

2009 წელს აჭარის მთიანეთში, კერძოდ, ხიჭაურში გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი. ამ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეში პირადი წლილის შეტანის მიზნით მან ქალაქიდან მთაში გადაინაცვლა და აგერ ექვს წელზე მეტია კოლეგებთან ერთად იღწვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი ზოიძის თავდაუზოგავი საქმიანობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში. იგი წლების განმავლობაში იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003 წლიდან უნარიანად ხელმძღვანელობს მას. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მრავალფეროვანი ღონისძიებები ტარდება მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების, ამაგდარი პედაგოგების, პროფესორ-მასწავლებლების ღვაწლისა და ამაგის ნარმოსაჩენად. მისი ცხოვრებისეული კრედოა სხვას დაეხმაროს, სხვების მუშაობა და ღვაწლი ნარმოაჩინოს, სხვებს მიაგოს პატივი და მიანიჭოს სიხარული.

მაძიებელი პედაგოგის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილია მისი მეცნიერული და უურნალისტური მოღვაწეობა. სამი ათეული წლის განმავლობაში უანგაროდ იღვწიოდა იგი მთავარი პედაგოგიური გაზეთის „სახალხო განათლების“ საკუთარ, ხოლო გაზეთ „აჭარის“ საზოგადოებრივ კორესპონდენტად. არის საჭირო და საყურადღებო წიგნების, მეცნიერული ნაშრომების, ნარკვევებისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი, რომელთა საერთო რაოდენობა ათასს აჭარბებს.

ბატონი აკაკი უნარიანად უხამებს სამეცნიერო-პედაგოგიურ და უურნალისტურ საქმიანობას საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო აჭარის მასწავლებელთა და საქართველოს უურნალისტთა ყრილობების დელეგატი. აჭარის განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, არის ტბელ აპუსერისძის უნივერსიტიტის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი, სათავეში უდგას იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციის...

აკაკი ზოიძის ხანგრძლივი, უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობა ჯეროვნადაა დაფასებული. დაჯილდოებულია მედლებით, მათ შორის პედაგოგებისათვის სანუკვარი იაკობ გოგებაშვილის მედლით, დიპლომებითა და საპატიო სიგელებით, მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ზაქარია ჭიჭინაძის პრემია, არის განათლების აკადემიური დოქტორი, პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონ აკაკის ვულოცავთ დაბადების 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ნოდარ ბარაშიძე - 70



ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი ნოდარ ბარაშიძე 70 წლისაა, მეცნიერი, ვისაც თამამად და თავაწეულად შეუძლია თვალი გაუსწოროს საკუთარ ნარსულს. მან იმდენი გააკეთა მეცნიერებაში, მომავალი თაობების აღზრდასა და საზოგადო საქმეში, რომ პირნათელია ქვეყნის, თავისი ხალხისა და საზოგადოებრიობის წინაშე.

1964 წელს 6. ბარაშიძემ ოქროს მედალზე დაამთავრა თავისი მშობლიური სოფლის - გონიოს საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოლოგიის სპეციალობით. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი ქართველი ფილოლოგები - რევაზ ნათაძე, ბარნაპ ხაჭაპურიძე, შოთა ნადირაშვილი, აპოლონ შეროზია და სხვები. სტუდენტობის პერიოდშივე გამოიჩინა თავი სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და სამჯერ რექტორატის სიგელითაც დაჯილდოვდა.

1969 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და სწავლა გააგრძელა დ.უზნაძის ფილოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი შალვა ჩხარტიშვილი.

1975 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1973 წლიდან 1976 წლამდე იგი ფილოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია. 1976-1980 წლებში კი ქუთასშია, სადაც ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის ინსტიტუტის ახალგახსნილ პედაგოგიური ფილოლოგიის ლაბორატორიას.

1980 წლიდან იგი მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) - დოცენტად, პროფესორად. 1990 წლიდან 2005 წლამდე განაგებდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ ფილოლოგიის კათედრას, შემდეგ - პედაგოგიკა-ფილოლოგიის დეპარტამენტს. 2008-2009 წლებში იყო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, შემდეგ ხელმძღვანელობდა სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. 2013 წლიდან უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორია. 1997 წლიდან არჩეულია საქართველოს პედაგოგიურ (განათლების) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ყველგან, სადაც კი იღვარა ნ.ბარამიძემ, თავი გამოიჩინა როგორც მიზანდასახულმა, კე-თილშობილმა და პრინციპულმა პიროვნებამ, რომელმაც დიდი სიყვარული დაიმსახურა პროფე-სორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მხრიდან.

6. ბარამიძე თანაბარად იღვნოდა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო სარბიელზე. ის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარია, რასაც ადასტურებს მის მიერ გამოქვეყნებული 11 წიგნი და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული ხასიათის გამოკვლევები. და მაინც მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ცენ-ტრალური ადგილი უკავია შორეული მოტივაციური ქცევისა და სწავლის პრობლემას.

ნოდარ ბარამიძის ნაშრომები ეხება, აგრეთვე, აქსელერაციისა და ნებისყოფის პრობლე-მებს, განწყობის უზნაძისეული თეორიის ზოგიერთ აქტუალურ საკითხს, ისტორიული ფსიქო-ლოგიის საკითხებს, ნებისყოფითი და ზნეოპტიკის ქცევის ურთიერთობიმართებას, სახელდების პრობლემას, „პაიშეს ფენომენების“ მიმართებას შორეულ მოტივაციურ ქცევასთან, აღზრდისა და განათლების საკითხებს და სხვა.

აღსანიშნავია, რომ იუბილარის წიგნები და სტატიები გამოყენებული და მითითებულია 30 ავტორის 45-ზე მეტ ნაშრომში. ავტორთა შორის არაერთი ცნობილი მეცნიერია. მისი რედაქტო-რობითა და წინასიტყვაობით გამოცემულია 20 წიგნი.

ამასთან, ბატონი ნოდარი გულგრილი არასოდეს ყოფილა ქვეყნად, განსაკუთრებით ბო-ლო ათონლეულებში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პროცესებისადმი. ამ საკითხებსა თუ პრობლემებზე მას უამრავი პუბლიცისტური წერილი და სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული.

6. ბარამიძის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. იგი დაჯილდოებულია საქართველოს განათლების სამინის-ტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით, იაკობ გოგებაშვილის მედლით და ლირსების ორდენით.

ბატონი ნოდარი უკან მოტოვებული შვიდი ათეული წლის მიუხედავად, მხნედ გამოიყურე-ბა. გვჯერა იგი კვლავ არაერთხელ გაგვახარებს ახალი მიღწევებით და კიდევ დიდხანს იქნება ასე შემართული მეცნიერების, პედაგოგიური საქმიანობისა და თავისი ქვეყნის საკეთილდღე-ოდ.

თანახმადებული -70



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ცნობილი მხატვარი თენგიზ სეფიაშვილი 70 წლის გახდა. თენგიზ სეფიაშვილი დაიბადა 1946 წელს ქ. თბილისში. 1972 წელს დაამთა-ვარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. მას შემდეგ მუშაობს არქიტექტურისა და საგამოფე-ნო დიზაინის განხრით. იგი პავილიონების მხატვრული გაფორმე-ბის ავტორი და თანაავტორია საქართველოსა და მსოფლიოს 17 ქვეყანაში.

კერძოდ: 1976 წ. - ზაგრები (ოქროს მედალი); 1982 წ. - მოსკოვი (ვერცხლის მედალი); 1995 წ. - დიუონი (ოქროს მედალი).

1997 წლიდან ქ. თბილისის მთავარი მხატვარია.

1998 წელს მიღებული აქვს საქართველოს ლირსების მედალი.

1979-80 წლებში შექმნილი აქვს გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც 2006 წელს გამოცე-მულ „sepo graphie“-ში არის თავმოყრილი.

2008-09 წლებში ბატონი თენგიზის მიერ შესრულებული ნამუშევრები „sepo portfolio“-ს სა-ხითაა წარმოდგენილი.

2009 წელს გალერეა „აკადემია+“ში გაიმართა მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

2010 წელს თენგიზ სეფიაშვილი მუშაობს კინეტიკურ სკულპტურებზე.

2010 წელს მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა „პოსტმოდერნული მობილები“. ამავე წელს დაიდგა მის მიერ შექმნილი ქარზე მოძრავი სკულპტურა ბათუმის ახალ ბულვარში.

2011 წელს მის კინეტიკურ ნამუშევარს („კომუნიკაციას“) წარმატებული გამოხმაურება ჰქონდა მსოფლიო კინეტიკის ფესტივალზე (ლონდონი) და დაიბეჭდა „art of England magazine april issue“-ში. ამავე წელს მისი პლაკატური ნამუშევარი „წითელი გიტარა“ გამოიფინა ამერიკის მუზეუმის მიერ ჩატარებულ თანამედროვე ხელოვნების ფესტივალზე.

2011 წელს მოეწყო თენგიზ სეფიაშვილის რამდენიმე გამოფენა - „The museum of Amerikas“ (მაიამი), „Ideal“ - კულტურის ცენტრი „ვენადო ტუერტო (სანტა ფე), „Barak“ - საგამოფენო სალონი „როსარიო“ (სანტა ფე).

2011 წელს იგი გახდა ლონდონის კინეტიკის მუზეუმის წევრი.

2014 წელს „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობამ გამოსცა წიგნი „სეფო მისი შემოქმედების შესახებ“. ამავე წელს მოეწყო თ. სეფიაშვილის გამოფენა „rooms hotel Tbilisi-ში. 2014 წლიდან მისი ნამუშევრები „თევზი“ და „ანგელოზები“ დგას ექსპო ჯორჯიას გამოფენის ტერიტორიაზე.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი დიდი სიყვარულით ულოცავს საიუბილეო თარიღს გამოჩენილ ხელოვანსა და დიდებულ პიროვნებას ბატონ თენგიზ სეფიაშვილს და უსურვებს მას ნაყოფიერ, ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გელა ყიფიანი - 60



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, პროფესორს, მეცნიერებათა დოქტორს, მრავალმხრივ და ნაყოფიერ მეცნიერს, გელა ყიფიანს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

გელა ყიფიანმა 1982 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მატემატიკის ფაკულტეტი. 1982 წელს იგი ჩაირიცხა ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურაში თეორიული მექანიკის სპეციალობით, 1987 წელს კი დაინიშნა ამავე ინსტიტუტის ლითონ-კონსტრუქციების კათედრის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ ვადაზე ადრე დაამთავრა ასპირანტურის კურსი, იქვე დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1997 წელს მოიპოვა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გელა ყიფიანი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ფართოა მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო, ესაა: წყვეტილ-პარამეტრებიან თხელკედლიან სივრცით სისტემებზე დეფორმაციება და მდგრადობა; ჭრილების მქონე სამფენოვანი გარსების და ფირფიტების მდგრადობის საკითხები; სივრცითი მექანიკური სისტემების დინამიკური ამოცანები; ცვლადი გეომეტრიის ხრახნი და მისი მართვის საშუალებები; მაღალი აბსოლუტური თვისებების მქონე ელასტიური კომპოზიციური პოლიმერული მასალების შექმნა; მართვადი ცვალებადი გეომეტრიის ხრახნიან ცენტროდანული ძალების მოქმედების კომპენსაცია; ნატრიუმის სულფატის ხსნარების ფილტრების რეგენერაცია და სხვ.

იგი არის 320-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის - 12 მონოგრაფიის, 14 სახელმძღვანელოსი და 4 პატენტისა.

პროფესორი გელა ყიფიანი წარმატებით ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. უნდა აღინიშნოს მისი ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა ამ მიმართულებითაც. გელა ყიფიანის ხელმძღვანელობით დაცულია 21 საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია, 1 საკანდიდატო დისერტაცია - პედაგოგიკის დარგში, 6 მაძიებელს მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებაში აკადემიური დოქტორის ხარისხი.

პროფესორი გელა ყიფიანი საქართველოში, კანადაში, ჩეხეთში, პოლონეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვა ქვეყნებში გამომავალი 22 სამეცნიერო უურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია.

პროფესორი გელა ყიფიანი საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავენ აღიარებულ მეცნიერს, ლირსეულ პიროვნებას და სტუდენტთა საყვარელ პროფესორს დაბადებიდან 60 წლისთავს და უსურვებენ ნაყოფიერ, ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

გამოსათხოვარი

გალაქტიონ სიხარულიძე



ქართველ პედაგოგთა და მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გალაქტიონ სიხარულიძე. გალაქტიონ სიხარულიძე დაიბადა 1924 წლის 18 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში; მისი მამა, ცნობილი ქართველი უურნალისტი თომა სიხარულიძე 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა, ხოლო დედა მარიამ ბედია შუა აზიაში გადასახლეს. უდედმამო ყმან-ვილზე მზრუნველობა მამიდა თინა სიხარულიძემ და მისმა მეუღლემ გიორგი ჩხაიძემ იკისრეს, რომლებიც აჭარაში აღიარებული პედაგოგები იყვნენ და მომავალ პედაგოგზე და მეცნიერზე კეთილისმყოფელი გავლენა სწორედ მათ მოუხდენიათ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1941-1943 წლებში ახალგაზრდა გალაქტიონი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სარფსა და ბათუმში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1948-1951 წლებში სწავლობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1953 წელს გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის ხელძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

გალაქტიონ სიხარულიძე 1951 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას გალაქტიონ სიხარულიძე კარგად უთავსებდა უმაღლესი სკოლის პედაგოგის და მომავალ მასწავლებელთა აღმზრდელის საპასუხისმგებლო და საპატიო მისიას. სწორედ ამიტომ იმსახურებდა იგი სტუდენტებისა და კოლეგების პატივისცემას და სიყვარულს. წლების განმავლობაში ბატონი გალაქტიონი მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტის) საკვალიფიკაციო საბჭოს სწავლული მდივანად და არჩეული იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

გალაქტიონ სიხარულიძის მიერ ათეული წლების განმავლობაში წაკითხული ლექციები პედაგოგიკის ისტორიაში გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციით და პრობლემათა არსები წვდომით, რაც განაპირობებდა სტუდენტთა ინტერესს და აქტიურობას. ათეული წლების განმავლობაში ბატონი გალაქტიონი, დიდი რუდუნებით იკვლევდა საქართველოს განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის პრობლემებს. მის მიერ შესრულებულია არაერთი სამეცნიერო-პედაგოგიკური გამოკვლევა და სახელმძღვანელო: „სახელოსნო განათლება საქართველოში“ (1952), „ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მოკლე კურსი“ (1966), „გიორგი თავზიშვილი“ (1977). გალაქტიონ სიხარულიძის თანავტორობითა და რედაქტორობით გამოიცა „ქართული პედაგოგიკის ისტორიის“ პირველი სახელმძღვანელო (1974). მისივე ავტორობით 1986 წელს გამოვიდა „კაცომოყვარეობის აღზრდა ოჯახში“. იგი არის „პედაგოგიკის ისტორიის“ სახელმძღვანელოს (1988) თანავტორი. გალაქტიონ სიხარულიძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართული პედაგოგიკური აზრისა და მდიდარი საგანმანათლებლო ისტორიის პოპულარიზაციას ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამ მიზნით იგი ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა „ქართული პედაგოგიკური აზრის ანთოლოგიის“ შედგენაში, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა მოსკოვში

1987 წელს. მისივე რედაქტორობით მომზადდა ანალოგიური ანთოლოგია, ქართულ ენაზე (ტო-მი I), სამწუხაროდ იგი კვლავ ელის გამომცემელს.

გალაქტიონ სიხარულიძე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის და განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის მიმართ. იგი არის იაკობ გოგებაშვილი ხუთტომეულის ერთ-ერთი შემდგენელი და მეორე ტომის რედაქტორი (1989-1990 წწ.), იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორიის“ (1992) წინასიტყვაობის ავტორი და წიგნის რედაქტორი. ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება იაკობ გოგებაშვილთან მიმართებით; 1999 წელს გამოვიდა მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმი „იაკობ გოგებაშვილი“, სწორედ ამ ფილმში გალაქტიონ სიხარულიძემ გაახმოვანა სულმნათი იაკობი.

გალაქტიონ სიხარულიძეს გამოქვეყნებული აქვს 150 მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია. იგი ხშირად იყო სადისერტაციო ნაშრომების ოფიციალური ოპონენტი. მისი ხელმძღვანელობით არაერთი ახალგაგზრდა მკვლევარი შეემატა ქართული პედაგოგიკური მეცნიერების რიგებს. პედაგოგთა მომზადებაში და ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში განეული ღვაწლის გამო გალაქტიონ სიხარულიძე დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით (1965), 1985 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება, 1988 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომიტეტმა მას პროფესორის წოდება მიანიჭა, ხოლო 1995 წლიდან, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან ამ აკადემიის აკადემიკოსია.

იაკობ გოგებაშვილის სახელის უკვდავსაყოფად გალაქტიონ სიხარულიძის დამსახურება საგანგებოდ აღინიშნა და 1990 წელს იგი დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის მედლით, ხოლო 1993 წელს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ და პუბლიცისტურ თხზულებათა ხუთტომეულის შედგენა-გამოცემისათვის მიენიჭა განათლების დარგის უმაღლესი ჯილდო – იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

ქართველ პედაგოგთა აღმზრდელის, ახალგაზრდა მეცნიერთა დამკვალიანებლის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, ქართველი ხალხის მოქირნახულის და სანიმუშო მოქალაქის გალაქტიონ სიხარულიძის სახელი მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

შოთა მალაზონია



ქართულმა პედაგოგიკურმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა მალაზონია.

შოთა მალაზონია დაბადა 1935 წელს, ქალაქ ბათუმში. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დასრულების შემდგე მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. 1964-1967 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სწავლების მეთოდთა მონაცვლეობა როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების საშუალება“. 1998 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სწავლების ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება 60-იანი - 70-იანი წლების საბჭოთა პედაგოგიკაში“.


1968 წლიდან 2006 წლამდე უწყვეტად მუშაობდა ა.ს. პუშკინის, შემდგომში, სულხან-საბაორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში/უნივერსიტეტში სხვადასხვა აკადემიურ თანამდებობებზე: ასისტენტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. 2006 წლიდან იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. შოთა მალაზონია აკადემიურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებას – 1979-1983 წლებში ის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა.

შოთა მალაზონია არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი განათლების აქტუალურ საკითხებზე. გარდა სამეცნიერო სტატიებისა, მას ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო: „სწავლების კავშირი ცხოვრებასთან როგორც მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ამაღლებისა და ცოდნის შეგნებულად დაუფლების პირობა“ (1987); „სწავლების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საშუალო სკოლაში“ (1988); „პედაგოგიკა“ (2001); „გურული (მამათური) ლექსიკონი“ (2010); „იაკობი - ერის დიდი მასწავლებელი“ (2011) და სხვ. სიცოცხლის ბოლო თვეებამდე არ შეუწყვეტია ბატონ შოთას სამეცნიერო კვლევა-ძეგბა. განსაკუთრებული ენთუზიაზმით მონაწილეობდა იგი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით შედგენილი ენციკლოპედიური ნაშრომის „საქართველოს განათლების მატიანეს“ შექმნაში.

ბატონი შოთა ცხოვრებაში მოკრძალებული იყო. იგი უხმაუროდ, ფუტკარივით შრომობდა და მომავალი თაობის განსწავლულობისა და აღზრდისათვის უშურველად იხარჯებოდა. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების სიყვარული და პატივისცემა. ნიშანდობლივია იციც, რომ ბატონი შოთას შვილები მამის კვალს გაჰყვნენ - ორთავე მეცნიერებათა დოქტორია და ოჯახურ ტრადიციის თანახმად, ეროვნული განათლების საქმეს ემსახურება.

უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ შოთა მალაზონიას ღვაწლი ეროვნული სკოლის და პედაგოგიკური მეცნიერების წინამე, გაუხუნარ ფურცლად დარჩება მისი დაფრთიანებული ასეულობის მასწავლებლისა და კოლეგისათვის.

გამორჩეული პიროვნება - ნოდარ ლომოშვილი



ამას წინათ დიდუბის პანთეონმა მიიბარა ნოდარ ლომოური... იგი დაიკრძალა თავისი სახელოვანი მამის - იულონ ლომოურის გვერდით.

9 აგვისტოს ბატონი ნოდარი 90 წლის გახდებოდა, მაგრამ 3-ში იგი აღესრულა...

როგორც გამოსამშვიდობებელ წერილში, სულთათანაში, აღნიშნავდნენ მისი კოლეგები, ნოდარ ლომოურმა „იცხოვრა და იმოღვანა საუკუნეში, რომელიც დასაწყისიდანვე აღსავს იყო სირთულებითაც, განუკითხაობა-პოროტებითაც და სიკეთე-ერთგულებითაც. და ყველა ეტაპი განვლო ისე, რომ არცერთი ადამიანური გრძნობის, ლირსების, ქართველობისა და საქართველოს წინაშე - არც მეცნიერული და არც პიროვნულ-საზოგადოებრივი მოვალეობისათვის არ გადაუხვევია, არ უღალატია. პირიქით, მან მთელი სიცოცხლე სწორედ ამ მოვალეობის აღსრულებას მიუძღვნა თავდაუზოგავად...“

უაღრესად მრავალფეროვანია თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის მიერ მოძიებულ და დამუშავებულ საკითხთა სპექტრი: იბერიის (ქართლის) სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, იბერიის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ანტიკურ ხანაში, ქართლის სამეფოს ურთიერთობა რომის იმპერიასა და სასანურ ირანთან, ქართლისა და ეგრისის გაქრისტიანების პრობლემა, ეგრისის სამეფო, მისი როლი და მნიშვნელობა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხი, ბერძნ ლოგოგრაფოსთა ცნობები საქართველოს შესახებ, უცხოელ ავტორთა ცნობები თბილისის შესახებ, ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების სახე და ხასიათი ანტიკურსა და ელინისტურ ხანაში, პონტოს სამეფო და მისი ისტორიული როლი, ძველი ასურეთის სამეფო თანამედროვე მკვლევარის თვალთახედვით, დიონ-კასიონის ცნობები საქართველოს შესახებ - სამაგიდო წიგნი სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულთათვის, ბერძნული ტექსტის უბადლო ქართული თარგმანითა და სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ნოდარ ლომოურის გამოკვლევები საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების, ადრეული შუასაუკუნეების, ანტიკური ქვეყნებისა და ბიზანტიის ისტორიისათან დაკავშირებით.

ნოდარ ლომოურმა ახლებურად გაიაზრა საქართველოს ისტორიის, აღმოსავლეთთან ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა კონტაქტების არაერთი პრობლემა. მან პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში წამოჭრა საკითხი კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებათა შესახებ და გამოთქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის სანაპიროს ბერძნულ კოლონიებად მიჩნეული ქალაქები, რეალურად, ადგილობრივი საქალაქო ცენტრებია, რომელთა გვერდით მოგვიანებით გაჩნდა ბერძნული სავაჭრო დასახლებები. 1962 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში - „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია“ გამოთქმული ეს მოსაზრება ნ. ლომოურმა, შემდგომში, ახალ მონაცემებსა და არქეოლოგიურ წყაროებზე დაყრდნობით, მეტად ვრცლად და დასაბუთებულად წარმოაჩინა არაერთ ნაშრომში ქართულ, გერმანულ, რუსულ ენებზე და იგი გაზიარებულ იქნა სპეციალისტთა მიერ საერთაშორიშო სამეცნიერო ფორუმებზე (1977 წ. და სხვ..) ნ. ლომოურმა დაამუშავა მთელი ციკლი პრობლემებისა, რომლებიც ეხებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს უძველეს ისტორიას, აქაურ პოლიტიკურ გაერთიანებათა ეთნიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტთა შესწავლას. ამ მხრივ მეცნიერებაში აღიარებულია მონოგრაფია „ეგრისის სამეფოს ისტორია“. ასევე ცალკე თემაა ნოდარ ლომოურის პუბლიკაციები ბერძნ ლოგოგრაფოსთა შესახებ.

აღსანიშნავია ნოდარ ლომოურის ფრიად ნაყოფიერი მუშაობა არქეოლოგიურ ექსპედიციებში (არმაზციხე, მცხეთა, უჯარმა, შორაპანი, გრძელი მინდორი). ფრიად ნაყოფიერი იყო მისი

მონაწილეობა ნოქალაქევის (არქეოპოლისის-ციხეგოჯის) ექსპედიციაში, რომლის ფრიად ხელ-შესახებ შედეგებს მან მიუძღვნა მრავალი გამოკვლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა მეცნი-ერის ღრმამაცნიერული გამოკვლევები ეგრისის და ქართლის (იბერიის) პრობლემებზე, ქარ-თლის სახელმწიფოს ნარმოქმნის დროისა და თარიღის შესახებ, აქ ქრისტიანობის გავრცელე-ბისა და დამკვიდრების თაობაზე, რომთან და შემდეგ ბიზანტიისათან ურთიერთობის შესახებ. ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფესორ ნოდარ ლომოურის მიერ პონტოს სამეფოს ის-ტორიის მონოგრაფიული დამუშავება. რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ჩემთვის დიდი პატივი იყო ვყოფილიყავი ნოდარ ლომოურის 3 წიგნის რედაქტორი. ერთი სიამოვნება იყო მასთან ერთად მუშაობა. ეს წიგნებია: „სიმონ ყაუხჩიშვილი - მეცნიერი, მოძღვა-რი, ერისკაცი, მოქალაქე“, თბ., 1996; „ძირძველი ქართული მხარის - აფხაზეთის ისტორიისათ-ვის“, თბ., 2008; „საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა, ნაწილი პირველი, 4-9 სს.. „პირველში მადლიერმა მონაფემ ნარმოაჩინა დიდი ქართველი მეცნიერის, მისი მასწავლებ-ლის (რომელსაც მან ბოლომდე, განსაკუთრებით, რეპრესიების წლებში, უერთგულა) ღვაწლი. მეორე წიგნში ეხება აფხაზეთის და იქ მოსახლე ტომების ეთნოგენეზისის საკითხებს, სადაც ას-კვნის: „აფხისები და აპაზგები, მიუხედავად აფხაზურ-ადილური ნარმომავლობისა, ეთნოკულ-ტურული თვალსაზრისით ნარმოადგენენ განუყოფელ ნაწილს ქართული ეთნიკური ერთობისა, ისევე როგორც ეგრები, სვანები, მესხები...“ (გვ.77). ბატონი ნოდარი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სოხუმში, სადაც მას უამრავი მეგობარი ჰყავდა. საშინლად განიცდიდა შემდგომში დატ-რიალებულ ტრაგედიას...

ნოდარ ლომოური თამამად უპირისპირდებოდა ექსრემისტებს და ძალზე მკაცრად ამხელ-და მათ მიერ დამახინჯებულად მოწოდებულ ფაქტებს, მაგ. პეტრიწონთან დაკავშირებით.

მესამე წიგნში საფუძვლიანადაა განხილული ბიზანტიის იმპერიის საქართველოსთან ურ-თიერთობის საკვანძო საკითხები.

აქ შეუძლებელია მეცნიერის შრომების არათუ მომოხილვა, დასახელებაც კი. დაწმუნებუ-ლი ვარ მომავალში შესაძლებელი გახდება მთელი კორპუსის გამოცემა, რადგან მეცნიერული თვალსაზრისით იგი ფასეულია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკვლევართათვის, მომავალი თაობისათვის.

2006 წელს გამოცემულ წიგნში „ქართველი მხედარი მარსის მოედანზე“ ნოდარ ლომოური რეალობითა და ფანტაზიით ნასაზრდოები მხატვრული ენით, ნატიფი სტილით გადმოგვცემს საქართველო-რომის ურთიერთობის ეპიზოდს ფარსმან იბერიელთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბატონი ნოდარ ლო-მოური-ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დაუშრომელი კირითხურო, ბრწყინვალე ლექ-ტორი, წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქარ-თველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, საქართველოს ბიზანტიწოლოგთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი, ავტორიტეტული უურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი, მეც-ნიერების დამსახურებული მოღვაწე, „დირსების ორდენის კავალერი“, თბილისის საპატიო მოქა-ლაქე.

მის ხასიათში ერთმანეთს ერწყმოდა, შეთავსებული იყო პრინციპულობა, სიმკაცრე, კე-თილშობილება, ადამიანური სითბო, ჭირისა და ლხინის გაზიარების იშვიათი უნარი. შესანიშნა-ვი მოლეხენა იცოდა...

ლომოურების სახელოვანი გვარის ღირსეული ტრადიციების გამგრძელებელი, „ახალი ათონელის“ - სიმონ ყაუხჩიშვილის ერთგული მონაფე - პროფესორი ნოდარ ლომოური ეროვ-ნულ მეხსიერებაში ნამდვილად აღიბეჭდება, როგორც გამორჩეული პიროვნება.

ვალერი ასათიანი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

06 ფორმაცია

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება	5
გილ ქაჯაიძა - საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება გარემოს დაცვის საქმეში“	6

სასკოლო პედაგოგიკა

დავით მალაზონია, ნინო ჭიაბრიშვილი - მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის მიმართები სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურულ კომპეტენციებთან	8
ჯამგუ ავალიანი - ტექსტები, როგორც ძირითადი რესურსი მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარებისა და სასწავლო ამოცანის გადასაწყვეტად	20

პედაგოგიკის თეორია და ისტორია

ლია მართოვაშვილი - ოჯახის როლი ბუნების სიყვარულის, დაცვა-მოვლის ჩვევების ჩამოყალიბებასა და აღზრდაში.....	26
ნატო შეროზია - მოზარდი და დანაშაული	30
ლელა თავდგირიძე - სწავლება/სწავლის სტრატეგიები - წიგნიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალება	35
მურმან თავდგიშვილი - სწავლა-აღზრდის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“	39
კონსტანტინე რამიშვილი - განვითარების კატეგორია ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ კვლევაში	44
მარინე აროშიძე - ლინგვოდიდაქტიკის სტრატეგიული ორიენტირები საქართველოში.....	49
სოფიო ფანერულიძე - აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული პედაგოგიკა.....	53
თამარ გოგოლაშვილი - იყალთოს აკადემიის ტრადიციები „ქვევრის სკოლა-აკადემიის“ აღორძინებით გრძელდება	56

პედაგოგიური ფილოლოგია

ნოდარ ბარაბიძე - სწავლის ფსიქოლოგიური ბუნებისა და განწყობის მიმართების საკითხისათვის.....	62
იმერი გასილაძე - სწავლების მეთოდების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები	66
მარაპ მაღრაძე - სწავლის მოტივთა გარეგან და შინაგან ფორმებად კლასიფიკის თეორიული პრობლემები	71

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი - უმაღლესი განათლება და ბიზნესი - რეალობა და გამოწვევები	76
ვახტანგ სართანია - განათლების სისტემის მართვის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.....	83

პროფესიულ-ტექნიკური განათლება

რევაზ ნაკაშიძე - პროფესიული განათლება გერმანიაში	92
---	----

რევაზ ნაკაშიძე - პროფესიული განათლების პედაგოგიური, სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებისა და მეცნიერული კვლევების კონცეფციისთვის	98	
ენათმეცნიერება		
პემალ ჯინჯიძე - ზმნის დეფინიციის სრულყოფის საკითხისათვის	104	
ეპოლოგიური განათლება		
გია ქაჯაიძა - ეკოლოგიური კრიზისი, რელიგია, ეთიკა	107	
ფოლკლორი		
თემურ ჯაგოღიშვილი - საერთო კავკასიური ფოლკლორული ცნობიერების გამოვლენათა შესახებ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში	111	
ჩვენი იუგილარები		117
გამოსათხოვარი	126	

СОДЕРЖАНИЕ

ИНФОРМАЦИЯ

Общее собрание Академии образовательных наук Грузии	5
КАДЖА ГИЯ - международная конференция: „Религия и общество в решении природоохранных проблем“	6

ШКОЛЬНАЯ ПЕДАГОГИКА

МАЛАЗОНИЯ ДАВИД, ЧИАБЕРАШВИЛИ НИНО - Отношение гражданской активности и степени интеграции учащихся к интеркультурным компетенциям школьного общества ...	8
АВАЛИАНИ ДЖАМБУ - Тексты, как основной ресурс для развития академических навыков студентов и для решения задач обучения	20

ТЕОРИЯ И ИСТОРИЯ ПЕДАГОГИКИ

МЕНТЕШАШВИЛИ ЛИЯ - Роль семьи в воспитании и формировании у детей любви к природе, умения ухаживать за ней и защищать её	26
ШЕРОЗИЯ НАТО - Подросток и преступление	30
ТАВДГИРИДЗЕ ЛЕЛА - Стратегии обучения как одно из средств формирования грамотности.....	34
МУРМАН ТАВДИШВИЛИ - Вопросы воспитания и обучения в поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре»	39
РАМИШВИЛИ КОНСТАНТИН - Категория развития в психолого-педагогических исследованиях.....	44
АРОШИДЗЕ МАРИНЕ - Стратегические ориентиры лингводидактики в Грузии.....	49
ПАНЧУЛИДЗЕ СОФЬЯ - Основная трагедия воспитания и экспериментальная педагогика	53
ГОГОЛАШВИЛИ ТАМАР - Традиции Академии Икалто продолжаются возрождением «школы-академии Квеври»	56

ПЕДАГОГИЧЕСКАЯ ПСИХОЛОГИЯ

БАРАМИДЗЕ НОДАР - К вопросу взаимоотношения психологической природы обучения и установки	62
БАСИЛАДЗЕ ИМЕРИ - Педагогико-психологические основы методов обучения	66
МАГРАДЗЕ МЕРАБ - Теоретические проблемы классификации мотивов учения на внутренние и внешние формы.....	71

ПЕДАГОГИКА ВЫСШЕЙ ШКОЛЫ

АСАТИАНИ АВТАНДИЛ - Высшее образование и бизнес-реальность – вызовы	76
САРТАНИЯ ВАХТАНГ - Проблемы управления системой образования в современное время	83

ПРОФЕССИОНАЛЬНО-ТЕХНИЧЕСКОЕ ОБРАЗОВАНИЕ

НАКАШИДЗЕ РЕВАЗ - Профессиональное образование в Германии	92
НАКАШИДЗЕ РЕВАЗ - Концептуальный подход Грузинского профессионального образования на новой социально-экономической основе.....	98

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

ДЖЕМАЛ ДЖИНДЖИХАДЗЕ - К вопросу о совершенствовании дефиниции глагола.....	104
---	------------

ЭКОЛОГИЧЕСКОЕ ОБРАЗОВАНИЕ

ГИЯ КАДЖАЯ - Экологический кризис, религия, этика	107
--	------------

ФОЛЬКЛОР

Т. И. ДЖАГОДНИШВИЛИ - О проявлениях общекавказского фольклорного мышления в грузинском фольклоре	111
---	------------

НАШИ ЮБИЛЯРЫ	117
---------------------------	------------

ПРОЩАЛЬНОЕ СЛОВО	126
-------------------------------	------------

CONTENT

INFORMATION

General Meeting of the Academy of Education Sciences of Georgia.....	5
GIA KAJAIA - International conference „The Church and the social movement for the nature preservation in Eastern Europe – common protection of Creation“	6

SCHOOL PEDAGOGY

DAVIT MALAZONIA, NINO CHIABERASHVILI - References of students' civil activity and integration quality to intercultural competencies of school society	8
JAMBU AVALIANI - Texts, as Main Resource for Developing the Students' Academic Skills and for Solving Academic Task	20

THEORY AND HISTORY OF PEDAGOGY

LIA MENTESHASHVILI - Role of the Family in Forming of Love of Nature, Look for and Protect it	26
NATO SHEROZIA - Teenager and Crime.....	30
LELA TAVDGIRIDZE - The teaching / learning strategies as one of the means for literacy development	35
MURMAN TAVDISHVILI - Education Principles in „The Knight in the Panther's Skin“.....	39
KONSTANTINE RAMISHVILI - Category of Development in Psychologo-Pedagogical Research	44
MARINE AROSHIDZE - Strategic guidelines of linguodidactics in Georgia.....	49
SOPHIO PHANCHULIDZE - Main Tragedy of Upbringing and Experimental Pedagogy	53
TAMARI GOGOLASHVILI - The tradicions of Ikhalto Academy are being carried on by revival of „The school of kvevri“	56

PEDAGOGICAL PSYCHOLOGY

NODAR BARAMIDZE - About Education Psychology Nature and Set Direction Subjects.....	62
IMERI BASILADZE - Pedagogical and psychological grounds of teaching methods.....	66
MERAB MAGHRADZE - Theoretical problems of classification of learning motives as internal and external forms	71

HIGH SCHOOL PEDAGOGY

AVTANDIL ASATIANI - Higher education and business - Reality and Challenges	76
VAKHTANG SARTANIA - Problems in the Management of Educational System at present	83

VOCATIONAL AND TECHNICAL EDUCATION

REVAZ NAKASHIDZE - German professional education	92
REVAZ NAKASHIDZE - Professional Education Pedagogy, Social-Economic Bases and Scientific Research	98

LINGUISTICS

JEMAL JINJIKHADZE - For Improvement of Verb Definition..... 104

ECOLOGICAL EDUCATION

GIA KAJAIA - Ecological crisis, religion, ethics (For perfection of ecological education)..... 107

FOLKLORE

T. I. JAGODNISHVILI - About Common Caucasus Folklore Detection in Georgian
Oral speech 111

OUR BIRTHDAY PEOPLE..... 117

FAREWELL 126

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ არის რეცენზირებადი და რეფერირებული პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

რეფერირებულია სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ РАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში და საქართველოს ტექნიფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მინიმუმ 150 სიტყვა) სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სრული სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური;
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word -ში;
- ქართული, რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა _! Kolhety, Times New Roman, Sylfaen შრიფტით;
- შრიფტის ზომა 11, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.
- ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6-7 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმების ჩათვლით;
- ნაშრომის ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონებზე: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42

© საქართველოს განათლების მეცნიერებეთა აკადემია
ფასი სახელმექულებო

შეკვეთის № ტირაჟი 200

გამომცემლობა

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია

საქართველო, თბილისი, 0144, წინანდალის ქ. №9

ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42

E-mail: ganatlebisakademia@gmail.com

АКАДЕМИЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ

Грузия, Тбилиси, 0144, ул. Цинандали №9

Тел.: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42

E-mail: ganatlebisakademia@gmail.com

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

Tsinandali Str.9, 0144. Tbilisi, Georgia

Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42

E-mail: ganatlebisakademia@gmail.com

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია

© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

© Академия образовательных наук Грузии



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com